ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი მწერლობა

[გა]მოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 10 ივლისი 2009 №14(92)

516
2009



იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების დრამატული ეპიზოდი

ვერჯილ ნემოიანუ ამერიკულ კონსერვატიზმზე

როდის დადგება ჟამი არჩილ ჯორჯაძისა

ჯემალ ინჯიას სონეტების გვირგვინი

თამაზ ნატროშვილი ლევან გოთუაზე

ო' ჰენრის დეტექტივის დეტექტორი

ლია სტურუა და სულიერი ოაზისი

ქეთი თუთბერიძე სილვია პლათზე

დიალოგი მანანა ჩიტიშვილთან

# „არტანუჯი“ გთავაზობთ

























მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ. ტელეფონი: (995 32) 25-05-22, (995 93) 25 05 22

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| წუთები და წლები | 2 | გიორგი გოგოლაშვილი **ერთი ეპიზოდი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან** (მკვლელობის თუ თვითმკვლელობის მცდელობა?) |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 8 | დავით ფირცხალავა **ჯობია ჩურჩულით** (მოამზადა ნატა ვარადამ) |
| პროზა | 9 | ოლესია თავაძე **სევდიანი ჩანაწერები** |
| პოეზია | 21 | ჯემალ ინჯია **რეკვიემი** |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 24 | ვერჯილ ნემოიანუ **ამერიკული კონსერვატიზმის ტრადიცია და ამერიკული საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკური ბუნება** |
| სილუეტი | 28 | ქეთი თუთბერიძე **ნაცრიდან აღმდგარი** (უცნაური მემკვიდრეობა) |
| დიალოგი | 29 | **„სიყვარულში მუდამ შემწირველი ვიყავი...“** (თამარ შაიშმელაშვილს ესაუბრება მანანა ჩიტიშვილი) |
| ბედი კაცისა | 32 | თამაზ ნატროშვილი **ქართველი მწერალი ვორკუტაში** |
| ეპისტოლე | 39 | ანა ჯუღელი **მოყვასის სიყვარულის აუცილებლობა** |
| რეპორტაჟი | 40 | ლია კუხიანიძე **ადვილია თუ არა, იყო მოსწავლე ანუ როდის დადგება ჟამი არჩილ ჯორჯაძისა?!** |
| ეპისტოლე | 43 | გივი ალხაზიშვილი **დრო და თაობები** (წერილი უმცროს მეგობარს) |
| საბავშვო მწერლობა | 44 | მაია ჯალიაშვილი **ოინბაზი კაცუნას ამბავი** |
| დაუვიწყარი სახელები | 46 | ლევან ფრუიძე **წიგნი — ძეგლი** (შოთა ლომსაძის მოსაგონარი) |
| კრიტიკა | 49 | გია ჯოხაძე **სამოთხე სულის ლივზე** (ზურაბ ლავრელაშვილის რომანი „მღვიძარება”) |
| ჩვენი ყოფა. წუთისოფელი | 51 | პაატა ჩხეიძე **რადიკალიზმი და პლურალიზმი** (ღია წერილი გია ნოდიას) |
| ლიტერატურული ცხოვრება | 53 | **ნეტავ როგორია მოლოდინისფერი?** (ზვიად კვარაცხელიას ტურნე) |
| ჩემი პატარა ქალაქი | 55 | ნინო ვახანია **მიმზიდველია ბედისწერის წინაშე დგომა** (შეხვედრა ტყიბულში) |
| პოეზიის მერიდიანები | 58 | ლაბიდი **მნათობები** |
| | 59 | ნიზარ კაბანი **სევდის კასიდა** |
| უცხოური ნოველა | 60 | ო'ჰენრი **დეტექტივის დეტექტორი** |
| მოზაიკა | 63 | **პერსონაჟი ოთხი მწერლისა** |



ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 41-95-21
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62



მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**
პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**
სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**
ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**
გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**


გარეკანზე: ოლესია თავაძე თავის ინტერიერში, 2008 წელი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 24 ივლისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გოგოლაშვილი

# ერთი ეპიზოდი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან

*

## მკვლელობის თუ თვითმკვლელობის მცდელობა?

იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფები მიანიშნებენ მისი ცხოვრების ერთ მძიმე ეპიზოდზე — ასე ვთქვათ, თვითმკვლელობის მცდელობაზე.

ვლადიმერ გაგუა წერს: „უსამართლოდ დასჯილმა პედაგოგმა თვითმკვლელობა გადაწყვიტა და მტკვარში გადავარდა. შეგროვილი ხალხიდან ერთი ახალგაზრდა თავგამოდებით შეება მტკვრის ტალღებს და დახრჩობას გადაარჩინა“ („იაკობ გოგებაშვილი“). სხვაგან ვკითხულობთ: „სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა იაკობმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ იგი სიკვდილს გადაარჩინა“ (ვ. გაგუა, დ. გურგენიძე, გ. სიხარულიძე — წინასიტყვაობა იაკობ გოგებაშვილის რჩეულ თხზულებათა ხუთტომეულისა).

იაკობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაწერილა, მაგრამ მკვლევარები გვერდს უვლიან ამ ეპიზოდს. ამ ფაქტზე არ საუბრობს ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევის ავტორი დავით ლორთქიფანიძე („დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი“). ეს ფაქტი არ არის აღნიშნული არც ენციკლოპედიურ ცნობარებში (ქსე III)... სხვა შემთხვევაში თუ არის ყურადღება გამახვილებული „თვითმკვლელობის მცდელობაზე“, წყაროდ ნიკო ლომოურის მოგონებაა გამოყენებული. იხილეთ: ზურაბ ბოცვაძე, „იაკობ გოგებაშვილი“; როსტომ ჩხეიძე, „ბურჯი ეროვნებისა“; ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, მ. საჯაია, „იაკობ გოგებაშვილი — ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1840-1912“; გიორგი თავზიშვილი „იაკობ გოგებაშვილი“.

რას წერს ნიკო ლომოური? არსებობს ორი ვარიანტი მისი მოგონებისა: პირველი ვარიანტი გამოქვეყნდა კრებულში „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“ სათაურით „იაკობ გოგებაშვილი. პირველი ნახევარი მისი ცხოვრება-მოღვაწეობისა“ (ხელმოწერა — არბოელი). ეს კრებული მთლიანად შევიდა 1990 წელს ჯუმბერ თითმერიასა და ზურაბ ჩილაჩავას მიერ გამოცემულ წიგნში „იაკობის სამრეკლო“. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს ამ „მთავარი წყაროდან“: „ერთ დღეს გაისმა — იაკობ გოგებაშვილი სადღაც დაკარგულაო. შიშის ზარივით მოედო ეს ხმა სემინარიელების სულსა და გულსა. წამს მთელი უზარმაზარი შენობა სემინარიისა დაცარიელდა. გუნდ-გუნდად მოედვნენ მოსწავლენი თბილისის გარეშემო მდებარე მთასა და ბარსა. ანტონ ფურცელაძე, ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი ეტლებით დარბოდნენ აქეთ-იქით. მტკვარში რამდენიმე მეთევზე ნავებით დაცურავდნენ და ეძებდნენ დაკარგულის გვამსა. ასე გაგრძელდა საღამომდე.

მზის ჩასვლისას საიდგანღაც გაისმა სანუგეშო ხმა - იაკობი ცოცხალია. საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც სემინარიაში მოვიდა სანდრო ცხვედაძე, უმცროსი ძმა ნიკოსი, სახალხო სკოლის მასწავლებელი, მხნე და ერთგული მეგობარი გლეხკაცისა, ყოვლად პატიოსანი ადამიანი და გვიამბო შემდეგი: შუა დღე იქნებოდა მოტანებული, როცა მე რაღაც საქმისათვის ვერის სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ჩავდიოდი ძირსაო. მარცხენა ნაპირიდან ვიღაც მოადგა მტკვარსა და ისე, გაუხდელი, შევიდა წყალშიო. შუა ადგილს წყალმა წააქცია და რამდენსამე წამს სრულიად დამალა, მერე კვალად გამოჩნდა, იწყო ბრძოლა ტალღებთან და ნაპირს დაუახლოვდაო. მაშინათვე მივეშველე მეც და, როდესაც სახეზე შევხედე, მეტის მწუხარებითა და გაოცებისაგან კინაღამ გული შემიწუხდაო. სანდრო ცხვედაძეს მაშინათვე წამოეყვანა, სასაფლაოს ქუჩაზე ეტლში ჩაესვა და სასტუმროში წაეყვანა“.

გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში, ნიკო ლომოურის ფონდში, დაცულია ნ. ლომოურის ნარკვევი „იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი“ (19671-ხ), რომელიც 1991 წელს გამოაქვეყნა ზურაბ ბოცვაძემ. ეს ნარკვევი ნიკო ლომოურისა არის განსხვავებული რედაქცია იაკობის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნებული ნარკვევისა. მოვიყვანთ ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდის შესახებ ამონარიდს ამ ვარიანტიდან: „ერთ დილით გაისმა იაკობი სადღაც დაკარგულაო!.. ამ ხმამ ელდასავით დაურბინა მთელი სემინარიის მოსწავლეთა სულსა და გულსა. იმავე წამს თითქმის სრულიად დაცარიელდა უზარმაზარი შენობა სემინარიისა... გუნდ-გუნდათ მოედვნენ თბილისის გარშემო მდებარე მთა და ბარსა. ნიკო ცხვედაძეს და გიორგი იოსელიანს მეთევზეები დაექირავებინათ, ნავებში ჩაესხათ და ბადეებით აძებნინებდნენ დაკარგულის გვამსა. ასე გაგრძელდა მთელი დღე. საღამოზე საიდანღაც გავრცელდა სანუგეშო ხმა... ბინდისას სემინარიაში მოვიდა ნიკოს უნცროსი ძმა სახალხო სკოლის მასწავლებელი, ყოვლად პატიოსანი ადამიანი, ალექსანდრე ცხვედაძე და გვიანბო: დილის ცხრა საათი იქნებოდა, ვერაზე, სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ვიყავ წამოწოლილი და მტკვარს გადავცქეროდიო. მტკვრის მარცხენა ნაპირი-

დან მოადგა ვილაც კაცი, ისე გაუხდელი შემოვიდა წყალში და ღრმა ადგილას ჩავარდაო. რამდენსამე ხანს აღარ სჩანდა, მერე უცებ გამოჩნდა, იწყო წყალთან ბრძოლაო... მე მაშინათვე ჩავირბინე ფერდობი და როდესაც ნაპირთან ჩავედი, ის კაციც იქვე გამოვიდაო. შევხედე და თავზარი დამეცა: ეს იყო იაკობ გოგებაშვილიო. აქ ტანისამოსი გაუწურე, ჩემი მშრალი პალტო ჩავაცვი და წამოვიყვანე, მერე მე და ნიკომ მიხეილის საავადმყოფოში წავიყვანეთ და იქ დავაწვინეთო"...

საკმაოდ განსხვავებული ვარიანტებია:

„შუა დღე იქნებოდა მოტანებული" და „იქნებოდა დილის ცხრა საათი";

„ვერის სასაფლაოს გადასწვრივ დალმართზე ჩავდიოდი" და „დალმართზე ვიყავ წამოწოლილი" და სხვა... მაგრამ მთავარი ფაქტი მაინც ერთნაირად არის მოთხრობილი: „ვილაც კაცი" შედის მტკვარში, შუა ადგილას (ღრმა ადგილას) წყალმა დაფარა, მერე იწყო ბრძოლა ტალღებთან და გამოცურა ნაპირზე. აქ მიეშველა სანდრო ცხვედაძე...

ეს ამბავი 1873 წელს მომხდარა. ნიკო ლომოური პირველ ვარიანტს 1913 წელს გამოაქვეყნებს; როდის შეიქმნა მეორე ვარიანტი, არ ვიცით. ნ. ლომოურის მოთხრობილი „მტკვრის ეპიზოდი" გახდა საფუძველი ბიოგრაფებისათვის „თვითმკვლელობის ვერსიაზე" საუბრისა...

არ ჩანს შემთხვევითი ის ფაქტი, ჩვენს მიერ ზემოდასახელებული რამდენიმე ავტორი ამ ფაქტზე ყურადღებას რომ არ ამახვილებს: როგორც ჩანს, ბიოგრაფებისათვის ეს ზეპირი ვერსია არ არის სარწმუნო... თანაც საუბარია იაკობ გოგებაშვილზე! ბიოგრაფები ვერ დაიჯერებენ იმას, რომ იაკობმა, ჭეშმარიტ ქრისტიანულ ოჯახში გაზრდილმა კაცმა, ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა ასეთი არაქრისტიანული ნაბიჯი გადადგა... თუმცა, მოდით, ფაქტებზე ვისაუბროთ.

ნიკო ლომოურის ნაამბობზე დაყრდნობით შექმნეს, გამოიგონეს ტრაგიკული სურათი:

მტკვარში გადავარდნა,
შეგროვილი ხალხი,
თავგამოდებული ახალგაზრდა,
მტკვრის ტალღებთან შებმა,
განწირულის გადარჩენა...

არადა, პირველწყაროში გარკვევით იკითხება: „ვილაც კაცი" შევიდა მტკვარში და თავად გამოვიდა ნაპირზე... რატომ ამძაფრებს ბიოგრაფი (ვლადიმერ გაგუა) ვითარებას ასე? როგორც ჩანს, უნდა დაგვარწმუნოს, რა საშინელი რეჟიმი იყო იმჟამად, როგორ იდევნებოდა იაკობ გოგებაშვილი... შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ ამ მიზანს არ უნდა შეეწიროს ჭეშმარიტება: იაკობი აღმოჩნდა ცილისწამების ობიექტი!..

ნიკო ლომოურის მონათხრობს, როგორც ჩანს, აქვს საფუძველი. იაკობ გოგებაშვილმა, ჩანს, მართლა გადადგა საბედისწერო ნაბიჯი... მაგრამ სჯობს დავაზუსტოთ: გადადგა თუ გადაადგმევინეს; ანუ, ეს იყო ნება იაკობისა, თუ აიძულეს, ეს ნაბიჯი გადაედგა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იყო მცდელობა მკვლელობისა თუ თვითმკვლელობისა?



იაკობ გოგებაშვილი

მოდით, გავიაზროთ, რა მოხდა 1873 წლის შემოდგომაზე.

ვუშვებთ იმ ფაქტს, რომ იაკობი შევიდა მტკვარში...ერთადერთი მოწმე, თვითმხილველი — სანდრო ცხვედაძე — საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იგი თავად გამობრუნდა უკან და გამოვიდა ნაპირზე... როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში საგანგებოდ მიანიშნებს იმაზე, რომ სანდრო ცხვედაძე დაჟინებით უარყოფდა, მე არ გადამირჩენიაო, თავად გამოვიდა ნაპირზეო; იონა მეუნარგია ცდილობდა დაეზუსტებინა და ჰკითხავდაო — „თუ კაცი ხარ, მითხარი, როგორ იყო, იაკობი დახრჩობას რომ გადაარჩინეო, — იონა მეუნარგია შემთხვევას როგორ გაუშვებდა ხელიდან, რომ ყველა გარემოება არ დაეზუსტებინა, რაც ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს ეხებოდათ და, მათ შორის იაკობსაც, ვისი ცხოვრების ქრონიკის შედგენაც განეზრახა და ყოველგვარ ცნობას — მსხვილმანსა თუ წვრილმანს — ისე ჩასაფრებოდა, როგორც მონადირე მსხვერპლს. მით უფრო ასეთი ეპიზოდი იპყრობდა მის ყურადღებას და იმედოვნებდა, რომ მკითხველს ერთადერთი თვითმხილველის ნაამბობზე დაყრდნობით გააცნობდა... მაგრამ კვლავ უარზე დადგებოდა სანდრო; რა დახრჩობა და რის გადარჩენა, მტკვარში მოტოპავდა, სიჩქარეში ხიდი შორს მოსჩვენებია და ტალღებშიც ამიტომ შევარდნილა გულდაგულ, და უნებურად რომც არ შევსწრებოდი, თვითონვე უვნებელი გამოაღწევდაო. — არ მოეშვებოდა იონა მეუნარგია. — არაფრისდიდებით არ გატყდებოდა სანდრო ცხვედაძეო" („ბურჯი ეროვნებისა"). არადა, რატომ უნდა დაემალა, თუკი მან გადაარჩინა? სანდრო ცხვედაძე სიმართლეს ამბობს, როგორც ჩანს; ამასვე წერს ნიკო ლომოურიც... იაკობის მდგომარეობის შესაფასებლად აქვს მნიშვნელობა იმასაც, თავად გამოვიდა ნაპირზე თუ გამოიყვანეს...

რა უსწრებდა ყოველივე ამას და რა მდგომარეობაში იყო იმჟამად იაკობ გოგებაშვილი? — ვიფიქროთ ამაზეც:

1873 წლის მოვლენამდე, „მტკვრის ეპიზოდამდე", 10-15 წლის განმავლობაში იაკობის ცხოვრება ძალზე მძიმედ, წინააღმდეგობრივად წარიმართა. მივყვეთ მოვლენების განვითარებას.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

1861 წლის ივლისში იაკობმა წარმატებით (პირველი თანრიგით) დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი. „ივლისის 8 — თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ვიქტორი წერილობით მოახსენებს საქართველოს ეგზარქოსს იაკობ გოგებაშვილის კიევის სასულიერო აკადემიაში გაგზავნის გამო“ (მატიანე).

აქ იჩინა თავი პირველმა წინააღმდეგობამ და იმედგაცრუებამ:

„ოცი წლის ვიქნებოდი, როდესაც სემინარია დავამთავრე; — იგონებს იაკობი, — პირველი მოწაფე ვიყავი წინა კლასებშიც და უკანასკნელი კლასიც პირველ მოწაფედ დავამთავრე. აკადემიაში გასაგზავნად დამნიშნეს. მხოლოდ მომთხოვა მთავრობამ — ექიმს ეჩვენე და ცნობა მომიტანე ჯანმრთელობისაო. ვეჩვენე. ექიმმა სუბოლჩიკოვმა კარგად გამსინჯა... მოწმობაში ჩასწერა:გოგებაშვილი ამჟამად სალია, მაგრამ სუსტი აგებულების პატრონია და შეიძლება რუსეთის ჰავა ვერ აიტანოსო“ (დავით კასრაძე, „იაკობ გოგებაშვილი“).

იაკობს წინადადება მისცეს, დარჩენილიყო თბილისში. აკადემიაში მეორე მოწაფის წასვლა გადაწყდა... იაკობს უთქვამს დავით კასრაძისათვის: „მე ძალიან მწყუროდა მაღალი განათლება და წასვლის სურვილი განვაცხადე“ (იქვე).

პირველი წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა... იაკობი აღარ წვრილმანდება, რის ფასად და როგორ...

1861 წლის შემოდგომაზე იაკობი კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტია. იგი ჩვეული სიბეჯითით შეუდგა სწავლას. მაგრამ ისევ იჩინა თავი ბედის უკუღმართობამ: „წლის ბოლოს ტვინის ანთებით გახდა ავად და ამ დროს იყო თურმე ჟამი, როდესაც ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე. რამდენსამე კვირის შემდეგ ამ ავადმყოფობას იაკობმა მშვიდობით დააღწია თავი, მაგრამ მისგან დაძაბუნებულ აგებულებას ახლა სხვა დაუძინებელი მტერი აღმოუჩნდა: დაანყებინა ხველება, რომელიც თითქოს შეყუჩდა ზაფხულის განმავლობაში, მაგრამ, დადგა თუ არა რუსეთული ზამთარი თავისი მკაცრი ყინვებით, ხველამ უმატა, ზედ დაერთო გამუდმებული სიცხე, რის გამოც ხშირად მოსდიოდა საავადმყოფოში წოლა. მესამე წლის შემდეგ სისხლის ღებინება და სხვა ნიშნები ჭლექისა ცხადად აღმოაჩნდა“ (არბოელი).

„ექიმების გადაწყვეტილება ურყევია — დაუყოვნებლივ დაბრუნდეს სამშობლოში. აკადემიის ხელმძღვანელობაც ასევე ურჩევს. იაკობი იძულებულია დაემორჩილოს თავის მწარე ხვედრს, ტოვებს აკადემიას და გულნატკენი ბრუნდება საქართველოში“ (მატიანე). იაკობი მაშინ მე-2 კურსზე იყო...

სწავლას მოწყურებული ყმაწვილისათვის ეს იყო უმძიმესი ტრავმა... 1863 წელს იაკობი კვლავ საქართველოშია.

კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი ზრუნავს ნიჭიერი სტუდენტის ბედზე და იაკობს შუამდგომლობს საქართველოს ეგზარქოსთან მისი კავკავის სასულიერო სასწავლებელში ინსპექტორად დანიშვნის შესახებ. იაკობი თანახმაა ამ შეთავაზებაზე — მას გადაწყვეტილი აქვს პედაგოგიური საქმიანობა. მაგრამ ისევ წინააღმდეგობა და ბედის უკუღმართობა: სანამ იაკობი მუშაობას შეუდგებოდა, კავკავის სასულიერო სასწავლებელი დაიხურა... იაკობი უმუშევარი დარჩა...

კიდევ ერთი იმედგაცრუება ახალგაზრდა კაცისა...

უსახსროდ დარჩენილი იაკობი კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების კომიტეტს ორჯერ მიმართავს თხოვნით, ერთი წლის განმავლობაში აძლიონ ხელფასი, როგორც უსამსახუროდ დარჩენილს... კომიტეტი ორივეჯერ უარს ეუბნება...

ისევ იმედგაცრუება და უმძიმესი ყოფა...

საქართველოს ეგზარქოსი ავალებს თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას, შეატყობინოს კიევის აკადემიის რექტორს, რომ კავკავის სასწავლებლის დახურვის გამო მისი თხოვნა გოგებაშვილის თაობაზე ვერ შესრულდა. კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი ამჯერად თბილისის სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობას სთხოვს, უშუამდგომლონ იაკობ გოგებაშვილს კავკავის სამაზრო-სამრევლო სასწავლებლის ინსპექტორად დანიშვნის თაობაზე... არც ეს მოხერხდა (მიზეზი უცნობია)...

იაკობის ცხოვრება გაუსაძლისი ხდება. 1864 წლის იანვარში იგი თხოვნით მიმართავს თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას, დანიშნონ ამავე სემინარიაში რაიმე თანამდებობაზე... „იანვრის 15 — საქართველოს ეგზარქოსისა და თვით იაკობის თხოვნით მას ნიშნავენ თბილისის სასულიერო სემინარიის მეორე კლასის მეორე მასწავლებლად“ (მატიანე).

ასე იწყება იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური კარიერა თბილისის სასულიერო სემინარიაში: მეორე კლასის მეორე მასწავლებელი...

მერე: მეოთხე კლასის მეორე ნასწავლებელი...

მერე: შეთავსებით „სახელმწიფო ხარჯზე მყოფი უსულგულო მოსწავლეების სამეთვალყურეო ოთახის ზედამხედველი“...

აი, ამ ვითარებაში და ამ მდგომარეობაში იაკობ გოგებაშვილი ადგენს და სემინარიის დახმარებით გამოსცემს თავის პირველ სახელმძღვანელოს — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865 წ.).

მერე: ისევ ავადმყოფობა; ამის გამო იაკობი ითხოვს სემინარიის ხელმძღვანელობისაგან შეუცვალონ მეცადინეობის გრაფიკი...

1866 წლის ივლისში გორის სასულიერი სასწავლებელში განთავისუფლდა ზედამხედველის თანამდებობა. ვარიანიც ახლოს იყო და... იაკობი სთხოვს სემინარიის ხელმძღვანელობას, უშუამდგომლონ ზემდგომ ორგანოებში, ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნის თაობაზე... თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული; ცნობილი არ არის, რატომ (მატიანე).

ისევ იმედგაცრუება...

თბილისის სემინარიის სიტყვიერების კათედრაზე განთავისუფლდა მასწავლებლის თანამდებობა; ახლა უკვე კიევის სასულიერო აკადემია არ აძლევს რეკომენდაციას იაკობს, რადგან არა აქვს დამთავრებული სრული კურსიო... იაკობი მაინც აღწევს იმას, რომ დანიშნონ მასწავლებლის მოვალეობის შემსრულებლად... ეს არის სხვა მხრივაც წარმატებული პერიოდი იაკობის ცხოვრებაში: იაკობი ადგენს უნიკალურ სახელმძ-

ღვანელოს — „ბუნების კარს"; გამოდის მესამე, გადამუშავებული, გამოცემა „ანბანისა". 1868 წელია.

მივაქციოთ ყურადღება: ამდენი იმედგაცრუება, ამდენი წინააღმდეგობა და ასეთი ნაყოფიერი შემოქმედებითი თუ პედაგოგიური საქმიანობა. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის ხარჯზე ხდება...

ისევ ჭიდილი იმედგაცრუებისა და გამარჯვებების:

1868 წლის დეკემბერში იაკობს ირჩევენ თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. მოვუსმინოთ იაკობს: „ზედამხედველის თანამდებობაზე ჩემი საქმიანობა დაიწყო 1868 წლის ბოლოს და გაგრძელდა 1873 წლის შემოდგომამდე. სასწავლებელი მე ჩავიბარე ყოველმხრივ აწეწილ მდგომარეობაში... მე ახლოს ვიცნობდი ამ სასწავლებლის მდგომარეობას, წინასწარ ვგრძნობდი, თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა მისი კეთილმოწყობა, ვგრძნობდი პასუხისმგებლობის სიმძიმეს, რომელთანაც დაკავშირებული იყო მოშლილი სასწავლების მმართველობა და ხელმძღვანელობა და ამიტომ თავს ვარიდებდი ზედამხედველის თანამდებობას. მაგრამ სასულიერო წოდების საოლქო ყრილობამ, რომელსაც სურდა ბოლო მოეღო სასწავლებლის სავალალო მდგომარეობისათვის, სადაც მისი საკუთარი შვილები სწავლობდნენ, შემომთავაზა სასწავლებლის უფროსობა და ამირჩია მის ზედამხედველად" (იაკობ გოგებაშვილის თხზულებანი ათ ტომად, ტ. I).

ისევ უცნაურად განვითარებული მოვლენები:

იაკობს სთხოვენ იყაროს კენჭი ზედამხედველის თანამდებობაზე; იაკობი წინააღმდეგია, მაგრამ დაითანხმეს; კი დაყაბულდა იაკობი, მაგრამ... როგორც ჩანს, ეგზარქოსი და უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება უკმაყოფილოა იაკობის საქმიანობით — მისი ეროვნული პოზიციით და... იაკობის კონკურენტია ვინმე პავლოვი... კვლავ იაკობს მოვუსმინოთ: „მე უარი ვთქვი და სრულიად გულწრფელადაც, შემდეგი მოსაზრებით: კიევის სასულიერო აკადემიაში ყოფნის შემდეგ მე დამჩემდა სისხლღებინება, რაც შეიძლება გაძლიერებულიყო ზედამხედველის რთულ მოვალეობათა შესრულების გამო... მაგრამ ჩემი კატეგორიული უარის მიუხედავად სამღვდელოების ყრილობამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა და გაიყვანა" (იაკობ გოგებაშვილი, ტ. IV).

მაგრამ აქ თავი იჩინა იაკობის ტრადიციულმა იმედგაცრუებამ... ისევ იაკობს მოვუსმინოთ: „კენჭისყრისას პავლოვმა მიიღო ერთი თეთრი კენჭი და ოცდაცხრამეტი შავი, მე კი ოცდაცხრამეტი თეთრი და ერთი შავი... მაგრამ ეგზარქოსმა არ დაამტკიცა ყრილობის დადგენილება და რამოდენიმე თვის შემდეგ ახალი არჩევნები დანიშნა" (იაკობ გოგებაშვილი, ტ. IV). მიზეზად ის დაასახელა ეგზარქოსმა, რომ იაკობს ღვთისმეტყველების ხარისხი არა აქვს... არადა წინა ზედამხედველი ტანიკოვი უბრალო სემინარიელი იყო, იაკობს კი დამთავრებული ჰქონდა „კიევის სასულიერო აკადემიის ზოგადი განათლების კურსი პირველ სტუდენტად"... თუმცა იაკობი ამგვარ დარტყმებს შეჩვეულია...

განმეორებით არჩევნებზე იაკობი ერთხმად აირჩიეს ზედამხედველად. სამღვდელოების ყრილობამ საგანგებოდ მიმართა ეგზარქოსს, დაუსაბუთეს თავიანთი გადაწყვეტილების სისწორე და ეგზარქოსიც იძულებული შეიქნა, დათანხმებულიყო იაკობის არჩევას, ოღონდ არა ზედამხედველად, არამედ „ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებლად"...

და იაკობი შეება უმძიმეს ტვირთს...

სასულიერო სემინარიაში იაკობის ზედამხედველად მუშაობის პერიოდი ცალკე მსჯელობის თემაა. ფაქტია, ავადმყოფი კაცისთვის ეს იყო უდიდესი ფიზიკური და სულიერი დატვირთვა.

ერთი მხრივ, ზედამხედველის მძიმე შრომა;

მეორე მხრივ, პედაგოგის პასუხისმგებლობა;

მესამე მხრივ, „ანბანისა" და „ბუნების კარის" ავტორის საზრუნავი და

მეოთხე მხრივ, დიდად შერყეული ჯანმრთელობა...

იაკობი წერს: „ამ ხანობაში მე მძიმე ავადმყოფი შევიქენი, ფილტვებიდან სისხლის დენა მქონდა. და უკიდურესი დაქანცულობის გამო, ამას საშინელი უძილობაც დაერთო. მას დაემატა ჩემი სამსახურიდან დათხოვნა მესამე მუხლის ძალით (ე.ი. პოლიტიკურად არასაიმედოდ ცნეს — გ.გ.) თანახმად ანდაზისა: მიეცეს და მიემატოსო" (იაკობ გოგებაშვილი, ტ. IV)... ამას იაკობი მოგვიანებით, 1911 წელს, მოიგონებს...

ავადმყოფ იაკობ გოგებაშვილს ებრძვიან გააფთრებით. 1873 წლის შემოდგომაზე „თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის — ვალენტინის — მიერ შეკრებილი ცნობებითა და წარდგინებით იაკობ გოგებაშვილი, გიორგი იოსელიანთან, თომა ტურაშვილთან, ნიკო და კონსტანტინე ცხვედაძეებთან ერთად შეჰყავთ საზოგადოებრივი სამსახურისათვის არასაიმედოთა სიაში" (მატიანე).

ეს 1873 წელია, „მტკვრის ეპიზოდის წელი"...

არადა, წინა წელს, 1872 წელს, იაკობის საქმიანობა დადებითად შეფასდა. ისევ იაკობს მოვუსმინოთ: „1872 წლის დასაწყისში პეტერბურგიდან გამოგზავნილ იქნა უწმინდეს სინოდთან არსებული სასწავლო კომიტეტის წევრი ბ-ნი ზინჩენკო ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლების გამოსარკვევად. მან ყოველმხრივ გამოარკვია სასწავლებელი და სცნო იგი მშვენიერ მდგომარეობაში. განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა ის სასწავლო საქმის დაყენებით" (იაკობ გოგებაშვილი, ტ. I)...

უწმინდესი სინოდის ობერპროკურორი და სახალხო განათლების მინისტრი გრაფი ტოლსტოი მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების შესახებ წარდგენილ ანგარიშში (1872 წ.) თბილისისა და ქუთაისის სასწავლებლების მდგომარეობას ასე აღწერს: „ზედამხედველთა სასარგებლო საქმიანობას უნდა მიეწეროს თბილისისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში სასწავლო საქმის მეტად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მიუხედავად მრავალი ისეთი არახელსაყრელი გარეშე პირობებისა (აქ მინისტრი ჩამოთვლის იმ პირობებს — გ.გ.)... მაგრამ თბილისისა და ქუთაისის სასწავლებელთა ზედამხედველების საქმისათვის სავსებით თავდადებამ გადალახა აღნიშნული სიძნელეები და მიაღწია იმას, რომ მათდამი რწმუნებულ სასწავლებლებში დამყარდა სწორი სასწავლო წესები და საგნების რაციონალური სწავლება, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო" (იაკობ გოგებაშვილი, ტ. I).

და ეს იყო იშვიათი შემთხვევა: ხელისუფლება იძულებულია, დადებითად შეაფასოს იაკობის მოღვაწეობა...

მაგრამ... ეს 1872 წელს მოხდა. ამის შემდგომ იყო ის, ზემოთ რომ აღვნიშნეთ: იაკობი, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად „სემინარიის რექტორის — ვალენტინის — მიერ შეკრებილი ცნობებითა და წარდგინებით" საზოგადოებრივი სამსახურისთვის არასაიმედოდ ცხადდება... იაკობის არასაიმედოობა — ქართული საქმის ერთგულება იყო... საჭირო ხდება მისი თავიდან მოშორება...

პარადოქსული ვითარება გრძელდება:

1873 წლის იანვარი. სინოდის ობერპროკურორი, სახალხო განათლების მინისტრი დიმიტრი ტოლსტოი მიმართავს საქართველოს ეგზარქოსს, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგთა კრებამ განიხილოს, თუ რა ჯილდოზე შეიძლება იქნეს წარდგენილი სასწავლებლის ზედამხედველი იაკობ გოგებაშვილი (მატიანე).

იმავე წყაროდან: „გოგებაშვილისათვის, მისი ავადმყოფობის გათვალისწინებით, საუკეთესო ჯილდო იქნება ერთდროული ფულადი დახმარება"... ამას ეგზარქოსი ამბობს და გოგებაშვილს მიეცა ფულადი დახმარება მისი ერთი წლის ჯამაგირის — 900 მანეთის — ოდენობით (მატიანე).

აქებენ იაკობს, აჯილდოებენ... ასეთი იყო 1873 წლის ზამთარი და გაზაფხული...

იაკობი ამ დროს სერიოზული ავადმყოფია. ნიკო ლომოური წერს: „შინაურმა მტერმაც მრისხანებით წამოჰყო თავი: სიცხემა და ხველამ უმატა. ხშირად სისხლიც ამოჰქონდა ნახველში... ნერვები საშინლად აეშალა. იაკობის ოთახიდან ხშირად ისმოდა გაჭირვებული ძახილი, მუქარა, წყევლა-კრულვა. მძლავრი გონება აფორიაქებულმა ნერვებმა დაიმორჩილეს" (არბოელი).

დაუნდობელი შემოტევა ავადმყოფობისა და... ისარგებლეს ამით: „რაკი ცოცხალ საქმეს ერთგული თვალყურის ჭერა მოაკლდა, მრუდე ხელმა იწყო ფარულად მოქმედება. კანცელარია სრულიად აურ-დაურიეს, შემოსავალ-გასავლის წიგნები მოჰპარეს, სხვა და სხვა საბუთის ქაღალდები მისჩქმალეს. ავადმყოფი ხედავდა ყოველივე ამას, მაგრამ რას იზამდა?" (არბოელი).

1873 წლის ოქტომბერია — „მტკვრის ეპიზოდის" წინა დღეები. „იაკობის დაუსწრებლად (იგი ამ დროს ავად არის) სასულიერო სასწავლებელს იკვლევს პეტერბურგიდან ჩამოსული რევიზორი კერსკი და სასწავლებლის მთელ საქმიანობას უარყოფითად აფასებს, ხოლო იაკობს სწამებს ათეისტობას, სეპარატიზმსა და რუსოფობიას" (მატიანე).

გავიხსენოთ: ზუსტად ერთი წლის წინ შეამოწმა სასწავლებელი ზინჩენკომ... მინისტრმა დ. ტოლსტოიმ ჯილდო მოითხოვა იაკობისათვის... კერსკის რევიზია კი თითქოს სხვა სასწავლებელს და სხვა პირს ეხებოდა... ამ რევიზიის შედეგებს მოგვიანებით (1878 წელს) ასე გაიხსენებს იაკობი: „ერთი წლის შემდეგ სემინარიაში არსებული უწესრიგობის გამოსაკვლევად თბილისში ჩამოსულმა მეორე რევიზორმა, ბ-მა კერსკიმ გამოარკვია სასწავლებელი და სცნო იგი მოშლილად, ხოლო ჩემი საქმიანობის შესახებ სულ სხვა აზრი გამოთქვა. ვინ იყო მართალი, ბ. ზინჩენკო თუ ბ. კერსკი? თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პირველმა მნახა სამსახურის დროს, დაესწრო ჩემს გაკვეთილებს, ხშირად საუბრობდა ჩემთან და საერთოდ შესაძლებლობა ჰქონდა გამცნობოდა და გამოერკვია ყველაფერი სასწავლებელში, ხოლო უკანასკნელმა კი მოახდინა რევიზია ჩემი ავადმყოფობის დროს, რომ მას ჩემთვის არ მოუმართავს არც ზეპირი და არც წერილობითი განმარტებისათვის" (იაკობ გოგებაშვილი, ტ. I)... ეს იაკობმა გაიხსენა; ახლა კი სხვა თვალით დანახული იგივე ფაქტები: „1873 წელი. ოქტომბრის ბოლო — ნოემბრის დასაწყისი. რევიზორ კერსკის უსამართლო განჩინება-დასკვნითა და შინაურთა გაიძვერობით ავადმყოფი იაკობის ჯანმრთელობა კიდევ უფრო უარესდება. ნერვებაშლილი და დაღლილ-დაქანცული იაკობი თვითმკვლელობის (!) განზრახვამდე მიდის. მანამდე კი წერილებს უგზავნის რევიზორ კერსკის, სინოდს, ეპისკოპოს გაბრიელს, რომლებშიც ამხელს ეგზარქოს ევსევის, სემინარიის რექტორ ვალენტინის და მათი დამქაშების ბოროტმოქმედებას" (მატიანე).

შეტევა სხვა მხრიდანაც: „ნოემბრის 30. გაზეთი „დროება" (400) ბეჭდავს ნიკო ნიკოლაძის მეორე რეცენზიას (ნ. სკანდელის ხელმოწერით) იაკობის „ბუნების კარის" შესახებ, რომელშიც ზედმეტად მკაცრად და დაუმსახურებლად არის გაკრიტიკებული იაკობის წიგნი" (მატიანე).

ნიკო ლომოური კვლავ ეცდება ახსნას ვითარება: „ექსარხოსის მტრობა, რექტორის კლიაუზნიკობა, გარშემო მყოფთა სულმდაბლობა, საზარელი სენის გაძლიერება, ერთგული მეგობრების განშორება, — აი ის ბოროტებით სავსე გარემოებანი, რომელთა შეერთებული ძალა კარს მოადგა იმ ჟამად იაკობს" (ნიკო ლომოური). დიახ, ერთდროულად ხდება ყოველივე ეს:

იაკობი მძიმედაა ავად, სამსახური ხშირად უცდება...

კერსკის რევიზია და უარყოფითი დასკვნა...

საზოგადოებრივი სამსახურისთვის არასაიმედოთა სიაში შეყვანა...

სემინარიის შინაურ მტერთა შემოტევა...

დაუმსახურებელი კრიტიკა „ბუნების კარისა"...

დაბოლოს: სამსახურიდან დათხოვნა!..

ლოგიკური შედეგი: „ერთ დილით ხმა გავრცელდა — იაკობ გოგებაშვილი უგზო-უკვლოდ დაკარგულაო"... „მტკვრის ეპიზოდს" ზემოთ გავეცანით...

გავიხსენოთ სანდრო ცხვედაძის ნაამბობი: „მე მაშინათვე ჩავირბინე ფერდობი და, როდესაც ნაპირთან ჩავედი, ის კაციც იქვე გამოვიდაო. შევხედე და თავზარი დამეცა: ეს იყო იაკობ გოგებაშვილიო. აქ ტანისამოსი გაუწურე, ჩემი მშრალი პალტო ჩავაცვი და წამოვიყვანე, მერე მე და ნიკომ მიხეილის საავადმყოფოში წავიყვანეთ და იქ დავაწვინეთ" (ნიკო ლომოური).

იაკობი მიხეილის საავადმყოფოში სულით ავადმყოფთა განყოფილებაში დააწვინეს.

კვლავ იაკობის უპირველესი ბიოგრაფი ნ. ლომოური: „ორიოდ კვირის შემდგომ იაკობი ვინახულე სულით ავათმყოფთა განყოფილებაში. დილის ათი საათი იქნებოდა. მე შემიყვანეს გრძელ დერეფანში, რომელსაც მარჯვნივ ბაღში გამავალი ფანჯრები ჰქონდა ჩამწკრივებული, მარცხნივ კი მრავალი კარებები ოთახებისა. გაიღო ეს კარებები და აქედან საშინელი ჟლავ-ჟლავით, ხტუნაობით გამოცვივდნეენ სამოცამდე სულით ავადმყოფნი. ზოგი მღეროდა, ზოგი ლექსურს უვლიდა, ზოგიც ყირამალა გადადიოდა. მართალია, საშიში ამათში არავინ ერია, მაგრმ

მათი პირუტყვული ხმაურობა, არეული თვალები, შეშლილი სახე ძალაუნებურად ჟრუანტელს მოგგვრიდათ ძარღვებში. მთელი დერეფანი აივსო ამ უბედურების არევდარეული ღრიანცელითა. თვალზე ცრემლები მომადგა, როდესაც ამავე დერეფნის ბოლოში მიჩვენეს იაკობის ოთახის კარები. ვნახე ძვირფასი მასწავლებელი. გამხდარგაყვითლებულ სახეზე სევდიანათ გამოიყურებოდნენ მისი დალონებული თვალები“ (ნიკო ლომოური).

დიახ, მტკვარსგადარჩენილი იაკობი უახლოეს მეგობრებს — ნიკო ცხვედაძეს, გიორგი იოსელიანს, ანტონ ფურცელაძეს — აქ, მიხეილის საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებაში, დაუბინავებიათ...

რა იყო „მტკვრის ეპიზოდი“ — მკვლელობის მცდელობა თუ თვითმკვლელობისა? იაკობი აიძულეს, ეს ნაბიჯი გადაედგა: ათი წლის განმავლობაში (1863 წელს თბილისში დაბრუნდა, 1873 წელს სამსახურიდან დაითხოვეს) იაკობი სისტემატურად უსამართლოდ იჩაგრებოდა... ახალგაზრდობიდანვე შერყეული მისი ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა... დღითიდღე ძლიერდებოდა მასზე სულიერი ზეწოლა... ყოველივე ამან შეურყია ფსიქიკა იაკობს. „მტკვრის ეპიზოდი“ სულიერად შერყეული ადამიანის მიერ გადადგმული ნაბიჯი იყო... დიახ, იაკობი აიძულეს, ეს ნაბიჯი გადაედგა...

არის ერთი დიდად საგულისხმო არგუმენტიც: შემოგვენახა იმერეთის ეპისკოპოსის — გაბრიელის — წერილი...

იაკობ გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში რომ სწავლობდა (1855-1861 წ.წ.), გაბრიელ ქიქოძე იყო ინსპექტორი და პედაგოგი სემინარიისა. იაკობი იყო უშუალოდ გაბრიელის მოწაფე. „ბუნებით ნიჭიერმა, ბეჯითმა და სიცოცხლით აღსავსე იაკობმა თავიდანვე მიიპყრო მასწავლებლის ყურადღება. აქ გაინასკვა ულრმესი სიყვარული აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე უბერებელი გრძნობით აღაგზნებდა ორივეს გულს“ (სიმონ სხირტლაძე, „გადანახული საგანძურიდან“). როდესაც იაკობი გადაწყვეტს კიევში წასვლას სასწავლებლად, რჩევა-დარიგებისათვის ქუთაისში ეწვევა თავის მასწავლებელს, იმჟამად უკვე იმერეთის ეპისკოპოსს... თავისი მოძღვრისგან იაკობი რჩევა-დარიგებას იღებს მისთვის უძიმეს პერიოდშიც, 1873 წელს...

როგორც ჩანს, ეგზარქოსის მიერ იაკობის დევნა გაბრიელ ეპისკოპოსს სერიოზულად აფიქრებდა და ამის გამო უპირისპირდებოდა კიდეც ეგზარქოს ევსევს; ადანაშაულებდა მას იაკობ გოგებაშვილის დევნაში. ეგზარქოსი ითხოვს წერილობით ახსნა-განმარტებას ეპისკოპოს გაბრიელისაგან. ჩვენთვის უცნობია ეგზარქოსის წერილი (ისიც არ ვიცით, შემოგვენახა თუ არა იგი) ეპისკოპოს გაბრიელისადმი. საპასუხო წერილის ფრაგმენტები გამოაქვეყნა ს. სხირტლაძემ 1965 წელს. ს. სხირტლაძე წერს: „სწორედ ერთი ასეთი ახსნა-განმარტება მოუთხოვნია ეგზარქოს ევსევს გაბრიელისაგან 1874 წელს. აი, ეს საინტერესო, არაოფიციალური დოკუმენტი, რომლის ხელნაწერის ასლიც ჩვენთან ინახება“. სამწუხაროდ, დოკუმენტის დედანზე მითითება არ არის...

გაბრიელის წერილი 1874 წლის 16 სექტემბრით თარიღდება. რამდენიმე ფრაგმენტი ამ წერილიდან: „თქვენ განსაკუთრებით გაინტერესებთ ჩემგან, — მიმართავს ეპისკოპოსი ეგზარქოსს, — რა მტკიცებულება მაქვს მე იმის თაობაზე, რომ თქვენ თითქოსდა დევნიდით გოგებაშვილსა და, ამავე დროს თავის მართლების მიზნით თან ურთავთ მართლაცდა შემზარავ აღწერას მისი ავადმყოფობისა, მისივე ხელით შედგენილს...“ გაბრიელ ეპისკოპოსი დიდად საგულისხმო აზრს გადმოსცემს წერილის შემდეგ მონაკვეთში: „რაც შეეხება კერძოდ თქვენს დამოკიდებულებას გოგებაშვილის მიმართ, ამ თემაზე მსჯელობისას მე ვემყარებოდი, პირველ ყოვლისა, ჩვენთან გავრცელებულ საყოველთაო ხმებს, რომ გოგებაშვილმა, სასწავლებლიდან წასვლის წინ, ანუ როგორც აქ ამბობენ, თვითმკვლელობის მცდელობამდე, თავის ბინაში დატოვა ბარათი, დაახლოებით ასეთი შინაარსის: „ახარეთ ეგზარქოსს, მე საბოლოოდ ვიღუპები“ და სხვა. მეორეც, მე ხელში ჩამივარდა უშუალოდ მის მიერ დაწერილი ბარათი, არ მახსოვს, როდის და ვისთან მიწერილი, რომელშიც ის იხსენიებდა, რომ თქვენ გადაწყვიტეთ, რადაც უნდა დაგჯდომოდათ, დაგეღუპათ იგი“ (სიმონ სხირტლაძე).

ყურადღებას მივაქცევთ რამდენიმე ფაქტს:

„მტკვრის ეპიზოდი“ მოხდა 1873 წლის დეკემბერში. ეს წერილი იწერება 1874 წლის სექტემბერში. ჩანს, ამ ბარათს წინ უსწრებდა სხვა წერილი, რომელშიც გაბრიელი ესარჩლებოდა იაკობს და ბრალს სდებდა ეგზარქოსს გოგებაშვილის მტრობაში, მის დევნაში; როგორც ჩანს, გოგებაშვილი ამგვარ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა, ეგზარქოსს ადანაშაულებდა ეპისკოპოსი გაბრიელი.

ეგზარქოსი თავს იმართლებს და ეპისკოპოსისაგან ითხოვს დამატებით არგუმენტებს ამ ბრალდებისა... ეპისკოპოსი გაბრიელი გოგებაშვილის მიერ „თვითმკვლელობის მცდელობას“ არ მიიჩნევს ფაქტად და მას უწოდებს „ჩვენთან გავრცელებულ საყოველთაო ხმებს“...

ეპისკოპოსი ასევე გავრცელებულ ხმად მიიჩნევს და არა ფაქტად, თითქოსდა იაკობს შინ დაეტოვებინოს ბარათი: „როგორც აქ ამბობენ“...

გაბრიელი ფაქტად მიიჩნევს იმას, რომ არსებობდა იაკობის ხელით დაწერილი წერილი, რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ ეგზარქოსს ჰქონდა გადაწყვეტილი იაკობის დაღუპვა...

ეპისკოპოს გაბრიელის ამ ბარათს ეგზარქოსისადმი აქვს არსებითი მნიშვნელობა იმის გასარკვევად, „მტკვრის ეპიზოდი“ მკვლელობის მცდელობა იყო თუ თვითმკვლელობისა. ისარგებლეს იაკობის უმძიმესი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობით და აიძულეს ეს ნაბიჯი გადაედგა...

და კიდევ ერთი კითხვა: შეიძლებოდა თუ არა, იაკობ გოგებაშვილს, როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებელს, გადაედგა ნაბიჯი, რომელიც „თვითმკვლელობის მცდელობად“ აღიქმებოდა? — რა თქმა უნდა, არა.

დაბოლოს ესეც უნდა ითქვას: იაკობის პირადი მტრები, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, ქართული საქმის მტრები — ეგზარქოსი ევსევი და რექტორი სემინარიისა ვალენტინი — „მაშინდელი ხელმწიფის მოადგილის, დიდის მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის განკარგულებით განდევნილ იქმნენ საქართველოდან“ (არბოელი)... აქ იაკობისადმი მტრობაც იგულისხმებოდა ალბათ, ამიტომაც გახაზავს ამ ფაქტს ნიკო ლომოური...

დავით ფირცხალავა

# ჯობია ჩურჩულით

**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როცა ღამე გძულს, რადგან ერთადერთი საშუალებაა მზე (ისიც, თუ გაგიმართლა), რომელიც გათბობს.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

—ლონდონში ან ამსტერდამში, თუმცა რამდენი ხნით - არ ვიცი.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— თავზე ჭერი, გვერდით საყვარელი ადამიანი.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— ლორდ ჰენრი ("დორიან გრეის პორტრეტი"), ოსტატი ("ოსტატი და მარგარიტა"), ესიხიდე ("ჯოჯოხეთის სურათები").

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— ალექსანდრე მაკედონელი.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— ეგონ შილე.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— ვაგნერი.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— ერთგულებას.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— ერთგულებას.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**

— ქარიზმა, შარმი.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— კითხვა, ქუჩებში ღამით სიარული.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— ყველას აქვს ისეთი პატარა ნიუანსები, რომლებიც მომწონს, ერთიანად აღებული ალბათ არცერთი.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— სიჯიუტე, პრინციპულობა.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— ერთგულებას, რათქმაუნდა.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— სიზარმაცე.

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ის, რაც უმაღლეს ბედნიერებაში ვთქვი.

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ის, რაც უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობაში ვთქვი.

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**



— კარგი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით).

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— შავი, ლურჯი,ნაცრისფერი.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— არცერთზე არ ვგიჟდები, სურნელი მიყვარს მხოლოდ — ვარდის, იასამნის.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ბეღურა.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— რამდენიმე ვთქვა შეიძლება?

აკუტაგავა, დოსტოევსკი, კაფკა, ბულგაკოვი,ჯემალ ქარჩხაძე, დოჩანაშვილი.. ყველას ვერ ჩამოვთვლი.

**— თქვენი საყვარელი პოეტები?**

— ბუკოვსკი, ხარანაული.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— რემედიოსი („მარტოობის ასი წელიწადი" — მარკესი), უიკიკო („ათასფრთიანი წერო" — კავაბატა ).

**— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— გვარდიოლა. (ბარსელონას მწვრთნელი )

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ჟანა დ 'არკი.

**— საყვარელი სახელები?**

— ალექსანდრე, მარიამი, რატი.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— როცა ჩემი საფერფლე ამოვსებულია ნამწვავებით.

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ლინჩი.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. აი, ადამიანების ნაცვლად ასანთის ღერები დავაყენოთ, მერე დავფიქრდები.

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— არცერთს არ მივცემ უმაღლეს შეფასებას. ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— მინდა ვხატავდე და ვუკრავდე ფორტეპიანოზე.

**— როგორი გინდოდათ, რომ მომკვდარიყავით?**

— სიკვდილი არ მინდა, შესაბამისად, არც დავფიქრებულვარ.

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— პრუსტ, რა უხერხულ კითხვებს მისვამ?!

**— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— დანაშაულის აღიარება მშვენიერი სპორტია.

**— თქვენი დევიზი?**

— „ამ დროს ყვირილი უარესია, შეიძლება ვერ გაგიგონ. ჯობია — ჩურჩულით" (ზვიად რატიანი).

გასულ ზაფხულს ტელეკომპანია „იმედმა“ თავის საკვირაო გადაცემაში აჩვენა სიუჟეტი მხატვარ ქალზე, რომელიც წლის უმეტეს დროს, თბილისის შორიახლოს, თავის აგარაკზე ცხოვრობს ორი მოუსვენარი ძაღლის „საზოგადოებაში“.

ჩვენში კულტივირებული ცხოვრების ნირისა და სტანდარტების ფონზე, უჩვეულო იყო ეს საუკუნოვანი ნაბლის ოდაც, ეს, კოლორიტული დეტალებით აღსავსე ეზოცა და ინტერიერიც, ეს ფერწერული ტილოებიც... მაგრამ, ყველაზე უჩვეულო მთელ ამ სიუჟეტში თვითონ მხატვარი იყო – იმ მომხიბვლელი უშუალობითა და სისადავით, რომელსაც სულ უფრო და უფრო იშვიათად ვხედავთ ტელეეკრანზეც და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, შემოქმედებით ადამიანებთან ურთიერთობაშიც.

ეს მხატვარი გახლდათ ოლესია თავაძე, რომელსაც ამხანაგებიც და კოლეგებიც „ლესიათი“ იცნობენ (თუკი სახელების პოეტიკას გავითვალისწინებთ, ცხადია, რომ ასეთ უჩვეულო ნატურას სახელიც ყურთასმენისათვის უჩვეულო უნდა ჰქონოდა); ხოლო წარმტაცი გარემო, რომელშიც მისი ოდა-სახლი იდგა — ბეთანიის შორიახლოს გაშენებული სოფელი წვერი იყო...

„იმედის“ სიუჟეტი ის იშვიათი შემთხვევა გახლდათ, როდესაც „წვერის ბინადარმა“ მისივე დაუწერელი წესი დაარღვია და თავის, ასერიგად დაგმანულ სამყაროში გარეშე „შეახედა“. ცხოვრების ასეთი ნირი, ასეთი სულიერი ავტონომია და სიმშვიდე – პრინციპულადაც და ვიზუალურადაც (იმ ოდა-სახლისა არ იყოს, დანგრევას რომ უპირებდნენ საბჭოთა დროს, როგორც „არატიპიურს“) აშკარად ეწინააღმდეგება იმ საყოველთაო კლიშეს, რომლითაც იქმნება „ცნობადი პორტრეტები“. რაღა თქმა უნდა ასეთ განაპირებას უკვალოდ არ ჩაუვლია: ლესია თავაძის შემთხვევაში – ეს არის ღრმა სულიერებითა და დრამატიზმით აღბეჭდილი მისი მხატვრობა და, რაც არ უნდა მოულოდნელი ყოფილიყო – „სევდიანი ჩანაწერები“ – სპონტანურად, გასულ ზაფხულს შექმნილი წიგნი: შედეგი წვერში ოცწლიანი განმარტოების, ბუნებასთან თანაზიარობის, მისი ტკივილის გათავისების და სხვათათვის უხილავი რეფლექსიისა...

ოლესია თავაძე

# სევდიანი ჩანაწერები

*ვუძღვნი რუსიკო ხუნწარიას — მუსიკოსს,*
*უცნაურ ქალს — ყველა ჩვენგანის მაგივრად,*
*ტკივილის თანაგანცდით შეპყრობილს.*

*ადამიანი, მისი არსებობა, იმავდროულად ბევრად მეტია და ბევრად ნაკლებიც, ვიდრე ჩვენ გვგონია. იგი უბრალოდ ისეთია, როგორიც უნდა იყოს, რათა თავისი ადგილი დაიკავოს უნივერსალურ წესრიგში. ადამიანს, ადამიანის ინდივიდს არავითარი უპირატესობა ან განსაკუთრებული ადგილი არ გააჩნია არანაირი გაგებით. ადამიანი არც მეტია და არც ნაკლები სულთქმნილთა შორის. იგი ერთ-ერთია უთვალავ არსებათა უსასრულო მწკრივში, რომელთაგან ბევრნი მასზე მაღლა დგანან, და ბევრნი - მასზე დაბლა.*

**რენე გენონი**

*ეთიკა სიცოცხლის წინაშე კრძალვისა არ ასხვავებს ერთმანეთში სიცოცხლეს უმაღლესსა და უმცირესს, მეტად და ნაკლებად ღირებულს. მცდელობა, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ადგილის მიჩენისა ცოცხალ არსებათათვის, მიზნად ისახავს გარკვევას, არიან თუ არა ისინი ჩვენზე, ადამიანებზე მაღლა, თუ დაბლა მდგომნი, და ეს კრიტერიუმი კი ცალსახად სუბიექტურია.*

**ერიხ ფრომი**

*ჩვეულებრივ, წიგნის ეპიგრაფად იმათ ნათქვამს იყენებენ, ვისი სახელიც და ვინაობაც იმდენად დიდია, რომ წარდგენა არ სჭირდება. ეპიგრაფი იმასაც ნიშნავს, რომ საკუთრივ წიგნის ავტორიც ნათქვამის აზრს იზიარებს და ერთგვარ ფარადაც იყენებს. ცხადია, მკითხველისთვის ეს უპირობო თანხმობას არ ნიშნავს, ყველას აქვს საკუთარი აზრის უფლება. მაგრამ, ამ ქვეყანას იშვიათად თუ ვინმე ევლინება მზამზარეული მსოფლმხედველობით. უმეტესად, ეს ფიქრისა და ტკივილის ფასად მოიპოვება მწიფობის გრძელ გზაზე.*

**ავტორი**



ფოტო იური მეჩითოვისა

## ჩემი სახლის სტუმრები და ბინადრები

ჩემს ერთი ბეწო სახლში რომ შემოიხედოთ, გეგონებათ მარტო ვცხოვრობთ — ჩემი ორი ძაღლი და მე. მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. როგორი მარტო ცხოვრებაა, თუ ღამე სხვენზე თაგვების ხრაგუნი არ გაძინებს, დილით კოდალას კაკუნი, დღისით ჩექმაში ხვლიკი გიძვრება, ეზოში ბაყაყები ყიყინებენ, გომბეშოები ბანს აძლევენ, ზღარბები დაბუჟღურობენ, თავზე სინდიოფალების ოჯახი "გადაგიფრენს", თივის ზვინში ანკარა მიჩუმებულა, მიწაში თხუნელაა და მახრა, ქვის კედლებზე და ბალახში ლოკოკინები და მუხლუხოები დალოლავენ, აივნის ჭერზე ბზიკების სკაა, სახურავის ქვეშ მერცხლის ბუდეა, ხის ბოძებში ჭიები დაღრიჭინობენ, სახლში ჭრიჭინა დაჭრიჭინობს, მაგიდაზე ჭიანჭველები დაცოცავენ, ობობას ქსელში ქინქლები თრთიან, ჭიამაიები და პეპლები დაფარფატებენ. ხილი რო ხილია, იმასაც მოწყვიტავ და იქაც ჭია-მატლი დაგხვდება. ჩემი არ მეყოფა, ახლა სტუმარი!

ცისფერთვალება და ფერმკრთალი გოგოები, შავთვალა ბიჭი, ჩემი ძაღლებით დაინტერესებული გალმელი პირები (ღობის ძირში რომ წვანან), ციყვები და შაშვები

(თითქოს თაგვი და სინდიოფალა კაკალს ვერ გაუსწორდება), ღამღამობით ბუ (ჰგონია, თაგვების ხრიგინი უძილობას არ ჰყოფნის); ჩაიზე ფუტკარი დაგეწვევა (ბზიკი არ გაკმარა), კალიები გახტებიან, ნემსიყლაპიები დაგტრიალებენ, ციცინათელები შემოგანათებენ, ქორი "შემოწმებით" გადაგიფრენს, ბელურა ხეხილს დაგიკენკავს, ბუზი, კოღო და ათასგვარი ხოჭო ხო თავისთავად. ის კი არა "კუმ ფეხი საიდან გამოყო" და ერთხელ ისიც მესტუმრა.



ეს ყველაფერი ეზოდან გაუსვლელად. და ეზოდან თუ გახვედი, ხომ მთელი ქვეყანა შენია!

ახლაც იტყვით, რომ ჩემს სახლში მარტო ვცხოვრობ?!

### ჩვენი ფინია

ყოველ ოჯახს აქვს ხოლმე ისეთი მხიარული თუ მწუხრის დღეები, როდესაც განწყობას არ უხდება აბეზარი ძაღლი. ერთი ესეთი, გლოვის დღე ჩვენც დაგვიდგა.

ძაღლი გვყავდა, პატარა ფინია, და ნაცნობის ნაცნობთან გავამწესეთ — ქალაქის ბოლოში, სადაც მანამდე არასდროს არ გვყოლია. მანქანით წავიყვანეთ და რამოდენიმე დღით დავტოვეთ. ეგ დილას იყო. საღამოს კი ჩვენი ადათის თანახმად, მისამძიმრებას ვღებულობდით ჩვენთან მომსვლელ ახლობელ-ნაცნობთაგან. როგორც მიღებულია, ვიჯექით და ხალხის ნაკადი მჭიდრო მწკრივით მოედინებოდა. და, რაოდენ გაოგნებულები ვიქნებოდით, წარმოიდგინეთ, როდესაც მომსვლელებს შორის, დინჯად და აუჩქარებლად ჩვენი ფინია გამოგვეცხადა. „მოგვისამძიმრა"...

ისიც აცხონოს ღმერთმა, დიდი ხნის წინანდელს გიყვებით.

### ლაბრადორი

ახალგაზრდა, ტკბილი ოჯახი გაიყარა, მჯობნის მჯობნი არ დაილევა... ქონება, დიდძალი არა, მაგრამ თავისთვის მოასწრეს, ზომიერად მოაქუჩეს: დებეტი, კრედიტი, ბანკი, სესხი — ისე რო გასაყოფი შეექმნათ. ქალმა თავისი არაფერი არ დატოვა, საზიაროც არ დასთმო — ყველაფერი გამოისყიდა ქმარყოფილისაგან; ფულზე მორიგდნენ. შვილი არ ჰყავდათ, ძაღლი ჰყავდათ, თეთრი ლაბრადორი, сынуля-ს ეძახდნენ. "სინულია", ერთი იყო, მშვიდობიანად რო შერჩა ქმარს. ქალმა სამაგიერო თეთრი ლაბრადორი უცხოეთიდან გამოიწერა.

რა დაარქვა, არ ვიცი. არც ის ვიცი — ძუ არის თუ ხვადი.

### ობობა

ძაბრისებურად ქსელით დაგრაგნილ ღრმულში დიდი ობობა ცხოვრობს. გაირინდა, შია, გაუმართლა: ჭკუამხიარული კალია გაება მახეში. ობობამ დააყოვნა, სკუპ—სკუპით გამოვიდა ძაბრიდან, კალიას დაახტა და ადგილზევე გააშეშა.

ვუყურებ, ჩაი გამიცივდა, მუსიკა შეწყდა. რადიოდან დიქტორის მხიარული ხმა მომესმა: — უცხოეთში დიდი სანახაობა გაიხსნა, ახლა ყველას შეუძლია დაესწროს ატრაქციონს — ელექტროსკამზე სიკვდილმისჯილის განაჩენის აღსრულებას. (ადამიანის ფიტულია, რა თქმა უნდა!). დიდძალი ტურისტი მიაწყდა სანახაობას.

მე მარტო ვარ, არის თუ არა ჩვენს შორის რაიმე განსხვავება?

### ჩიტები

მარტოსული მოხუცი, ოთახში გამომწყვდეული, თავს კითხვით და ხატვით ირთობდა. ოთახის ფანჯარა კი მისი ბუნების კარი იყო. ყოველდღე საგულდაგულოდ პურს ფშვნიდა და რაფაზე ჩიტებს აჭმევდა. გვერდით ოთახში ბიჭი ულამაზეს არაბულ ენას სწავლობდა, ნისკარტის რაფაზე კაკუნს გაიგებდა, ყურს დაუგდებდა და არაბულად იტყოდა — "xubz li tuiur" — პური ჩიტებისთვის.

დიდი ხანია მოხუცი აღარ არის, ბიჭს არაბული დაავიწყდა, ჩიტები კი ისევ მოფრინავენ.

როდესაც პურის ნამცეცებს ვუყრი, ჩურჩულით ვიმეორებ — xubz li tuiur.

### თევზი

ლამაზი, ჯიშიანი ქალი თავის პატარა გოგო — ბიჭს სადილს უმზადებდა, ლამაზად მოძრაობდა სამზარეულოს სივრცეში, საქმიანობის მოსაწყენი ყოველდღიურობა სანახაობად აქცია. ტარიანი ტაფა მსუბუქად შედგა ცეცხლზე, მაგიდას მიუბრუნდა, პარკიდან თევზები გადმოყარა. თევზები მკვახედ დაეცნენ მაგიდაზე. ქირურგიული მოძრაობით დიდი დანა მოიმარჯვა და, ის იყო გამოფატვრა დაიწყო, რომ თევზები აფართხალდნენ. წუთით შეკრთა, წუთით თევზებიც შეკრთენ და ნელ—ნელა უკლეს ფართხალს.

ყოველთვის მოინახება ერთი, უფრო არათევზი, უფრო ცოცხალი. იმ ერთმა სულის ლაფვას მძლავრად კუდის ქნევა მოაყოლა, გაიზნიქა, შეხტა და ქალს ხელიდან

გაუსხლტა. ქალის უცაბედ დაბნეულობას იერიში მოჰყვა — კუდში სტაცა, მეორე ხელი დანის პირს ჩაავლო და ტარი ურტყა პირდაფჩენილ თავში. თევზი მძლავრად იბრძოდა, პირს დიდად, ჩქარ—ჩქარა აბჩენდა და ყოველი თავში ჩარტყმის მერე უფრო მწარდებოდა. ქალიც ეშხში შევიდა და ისეთი გამეტებით ურტყამდა დანის ტარს თავში, თევზს კბილები რო ჰქონოდა, დააყრევინებდა. ქალმა დარტყმის სიჩქარეს და სიძლიერეს უმატა, გახურდა და ხელებში ჩამკვდარ თევზს უკვე ისე, სიხარულით ურტყამდა.

შუადღე იყო, ბავშვებს ეძინათ.

## ლეკვი

ახალი წლის წინა ღამე იყო. იანვრის დადგომას შესაფერი სიცივე მოასწავებდა. ქალაქი მიჩუმდა თორმეტ საათზე ერთიანად სროლის მოლოდინში.

„ალექსანდროვის" ბაღიდან ყმუილი მოისმა, არ იკლო, იმძლავრა და სასოწარკვეთილ კივილში გადაიზარდა. ღამის სიბნელეში, ბაღში, ალვის ხეზე მიბმული ლეკვი განწირულად გაჰკიოდა, გათოშილი და შეშინებული.

პატარა გოგოს, მის პატრონს დაუსჯია – ლეკვმა თამაშის დროს ფანჯრის ფარდა ჩამოხია...

## ბალერინას ძაღლი

ლამაზმა ბალერინამ თბილისის ზღვაზე ლეკვი გადაარჩინა. ყელზე ქვა ქონდა მობმული და იხრჩობოდა. ლეკვი დიდი გაიზარდა, შიშიანი და უნდო, არავის არ იკარებდა, არ სცნობდა, კარი რომ გაეღო, მარტო სასეირნოდ არ გავიდოდა, სულ ფეხდაფეხ დაყვებოდა თავის მხსნელს.

წლებმა გაიარა, ბალერინას შვილი საზღვარგარეთ წავიდა საცხოვრებლად, შვილთან წასვლა მასაც მოუწია. რაც რამე ჰქონდა, ტანსაცმელი და წიგნები — მეგობრებში დაარიგა. ძაღლის დარდი ჰქონდა და ისიც ვიღაცას მიაბარა. სხვა ქვეყანაში წასულს, ახლის ავ—კარგი დარდს გაუქარვებდა. ძაღლს კი, მეორედ თუ გადარჩა, რა დაავიწყებს თავის ბალერინას.

## უტიფარი ძაღლი

ქუჩაში ნაპოვნი ძაღლი სოფელში წაიყვანეს. სოფლის ნათესაობამ, დიდი ალრფთოვანებითო, ვერ იტყვი, — სხვა რა გზა გვაქვსო, დავიტოვებთო. მაგრამ, როდესაც უტიფარმა ძაღლმა ქათმების დევნა დაიწყო, სიტუაცია დაიძაბა: ქალაქელები იმას აწვებოდნენ, შეიგნებსო; სოფლელები დიდად იმედიანად არ იყვნენ. ამასობაში ძაღლმა ტყუილად დევნას ქათმების ცოცხლად ჭამა ამჯობინა. ცალფეხზე მოფართხალე ქათამმა და ძაღლის ბუნტყლიანმა ცხვირმა სოფლელები ცივ უარზე დააყენა: — თქვენ რო წახვალთ, მაინც მოვკლავთო. მოსაკლავად ცოდვა იყო, ისევ თბილისში ჩამოიყვანეს, მარტოხელა, ცოლგაქცეული ძმაკაცი გააბრიყვეს, და იმას აქეთ ეგ ძაღლი ოპერის თეატრის უკან ცხოვრობს, ცოლყოფილის ლოგინზე წევს, ცოლყოფილის-სავე სახელი ჰქვია და სასეირნოდ ოპერის ბაღში დადის.

უცნაურია, ზოგჯერ უტიფრობა სიკეთით როგორ მო-გიბრუნდება. აბა, ქათმები ცოცხლად არ ეჭამა, რა ცხოვ-რება ექნებოდა?!

## შაშვი

— შენც გაუთიბავში ზიხარ?! — იკითხა გოგომ.

— დამეზარა, ბილიკები თავისით გაიტკეპნა, იქეთ



საქმე არა მაქვს, იყოს, რას მიშლის, მოშენებულ ბაღნარს რითი არ ჯობია, ნახე რამხელა სარეველაა.

— ქვედა ეზო მეც გაუთიბავი დამრჩა. ცელი მოვიქნიე, ვხედავ მიყურებს შავად შემოვლებული თვალი, შე-შინებული. შაშვი იჯდა ბუდეში, ბარტყებს ზრდის. შემეცოდა.

ჩემს მეგობარს ცისფერ თვალებზე ცრემლის მოძალებამდე უყვარს გოდერძი ჩოხელი.

## ცხენი „განძი"

მხედარი, განძს რო ეკადრებოდა, ისეთი ჰყავდა. გურული ფირალივით შეიარაღებული, ამერიკელი კოვბოივით დაზმანული, ვერელივით ამპარტავანი. განძი დოლის "არაბი" ცისფერსისხლიანი იყო, ბალახს არ ძოვდა, შვრია უნდა მიგერთმია, სწორზე უნდა ევლო. მხედარმა ეს ყველაფერი კი იცოდა, მაგრამ თუშეთში მიმავალი, თუშურ ცხენზე ხომ არ დაჯდებოდა? განძმაც, სანამ შვრია იყო — ჭამა, სანამ ვაკე იყო — იარა. ომალოში ვაი—ვაგლახით ავიდა. სული მოითქვა. ახლა თუშები ატყდნენ:

— აბა, რა დოლის ცხენია, თუ ვერ ირბინა!

— შევაჯიბროთ!

— ჩვენ ცხენებს ჯანით ვერ აჯობებს!

იმდენი ქნეს, დოლი გამართეს. განძმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, არც თავი შეირცხვინა, არც მხედარი. უკანა გზაზე კი ბალახის გაჭირვებით ძოვამ და ციცაბომ თავისი ქნა, ქანცგამოლეულს ქანობზე ფეხი დაუცდა, წვივში გადაუტყდა და კოვბოის ორლულიანმა იქვე ხევში დააგორა.

განძის თავლაში ახლა სხვა "არაბი" დგას. მხედარმა გუდაურში "როსინიოლების" თხილამურებზე დგომა არჩია.

## უკუდო კატა

თბილისის დიდ ეზოში კუდიანებში უკუდო კატა "ქურდად იჯდა" — ძაღლს და მამაძაღლს, ყველას ეშინოდა უკუდოსთან საქმის დაჭერა, სუყველასთან "ვერხით" იყო. ერთადერთი ქალი ჰყავდა ამოჩემებული, იმას ენდობოდა, იმას აკითხავდა, იმისას ჭამდა, იმის კარადაში ყრიდა კნუტებს; თუ არ გაუჭირდებოდა, იმასაც ზედმეტად არ აწუხებდა.

ერთხელაც ეზოში ხმა დაირხა — უკუდოს ამპარტავნობამ უწია, ვიღაცამ ლებან-ლებან დაშალა და ნაკუწნაკუწ სისხლის გუბეში გდიაო. ქალს ეს ამბავი რომ მიუვიდა, — მაგის შემხედვარე არა ვარო, ჩემი გული მაგას ვერ გაუძლებსო.



და რა გულმა გაუძლო, როდესაც მეორე დღეს სისხლში ამოვლებული უკუდო კატა თავის კარებთან ნახა მოთრეული. ეგრევე ექიმთან გააქანა, ეგების გადარჩესო. ექიმმა უკუდო შეათვალიერა და ქალბატონს მოახსენა:

— ილლიაში ერთი ნაკაწრი აქვს, ეგ სისხლი კი თავისი არ არის. ვისაც ამან სისხლი ადინა, იმას მიხედეთ, თუ მიუსწრებთო.

უკუდო მოსულიერდა, თვითონ კი სული ვის გააფრთხობინა, თქმაც რომ შეეძლოს, ვერ ათქმევინებდი.

## მორიელი

თუ გინახავთ, მამა—შვილი ქვა—ღორღიანში მორიელებს ეძებდეს?

— მორიელებს მწირი და კლდოვანი ადგილები უყვართ. შეხედე, ამ ქვის ქვეშ ნამდვილად იქნება.

ქვა ფრთხილად ასწიეს და იქიდან ნამძინარევი, უმზეობისაგან გამჭვირვალე მორიელი გამოძვრა.

— ეს შვილია, დააკვირდი, რა პატარაა, დაიბნა და კუდის აწევა დაავიწყდა. ბალახით მოუთათუნოთ, მოვფხანოთ ზურგი.

მორიელი გამოცოცხლდა, კუდი ნამგალივით მოიმარჯვა და გაქცევა დააპირა.

— ახლა ხომ ხედავ, ნამდვილად მორიელია.

მერე ქვა ისევ ასწიეს, მორიელი ბალახით ფრთხილად მიუჩოჩეს, და თვითონაც შინ წავიდნენ.

## გერმანული ნაგაზი

ნაგაზის ლეკვი ალერსიანი და მიმნდობი იყო. მეგობრებმა უკაცრიელი სიცივეები მარტოობაში გადააზამთრეს. გაზაფხულზე ხალხმა იმატა, დამსვენებლებმა, ბავშვებმა. პირველი ბავშვის დაკბენა გაფრთხილება იყო პატრონისათვის. ყველაფერზე პატრონი აგებს პასუხს. მეორეც და მესამეც ბავშვი იყო... პატრონის მაგივრად ნაგაზმა აგო პასუხი.

სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

მანამდელი ლეკვობა საბავშვო ბაღში გაატარა. ბავშვებმა დანდობა არ იციან. მოფერებას ნამებისაგან ვერ ასხვავებენ. გულში ჩაიდო, არ დაივიწყა, ჯავრი სხვაზე იყარა...

გამზრდელმა აკაკის „გამზრდელის" სამართალი ვერ ზიდა, და სასჯელად გულში გაუნელებელი ტკივილი დარჩა, ყოველი გერმანული ნაგაზის დანახვაზე რომ თავს ახსენებს.

## წყლის კუ

ერთი წყლის კუ გვყავდა, მოწყენილი გვეჩვენა და საამხანაგოდ თავისნაირი მოვუყვანეთ. კვერცხის ოდენებიც არ იყვნენ, დედალ-მამალს ვერ გაარჩევდი და, თუ არ შეუღლდებოდნენ, გვეგონა, იმეგობრებდნენ მაინც.

რა ვერ გაიყვეს, რითი ვერ მორიგდნენ, რომ ერთხელაც აკვარიუმში ისევ ერთი კუ დაგვხვდა. მეორე ვეძებეთ ყველა კუთხე-კუნჭულში, ბოლოს აივნის ღია კარებს გუმანით თვალი გავაყოლეთ, აივანზეც არ იყო, უიმედოდ მეოთხე სართულიდან გადავიხედეთ, და, საოცრება, რამ დაგვანახა?! გადარჩა! ამოვიყვანეთ, დავაბრუნეთ, აკვარიუმში წყალი დავაკელით, ამოსვლა რომ გასჭირვებოდა.

შენც არ მოგიკვდეს ჩემი თავი! მეორედაც და მესამედაც იგივე — გაიპარა, აივნიდან გადახტა, ვიპოვეთ, დავაბრუნეთ. მერე ვიფიქრეთ — ეს თვითმკვლელობის ხერხია თუ გართობა, ერთხელაც ცუდად მოგვიბრუნდება და გავაჩუქეთ.

ისევ ის ერთი კუ დაგვრჩა, მშვიდი და მეოცნებე.

მეორეს ამბავს აღარ ვკითხულობთ, გული არ გვატკინოს.

## ბუ

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ანუ იყო და არა იყო რა. წარმოიდგინეთ: ზაფხულის ღამე, სოფელი, ოდა სახლი, ოთახი მიწისპირა ღია ფანჯრით, ფანჯარაზე მიბჯენილი მაგიდა, ზედ გაწყობილი მწირი ვახშამით, მაგიდის თავზე მბჟუტავი შუქი, მაგიდასთან ორნი — სულერთია ვინ. ყველაფერი მარტივია და პროზაული. და უცებ, ღია ფანჯრის ღამის სიჩუმიდან, ფეხების ბაკა-ბუკით, პატარა, დაბღვერილი ბუ შემოდის, რაფაზე ჩერდება, დაჭყეტილ თვალებს აბრიალებს და ამრეზით უყურებს ორ პირდაფჩენილ არსებას.

სუფრაზე შემოსწრებულს ჩვენში ლუკმას უყოფენ, მაგრამ ყველი—პურის დანახვაზე სტუმარმა ფეხების ბაკუნს მოუმატა, კიდევ უფრო გაიფხორა და ფურთხება დაიწყო. რა გვექნა, თავი მოგვეჭრებოდა, სად იყო და სად არა, გვერდით კედელზე დიდი მწვანე კალია რომ არ

დაგვენახა. კალიის ბედიც ეგ იყო. ბუმ დიდად არ იუარა, პირი დააბჩინა და დიდი დამადლებით მიირთვა. მერე ისევ უხასიათოდ ზურგი შეგვაქცია და ბაკა-ბუკით გაგვეცალა.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ორნი ვიყავით და ერთმანეთს დავემოწმებით, რომ იყო, ნამდვილად.

### მტრედი

ჩემს ტკბილ მეგობარს მტრედები უყვარდა და ჰყავდა კიდევაც. ფოსტის მტრედები იყვნენ, ნასწავლი ამბის მიტან-მოტანაში. წყნეთის ბაღში, სამტრედეში ცხოვრობდნენ და თბილისთან სატელეფონო ხაზის მაგივრობას გვიწევდნენ. რამდენჯერ, სახლში დაბრუნებულებს, ფეხზე გამობმული ბარათი მოუტანიათ. "მოვდივარ", "გაჩერებაზე დამხვდი", "გადაეცი, ვერ მოვალ"... საქმიანი გზავნილები იყო უმეტესად. ერთხელაც, გულჩვილობისას, სასიყვარულო წერილი გამომიგზავნა. მაგრამ, არც ის მტრედი მოფრინდა, არც ის წერილი.

— იშვიათია, ხდება ხოლმე, ასეული კილომეტრების სიშორიდან ბრუნდებიან, ალბათ რაღაც მოუვიდა, — თავს იმართლებდა განბილებული მწრთვნელ-მიჯნური.

რაღაცის ნიშანი ხომ არ იყო, რომელსაც უნდა მიუყურადო....

ჩვენს სიყვარულსაც რაღაც მოუვიდა.

### დედა-ღორი

სიცოცხლის გაჩენა ამ ქვეყანაზე დიდი სასწაული რომ არის, ამაზე კი არავინ არ დაობს. მისი მსგავსი სასწაული არც რამეა არც არსად. თუ შესწრებიხარ, — ნისკარტით როგორ ძვრება ჭრელი კვერცხიდან ბარტყი, თუ შეგიმჩნევია ცოცხალმშობი თევზის ელვისებური გაჩენა, თუ გინახავს ფარაში მიმავალ ცხვარს როგორ უვარდება ბატკანი, თუ გინახავს კვიცის, ჩოჩორის ან ბოჩოლას მოსვლა ამ ქვეყანაზე, თუ კატის ან ძაღლის გაჩენა გინახავს, თუ ბავშვის მოვლინებას დასწრებიხარ, ნამდვილი სასწაულის მომსწრე ყოფილხარ!

ქალაქელი ბევრ ვერაფერს დაიტრაბახებს, სოფელში კი სასწაული ყოველ ნაბიჯზეა.

ერთხელ სოფელში გოჭების გაჩენას შევესწარი. უზარმაზარი თეთრი დედა-ღორი, აპრეხილცხვირიანი, ჩამოყრილი ძარღვიანი ყურებით, დაგრაგნილი კუდით, ერთი ბეწო ჩლიქებზე ძლივს იდგა, სამშობიაროდ ვიწრო ბოსელში იყო შემწყვდეული. პირველი გოჭის გაჩენაზე, შიშმა ამიტანა, — ამ სივიწროვეში გაჭედილ დედა-ღორს, ქვეშ დავარდნილი გოჭი არ შემოჭყლეტოდა. ყოველი გოჭის მომატებაზე ბორგავდა და წრიალებდა. ასე თორმეტი გოჭი გააჩინა, თავისნაირი თეთრები, ვარდისფერყურიანები. მეცამეტე, ნაბოლარა, ჭრელი იყო.

ბლავილში და ბორგვაში ფეხი დაადგა კი არა, ბალერინას უნაზესი მოძრაობით არიდებდა ჩლიქს მოჭყვიტინე გოჭებს. მეცამეტეს გაჩენაზე შვებით ამოიღრუტუნა, ფრთხილად განვა იატაკზე და ცამეტივე დინგით ძუძუების ირგვლივ შემოილაგა.

არაფერი არ არის ამ ქვეყანაზე სიცოცხლის გაჩენაზე დიდი სასწაული! არაფერი!

### ბაყაყი

ვკითხულობ. წიგნში ბაყაყებზე ბევრი რამე წერია: ინგლისელებს რძის ბაყაყით გაცივება უყვართ — რძეში



აგდებენ და ცივდება. ფრანგები უფრო მსუნაგები არიან, უბრალოდ ჭამენ. ჩინელები ბაყაყს ნეფრიტისაგან აქანდაკებენ — უყვართ.

ბევრგან ბაყაყი წვიმის ქურუმია, უფრთხიან...

ჩემს ხის სახლს გეკოს ტყვია ცუდად მოხვდა. კითხვას თავი დავანებე. ჩვენი, ქალაქელი ბიჭები გეკოთი ბაყაყებზე ნადირობდნენ.

— რატომ? — ქართველებზე წიგნში არაფერი წერია.

### ქათამი

— ჩემი ჭრელა, ჩემს ოჯახს მირჩევნია, — იტყოდა ხოლმე კაცი. ჭრელა დედალი ქათამი იყო და ჩვენს სახლში, მეხუთე სართულზე, პატიოსნად ცხოვრობდა. მის პატრონს დაკვლა დააგვიანდა და ამასობაში ასე ძალიან შეუყვარდა, თუ ჭრელა მართლაც სასწაული ქათამი იყო, ვერ გეტყვით. იმასაც ვერ გაიგებდი, კაცი ოჯახს რას ერჩოდა. რომელი ოჯახი აიტანს ბინაში მოკაკანე დედალს. მარტო კაკანს რა უჭირს, დიდიან—პატარიანად დღენიადაგ სკლინტების წმენდაში იყვნენ, ფულის იმედი თუ გაამხნევებდათ ( ჩიტის სკლინტმა ფული იცისო), მაგრამ არც ფული ჩანდა და არც ოქროს კვერცხი. მერე ეჭვი აილეს, ეგების ქათამი ჩიტებში არ გადისო, და სულ ნახდნენ. დიასახლისის მოთმინებას ბოლო რომ მოეღო, სადილად საყვარელ მეუღლეს ჭრელას ბულიონი დაახვედრა.

— ჭრელა! — იკივლა კაცმა.

ვერაფრით ვერ დააჯერეს — ჭრელა აივნიდან გაგვიფრინდაო. ისეთი ჩხუბი ატეხა, ისეთი აყალ-მაყალი...

ისე, რა იყო დაუჯერებელი ჭრელას გაფრენაში, თუ პირისგემოთი ცნობდა თავის "სატრფოს"?..

## მერცხალი

ყველას გვაქვს ცხოვრებაში ბედნიერი დღეები, მერე რო იხსენებ კი არა, იმ წუთში რო იცი — ბედნიერი ხარ. ასეთი დღე იყო. არსაიდან არაფერი არ იმუქრებოდა —



არც ამინდი, არც გარემო, არც ბავშვები, არც დიდები. ყველაფერი ერთმანეთს ერწყმოდა.

— ჩიტი მოკლა! გასროლასავით გაისმა. ხმამ ხელჩაქნეულად გულსმილმა ჩაიარა.

— ჩიტი, ჩიტი, მერცხალი მოკლა! — ეს უკვე შეძახილი კი არა, მოთხოვნა იყო. ხმას გულში გაევლო. აღარც კერძმა ივარგა, აღარც საუბარმა, აღარც ბავშვებმა... გალია მოინახა. მერცხალი გალიაში ჩავდეთ, წყალი და სიმინდის მარცვალი გვერდზე მიუწყეთ, სულის სახსენებელივით. არ იძვროდა, სუნთქავდა, გალიას ნაჭერი გადავაფარეთ, ერთმანეთს მივუბრუნდით.

იმწუთიერი ბედნიერების შეგრძნება გაქრა.

## თევზები, ტრიტონები, ჩიტები

პატარა შავთვალება ბიჭი დღეს და ღამეს აკვარიუმებთან და გალიებთან ატარებდა. აკვარიუმებში გუპები, ტრიტონები, გალიებში თუთიყუშები და კენარები ჰყავდა. თვალს არ აცილებდა.

— ხვალ იმშობიარებს! — წამოიძახებდა.

მარცვლისოდენა გუპებს რას ამჩნევდა, რომელია სამშობიარო, თორემ მშობიარობა უკვე მჯეროდა, მეანის თვალი ჰქონდა. მანამდე ლილიპუტი ტოიტერიერი ავად გამიხდა მეგონა. არც ჭამდა, არც სასეირნოდ მომყვებოდა.

— ორსულადაა! გააჩენს! — დიაგნოზი დაუსვა პატარამ.

— რა სისულელეა, — ვიუარე, —. ჩემს გარეშე ფეხი არ გადაუდგამს, — გამეცინა. მაგრამ, როდესაც ტოიმ ერთი უდღეური ლეკვი გააჩინა, სასაცილო აღარ იყო.

ახლაც, გუპიმ დღე არ გადააცილა.

— აჩენს! უკვე თორმეტი ცალია!

— რომელი აჩენს?

— აი ეს, გამჭვირვალე რო გახდა.

კიდევ კარგი, გუპი ცოცხალმშობია, თორემ, მაგდენი თვლა რომც იცოდეს, ქვირითს რა დაათვლევინებდა.

ტრიტონები არ მრავლდებოდნენ, ზანტები იყვნენ, სულ აკვარიუმის კედელზე გაპარჭყულები. კენარები ცალ-ცალი იყო გალიაში, ისე არ გალობენ. თუთიყუში კი სულაც ერთი იყო, ისიც მამალი. მაგრამ ჩიტებმა გამრავლების სხვა ხერხი იხმარეს — უბრალოდ მოფრინავდნენ.

— არ მოხვიდე! აივნის მოაჯირზე თუთიყუში ზის, არ დააფრთხო! დედალია! დავიჭირე!

აღარაფერი აღარ მიკვირდა, მართლაც დედალი ყოფილა და თუთიყუშებმაც იმატეს. მაგრამ, როდესაც აივნიდან ისევ ყვირილი მომესმა:

— ალბინოსია! — ვიფიქრე, — ბავშვის საქმე ცუდად არის, შველა უნდა, მივვარდი. ხელში თეთრი კენარი ეჭირა!

— ალბინოსია, — ვილაცას გაუფრინდა!

ამის მერე სპილო რომ შემოეყვანა აივნიდან, წარბს არ შევხრიდი. ასე კარგა ხანს გასტანა. მერე ბიჭს სხვა ინტერესები გაუჩნდა, სხვამ გაიტაცა. თავის "ზოოპარკს" კი ისევ უვლიდა, მაგრამ აღარც თევზები მრავლდებოდნენ, აღარც ჩიტები მოფრინავდნენ.

როგორ არ დაიჯერებ, რომ სიყვარული ძალაა მაცოცხლებელი.

## ჭიანჭველები

ერთი ბეწო ბიჭი მეომრის სულით იყო გაჟღენთილი: ან ომს ხატავდა, ან ომობანას თამაშობდა. ომს ზოგჯერ ნამდვილსაც აწყობდა. სადმე, მინდორში ჭიანჭველების მიწურ საბუდარს ნახავდა, იქვე, შორიახლოს — მეორეს და ამ ორი ტომის ჭიანჭველებს ერთმანეთს ნაკიდებდა.

— შეხედე! ეს ჭიანჭველები დიდებია და წითლები, ისინი კი, ჩვენი მაგიდის ჭიანჭველებს უფრო გვანან.

ერთ პატარა ჭიანჭველას აიღებდა, „დესანტს" წითლების ბუდეზე დასვამდა და მერე ბლუჯით დანარჩენებს შეუგდებდა. იქ ამბავი ატყდებოდა ამ უგვანო შემოგდებულების გამო! ნამდვილი, დაუნდობელი ომი იწყებოდა, ჭიანჭველების ბუდეები იცლებოდა და ყველა უაზრო, გიჟურ სირბილში ირეოდა.

— ეგრე არ არის, ახლა ესენი, ამ შემოსულებს ტყვედ აიყვანენ, მერე მონებად ამუშავებენ. სირბილი კი ამბის მიტან-მოტანაა.

ასე იყო, თუ ისე, მშვიდი, თავდაუზოგავად მშრომელი ჭიანჭველები, მანამდე ერთი მეორესაგან მოცილებულად მოარსებე, იმდენს იზამდნენ, რომ ბოლოს გვამებს დაათრევდნენ და ახარისხებდნენ.

დიდი ჭკუა არ უნდა და ასოციაციური აზროვნება, — როგორ ჰგავს ყველა და ყველას ომი ერთმანეთს.

ეს პატარა ბიჭის ხელიც, იმ ზეარსებულ ხელს ხომ არ ასახიერებს, რომელსაც ჩვენ ასე იოლად ვემორჩილებით.

## ფუტკარი

ფუტკრის ამბავს ნუ მომაყოლებთ, მაგათი აწყობილი ყოფა-ცხოვრების შესახებ ტომებია დაწერილი.

ერთს გეტყვით. უცხოს, შემთხვევით თუ განგებ სკაში მოხვედრილს, ფუტკრები ერთიანად შემოეხვევიან და სანთლის და დინდგილის გარსში მოაქცევენ, ისე, რო არ

გაიხრწნას, არ შეაწუხოს ბინადრები. ეგ მომსვლელი ნაწილობრივ "ბედნიერებას" ეწია — ხორციელ უკვდავებას, უბრალოდ რომ ვთქვათ — მუმიად იქცა. ასეთი მუმიები, მრავლად არა, მაგრამ ძველი ეგვიპტის ფარაონებიდან მოყოლებული, თითქმის ჩვენამდე, კანტი-კუნტად გვხვდება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ფუტკრებმა ეგვიპტელებისაგან ისწავლეს მუმიფიცირების რეცეპტი. პირიქით უფრო საფიქრებელია — ძლევამოსილი ფარაონები ჭკუას ფუტკრებისაგან სწავლობდნენ.

## დიდი ხვლიკი

ჩვენთან ბუნებამ რაღაცის ახირებ-აკვიატება იცის ხოლმე. ერთ წელიწადს სულ თაგვებია, სადაც გაიხედავ. მეორე წელს თაგვს „წამლად" ვერ ნახავ, სამაგიეროდ, კალიები — უამრავი. მერე კალიების წელიც გავა, და ახლა პეპლებით აჭრელდები, მერე ჩიტები, მერე კიდევ და კიდევ...

წელს ხვლიკების ზაფხულია, ყველგან და ყველაფერზე — მზეზე, ჩრდილში, კლდეზე, კედელზე, "ვედროში", ტაშტში. მაგრამ საკვირველია, დიდი, კაშკაშა მწვანე ხვლიკები, რამდენი წელია აღარ არიან, სულ უფერულები და უწონადოებია.

სასეირნოდ გასულმა პატარა შავმა ძაღლმა, ყველაფერს რომ ერჩის, ბუზიდან დაწყებულს, კამეჩით გათავებულს, ბალახში რაღაც დაიჭირა და არაფრით არ მოეშვა. "საქმის გასარჩევად" მივედი, და სიხარულიც და წყენაც ერთი იყო — დიდი მწვანე ზოლებიანი ხვლიკი, ლამის ვარანის ხელა, თვითონ ფართხალებდა, კუდი კი არა. კუდიანად მეტიც მიაყოლა შავმა. ძაღლს ხელი ვტაცე, უარესი რო არ ექნა, კარგ სიშორეზე გავეცალეთ. უკანა გზაზე სულ იმის ფიქრი მქონდა, სატანჯველად ხომ არ დავტოვე განახევრებული ხვლიკი. ეგების ჯობდა არ ჩავრეულიყავი და ძაღლს ბოლომდე ექნა თავისი "შავი" საქმე. ხან ნამდვილი მახსენდებოდა, ხან წიგნიერი ამბავი, ტანჯვას როგორ უმოკლებენ ერთგულ ძაღლს თუ ცხენს, ან მეომარს თუ მეგობარს. რა მძიმე არჩევანია.

ფეხი შევანელე. ძაღლს ჩამოვრჩი.

## „ალპინისტი" დათვი

იალბუზის წვერი გაყოფილია და შუაში "უნაგირზე", ორ წვერს შორის მუდმივი ალპინისტური ბანაკი იყო. იქამდე მისვლაც საქმეა, და თუ მიხვიდოდი, თოვლში ამოთხრილ სადგომში ყველაფერი დაგხვდებოდა, რაც ადამიანს სჭირდება ჯანის მოსაბრუნებლად — სანთელი, ასანთი, სპირტის ჩაიდნები, აუცილებელი პროდუქტი — შაქარი, ჩაი, კონსერვი. ამ ბანაკში ერთი ხნიერი მხატვარ-ალპინისტი ადიოდა, რჩებოდა და მწვერვალებს ხატავდა. მისი მონაყოლიდან ვიცი, რომ ხშირად, ღამ-ღამობით პროდუქტების სამალავს დათვი აკითხავდა. ბუჯური და ფშვინვა მესმოდაო, — ყვებოდა, — მერე ოხვრა და უცნაური ხმები. თურმე დათვი იმ სიმაღლეზე "სგუშჩონკის" საჭმელად ადიოდა. არც არავის ერჩოდა, არც არაფერს აშავებდა, არც სხვას არაფერს ჭამდა "სგუშჩონკის" გარდა. დილაობით მხატვარს "სგუშჩონკის" დაჭყლეტილი რკინის კოლოფები ხვდებოდა. დათვი სხვას არაფერს პრინციპიალურად ხელს, თუ თათს, არ ახლებდა. მაშინაც და დღესაც მიკვირს, ვერ გამიგია, ამ შედედებული რძის სუნს, რკინის კოლოფში მოქცეულს, დათვი როგორ იღებდა, ესე მიზნობრივად იმ სიმაღლეზე რომ მიბაჯბაჯებდა.

## მგალობელი ჩიტები

დიდი ხნის წინ, მთაწმინდაზე ცხოვრობდა ღვაწლმოსილი მუსიკის პედაგოგი, კონსერვატორიის პროფესორი, დიდად პატივცემული ქალბატონი.

მისი სიყვარული მუსიკისადმი უსაზღვრო იყო. უსაზღვრო იყო მისი სიყვარული ცხოველებისადმი. მშიერს და ავადმყოფს გულგრილად ვერ ჩაუვლიდა — დიდძალ საჭმელს ყიდულობდა, თავისი ხელით აჭმევდა და უვლიდა. როცა არ ეცალა, უბნის ბიჭებს დარაზმავდა, ბიჭები დადიოდნენ მის მაგივრად ეზო-ეზო და ლეკვებსა და კნუტებს პატრონობდნენ. პროფესორობა რომ არა, ჩვენში ბევრ ჯანმრთელსა და გონიერს ქალბატონი



თვალში არ მოუვიდოდა და სასაცილოდაც არ ეყოფოდა. ცოტა სასაცილო, ალბათ, ერთ მანგლისელ კაცსაც ეგონა. ქალბატონი ზაფხულობით მანგლისში ისვენებდა და ამ მოხუცი კაცის სახლში ქირით ჩერდებოდა. სახლის პატრონს კიდევ ერთი შემოსავლის წყაროც ჰქონდა — მგალობელ ჩიტებს იჭერდა და ბაზარში ყიდდა. ქალბატონი კი მუდამ გალიის საკეტს ხსნიდა და ჩიტებს ცაში უშვებდა, მერე კი ზარალის ფულს ერთი ათად უხდიდა. ნაწყენი არავინ რჩებოდა.

მაგრამ ასეთი განუზომელი სიკეთეც კი არ იხსნის ადამიანს აღსასრულისაგან. დადგა დღე გამოთხოვებისა... ქალბატონის სახლში მისმა გამოზრდილებმა,

საქვეყნოდ აღიარებულმა მუსიკოსებმა მოიყარეს თავი. დიდ ოთახში, თავახდილ როიალთან, ერთმანეთს ენაცვლებვოდნენ მისი ტიტულოვანი მოწაფეები და ჟღერდა მუსიკა. მთელი თბილისის ნარჩევი საზოგადოება ნაკადად მოედინებოდა ქალბატონთან პატივის მისაგებად. და, რაოდენ შეუფერებელი უნდა ყოფილიყო ამ დიდებული საზოგადოებისთვის სოფლელი კაცი, გაზუნტლული კახური ქუდით, დიდი კოლოფით ხელში, რომ როიალთან მჯდომმა ვირტუოზმა პიანისტმა დაკვრა შეწყვიტა და გაკვირვებით ახედა. ყველას გზააბნეული ეგონა.

მოხუცმა არც ვინაობა გაამხილა, არც უკან დაიხია, განსვენებულთან მივიდა, კოლოფს ჭილოფი ახადა, სახურავი ახსნა და ქალბატონის თავზე მგალობელი ჩიტები აფართხალდნენ.

ღვთაებრივ მუსიკას ჩიტების ჟრიამული და ფრთების თრითინი შეერწყა და სივრცეში განილია...

## ღორები

სიმართლე გითხრათ, რატომ არის ღორი ესე შეგინებული — ვერ გამიგია. სიბინძურის გამო? ვინ



თქვა? ტლაპოში მოღრუტუნე ღორი თიხის საფარით უსწორდება ათასნაირ მკბენარს. ყველაფერს რომ ჭამს? ვინღა არ ჭამს. დანა-ჩანგლით რომ არ მიირთმევს? მაგრამ მადლობა ვთქვათ, ერთადერთი თუ არა, უმთავრესია, ვინც ჩვენს ოხრად დარჩენილს ჭამს და სანიტარია ჩვენგან მიყრილ-მოყრილის. ზნე? ერთგული, გონიერი და, როგორც ამბობენ, ერთადერთი ჩლიქოსანთა შორის, ვისაც იუმორის გრძნობა გააჩნია, თუ დააცლიან და დროზე ადრე იქით არ შეჭამენ. ზრდილობა? აგერ, ჩვენს სოფელში ღორების უპატრონო სამეული გამოჩნდა — მაგარი სასაცილო: გრძელდინგიანი, ზოლებიანი, გარეული ტახის ახლო ნათესავები, მჭლე და ჯაგრიანი. ერთად დაბოდიალობენ, მონარჩენ საზამთროების ქერქებს და ჩამონაყარ პანტას ახრაშუნებენ, გზას გითმობენ, ლობეს არ გიგლეჯენ, ვიწრო თვალებს გაყოლებენ — იქით ხომ არაფერს ერჩი. გავიგე, თურმე მაგათი პატრონი ავარიაში მოყოლილა და უპატრონოები გახდნენ. უფრო სწორად, მოყოლილა კი არა, მოახდინა — გალეშილი მჯდარა საჭესთან, მოსახვევში ერთი ასად მოჩვენებია და შემხვედრ მანქანას შეასკდა. გადარჩა (პირველი არ ყოფილა!), მეორე მძღოლიც გადარჩა, იოლად დაშავებულან.

იმედია, საშობაოდ მაინც მოაკითხავს თავის ღრუტუნებს.

## „ერთი ძაღლი და ერთიც კატა"

ორი ზურგჩანთიანი ბიჭი, საუბარ-საუბრით, სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა. გვერდზე ჩავლილმა ერთ—ერთის შეკითხვას ყური მოვკარი:

— შენ ვინმე მოგიკლავს?

შეშინებულმა, "რესპონდენტს" შევხედე. ათიოდე წლის ბიჭს ცოდვით დამძიმებული, კრიმინალური ბიოგრაფია ნამდვილად არ ეტყობოდა, მაგრამ ჩაფიქრდა და, წუთიერი პაუზის მერე, ამაყად უპასუხა:

— ჰო, ერთი ძაღლი, და ერთიც კატა.

დაუნდობელი შემართებით გაჯერებულ ქალაქის სივრცეში სისხლის წყურვილი ასე არ უნდა გამკვირვებოდა, მაგრამ პასუხმა შემზარა. იმას აქეთ ვფიქრობ, რომელი ცხოველი დაიბრალებდა (ჩვენ რომ მაგათი ნამდვილად გვესმოდეს), ან რომელს დავაბრალებთ, ისე, სავაჟკაცოდ, სხვის თვალში მოსაწონად, ადამიანის კვლას.

მე ამ კითხვაზე პასუხს თავი ვერ დავადგი.

— თქვენ ხომ არ იცით?

## ლოკოკინები

ჩემს საწერ მაგიდაზე ორი გაქვავებული ლოკოკინა დევს (ზედმეტ პათეტიკად არ ჩამომერთმევა) — კვალი გარდასულ ჟამთა. ვუყურებ, და ჩემი მაგონდება, პატარა ბიჭის ლოკოკინები. შავთვალას ცხოველები უყვარდა, მაგრამ კიდევ ერთი ვნება ჰქონდა — თხრის და ჩიჩქვნის, სულ განძის ძებნაში იყო. ოქრო-ვერცხლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ თხრა-თხრაში ხან ქვაყუთი სამარხი გათხარა, ხან "სერდოლიკის" ძარღვს წააწყდა, ხან თიხის ჯამ-ჭურჭელს, ერთხელ კი სათამაშო პაწია ქვევრს. რაღაც გუმანი ჰქონდა, გრძნობდა, სად უნდა ეთხარა. შესაშური ბავშვობა ჰქონდა: საქართველოს გეოგრაფია ზურგჩანთით ფეხად მოსიარულემ შეისწავლა — რაჭა, სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი და აჭარა, იმერეთი და სამეგრელო. ერთხელაც, მშობლებმა დაღესტნის მთებშიც წაიყვანეს. იქაც, სადაც კარვად ჩერდებოდნენ, თხრიდა და ეძებდა. მძებნელი იპოვისო და იპოვა კიდეც — დიდი ქანი ჩაკირული ლოკოკინებისა. ენთუზიაზმი ლოკოკინებით სავსე ტომრით დაგვირგვინდა. სხვადასხვა ზომის, ფორმის და ფერის ნიჟარები, მილიონობით წლების განმავლობაში ბიჭის ჟინიან ალტაცებას უცდიდნენ.

— შეხედე, ეს სხვა სახეობაა, ის არა ჩვენ ბაღში რო დაცოცავენ ხმელეთის გერმაფროდიტები. ესენი ზღვის ბინადრები არიან, მერე რა რო გვანან, უფრო დააკვირდი. აქ ალბათ ზღვის ფსკერი იყო!

ნიჟარებს სათითაოდ წმენდდა და თვალები უბრწყინავდა. და მით უფრო, რაოდენ სამწუხარო იყო მისი დაუდევარი მშობლებისათვის, რომ მოახერხეს, და ნიჟარებით სავსე ტომარა გზაში დაკარგეს. ბიჭის გულის მოკვლას, რაც არასდროს უქნიათ, ის ქნეს — ტყუილი უთხრეს, არქეოლოგიურ მუზეუმში მივაბარეთო. ბავშვს დაუკითხაობის წყენა კი დარჩა, მაგრამ "მუზეუმი" ღვაწლის აღიარებას ნიშნავდა. იმედია, ამ წიგნის წაკითხვისას, ის ბიჭი, დღეს თვითონ პატარა ბიჭის პატრონი, ამ ამბავს გაიხსენებს და მიუტევებს თავის დაბნეულ, დაუდევარ დედ-მამას.

## მინი-ზოოპარკი

ერთ დროს თბილისში ცხოველების მოყვარული ახალგაზრდა კაცი ცხოვრობდა. ერთი ოთახი ჰქონდა, ჭის ხელა — სიმაღლით სიგანეზე ბევრად მეტი. შიგ, ანუ ოთახში, ცხოვრობდნენ: დიდ რკინის გალია-საკანში ადამიანის ხელა მაიმუნი, მგონი ორანგუტანგი, ტერარიუმებში გველები, ჭერზე ჩამოკიდებულ გალიებში სხვადასხვა ზომა-ფერის თუთიყუშები, კოლოფებში ვირთხები, აკვარიუმებში პირანია-თევზები, კატები და ძაღლები ხომ თავისთავად. ოთახში შესვლისას, თვალებში სიჭრელე რო დაგილაგდებოდა, მაიმუნის გალიასთან მდგარს (სხვა ადგილი უბრალოდ არც იყო) მასპინძელი კაცი გეტყოდა:

— აბა უთხარით (მაიმუნს) — „Папа мой!"

შენც გაიმეორებდი, და მაგრა ინანებდი. „პაპა მოის" გაგონებაზე მაიმუნს გიჟის თვალები უხდებოდა, გალიის კარს ველურად ანჯღრევდა და კბილებით რკინის გადაკვნეტას ცდილობდა. გველები ისედაც ვერ იტანენ მაიმუნებს, და მაგის გიჟობაზე, ერთიანად ტერარიუმიდან ამოძრომას იწყებდნენ. თუთიყუშები სხვადასხვა ხმაზე ქაქანს იწყებდნენ — ზოგი დაგვიანებულ „ზდრასტვუი დურაკს"— იძახდა,ზოგი — „პაპა მოის" იმეორებდა, ზოგიც — გემრიელად დედას იგინებოდა. მაგათ ხმაზე ახლა ვირთხები აჭყდებოდნენ და წრეზე ნერვიულად დარბოდნენ.

ამასობაში ძაღლი და კატაც გააქტიურდებოდნენ, და ბოლოს, რეტდასხმულს, თავზე ვიღაცა დაგახტებოდა და თავდადებულად თმებს გწიწკნიდა, ან გულმოდგინედ თვალებში ასანთის ღეროებს გთხრიდა.

— ხომ არ შეწუხდით? — დამტკბარი ხმით იკითხავდა პატრონი, — ეს, თქვენზე რომ დაცოცავს და თავზე გაზით, უიშვიათესი სახეობის, ყველაზე პატარა ჯიშის მაიმუნია, მარმაზეტკა ჰქვია. ხომ ძალიან საყვარელია? გაგკაწრათ? ეგ არაფერია, თვალები დახუჭეთ და შეგეშვებათ.

ახლა თვალდახუჭულს დაგმოძღვრავდა:

— ფრთხილად იყავით, არ გაჭყლიტოთ, პატარაა, მარმაზეტკები მსხალზე დიდი ზომისანები არ იზრდებიან.

ამას ყველაფერს თუ თავს დააღწევდი, გულით დააფასებდი უენო თევზების ვინაობას, გინდაც პირანიები ყოფილიყვნენ...

## დაილაპუ

წყნეთში, ფუფუნებაში (აბა როგორ!) ერთი მოვლილი კავკასიური ნაგაზი ცხოვრობდა. თავისი ცხოვრების შესაფერს ბევრს ვერაფერს ახერხებდა, ერთი იცოდა მხოლოდ — „Дай лапу"—ს ეტყოდნენ და "ლაპუს" გაძლევდა. ეგრე შერჩა კიდევაც "დაილაპუ" ზედმეტ სახელად. სამწუხაროდ, სხვა არაფერი იცოდა, არც ჭკუის, არც სწავლა—განათლების არაფერი ეტყობოდა, მაგრამ მაგისთვის ხელი არაფერს შეუშლია და პატრონმა იჩალიჩა თუ დაილაპუს დრო დადგა, დაილაპუ კინოში გაიჩითა — ფილმში გადაიღეს: თამაშობდა, ახოვანად მიდი-მოდიოდა და "დაილაპუს" რო იტყოდნენ, თათს ინვ-



დიდა. წყნეთში, უბანში დიდად პოპულარული გახდა, პატივისცემა შეიფერა, ფერ-ხორცი კიდევ უფრო შეისხა. მაგრამ ისევ დაილაპუდ დარჩა, მისი ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვდა...

## „თავადი" ძაღლი

ტრასაზე შავი "ცინცხალი" ჯიპი "პრავიანად" მისრიალებდა. ჯიპმა სიჩქარეს მოუმატა, ფანჯარა გაილო და ბანჯგვლიანმა ხელმა პატარა ტომარა მძლავრად მოისროლა. ტომარა ჰაერში შეფართხალდა და მძიმედ დაეცა.

მომდევნო მანქანაში მჯდომ კაცსა და მის ცოლშვილს, ტომრის ჰაერში შეფართხალება საეჭვო ეჩვენათ. მანქანა გააჩერეს და ტომრიდან ცოცხალ-მკვდარი ლეკვი ამოიყვანეს.

დღეს იმ ლეკვს სამი პატრონი ჰყავს, ორი სამტრო-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

სამეგობრო კატა, ერთი გასართობი ზღვის გოჭი, გვარიცა აქვს და სახელიც პასპორტში პატრონის გვარი უწერია — გაბაშვილი, სახელი კი — პეტო.

## ბოცვერი და კურდღელი

თეთრი ბოცვერი ეზოში მარტოდმარტო ცხოვრობდა. იცოდა თუ არა პატრონი რაზე უვლიდა და აჭმევდა, ვინ



იცის, ინყენდა კია — ყურებდაცქვეტილი ჭამასა და ჭამას შორის უხალისოდ იდგა. ერთხელაც, პატრონს კომბოსტოს ფოთლები ხელში შერჩა — ბოცვერი არსად იყო.

— ამნაირ შემოღობილში როგორ დაიკარგებოდა, უეჭველი მომპარესო, — გადაწყვიტა.

ცისფერთვალება გოგოს კი ეღიმებოდა. თურმე რიჟრაჟზე, უთენია, ბევრჯერ უნახავს ტყის ნაცრისფერი კურდღელი ბოცვერს როგორ აკითხავდა, როგორ უხაროდათ ერთმანეთის ნახვა და თამაში.

— ნამდვილად ტყეში გაიპარა, კურდღელს წაყვა, სწორედ იმ გზით, რა გზითაც კურდღელი აკითხავდა.

ერთად ყოფნა უნდოდათ და კურდღლის მოშინაურება ასე არჩიეს.

## პატარა ციყვი

ქალაქის ქუჩაში ერთი ბეწო ციყვი გამვლელს აეკიდა — ფეხდაფეხ მისდევდა.

კაცმა მოიხედა და დასაჭერად ხელი წაატანა. ციყვი განზე გახტა. ახლა სხვამ დაუპირა დაჭერა და ხელი სტაცა. ციყვი ამასაც დაუსხლტა.

— ასე არა, დაჭერა ასე არ უნდა, — სთქვა ამის შემხედვარე მოსეირნე კაცმა და ციყვს გაშლილი ხელი მშვიდად გაუწოდა. პატარა თავისით შეხტა ხელისგულზე, სითბო იგრძნო, მოკალათდა და იქვე ჩაეძინა. დღესაც ეს თბილი ხელები უვლიან, თავისთან აცხოვრებენ და კოკო დაარქვეს.

## დაობლებული ძაღლი

მარტოხელა მოხუცს სანუგეშოდ და ხმის გამცემად ქვეყანაზე არავინ ჰყავდა, ერთი მასავით მობერებული ძაღლის გარდა. მისი სიხარულიც ეგ იყო და მისი დარდიც. ძაღლი ხო ერთგულია და გულის მაამებელი, მაგრამ მის გარდა არავის თუ არ უხარია შენი სახლში მოსვლა და შენი ამქვეყნად ყოფნა, შენი სიხარულია მით უფრო. და თუ მოხუცდი და დასალიერზე ხარ — დარდიცაა: შენს თვალებში მაცქერალს, შენს მერე რა ბედი ეწევა... ამ მოხუცმაც იდარდა და გადაწყვიტა მეზობლებისათვის დაეტოვებინა თავისი პატარა ოთახი (ღვთის მადლით, ქუჩაში არ ცხოვრობდა) და თუ რამე ებადა სხვისი მოსაწონი, ერთადერთი თხოვნით და იმედით, რომ მის ძაღლს არ გააგდებდნენ და აჭმევდნენ. ესეც მოხდა. მეზობლებმა ოთახი ჩაიბარეს, და როდესაც მოხუციც ჩაბარდა უფალს, ძაღლი ორი დღე გააჩერეს და მერე... ავი ენები, — მოწამლესო, — ამბობდნენ. მეზობლები უარზე იყვნენ, აბა რას იტყოდნენ. მაგრამ ბევრმა ძაღლმა პატრონის ისეთი დარდი იცის, რომ მოწამვლაც არ სჭირდება...

## უცნაური ძაღლები

„თეთრი" ყორნისა არ იყოს, ყველაფერსა აქვს თავისი გამონაკლისი.

ერთ ჩემ მეგობარს ფოქსტერიერი ჰყავდა, სახელად დუდუ, მეორეს კი შავი ნიუფაუნდლენდი. წესით, პირველს (ფოქსტერიერს) ცხოვრებაში ყველაფერზე მეტად სორო უნდა ჰყვარებოდა, მეორეს კი — წყალი. ამათთან სწორედ რომ პირიქით იყო:

დუდუ შუა ქალაქში ცხოვრობდა და თუ სახლიდან გაიპარებოდა, პატრონმა უკვე იცოდა, რომ საბანაოდ წაბრძანდა ფილარმონიის შადრევანში. ნიუფაუნდლენდი კი მტკვრის პირას აგარაკზე ცხოვრობდა და ცოცხალი თავით (თუ არ იხრჩობოდი და შველა არ გჭირდებოდა), თავისით, გასაგრილებლად წყალში არ ჩავიდოდა. რა უცნაურია, არა?

## გველი

ფერმკრთალი გოგონა და მისი უფროსი მეგობარი ტყეში დადიოდნენ საბუხრე შეშის მოსატანად. გოგონას მუდამ ღია სანდლები ეცვა, არაფრით არ იჯერებდა დახურულის ჩაცმას, სიცხე იყო და სცხელოდა, ცოტა ჯიუტიც იყო. იმ დღეს ტყეში შეაგვიანდათ და თავიანთ "ეტლს", ფიჩხით დატვირთულს, უკვე შელამებისას მოაგორებდნენ. მეგობარს გულისყური გოგონაზე ეჭირა და უცნაური წინათგრძნობით სულ ფეხებში უყურებდა.

— ფრთხილად! შეჩერდი! გველი! — დაიძახა და გოგონამ ფეხი ჰაერში, ზედ გველის თავზე შეაჩერა. გვერდზე მიდგნენ, და გზაზე გარდიგარდმო დაგრაგნილ გველს დასათვალიერებლად ჩაუჯდნენ. ბნელდებოდა, და სანამ გველი ბალახებში გასრიალდა, ზურგზე ჭრელი ნახატი

ძლივს გაარჩიეს. მეორე დღეს გოგონას დახურული ფეხსაცმლის ჩაცმაზე ხვეწნა აღარ დასჭირდა, თვითონ ჩაიცვა და ითხოვა:

— დღეს ადრე წავიდეთ, შეშასაც მოვასწრებთ და ის გველიც კარგად დავათვალიეროთ.

შეშა კი მოზიდეს, მაგრამ გველი აღარ გამოსულა, ალბათ არ ეცალა...

### კრაზანები

მდელოზე, ბალახებში, დიდ ღრმულს წავაწყდით, დიდი კარდალის ზომის. ბალახებს შორის, აქა—იქ ფიჭები იყო მიმოფანტული. ღრმულს კედლებს ირგვლივ შემოშენებული ფიჭა შერჩენოდა, ფიჭის სახურავი კი ამოტრიალებული განზე ეგდო. ჩავიხედეთ. ღრმულში, არეულობაში, სამიოდე კრაზანა უაზროდ დაბოდიალობდა, ხან აფრინდებოდნენ და ისევ დაკარგულებივით ნანგრევებში ტრიალებდნენ. შემზარავი იყო დარბეული სამყოფელი. რამდენ კრაზანას უნდა ეშრომა, რომ ასე, ფიჭებით შემოეშენებინათ და დაეხურათ თავიანთი "ქალაქი", და ვიღაცამ, ნებით თუ უნებლიეთ, ნაქალაქევად აქცია.

შემზარავი იყო და ტრაგიკულიც, თუ ჩვენებურ უბედურებას მიამსგავსებდი...

### ლაბრადორი ლაბრიკო

დიდი ოჯახის წევრები, დიდიდან-პატარიანად დიდები იყვნენ, ზომით დიდები და კეთილები. ჭამა უყვარდათ ძალიან და ერთმანეთი. კიდევ ერთი ვინმე უყვარდათ — ლაბრადორი, ისიც დიდი, მსუქანი და კეთილი. სიარულისას უკანა ტანს კეკლუცად იქნევდა და სუყველას კუდს უქიცინებდა. კარგა ხანი ჰყავდათ ეგ ლაბრადორი, რო ერთ მშვენიერ დღეს ოჯახის უფროს ფაშფაშა-ქათქათა ქალიშვილს ალერგია ეტაკა. ექიმებმა დაადგინეს — ლაბრადორისააო. ოჯახი საგანგებო საბჭოზე შეიყარა, — რა ვქნათ, საქმეს რითი უშველოთო. სხდომას ოჯახის მამა თავმჯდომარეობდა.

თავყრილობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სხვა საშველი არ არის, ლაბრადორი უნდა გავასხვისოთო. ბოლო სიტყვა მამისა იყო, და სთქვა კიდევაც:

— რაო, გავასხვისოთო? ალერგია შენ გჭირს თუ ლაბრიკოს? ჰოდა შენ გასხვისდი, დროა, 28 წლისას ცოტა დაგაგვიანდა კიდევაც.

უფროსი ქალიშვილი გათხოვდა, სხვა გზა არ ჰქონდა. ლაბრადორი როგორც ცხოვრობდა, ისევ ისე საპატიო სავარძელზეა წამოგორებული. ოჯახში ისევ სიამტკბილობაა და შვილიშვილიც შეემატათ. ამასობაში ყველაფრის მოკირკიტე ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს — ალერგია იმას არ ემართება, ვისაც მუცლად ყოფნიდან მოყოლებული, ან კატა ყავდა, ან ძაღლი, ან, სულაც, ბალახ-ბულახში გაიზარდა.

ასე რომ, შვილზე ოჯახს ცოტა დააგვიანდა, შვილიშვილზე კი ალერგიის შეყრის ვარიანტი არ არსებობს.

### ორი მწევარი

ზამთრის პირზე ჩვენს მიტოვებულ სოფელს ორი მწევარი შეეკედლა.

ავტობუსიან, ავტომატებიან და ფანრებიან (ღამე ნადირი რო დააბრმავოს) მონადირეებს დაეკარგათ. ჩვენ კი იმის იმედით, რო მოაკითხავენ, სამოწყალოდ ხმელა პურს ვაჭმევდით — რა გული გაგიძლებს სურიკატებივით წყვილად რო დაგიჯდებიან, მალებამოყრილები, ლუკმის მოლოდინში. არა და მახსენდება ერთი ქალბატონის ამბავი.



რუსთაველის თეატრი ბაქოში იყო გასტროლებზე. ეგ ქალბატონიც იქ იყო, როგორც დასის ერთ—ერთი ხელმძღვანელი და მეუღლე ცნობილი მსახიობისა. თან, როგორც ყოველთვის, თავისი პუდელი ჰყავდა წაყვანილი. გასტროლები დამთავრდა, თეატრი თბილისში დაბრუნდა, ქალბატონი კი ბაქოში დარჩა... თავისი პუდელის საძებნელად! დაჰკარგვია. ქალბატონმა უცხო ქალაქში იმდენი მოახერხა, რო კარგა ხნის ძებნის მერე იპოვა, იმედი რო აღარავის ჰქონდა! ჩვენ კი გვაქვს, გვინდა რომ გვქონდეს იმედი, რო ორ გამხდარ მწევარს გაიხსენებენ და მოაკითხავენ.

### ზაზუნა

როდესაც რაღაცას წერ, პირველად ვისაც აკითხებ, ის შემთხვევითი არასდროს არ არის. შემთხვევითი არც ფერმკრთალი გოგონა იყო. გულისყურით კითხულობდა. ყოველ ამოხედვაზე თვალებში ვუყურებდი — რას ფიქრობდა. უცებ წამოიძახა:

— უფრო საშინელი ამბავი ვიცი! ოღონდ ვერ მოგიყვები, გახსენებაც არ შემიძლია!

მერე კი თავი ვერ შეიკავა და აკანკალებული ხმით ზაზუნას ამბავი მომიყვა:

— ეზოში, ბიჭები ბადმინტონს... ზაზუნათი... ცოცხალი ზაზუნათი... თამაშობდნენ! ზაზუნას აბურთავებდნენ! ჩოგანის ყოველ დარტყმაზე სუსტი კრუსუნი ისმოდა. როდესაც ზაზუნას ბოლო ამოკვნესა მიჩუმდა,

დაღლილმა სპორტსმენებმა, ზაზუნას კუდზე ბაწარი მიაბეს და ცეცხლზე ნელა დაწვეს.

ამ ამბის მოყოლა, ფერმკრთალი გოგონასი არ იყოს, მეც გამიჭირდა, მაგრამ არ მომეყოლა, არ შემეძლო.

### მწევარი

ტახებზე მონადირე ორი მწევრიდან, ერთი ისე დაშავდა, ისე დაგლიჯა ტახმა, რომ მონადირეებმა, — მაინც მოკვდებაო, — სახლში აღარ დააბრუნეს და იქვე ტყეში დატოვეს.

ერთი კვირის თავზე, სანადიროდ წასულებს, თავიანთი მწევარი უკანა გზაზე მოლასლასე შეხვდათ.

უეჭველია, გაიკვირვებდნენ. დააპურეს, მოათბეს, თან გაიყოლეს, მაგრამ ნადირობისას ველარ დააკავეს, გაექცათ, და ამჯერად კი ნამდვილად შეაკვდა თავის მოსისხლე მტერს.

### კნუტები

— როგორი გადაყოლა იცით ქართველმა დედებმა, ჯარია, რა მოხდა, ვის არ მოუხდია, — მიუბრუნდა მძღოლი ჩანთებით დახუნძლულ ქალს.

ქართველმა დედამ ხმა არ ამოიღო, გული უჩქაროდა — მანქანა საჯარისო ნაწილს უახლოვდებოდა, შვილი დაინახა.

ანწილს, სამხედრო ფორმიდან ხელ—ფეხი ამოჩრილი ჰქონდა, გალუმპულ კნუტების გროვას გულში იხუტებდა და შიშველ ხელებზე ჩამონადენ წყალს ცრემლების ღვარი ემატებოდა.

...კნუტები დასახრჩობად ზემდეგის კიკინებიან გოგონას გუბეში ჩაუყრია.

— კი გყოლიათ მისახედი, — ჩაილაპარაკა მძღოლმა და დაბნეულად მიმოიხედა.

### ბომბო და მურა

ჩემი მეგობარი ექიმია, ნამდვილი ექიმი, და, გეგონება, ავადმყოფების შემყურეს, დარდი აკლიაო, ისე გულთან მიაქვს ოთხფეხების გაჭირვება. ასე, სიბრალულით შერჩა ორი ზორბა ძაღლი — ერთს კლავდნენ, დაიხსნა და შეიფარა, მეორე, შიმშილისაგან გათანგული, თვითონ მოვიდა, და კარებთან ფეხსაწმენდ ქეჩაზე დაეგდო.

ექიმს სახელების შერჩევაზე ბევრი არ უწვალია — ერთს ბომბო დაარქვა, მეორეს კი — მურა. სამაგიეროდ, წვალება მერე თქვი, სამსახურით დაღლილს, მაგათი მოვლა-სეირნობა როგორ "უხაროდა"! სეირნობა პატრონისთვისაც მოსახდენიაო, — თავს ამით თუ ინუგეშებდა. ეს ბომბო და მურა, ყველაფერთან ერთად, დიდი დონ-ჟუანები გამოდგნენ, "სიყვარულისთვის" მონიფულ ძუკნას ერთს არ ტოვებდნენ, უბანი არ იკმარეს, და მთაწმინდა-სოლოლაკის რაიონს "ემსახურებოდნენ", კვირეებით იკარგებოდნენ. ყოველ მაგათ გაუჩინარებაზე ექიმს (ცოდვა გამხელილი ჯობია!) იმედი ეძლეოდა, — ეგების სადმე ოჯახი დაიდონ და თავი დამანებონო. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ძაღლები დაგლეჯილ-დაფლეთილები ბრუნდებოდნენ კვალიფიციურ ექიმთან სამკურნალოდ. ცხოვრებაში ეგრეა: ზედ რო ჰყვები და დაკანკალებ — სწორედ იმას მოგპარავენ, ან დაიკარგება, და არდაბრუნება თუ გიხარია — სწორედ ის ბრუნდება, გინდაც ოცი წლის მერე. ასე განელეს ცხოვრება ბომბომ და მურამ ღრმა სიბერემდე. ახლა, სიკვდილის მოახლოება — "ზრდილობიანმა" ძაღლებმა ამ დროს სახლიდან წასვლა იციან. ბომბომ და მურამ აქაც "ბანკი მოხსნეს", ორივემ სახლში, პროფესიონალი ექიმის ხელში დალია სული. არც მერე არ დაიკლეს არაფერი — საფლავზე ქანდაკებები დაიდგეს. შუაგულ ქალაქში, ექიმს, ქალს, ძაღლების მინად მისაბარებლად ასფალტი ეჯიჯგნა? და (ამიტომ ღამით) სამხატვრო აკადემიის სკვერში სტუდენტთა ქანდაკებების ძირში დაასაფლავა. ერთი არ გაუმართლათ, ქანდაკებებს არ აწერია:

— ბომბო —

— მურა — და წლები, თავში და ბოლოში.

### ცხოველები

მშვიდობიან დროს, ამისთანა ფიქრები ცოტა ნაძალადევი, ყურით მოთრეული გგონია.

და, აი, ომსაც მოვესწარით. იმერული ოდის თავზე ძალზე დაბლა ხუთმა ვერტმფრენმა გუგუნით გადაიფრინა. ავტომატის კაკანი გაისმა. ზედ ყურთან, დიდი, შემფრთხალი ფრინველის ფრთის ნიავი ვიგრძენი. ამდენი წელია ჩემს ბაღში ამხელა ჩიტი თვალით არ მინახავს. თურმე... და ის ფიქრები, მშვიდობიან დროს ნაძალადევი რომ გგონია, მართებულად დამიბრუნდა.

ჩვენს მიერ, ჩვენივე, ადამიანების ატეხილი ომების დროს, ვინმეს თუ მოუცლია ყოვლად უდანაშაულო ჩვენი თანამაცხოვრებლების მსხვერპლი დაეთვალა: რამდენი ფრინველი, ბელი თუ შველი, რამდენი შინაური თუ გარეული...

### დასასრული

საქმის დასაწყისი ჭირს და დასასრული, შუაში კი სიტყვა თვითონ გპოულობს. ამიტომაა, რომ დაწყება ეპიგრაფების ავტორებს მივანდე, დასასრული კი, თავისით მოვიდა.

— ქალბატონოოო! — მომესმა ღობის გადაღმიდან და ჩემი ორი ძაღლი ისტერიულად აყეფდა.

— კოლას შვილიშვილი ვარ!

ჭიშკართან თავჩაღუნული, სუფთად ჩაცმული კოლას შვილიშვილი იდგა, სადავით ჩალისფერი ცხენი ეკავა, ცხენი გამხმარ ვაზის ფოთოლს წიწკნიდა, უნაგირზე ბრეზენტის ხურჯინი ეკიდა, შიგ ხაჭო და არაჟანი ელაგა. ერთმანეთი მოვიკითხეთ, ხაჭო და არაჟანი ვიყიდე და ჩემს ამბებს დასარულად ჩავუთვალე.

ღმერთო, ნუ მომიშლი ცხენით მომსვლელ თავჩაღუნულ ბიჭს, ბაბუამისის ნაამაგარ რძეს და ხაჭოს. სუპერმარკეტებისა და მერსედესების დროს, რა მყიფეა, რა მსხვრევადი, რა ძნელი შესანახი თავჩაღუნული ბიჭი და ჩალისფერი ცხენი ზედ გადაკიდებული ხურჯინით.

**ნახატები ავტორისა**



მას უთუოდ აქვს თავისი სტილი, მანერა, თემები, ინტონაციები, აქვს თავისი სახე. ერთი სიტყვით, ადვილად იცნობა. სხვათა შორის, თავის დროზე მისმა მრავალმარცვლიანმა რითმებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ლიტერატურულ წრეებში, მაშინდელი სალიტერატურო კრიტიკის ენაზე კი ლამის პოლიტიკურ ერესად შეირაცხა.

რითმისა და რიტმის ოსტატია, მყარი სალექსო ფორმის ერთგული მიმდევარი.

ქართულ სონეტს თავისი ხელიც დაატყო. მისეული კატრენები და ტერცინები გამოირჩევა რითმული თავისებურებებით.

ჯემალ ინჯია ერთ-ერთი პირველია, ლადო სეიდიშვილთან და ანზორ სალუქვაძესთან ერთად, ვინც ქართულ პოეზიაში სონეტების გვირგვინი დაამკვიდრა.

რა თქმა უნდა, გახსოვთ სონეტების გვირგვინი — 14 სონეტისგან შემდგარი ციკლი, რომელშიც თითოეული სონეტის პირველი ტაეპი იმეორებს წინა სონეტის ბოლო ტაეპს და იქმნება „გირლანდა“, 14 სონეტის პირველი სტრიქონები კი ერთად ქმნიან მეთხუთმეტე, მთავარ სონეტს...

ეს, რაც შეეხება ფორმას. შინაარსზე კი ამჯერად არაფერს ვიტყვით, ვინაიდან ეს ის თემაა, რომელიც მოითხოვს დუმილსა და განცდას.

ჯემალ ინჯია

# რეკვიემი

*ეკას, თამრიკოს, ნათიას და ყველას*
*ნათელ ხსოვნას, ვინც 1989 წლის*
*9 აპრილს მხეცურად დახოცეს*

1.

შემოსილები “სამამულო“ მარკის ფარებით
“ჭკუის სწავლებად“ ჩამოსულან სამხედროები,
არა დიდი ხნით, რამდენიმე წუთით, დროებით,
რათა გაფანტონ ხალხი, როგორც ცხვრების ფარები.

გოგონავ, ახლა შენ რომ ჭადარს მიეფარები,
ვერ დაგიფარავს დარტყმისაგან მისი რტოები,
მოწამებრივ სისხლს დაგილვრიან ეს ურდოები,
ასე უდროოდ მშობელ მიწას მიებარები.

ყოველ მარტს საფლავს მოგირთავენ ლურჯი იითა,
აპრილში მრავლად დაგეფრქვევა გულზე ტიტები,
მაისში თეთრი იასამნის ბლუჯას მიიტანს

შენს სამარესთან შენი ტოლი გოგოს თითები.
ვერმოსპობილი ბოროტების იმპერიიდან
შემოესივნენ რუსთაველის პროსპექტს სკვითები.

2.

შემოესივნენ რუსთაველის პროსპექტს სკვითები,
ყორლანებიდან ეს-ეს არის ამომძვრალები.
ორპირი ბარის ჯამბაზური ამოძრავებით
უიარალო ხალხზე ინევს ტვინი სკინტლებრი.

ქაჯებო, თან რომ იდორბლებით და ისკვინტლებით,
არ შეგიშინდნენ განა ჩვენი ამორძალები?!
ეთხოვებიან თუმცა თბილისს დიდი წვალებით...
უნდა გახაროთ: ასი წლისა ხდება ჰიტლერი.

ჭადარს ჰკიდია ბუდეები ავგაროზებად.
არ წაეშალოს ცისკარს ლურჯი, დაისს ყვითელი.
ამ ჯოჯოხეთში რა მაძალებს ამგვარ ოცნებას.

არ არსებობენ პოეტების ჯიშში ფლიდები.
რა ცხრა აპრილი გაგითენეს ბარბაროსებმა,
ქართლოსის ხორცო, იჩეხები და იფლითები.

3.

ქართლოსის ხორცო, იჩეხები და იფლითები.
არ აშვებულა ამირანი პალოდან ჯერაც.
ადრე თუ გვიან გადაიყრის ფეხბორკილს, მჯერა,
უნდა დაიმსხვრეს გარდასულთა ჟამთა მითები,

რომ აღიმართოს ამირანი მთელი დიდებით
და ჩაამწყვდიოს ღრმა უფსკრულში ხუნდების ჟღერა.
აქციოს ერი ბოროტ დევთან მორკინალ ერად,
არ გაიმეტოს პატარები, როგორც დიდები.

დღეს კი რა ხდება? სულ ტყუილი ყოფილა, ვგონებ,
ის ალლუმები, ლოზუნგები და ფანფარები.
ასე ძველ რომში ალალებდნენ ხანდახან მონებს.

ჩვენს დედაქალაქს შემოუღო წიხლით კარები
ალვირახსნილმა და მხეცურად ველურმა ლონემ
ხელკეტით, ტყვიით, ალესილი რვალის ბარებით.

4.

ხელკეტით, ტყვიით, ალესილი რვალის ბარებით,
ტანკით, გოგონავ, სურდათ შენი გენის გამოცდა.
თექვსმეტი წელი ეგებ ღირდა ამის გამოც ცდა,
მაგრამ მოტყუვდნენ ანგარიშში მომთაბარენი.

შენს სამშობლოში სიჭაბუკის ჰქრიან ქარები,
ვინც გაუტვრინდა უხეშ ძალას, ის სულ ამოწყდა.
ოცი ქართველი დაილუპა და მეც ამ ოცთა
უკვდავი სულის სახსენებლად მივეჩქარები.

ჩემს თვალში ისე გაჰქრა, თითქოს ერთი ბეწვია:
მთაწმინდის კალთა, ლარტაფები და ნაპრალები,
ბიბინა მოლი, გარიჟრაჟი, ჩიტი მზეწვია,

ლამაზო გოგო, შენი ყოფის ანაბარები.
წრე არ გყოფნიდა, საცეკვაოდ რომ გაგეწვია,
გოგო, ტანკები, “წესრიგისთვის“ დანაბარები.

5.

გოგო, ტანკები, “წესრიგისთვის“ დანაბარები,
მხოლოდ კინოში რომ გენახა, საიდან გაჩნდნენ?!
ვინ დაგიშალა, რომ სიმღერით კიბეზე დაჯდე...
ვაჟის ბანები მოგეშველნენ და რა ბანები.

სიმაღლით ყველა არ ბრძანდებით თანაბარები,
მაგრამ თანაბრად ეჯავრებით მოთრეულ ქაჯ-დევს.
ვერ დაინახავ ხვალ სარკეში სისხლიან ნაჭდევს
გაკვეთილიდან სამუდამოდ განაპარები.

წელს გაზაფხული, მეჩვენება, თითქოს უმარტოდ
და უაპრილოდ დადგა. ღელავს ხალხის ზვირთები.
შენს საბედო ბიჭს ვინ აუხსნას, ვინ განუმარტოს,

ეკლის გვირგვინით ფატის ნაცვლად რატომ ირთვები.
არვინ დაგძრახავს, ეს ტანკები უკან თუ მარტომ
ვერ გააბრუნე შემაზრზენად ავბედითები.

6.

ვერ გააბრუნე შემაზრზენად ავბედითები
მტრები, დედ-მამას რომ ჰყიდიან ას გრამ არაყზე.
მათ სინდისამდე მომაკვდავთა გმინვა არ აღწევს,
როგორც არ აღწევს ყრუმდე შოთას ლექსის რითმები.

მუხლუხთა ღრჭიალს აყურადებ, მერე ფითრდები,
ტუჩებს იკვნეტ, რომ არ გადასდო კრთომა ამაყ წრეს.
შინ წადი, გოგო, რობოტები რისთვის განაწყეს
შენს წინააღმდეგ, რატომ კარგად არ დაფიქრდები?!

ეჰ, შენ არ იცი, უკვდავების ღამე რომ დადგა!
ცხრა მარტი მაინც გაიხსენე, დრო უწინდელი.
ჯალათის გვარი არა წყდება. რას ელი მათგან?!

შავად გადიქცა დროშა, სულ რომ იყო წითელი,
ანგელოზების საკოცნელი თვალებით რადგან
შენ ველარ ნახავ, რომ ალვადგენთ გაზონს მითელილს.

7.

შენ ველარ ნახავ, რომ ალვადგენთ გაზონს მითელილს,
“ლაღიძის წყლებთან“ შვლის ფეფები ველარ მიგიყვანს,
ველარ გავიგებთ, თავზე მეტად რა და ვინ გიყვარს
“ზლაპრის გუდა“ თუ სხვაუბნელი ყრმა პირტიტველი.

შორს, ვილნიუსში, დაგიტირებს ცრემლით ლიტველი,
შენს ნათელ ხსოვნას დაუჩოქებს იქ მიტინგილა.
ბევრ ხატს მაგონებ, მაგრამ ჩემი ფიქრით იგი ხარ,
ქართულ ენაზე ვისაც ჰქვია მოუსყიდველი.

წინ ალუდექი ბილწ სატანას სახლში შემოჭრილს.

ალიონამდე, ჩაქრებოდნენ სანამ ფარნები,
თავისუფლების აზავთებას მანამ შემორჩი.

ივლისის ხვატში ჩასაცმელი სარაფანები
დააპატიმრე საუკუნოდ ბნელ გარდერობში,
რადგან ლამაზ თავს დედის კალთას არ აფარებდი.

8.

რადგან ლამაზ თავს დედის კალთას არ აფარებდი,
მიტომაც იგი გადაგიპო დუშმანის ბარმა.
ნაცნობი ჩექმა კიდევ ერთხელ გვიწიხლავს პარმაღს.
სახე ქაჯური, მადა მგლური, გონი მთვრალებრი.

ის მუხთლად გვებრძვის, ჩვენ კი მარტო ვებურთავებით.
უთანასწორო შეჭიდების იმედი არ მაქვს.
გოგონავ, ტანზე დაგაფენენ თოვლისფერ ნარმას.
ქართულ ცას ველარ აირეკლავს შენი თვალები.

მოშიმშილენი რომ შეწყვეტენ ერთ დღესაც შიმშილს,
მშობელს ვერ ეტყვი გულისნადებს განმარტოებით:
“მშია, დედიკო, პურის ლუკმა ჩამიდე პირში“.

კრძალვით ასწევენ შენს სასახლეს დანატოვრები.
შემდეგ კი, როცა ჩანავლდება ვაი და ვიში,
რა სურათები შეიქმნება და რა ტომები.

9.

რა სურათები შეიქმნება და რა ტომები,
თავისი არსი რომ შეიცნოს სულმა რუსულმა.
ცრემლი სდის რწმენას... იუდეველს, ბუდისტს,
მუსულმანს
და მხრებს იჩეჩენ ქრისტიანი ანატომები.

ქალებს და ბავშვებს არ გვიჟლეტდა ანატოლელი,
როდესაც პორტა გვიკაფავდა ვაზს და უსურვაზს.
ვინც საქართველოს ეს ბოროტი წყევლა უსურვა,
ბაგე დედის რძით არ ჰქონია ანათრთოლები.

არ ვესესხებით მეგობრობას, სიყვარულს სხვა ერს,
მაგრამ მკერდიდან მრისხანება ისე ხმიანებს
შემოგარენში, რომ დგანდგარი გაუდის ჰაერს.

დამუხტული ვარ ბოლმის გორგლით. რა ნალმია ეს?!
მისი გასკდომა, ჯერ არ ვიცი, რას იზამს და ეს
სულის შეძვრამდე წინდაწინვე მანაღვლიანებს.

10.

სულის შეძვრამდე წინდაწინვე მანაღვლიანებს,
ცისკარზე კლასი რომ წამოვა შენს საძებნელად.
“ზვავმა, მეწყერმა თუ მიწისძვრამ შესაძლებელმა,
რამ დაგამარცხა?“ მსჯელობს ერთი, განა ღრიალებს.

მერე გისინჯავს გულისყურით მტანჯველ იარებს.
შეძრწუნდა იგი, შენს სხეულზე სისხლი ებევრა.

ნუთისოფელი მართლაც არის ერთი შებერვა,
მაგრამ ნაბიჯსაც გააჩნია როგორ იარე.

ძალმომრეობას აკვნიდანვე თუ დაეჭიდე
და იყავ მტერი ერის ერზე გაბატონების,
საეჭვო სიტყვას ყურს უგდებდი თუ შენც ეჭვითვე,

მაშინ სასინჯ ქვად გადიქცევი ჩვენი გონების.
შენს დაქნილ გზაზე — საოცრად რომ ჰგვანან
მწყერჩიტებს,
ხელს ჩაჰკიდებენ გიორგები და მადონები.

11.

ხელს ჩაჰკიდებენ გიორგები და მადონები
ერთიმეორეს, რომ ციბრუტად იქცეს ფერხული.
ჩვენც ავაცილოთ დამდორება ფიქრს უხერხული,
ბოლოს და ბოლოს, ხომ არა ვართ მართლა მონები.

ჩანს, აღარ არის დრო წარსულით თავმოწონების.
აღარ არსებობს თავადური სისხლი, გლეხური.
იმ აზრით უნდა დაიტენოს ბარიც, ხევხუვიც,
რომ ქართულ სხეულს ჰყვანან სისხლის გამომწოველნი.

ტურფა გოგონავ, მზისქვეშეთში შენი ქორწილი
დედოფლის მთვრალი მაყარივით დაიგვიანებს.
ცად კი იქნები ანგელოზის ფრთით დაკოცნილი.

ჩვენც იქ გველიან უილბლოებს და იღბლიანებს.
არ დავავიწყებთ, სანამ წავალთ, მაგ თქვენს ოც ღიმილს
ლევანებს, ზაზებს, ფარნაოზებს, ცირებს, ლიანებს.

12.

ლევანებს, ზაზებს, ფარნაოზებს, ცირებს, ლიანებს
არ მოაკლდებათ ციდან შენი ლოცვა-კურთხევა.
უნდა იმძლავროს ჩვენში მუხამ, ძელქვამ, ურთხმელმა.
რა გვესაქმება ჯუნგლებში თუ ზრდიან ლიანებს.

პატარა გოგო, ჩვენ გავსრისავთ ცივსისხლიანებს.
სიტყვამ ერთბაშად დღეს იფეთქა გამოუთქმელმა.
თავისუფლების ფეთქავს ძარღვი და მოუთმენლად
ზარი სიონის სამრეკლოდან მისთვის გრიალებს.

გვეყო, იობის მოთმინებით რაც ავიტანეთ
ჩექმებიანი ვირის წიხლი, დათვის ტორები.
ახალგაზრდებში განსხვავებულს ვეძებ ტიტანებს,

რომ გაგვიმრავლონ იმედები და თვისტომები.
აგებულები შენდაგვარი მასალიდანვე
შენს სამარესთან მოვლენ შენი თანატოლები.

13.

შენს სამარესთან მოვლენ შენი თანატოლები,
დიდი ამბავი რომ გახარონ, გაუხარელო.
გკითხონ, რასა გრძნობ უვარდებოდ და უჰაეროდ,
თავისუფალი საქართველოს საპატრონები.

გეტყვიან, რომ არ გვემუქრება ჩვენ ატომები,
რომ გაიმარჯვა ხმამ ღვთიურმა და ხმამ საერომ.
დაამატებენ, საქართველო რომ სცნო გაერომ
და ჩვენს მინაწყალს ჩვენ თვითონვე ვებატონებით.

უთანასწორო ბრძოლა ჯიშის გადარჩენისთვის
ჩვენ წარმატებით დავამთავრეთ და ვცლით ფიალებს.
გკოცნით უხილავ მარჯვენაზე, რასაც შენ ინვდი

დროშისკენ, შენი სულივით რომ ხალხში წრიალებს.
მტერს რომ სასჯელი განუსაზღვრონ, ამ სასჯელისთვის
საქართველოში რა გამოლევს თექვსმეტწლიანებს.

14.

საქართველოში რა გამოლევს თექვსმეტწლიანებს
მათ ჯიბრზე, ჩვენი სულ გაქრობა ვისაც ენება.
გოგონავ, გზებმა, შენს ბინამდე მისასვლელებმა,
ვერ გადაიკრან ხავსის ქურქი, ვგრძნობ უწინარეს.

ადექი, დიდი დასვენების ზარი წკრიალებს!..
მაგრამ შენ უკვე შეეჩვიე დიდ დასვენებას.
ტაძარში ისმის მოწამეთა წმინდა ხსენება.
კურცხლები სცვივათ ქალიშვილებს თვალებცქრიალებს.

ალალი ხალხის წინააღმდეგ იმა კანიბალთ
ცხრა აპრილს ბევრი დაუჩლუნგდათ ბარი ხმარებით.
ქალიშვილებო, სისხლსა და ცრემლს მალე განიბანთ,

ნაეთრევიან ისინიც შორს ლეჭვით, მთქნარებით,
მთელ პლანეტაზე ცნობილები ჭკუით ღარიბად,
შემოსილები "სამამულო" მარკის ფარებით.

15.

შემოსილები "სამამულო" მარკის ფარებით
შემოესივნენ რუსთაველის პროსპექტს სკვითები.
ქართლოსის ხორცო, იჩეხები და იფლითები
ხელკეტით, ტყვიით, ალესილი რვალის ბარებით.

გოგო, ტანკები "წესრიგისთვის" დანაბარები
ვერ გააბრუნე შემაზრზენად ავბედითები?!
შენ ველარ ნახავ, რომ აღვადგენთ გაზონს მითელილს,
რადგან ლამაზ თავს დედის კალთას არ აფარებდი.

რა სურათები შეიქმნება და რა ტომები,
სულის შეძვრამდე წინდაწინვე მანაღვლიანებს.
ხელს ჩაჰკიდებენ გიორგები და მადონები

ლევანებს, ზაზებს, ფარნაოზებს, ცირებს, ლიანებს,
შენს სამარესთან მოვლენ შენი თანატოლები,
საქართველოში რა გამოლევს თექვსმეტწლიანებს.

*1989*

ვერჯილ ნემოიანუ

# ამერიკული კონსერვატიზმის ტრადიცია

## და

## ამერიკული საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკური ბუნება

თუ გვსურს ამერიკული კონსერვატიზმისა და ამერიკული საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკურ ბუნებაზე ვისაუბროთ, ეს საუბარი რევოლუციის ხანიდან (დაახ. 1776) უნდა დავიწყოთ; უნდა გავიხსენოთ პირველი ცამეტი კოლონიის დამოუკიდებლობის ეპოქა და ეგრეთწოდებული "დამაარსებელი მამები", კოლონიების ლიდერები, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ადამიანები; ისინი, ვინც დაწერა და ხელი მოაწერა კონსტიტუციას, თავისუფლების ქარტიას და, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის დეკლარაციას. ამერიკული კონსტიტუცია უძველესია მსოფლიოში (მასზე ძველი მხოლოდ იტალიის ტერიტორიის შიგნით არსებული "სან მარინოს" მინი-სახელმწიფოს კონსტიტუცია იყო, რომელიც 1600 წლიდან მოქმედებდა; ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას (1789) მოსდევს ნორვეგიის კონსტიტუცია 1815).

თუ რუსეთის ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 200 წლის მანძილზე იქ კონსტიტუცია ლამის ათჯერ შეიცვალა. იგივე შეიძლება ითქვას დასავლეთის ქვეყნებზე. გერმანიამ კონსტიტუცია 100 წლის განმავლობაში ოთხჯერ შეცვალა. საფრანგეთის კონსტიტუცია კიდევ უფრო ხშირად იცვლებოდა. ასევე ხდებოდა იტალიაში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში. ამერიკაში კი სულ სხვანაირი ისტორია აქვს კონსტიტუციას: 200 წლის მანძილზე მასში სულ რამდენიმე შესწორება იქნა შეტანილი და, თუმცა სხვადასხვა მუხლის იურიდიული ინტერპრეტაციები წლების განმავლობაში იცვლებოდა, თვით კონსტიტუცია არ შეცვლილა.

კონსტიტუციის ბუნება შერეული იყო; ისინი, ვინც დაწერა და შეთხზა ტექსტი, ძალიან კარგად იცნობდნენ პოლიტიკურ თეორიას არისტოტელეს დროიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე. ისინი შეეცადნენ ერთმანეთთან შეერწყათ პოლიტიკური ორგანიზაციის სამი ძირითადი ფორმა: მონარქია (ერთის მიერ მმართველობა), ოლიგარქია (რამდენიმეს — რჩეულთა — მიერ მმართველობა) და დემოკრატია (ყველას მიერ მმართველობა).

ინტერპრეტაციათა ცვლის კვალობაზე, მმართველ ძალათა შორის წონასწორობა სხვადასხვა დროს გარკვეულწილად იცვლებოდა, მაგრამ თვითონ პრინციპი უცვლელი დარჩა. კონსტიტუცია იყო ის, რამაც მსოფლიოში ყველაზე ნათლად გამოყო სამი ხელისუფლება სახელმწიფოში: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო. ამ სამ ძალაუფლებას შორის დამყარდა არა მხოლოდ წონასწორობა, არამედ, გარკვეულწილად, ოპოზიციაც, რაც დღემდე მათ შორის გარკვეული სახის "მოქიშპეობაში" გამოიხატება. ადამიანები, რომლებიც კონსტიტუციის შექმნის პროცესში თანამშრომლობდნენ, საკმაოდ განსხვავებული სოციალური სტატუსისა და იდეოლოგიისანი იყვნენ. მაგალითად, მათ შორის, ისეთ კონსერვატორთა გვერდით, როგორიცაა ჯონ ადამსი, ჯონ ჯეი ან ჯეიმზ მედისონი, იყვნენ ისეთი მემარცხენეებიც, როგორიცაა თომას პეინი, აარონ ბური ან ბენჯამინ ფრანკლინი. აქ იყვნენ ცენტრალური ხელისუფლების მომხრენი, მაგალითად, ალექსანდერ ჰამილტონი, ან დეცენტრალიზაციის მომხრენი, როგორიც იყო ტომას ჯეფერსონი. თავიდანვე გარკვეული სახის ოპოზიცია იყო ცენტრალურ ხელისუფლებასა და ცალკეული შტატების ხელისუფლებას შორისაც.

ამ ფაქტორებმა ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების განვითარებაში. კერძოდ, აქ ჩამოყალიბდა პოლიტიკა, რომელშიც სტაბილურობის ფაქტორი კი არ ყოფილა ყველაზე მნიშვნელოვანი, არამედ მუდმივი განვითარების, ცვლილებისა და ვიბრაციისა. რა თქმა უნდა, საინტერესოა ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ პროცესებში ჩვენ თანადროულად გვაქვს ერთი მხრივ მუდმივი განვითარება და მეორე მხრივ უწყვეტობა, პერმანენტულობა.

1831/2 წ. ფრანგმა ვისკონტმა ალექსის დე ტოკვილმა, ზომიერმა ლიბერალმა, დაახლოებით 8 თვე დაჰყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა საკუთარი თვალით ენახა, თუ როგორ ფუნქციონირებდა ეს ახალი პოლიტიკური სისტემა და რა გავლენა ჰქონდა მას ხალხის მენტალიტეტსა და ქცევებზე. როდესაც ის საფრანგეთში დაბრუნდა, მნიშვნელოვანი წიგნი დაწერა "დემოკრატია ამერიკაში", რომელიც მთავარ ანტიმარქსისტულ ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს. მასში ტოკვილი ობიექტურად საუბრობს დემოკრატიული თავისუფლების როგორც უპირატესობებზე, ასევე მსოფლიოსათვის ამ საკმაოდ ახალი სისტემის ნაკლოვანებებსა და სუსტ მხარეებზე. დიდმა ბრიტანელმა მემარცხენე ლიბერალმა ჯონ სტიუარტ მილმა მალევე დაწერა გამოხმაურება ტოკვილის წიგნზე, და განაცხადა, ეს წიგნი სინამდვილეში არა ამერიკის, არამედ საშუალო კლასების გამარჯვების შესახებ საუბრობსო. მილი გარკვეულწილად მართალი იყო, მაგრამ ისიც ხომ სიმართლეა, რომ ტოკვილი თავის წიგნში ბევრ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე გვიამბობს, რაც ტიპური იყო უშუალოდ ამერიკული და არა სხვა რომელიმე ქვეყნის ვითარებისათვის.

შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა წამოვჭრათ, ორი საუკუნის წინათ შექმნილ კონსტიტუციურ დოკუმენტებში ამ დროის მანძილზე შეტანილი ცვლილებებია. ჩემი აზრით, სულ ორ ან სამ მნიშვნელოვან ცვლილებაზე შეიძლება საუბარი.

* წაკითხულია მოხსენებად 2008 წლის 23 აპრილს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი: გენერალმა ენდრიუ ჯეკსონმა (პრეზიდენტი 1829-1837) შეცვალა არა კონსტიტუციის ტექსტი, არამედ მისი პრაქტიკაში გამოყენების გზა: დემოკრატიის ელემენტებს ამიერიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა.

მეორე: მოდიფიკაციის არსი, რომელიც შემოიტანა აბრაამ ლინკოლნმა (1860 – 1865), პირველ რიგში, ფერადკანიანების, მონების ემანსიპაციასა და მათთვის თანასწორუფლებიანობის მინიჭებაში მდგომარეობდა. ალბათ ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ დროიდან ერთიანობისა და ცენტრალიზაციის ელემენტს უფრო მეტი წონა გაუჩნდა, ვიდრე ავტონომიურ უფლებებსა და ცალკეული შტატების დამოუკიდებლობას.

მესამე: ფრანკლინ დელანო რუზველტის ხანგრძლივი მმართველობის პროცესში (1933 – 1945) სოციალურ პრობლემებზე, თანასწორობის საკითხებზე, ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო გავლენასა და სიღატაკის აღმოფხვრაზე გაკეთდა აქცენტი. მოკლედ რომ ვთქვათ, ამერიკა ეგრეთწოდებული "ლიბერალური" ქვეყანა გახდა.

ახლა ის დროა, ნამით შევჩერდეთ და სემანტიკურად ავხსნათ განსხვავება კონკრეტული სიტყვების მნიშვნელობას შორის ევროპასა და ამერიკაში. პირველ რიგში, ეს სიტყვებია "კონსერვატული" და "ლიბერალური". ევროპის უდიდეს ნაწილში, "კონსერვატული" გაგებულია როგორც პოზიცია, რომელიც პროფეოდალურია, ნაციონალისტური, ანტიინდივიდუალისტური და ისტორიის უწყვეტობის მომხრე.



ვიქტორ ვაზარელი — აბსტრაქცია

ამის საპირისპიროდ, ისევ ევროპაში, "ლიბერალური" ნიშნავს პროკაპიტალისტურს, ინდივიდუალისტურს, ტრადიციასთან დაპირისპირებულს.

ამერიკაში ამ სიტყვების მნიშვნელობა საკმაოდ განსხვავებულია. როდესაც ამერიკაში ამბობ "ლიბერალური" (პოლიტიკური თვალსაზრისით), გულისხმობ პოზიციას, რომელიც დაახლოებით იგივეა, რაც სოციალ-დემოკრატიული ევროპაში, და რაც თავის მხრივ გამოხატავს ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების საკითხებში ერევა. ეს არის პოზიცია, რომელიც მხარს უჭერს თანასწორობას ინდივიდებსა და კლასებს შორის და მემარცხენე იდეოლოგიას ატარებს.

სიტყვა "კონსერვატული" ამერიკაში ისე ესმით, როგორც რაღაც "ლიბერალურის" მსგავსი ევროპაში. სახელდობრ, ის გაგებულია როგორც თითოეული პიროვნების უფლებათა, ოჯახისა და საკუთრების ძლიერი მხარდაჭერა და სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა სხვადასხვა სფეროში. აქ ჩართულია ევროპული კონსერვატიზმის რაღაც ასპექტებიც: ეროვნული ძლიერება, ტრადიციისა და რელიგიის პატივისცემა.

რესპუბლიკელთა პარტია "კონსერვატულია" ამერიკული გაგებით, მაგრამ "ლიბერალურია" ევროპული თვალსაზრისით; "დემოკრატიული" პარტია "ლიბერალურია" ამერიკული გაგებით, მაგრამ "სოციალ-დემოკრატიულია" ევროპული მნიშვნელობით. დემოკრატიული პარტია გენერალ ენდრიუ ჯეკსონის მიერ იქნა ორგანიზებული და რეორგანიზებული ფრანკლინ რუზველტის მიერ. რესპუბლიკური პარტია პირველად აბრაამ ლინკოლნის მიერ ჩამოყალიბდა, ხოლო თანამედროვე ფორმა მან ბარი გოლდუოთერის და რონალდ რეიგანის მმართველობისას მიიღო.

მოდით, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამერიკა, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან, უფრო მეტი იყო, ვიდრე ქვეყანა. ეს იყო მთელი კონტინენტი ტერიტორიული განზომილებისა და მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით. ასეთი უზარმაზარი მასისათვის მხოლოდ ორი პოლიტიკური პარტიის ქონა შეუძლებელი იყო ამ პარტიებს შიგნით სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე გარკვეული სახის კოალიციების არსებობის გარეშე.

მოდით, განვიხილოთ ეს მიმართულებანი პარტიების ისტორიაში ზოგადად, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის ჭრილში.

1900-1930 წლებში პოლიტიკოსთა შორის, მცირე გამონაკლისთა გარდა, რესპუბლიკელი კონსერვატორები ჭარბობდნენ. ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტები, როგორიც იყო თეოდორ რუზველტი, ტაფტი, კულიჯი, ჰუვერი, ბიზნესსა და ინდივიდუალიზმზე ორიენტირებულები, სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სფეროში ძლიერი კონტროლის წინააღმდეგნი და რელიგიის მხარდამჭერნი იყვნენ. 1932 წელს მოხდა, ასე ვთქვათ, "ფრანკლინ დელანო რუზველტის რევოლუცია", რამაც გამოიწვია აშშ-ს მზარდი ჩარევა მსოფლიო საქმეებში, სახელმწიფოს მიერ სოციალური და ეკონომიკური სფეროების ძლიერი კონტროლი, ძალიან მაღალი გადასახადები, თანასწორობაზე აქცენტი. რუზველტის მიმდევრებმა, რესპუბლიკელებმაც კი, მიიღეს ეს ცვლილებანი. მათ შორის იყვნენ ზომიერი რესპუბლიკელი პრეზიდენტები,

მაგ. ეიზენჰაუერი და ნიქსონი, ისევე, როგორც ზომიერი დემოკრატები — ტრუმენი, ჯონ კენედი, ჯონსონი, ჯიმი კარტერი. შეიძლება ითქვას, რომ ახალი, საკმაოდ რადიკალური ცვლილება მხოლოდ 1980 წელს მოხდა. პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციამ (1980-1988, რასაც მოჰყვა უფროსი და უმცროსი ბუშების მმართველობა) საგრძნობლად შეამცირა გადასახადები, აიღო ოჯახზე ორიენტირებული, რელიგიის მხარდამჭერი პოზიცია. აქცენტი გაკეთდა ინდივიდუალიზმზე, ანტიკომუნიზმსა და სამხედრო პოლიტიკაზე. რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკის საფუძველი არიზონელი სენატორის, ბარი გოლდუოთერის მიმართულებებიდან წარმოიშვა.

წინა საკითხებთან მჭიდრო კავშირშია პარტიებს შორის სხვადასხვა მიმართულებათა გამოვლენა. ამასთან დაკავშირებითაც რამდენიმე სახელის ჩამოთვლა შეგვიძლია. დემოკრატიული პარტია 1970 წლამდე ორი მთავარი ჯგუფისგან იყო ფორმირებული. პირველი — მემარცხენეების ჯგუფი და ის ძირითადად აშშ-ს ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილებს მოიცავდა. მეორე — საკმაოდ მემარჯვენე, რეაქციული და რასისტულიც კი, და ძირითადად აშშ-ს სამხრეთ ტერიტორიაზე ჰქონდა გავლენა. ეს იყო გარკვეულწილად ჰიბრიდული კომბინაცია, რომელიც საკმაოდ დიდხანს, 1960 წლამდე განაგრძობდა არსებობას. 1960 წლის შემდეგ სამხრეთი სულ უფრო მეტად, და შეიძლება ითქვას, თითქმის მთლიანად, რესპუბლიკურ კოლონაში გადავიდა. დემოკრატიული პარტია დაეფუძნა და დღემდე ეფუძნება რასის, სქესისა და კლასის თანასწორობის პრინციპს. ის განსაკუთრებულად უჭერს მხარს სხვადასხვა უმცირესობის უფლებებს, ცენტრალიზებულ მმართველობას, მაღალ გადასახადებსა და შემოსავლების გადანაწილებას, რის საფუძველზეც მაღალი და, გარკვეულწილად, საშუალო კლასის ქონების ტაქსაცია სხვადასხვა ჯგუფისათვის რესურსთა რედისტრიბუციის საშუალებას იძლევა; ის საკმაოდ კრიტიკულია რელიგიის მიმართ. რესპუბლიკელთა პარტია რამდენიმე ჯგუფადაა დაყოფილი. მათ შორის ერთი ჯგუფი ორიენტირებულია ეკონომიკურ ასპექტებზე. მაგალითად, ის მხარს უჭერს დაბალ გადასახადებსა და ცენტრალური მთავრობის ნაკლებ ძალაუფლებას, მოითხოვს მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებას, აქცენტს აკეთებს ოჯახური საკუთრების დაცვაზე, თავისუფალ ბაზარსა და წარმოებაზე. მეორე ჯგუფი ჩამოყალიბდა "სოციალური კონსერვატორებისაგან"; ის ეგრეთწოდებულ ჰომოსექსუალისტთა ქორწინების წინააღმდეგია, ოჯახებისათვის მეტი ფინანსური მხარდაჭერის მიცემას ითხოვს, სახალხო ადგილებში რელიგიის თავისუფლად გამოხატვას და სკოლებში ლოცვას უჭერს მხარს, აყენებს მოთხოვნებს აბორტის აკრძალვასა ან მასზე შეზღუდვების დაწესებაზე. მესამე - ნეოკონსერვატორების ჯგუფია, რომლებიც ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს და საზღვარგარეთის საქმეებში აშშ-ს აქტიური ჩარევის, სამხედრო ძალისა და ამერიკის ჰეგემონობის მომხრენი არიან, რათა ამერიკამ ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებას.

როგორ განვითარდა რესპუბლიკური პარტიის შიგნით ეს მოძრაობები? უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილებანი 1960 წელს დაიწყო, როდესაც მოხდა რეაქცია ეგრეთწოდებული "ყვავილების რევოლუციის" წინააღმდეგ (დებატები ვიეტნამის ომის, რასობრივი კონფლიქტების და ბევრი სხვა სოციალური და ინტელექტუალური ცვლილების შესახებ). ამ დროისათვის კონსერვატიული მოძრაობა სხვადასხვა სახით გამომჟღავნდა:

1) საფუძველი ჩაეყარა "ფიქრის ტანკებს", მაგ. კვლევისა და განხილვების ცენტრებს, როგორიც იყო ამერიკული წარმოების ინსტიტუტი, მემკვიდრეობის ფონდი, ჰუვერის ინსტიტუტი, ჰუდსონის ინსტიტუტი, ექტონის ინსტიტუტი, უნივერსიტეტთაშორისი სწავლების ინსტიტუტი, ეთიკისა და სახალხო პოლიტიკის ცენტრი, მანჰეტენის ინსტიტუტი, და ბევრი სხვა, ფაქტობრივად, 1000-ზე მეტი ცენტრი (რა თქმა უნდა, დემოკრატთა ინსტიტუტების ჩათვლით). ეს ცენტრები ქმნიდნენ თეორიულ დოკუმენტებს პოლიტიკოსთათვის, სხვადასხვა სფეროში გამოსაყენებლად; ორგანიზებას უკეთებდნენ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს, დებატებს აწყობდნენ თეორიულ საკითხებზე, დამარცხებულ პოლიტიკოსებს სთავაზობდნენ ხელფასს და ტრანზიტულ ადგილს, სადაც შეეძლოთ ეწერათ წიგნები და გამოექვეყნებინათ სხვადასხვა ნაშრომები. ამ ცენტრების სახით შეიქმნა უნივერსიტეტთა და კოლეჯების ალტერნატივა.

2) გამოჩნდა სხვადასხვა გამოცემები და ჟურნალები. მათ შორის დავასახელებდი "ნეიშენალ რივიუს", რომელიც უილიამ ბაკლი ჯუნიორის მიერ დაარსდა, "ჰუმან ივენთს" და "ამერიქან სპექტატორ" - დაარსებულს ემეტ ტირელის მიერ, კათოლიკურ ჟურნალებს — "კრიზისი" და "ფირსთ თინგს", ებრაულ ყოველთვიურ "კომენტარს", ნეოკონსერვატულ "ვიქლი სტანდარდს" და სხვ.

3) გამოჩნდნენ ფილოსოფოსები. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მათ შორის ემიგრანტები იყვნენ: ერიკ ვოეგელინი (1901-1985) და ლეო სტროსი (1899-1973). სტროსმა დააკავშირა არისტოტელეს ფილოსოფია თანამედროვე სიტუაციებს და შეეცადა ხაზი გაესვა რაციონალისტული ტიპოლოგიისათვის პოლიტიკაში. ვოეგელინმა, პირიქით, აქცენტი გააკეთა ისტორიულ განვითარებაზე და სულიერებისა და რელიგიის ფასეულობებზე პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში. რა თქმა უნდა, იყვნენ სხვა ფილოსოფოსებიც, რომელთაგან ზოგი უკვე კლასიკური ფილოსოფიის, ზოგი კი მე-20 საუკუნის ისტორიას მიეკუთვნება.

4) ყურადღებას იმსახურებენ პოლიტიკური თეორიის წარმომადგენლებიც. მრავალრიცხოვან მოაზროვნეთაგან მხოლოდ ორს დავასახელებ. მათგან ერთია რასელ კირკი (1918-1994), მეორე კი რობერტ ნისბეტი (1913-1996). კირკი შეეცადა ნამდვილი კონსერვატიზმის ფასეულობანი განესაზღვრა და ანგლო-საქსური სამყაროს შიგნით მისი განვითარება შეესწავლა. ის ტრადიციონალისტი იყო. ნისბეტის შრომები ზოგადად უფრო სოციოლოგიური ხასიათისა გახლდათ. მან აღწერა აზროვნების ზოგიერთი ფორმა კლასიკური ფილოსოფიიდან მოყოლებული. განსაკუთრებით აკრიტიკებდა სახ-

ელმწიფო ძალაუფლების გავრცელებას ინდივიდებზე, კომუნებსა და საზოგადოებაზე.

5) მრავალი ჟურნალისტიდან და გამომცემლებიდან, რომლებიც იმხანად აქტიურად წერდნენ, მე ისევ ორ სახელს გამოვარჩევ: პატრიკ ბუჩანანი (დ. 1938) და ჯორჯ უილი (დ. 1941). ბუჩანანი ტრადიციონალისტია. ის აქცენტს აკეთებდა მორალურ-საზოგადოებრივ საკითხებზე და ეწინააღმდეგებოდა ამერიკის ჩარევას საზღვარგარეთის საქმეებში. მისი აზრით, ომები აშშ-მ მხოლოდ მაშინ უნდა აწარმოოს, როცა პირდაპირი ინტერესები გააჩნია, ან როდესაც საფრთხეშია ქვეყნის ერთიანობა. ჯორჯ უილი დაკავებულია სახელმწიფოს ძალაუფლების გავრცელებით და მას აშფოთებს ღირსებისა და მორალის ნაკლებობა პოლიტიკურ ლიდერთა შორის. თუმცა უფრო ინტერნაციონალისტია.

6) 1980-1990-იანი წლების დიდ პოლიტიკურ ფიგურებს შორის, რონალდ რეიგანისა და ბარი გოლდუოთერის შემდეგ, შემიძლია დავასახელო ჯეკ კემპი, ნიუტ გინგრიჩი, და რა თქმა უნდა, ჯორჯ ბუშ-უმცროსი. რა ჰქონდათ საერთო ამ პოლიტიკოსებს? პირველ რიგში, ყველას აერთიანებდა ძლიერი ანტიკომუნისტური და ანტისოციალისტური განწყობა. მეორე, მათ ყველას ჰქონდა სურვილი, ჰყოლოდათ ძლიერი სამხედრო ძალა; მესამე არის მათი მცდელობა შეზღუდონ მმართველობა, შეამცირონ გადასახადები, ხელი შეუწყონ თავისუფალ წარმოებას, ფართო ბაზარს, ინდივიდუალიზმის წახალისებას. მეოთხეა სასამართლო, რომელმაც უნდა იკმაროს, არსებულ კანონთა ინტერპრეტაცია, და არ უნდა შექმნას ახალი კანონები "სოციო-კულტურული მოდის" მიხედვით. მეხუთე, არის მათი სურვილი, ჰქონდეთ რაღაც დონის ტრადიციონალიზმი საზოგადოებრივი ღირებულებათა სფეროში.

კიდევ ერთი საინტერესო მომენტია ის, რომ დიდი პოლიტიკური ფიგურები ინტელექტუალთა ზეგავლენას არცთუ ყოველთვის პირდაპირ განიცდიდნენ. რა თქმა უნდა, პოლიტიკურ მოღვაწეებს ჰყავდათ მრჩევლები ეკონომიკურ, პრაქტიკული პოლიტიკის, საგარეო და სამხედრო საკითხებში და სხვ. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ კონსერვატულმა იდეებმა შექმნა ჰორიზონტი, რომელმაც შემოფარგლა ამ ხანის პოლიტიკური ქმედება და განვითარება აშშ-ში. 1980 და 1990-იან წლებში და უფრო გვიანაც ყველაზე მეტი სიახლის მომცველი სოციალური და პოლიტიკური იდეა კონსერვატორთა პარტიაში ჩაისახა. დემოკრატებმა ძირითადად თავი მიუძღვნეს წარსულის (რუზველტის, კენედი-ჯონსონისა და ა.შ.) პოლიტიკის გაგრძელებას. ჯერ კიდევ გაურკვეველია, რამდენად მოიტანს ცვლილებას დემოკრატთა ახალი თაობა. განსაკუთრებით ახლა, 2008 წლის გაზაფხულზე. გამორიცხული არ არის მოხდეს ერთგვარი დაბრუნება სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციისაკენ. ძნელია წინასწარ რაიმეს ვარაუდი, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის გამორიცხული.

ამერიკულ პოლიტიკურ სისტემასთან დაკავშირებით მთავარი მაინც შემდეგია: ის უფრო დინამიურია, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა სისტემა, და ამიტომაც ყველაზე ეფექტურია. თუმცა თავისუფლების ხარისხი, რომელიც მე-19 საუკუნეში არსებობდა აშშ-ში, ან თუნდაც 35 წლის წინათ, შეიძლება ითქვას, რომ შესამჩნევად შემცირდა. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ მოქალაქეს აქ გაცილებით უფრო ბევრი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. რატომ? პირველ რიგში, იმიტომ რომ აშშ-ში ხელისუფლებას მრავალი ცენტრი და გადამკვეთი ხაზი აქვს, მისთვის პლურიცენტრიზმი და მრავალფეროვნებაა დამახასიათებელი. ხშირად აღმასრულებელსა და საკანონმდებლოს ხელისუფლებას შორის გარკვეული სახის ოპოზიციაა: ისინი ებრძვიან ერთმანეთს და ვალდებულნი არიან გარკვეულ კომპრომისამდე მივიდნენ.

როდესაც კომპრომისი ვერ მიიღწევა, საქმეში ერევა სასამართლო სისტემა, რომელიც ბევრად უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. მას შეუძლია ზეგავლენა იქონიოს ბევრ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე. რა თქმა უნდა, სასამართლოს ასეთი ძალაუფლება როგორც დადებით, ასევე ზოგჯერ უარყოფით შედეგებს იწვევს.

გარკვეული სახის ოპოზიციაა ფედერალურ, ცენტრალურ მთავრობასა და შტატების, ადგილობრივ ხელისუფალთ შორის. აღსანიშნავია, რომ უფრო მცირე ერთეულებმა ძალაუფლება საგრძნობლად დაკარგეს ლინკოლნის ხელისუფლებაში ყოფნის, 1860 წლის შემდეგ, ისევე, როგორც რუზველტის მმართველობისას, 1930-ის შემდეგ. ისინი მაინც ინარჩუნებენ ბევრ პრივილეგიას და შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ ცენტრალურ გადაწყვეტილებებს მთელ რიგ სიტუაციებში. უზარმაზარია მედიის ძალაუფლებაც და არსებობს მრავალი გზა, რომლითაც მას შეუძლია ზეგავლენის მოხდენა ხალხის აზრზე. დაახლოებით 20 წლის წინათ ეს ძალაუფლება საკმაოდ ერთგვაროვანი იყო — არსებობდა ტელევიზიის სამი ქსელი და არც ფართოდ გავრცელებული და გავლენიანი გაზეთების რიცხვი ყოფილა დიდი. ახლა სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია. არსებობს ასობით ტელეარხი, რომელთა მეშვეობითაც სრულიად სხვადასხვაგვარი აზრი გამოიხატება ამა თუ იმ საკითხთან მიმართ. რადიოსადგურები ძირითადად უფრო კონსერვატულია. მათ უმთავრესად უბრალო ხალხი, ჩვეულებრივი მოქალაქეები იყენებენ საკუთარი აზრის გამოსახატავად. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტერნეტს, რომლის საინფორმაციო შესაძლებლობანი გიგანტურია. ინტერნეტი უკიდურესად დემოკრატიული მედიუმია. ეგრეთწოდებულ "ბლოგებს" ხშირად უფრო მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე დიდ გაზეთებს. განათლებისა და სტატუსის განურჩევლად, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია აქ აზრის გამოთქმა და კომენტარის განთავსება. ინტერნეტი ქმნის დისკუსიების "უზარმაზარ დარბაზს".

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები და კიდევ ბევრი სხვა, რომელზეც ახლა არ გვისაუბრია, ქმნის სისტემას, რომელიც გონიერ და სხარტ პიროვნებას შესაძლებლობას აძლევს იოლად გაიკვლიოს გზა და ისარგებლოს სრული თავისუფლებითა და დაცვით როგორც ინდივიდუალურად, ასევე საკუთარი ოჯახისა და ახლობლებისათვის.

**ინგლისურიდან თარგმნა**
**ლელა სამნიაშვილმა**

ქეთი თუთბერიძე

# ნაცრიდან აღმდგარი

*

## უცნაური მემკვიდრეობა

1963 წელს დიდ ბრიტანეთში ყველაზე ცივი ზამთარი დადგა ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე. 11 თებერვალს, დილაადრიან, ლონდონის ერთ-ერთი სამსართულიანი სახლის ბოლო სართულზე, სამზარეულოში, გაზით თავი გაიგუდა ქალმა, რომელმაც მაგიდაზე მიყრილ ფანქრებსა და ქაღალდებს შორის დატოვა ის, რასაც სილვია პლათის პოეზია ეწოდება.

ამ ოპუსში შეგნებულად მოვერიდები მისი დაბადების თარიღისა და ბიოგრაფიული ცნობების გახსენებას, არც მისი და ტედ ჰიუზის ტრაგიკულ სიყვარულზე ამოვიღებ ხმას და, ცხადია, არც ისეთ არაფრისმთქმელ ეპითეტებს გამოვიყენებ, როგორიცაა "დიდებული", "გენიალური", "თვალსაჩინო" და etc. მისი სახელი და გვარი თავისთავად გულისხმობს ზემოთ ჩამოთვლილ სამივე სიტყვას – ჟღალთმიანი ქალი ლაზარე, რომელიც ჰაერის მსგავსად ყლაპავს ადამიანებს აღდგომის შემდეგ...

ლექსი "ლედი ლაზარე" მის გარდაცვალებამდე დაახლოებით ოთხი თვით ადრე, შემოდგომის მიწურულს დაიწერა. სწორედ მაშინ, როდესაც ამერიკელ პოეტს ოცდაათი წელი შეუსრულდა. მისი ცხოვრების მესამე ათწლეული ფატალური აღმოჩნდა, მიტოვებულმა ცოლმა და იმდროინდელ ლიტერატურულ წრეებში ნაკლებად აღიარებულმა პოეტმა ვერაფრით გადააბიჯა ხაზს, რომელსაც მეოთხე ათწლეულში უნდა გადაეყვანა. ნაწარმოებში იგი რამდენჯერმე ახსენებს თვითმკვლელობის წარუმატებელ მცდელობებს და მესამეზე მიგვანიშნებს. ეს არ იქნება ერთ-ერთი მცდელობა, არამედ — უკანასკნელი, ყველაზე თეატრალური და სრულყოფილი, მისივე აზრით. ლექსის სათაური უკავშირდება ერთ-ერთ ბიბლიურ პერსონაჟს, წმინდა ლაზარეს, თუმცა ამ უკანასკნელის სახელი აქ ერთგვარი აქსესუარია და მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვას ატარებს იმ ადამიანისა, რომელიც ორი ქვეყნის, საიქიოსა და სააქაოს, გზაჯვარედინზე აღმოჩნდა და კვლავ სიცოცხლეს დაუბრუნდა, როგორც ნაწარმოების პერსონაჟი.

იუდეველთა ტილოს ხსენებაზე, ლირიკული გმირის გვამს რომ აქვს შემოხვეული, ისეთივე სამარხი დგება თვალწინ, სადაც ებრაელები თავიანთ მკვდრებს "ინახავდნენ". მსგავსი ალუზიები უკიდურესად მძაფრ განცდებს იწვევს. აღსანიშნავია, რომ დასაწყისში პოეტი შემთხვევით არ ახსენებს ნაცისტებს. ეს ერთგვარი ექოა იმ ტკივილისა, რომელსაც სხვა ლექსში ("მამიკო") ვისმენთ.

მიუხედავად იმისა, რომ პლათის შემოქმედებაში არაერთხელ შეიძლება გადავაწყდეთ მითოლოგიურ არქეტიპებს, მითუმეტეს, ანტიკურ ფემინურ ხატებებს, აღნიშნულ ნაწარმოებში, ჩემი სუბიექტური აღქმით, ე.წ. "არქეტიპად" თვით ავტორი გარდაისახება. იგი ხდება სიბილა, სასტიკი და დაუნდობელი პიფია, რომელმაც საკუთარი კატასტროფა უნდა იწინასწარმეტყველოს. ავტორი უკიდურესად გულწრფელია, არ ერიდება ადამიანებს, არ ერიდება ღმერთს, არც სატანას; არ ერიდება მტერს და ზიზღით მიმართავს მათ. მას შეუძლია გაიძროს ჯვალოები გახრწნილი სხეულიდან და ხორცი შეისხას. სამარხიდან გამოსულმა კი უსიცოცხლო ადამიანებს ჩამოურიგოს საკუთარი სხეულის ნაწილები. რთული მისახვედრია, ვის მოიაზრებს სილვია სიტყვაში "მტერი" – ზოგადად მტრის ცნებას თუ კონკრეტულ პიროვნებას. ახლა ამის გარკვევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს მტერი თვითონვეა – პერსონაჟის ალტერ ეგო, რომელიც მის მოკვლას ცდილობს და აქამდე ორჯერ გაუმკლავდა. მაგრამ დასაწყისშივე აღვნიშნე, პოეტი სიბილას ჰგავს-მეთქი. მან იცის, რომ მესამე ცდაზე ისევე დანებდება, როგორც მამამისი დანებდა ფაშიზმს.



სილვია პლათი

ლექსს თან გასდევს უკიდურესი ირონია. იგი ხდება მონამე, რომელიც საიქიოდან სადღაც ბრუნდება... ჯოჯოხეთში. ან ჯოჯოხეთიდან სააქაოში, სადაც მკვდრეთით აღმდგარმა ყველაფერი უნდა გაანადგუროს, ნაცრად აქციოს, ისევ მოკვდეს და ისევ გაცოცხლდეს, როგორც ერთხელ, ბავშვობაში. სამარხიდან გამოსული საკუთარ თავს ძლივს სცნობს და უეცრად ძველ ზარხუფში ბრუნდება – სარდაფში, სადაც სასწაული მოხდა.

სიცოცხლის მეორე ათწლეულის დამლევს კვლავ სცადა თავის მოკვლა. როდესაც უგონო და მოკუნტული იპოვეს, "მატლები მარგალიტებივით ეყარა" (წერს ლექსში), მაგრამ გაცოცხლდა, რასაც "სასწაული" უწოდეს სხვებმა. ამ "სასწაულს" იგი ჩვეული ირონიითა და სიმწრით იხსენებს და უფრო მეტი ირონიითა და სიძულვილით მოიხსენიებს იმ სხვებს, ადამიანებს – ექიმსა და მტერს. შემზარავ პერსონაჟად ქცეული პოეტი ღმერთსა და ეშმაკს ერთნაირად ესაუბრება, სულერთია თითქოს მისთვის. ორივეს უბრძანებს, განერიდეთო, რადგან უკვე გაცოცხლდა, ფენიქსივით ფერფლიდან აღსდგა, ამ ფერფლში კი მხოლოდ ნიშნობის ბეჭედსა და საპნის პატარა ნაჭერს თუ აღმოაჩენს ვინმე. ესეც ალბათ მისი წინა ცხოვრების ნარჩენებია.

რატომღაც ვფიქრობ, რომ ლაზარე პირდაპირ კავშირში სულაც არ იმყოფება ლექსთან. იგი სიკვდილის გადალახვის სიმბოლოა მხოლოდ, ვინაიდან ავტორი არ ჰგავს ლაზარეს ფემინურ სახეცვლილებას. ის უკუნეთშია.

ნაწარმოების მიღმა სილვია პლათი თითქოს გარიგებას დებს თანატოსთან — სიკვდილის ღმერთთან.

ამერიკელმა კრიტიკოსმა კერენ კაიმ ალბათ ტყუილად არც ახსენა ბერძნული მითოსის მიხედვით სიკვდილის

ინკარნაციის სახელი მის შემოქმედებასთან დაკავშირებით. ესეიში, სახელწოდებით "კონფესიონალისტები", იგი წერდა, რომ სილვია პლათი და ენ სექსტონი არიან ის პოეტები, რომელთა ლექსებში ეროსისა და თანატოსის სახეები ხშირად მეტაფორიზებულად ერწყმის ერთმანეთს. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც აირჩია სილვიამ სუიციდის ასეთი უცნაური ფორმა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანატოსის ტყუპისცალი ძილის ღმერთი — ჰიპნოსი — იყო.

პლათის ბოლო კრებული "არიელი", რომელშიც შესულია ორმოცდაათამდე ლექსი, მათ შორის "ლედი ლაზარე", 80-იან წლებში აღიარებულ იქნა მეოცე საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო პოეტურ კრებულად არა მხოლოდ ანგლო-ამერიკულ, არამედ მსოფლიო პოეზიაშიც.

...ამა წლის 16 მარტს ქალაქი ფეირბენკის ერთ-ერთ სახლში ალასკის უნივერსიტეტის პროფესორმა თავი ჩამოიხრჩო, რომელსაც მაგიდაზე ედო წიგნი, სახელწოდებით "არიელი". პროფესორი ნიკოლას ჰიუზი გახლდათ, სილვია პლათის უმცროსი შვილი.



# „სიყვარულში მუდამ შემწირველი ვიყავი..."

✸

თამარ შაიშმელაშვილს
ესაუბრება
მანანა ჩიტიშვილი

**— მარინა ცვეტაევას თქმით, პოეზია — ბედი და გულია. თქვენთვის რა არის პოეზია?**

— ჩემთვის ბედისწერა და უფლისგან ბოძებული ღვთაებრივი საჩუქარია. რა თქმა უნდა, — გულიც, რადგან ლექსი პირველ რიგში მაინც გულის კარნახით იქმნება.

**— თქვენს პოეზიაში ცრემლი გამეფებულა... „მე ცრემლიდან ამოვედიო"... ამბობთ. რატომ?**

— იმიტომ, რომ ჩემი ცხოვრება უფრო ხშირად ცრემლიანი იყო, ვიდრე ბედნიერი და ღიმილიანი. მე მუდამ ისე ვწერდი, როგორც ვცხოვრობდი და ჩემი ლექსი ყოველთვის ჩემს ცხოვრებას ჰგავდა — „ჩემი ყოფისნაირი პოეზია მქონდა".

საზოგადოებისა და ბედის ნებიერი არასოდეს ვყოფილვარ. თუმცა ამის გამო ლექსებში არ მიწუწუნია, რადგან საკუთარი პრობლემებით ისედაც შეჭირვებულ ქართველ მკითხველს ტკივილის დამატება კი არა, იმედიანი სიტყვა, წყლულების დაამება და ხვალინდელი დღის რწმენა სჭირდება.

**— თქვენთვის არსებითი მაინც სამშობლოს თემაა. მედეა კახიძემ, რომელიც გერმანიაში ათი წლის განმავლობაში ცხოვრობს, მითხრა: — იქ სამშობლოზე ლექსი არ წამიკითხავსო...**

— ეს ბატონმა ოთარ ჩხეიძემ ყველაზე კარგად ახსნა. მან ბრძანა: „დიდი სახელმწიფოებისათვის ბედი ერისა გადაწყვეტილია და მოძველებულიც არის იმათს პოეზიაში ეროვნული მოტივები. მოძველებულიცაა და ჩვენც ამას გვიმოძღვრებენ. პოლიტიკური ექსპანსიის როლი დაჰკისრებია მოდერნებსა პოეზიაში. ჩვენი სახელმწიფო ხელში ჩაგვიკლეს. ჩვენი ერი ხელში ჩაგვიკლეს. უნდა გამოცოცხლდეს, უნდა აღორძინდეს სახელმწიფოცა და ერიცა ჩვენი და ამიტომაა, რო სამშობლოს ტრფიალი პირველთაგანი თემაა ჩვენი პოეზიისა, პირველთაგანი და მაცოცხლებელი".

**— მაგრამ ეს განცდა რომ დაიკარგა...**

— შინაგანად მთლიანად უნდა იყო გაჟღენთილი ამ გრძნობით; მთელი შენი არსებით, გულით, ცხოვრების წესით მამულიშვილი უნდა იყო და მხოლოდ მაშინ გახდება შენთვის ეს თემა ახლობელი და აუცილებელი. სამშობლოზე დედდასავით უნდა წერდე, უფრო მეტად — ჩურჩულით, მაგრამ აუცილებლად — გულწრფელად და ტკივილიანად. გული მწყდება, რომ დღეს ეროვნული ცნობიერება რამდენადმე შეიცვალა და ის ძირითადი ფასეულობები, რომელსაც ჩვენი ცნობიერება და ტრადიციები ემყარებოდა, ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო გაუფასურდა. ეს მხოლოდ ჩემი ტკივილი არ არის, ამგვარად ბევრი ფიქრობს და წუხს დღევანდელ საქართველოში.

**— მწერლების ერთი ნაწილი უცხოურისადმი მიმბაძველობით სოციალურ თემებს ანიჭებს უპირატესობას...**

— ტრადიციულად ქართული ლექსი, თუკი თუნდაც ხალხურ პოეზიას გადავხედავთ, რაინდობასა და მამულის სიყვარულს ოდითგან გვასწავლიდა. პოეზია ქართველი კაცისთვის გაცილებით ამაღლებული და საქვეყნო იყო, ვიდრე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებაა. ეს ფუნქცია ლექსს ჩვენმა ხალხმა მიანიჭა, არაჩვეულებრივი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულმა და ლექსის დანიშნულების უბადლო მცოდნემ. რა თქმა უნდა სოციალური ხასიათის ლექსები ჩვენს პოეზიაშიც გვხვდება, მაგრამ მათ ის ცეცხლი, ფილოსოფია და პოეტურობა აკლიათ, რაც, ვთქვათ საგმირო ან მამულის სიყვარულისადმი მიძღვნილ ლირიკას ახასიათებს. პოეზია ჩვენთან, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის იყო „საღმრთო" და საზეო საქმე, თორემ განა ქართველ კაცზე მეტი გაჭირვება ბევრს გადაუტანია? თქვენ თავად იცით ამის უამრავი მაგალითი...

**— თქვენ ქსნის ხეობაში დაიბადეთ და გაიზარდეთ, რომელიც ახლა ოკუპირებულია. უამრავი ლექსიც მიუძღვენით. ქართლის ტკივილი მძაფრად აისახა თქვენს პოეზიაში. „ამ ლექსებს რომ ვწერდი, თითქოს ხმლის ტარზე მეძინაო", — ასე განაცხადეთ ბოლოდროინდელ ციკლზე: „ქართლი, მშვენიერი ქართლი..."**

— ჩემთვის ქსნის ხეობა მხოლოდ მშობლიური კუთხე არასოდეს ყოფილა. ის მუდამ იყო სარკმელი, საიდანაც საქართველო მოჩანდა და მოჩანს. მაშინაც კი, როცა მშვიდობა იყო, სულ მახსოვდა, რომ იმ მიწაზე დავდიოდი, იმ ხეობის შვილი ვიყავი, სადაც შალვა და ელიზბარ

ერისთავები, ქეთევან დედოფალი იშვნენ. სულ მეგონა, რომ ყური მედო მათ მკერდთან და გამუდმებით მათ გულისცემას ვუსმენდი. — „არ გეგონოს, უგვარტომომ შემოგიღე სახლის კარი, გულზე მძიმედ მადევს ხელი შალვასი და ელიზბარის“. იგივე განცდა მაქვს ახლაც.

ქართლი ჩემთვის წმინდაა თავისი ისტორიით, მტერთან თავდაუზოგავი ბრძოლით, იმ დიდი როლით, რასაც იგი ასრულებდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს თუ ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების უდიდეს საქმეში: „პირჯვრის წერით სათქმელია: ზემო, ქვემო, შუა ქართლი“.

თითქმის პირველივე ლექსებიდან ქვეცნობიერად სულ თან მდევდა გაურკვეველი საფრთხის მძიმე მოლოდინი და სწორედ ამ პერიოდში დაწერილ სტრიქონებში გამუდმებით ისმის თითქოს საგანგაშო ზარის რეკვა: „მოვკვდები ასე თვალლია, მტერს რო მლვიძარი ვეგონო“, „შენ ოლონდ დასწვდი ფრანგულს და უწინ თუგინდ მე დამკარი“. ან კიდევ: „მოვკვდები, ქსნის სათავესთან სატევარივით დამდეთ!“ ამნაირი განწყობით ვწერდი ჩემი შემოქმედების თითქმის ყველა ეტაპზე, რათა მკითხველისთვის არ მიმეცა მოდუნების, ჩამოძინების, მოლაჩრების საშუალება, სულ ფხიზელი, საფრთხისთვის მზადყოფი და დაჭიმული ყოფილიყო: „მახვილი თორემ მარტოდენ სიტყვით გაბრუნებული ვინ ნახა მტერი...“ ვწერდი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჰორიზონტზე თითქოს არანაირი მტერი არ მოჩანდა.

გასული წლის დასაწყისში დაიწერა და მაისის თვეში გამოქვეყნდა ლექსი „გადაძახილი“, რომელიც ასეთი სტრიქონებით იწყებოდა: „ქართლი როგორც გაროზგილი დედაჩემი გადატყაულ მუხლისთავზე მისვენია...“ ორი თვის შემდეგ, აგვისტოში, ეს ლექსი, საუბედუროდ, სიტყვა-სიტყვით ამიცხადდა, როგორც წინასწარმეტყველები...

**— ანუ შეიძლება პოეტს წინასწარმეტყველების უნარი ჰქონდეს?**

— რა თქმა უნდა! ხშირად იმას, რასაც იდუმალი ძალა გკარნახობს, მაშინვე ვერც აცნობიერებ და გიკვირს — რატომ წერ ასე და არა სხვაგვარად.

1984 წელს ნოდარ დუმბაძემ მითხრა: მშვიდობაზე ლექსებს რატომ არ წერ, ომი რომ დაიწყოს, ჩემი თანატოლები კი არა, შენი თაობა უნდა წავიდეს საბრძოლველად და ნუთუ ეს არ გაღელვებსო? გულში მეცინებოდა, რა ომზე მელაპარაკება-მეთქი, რა ვიცოდი, რომ გავიდოდა ცოტა დრო და ჩემს მამულში კი არა, ჩემს ხეობაში და ჩემს სახლშიც მოვიდოდა ის ომი, ასე რომ გააპარტახა ჩემი ბავშვობის სავანე.

რაღაც შიშს, საერთო უბედურების მოლოდინს მუდამ ვგრძნობდი და გამუდმებით ვუტრიალებდი ამ თემას ჩემს ლექსებში, თუმცა რეალურად ამ განწყობილების ახსნა არ შემეძლო.

**— მართალია თუ არა, რომ უტკივილოდ ლექსი არ იწერება?**

— რასაკვირველია, მართალია! ტკივილი შეიძლება მწუხარებითაც იყოს გამოწვეული და თქვენ წარმოიდგინეთ, — სიხარულითაც. მე პირადად დიდი სიხარულის დროს ლექსი არასოდეს დამიწერია. არცერთ ჩემს ლექსში არ ჩანს რაიმეთი განსაკუთრებული აღტაცება და დიდი სიხარულით გამოწვეული განცდა.

შემოქმედი შინაგანად ყოველთვის მარტოსულია. ვერც მატერიალური სიმდიდრე, ვერც საზოგადოების გარემოცვა ვერ ავსებენ ამ სიმარტოვეს. უნდა იცოდე, რომ უფალმა შემოქმედებასთან ერთად შინაგანი სიმარტოვეც გიბოძა, რომელსაც ვერსად და ვერასოდეს გაექცევი. მარტოსულობის დამღა შემოქმედის სამარადისო ნიშანია და მისი წაშლა თითქმის არ ხდება. ხშირად სწორედ სულიერი მარტოობიდან იღებს სათავეს ის ტკივილი, რომელიც ლექსებში სხვადასხვაგვარად ისხამს ხორცს.

**— რას ფიქრობ სიყვარულზე?**

— საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმაა — „ღმერთი სიყვარულია“. ჩემი აზრით, სიყვარული ღმერთისკენ მიმავალი გზაა. მასში ღვთაებრივი მუხტი დევს და უფალს ყოველ დროს მადლობა უნდა ვუთხრათ, თუკი ამ უდიდესი მადლით დაგვაჯილდოებს. მე ხშირად სიყვარულზე ოცნებაც მყოფნის ლექსისთვის, არსებობისთვის...

შემოქმედს თავისივე გამოგონილი სიყვარულითაც შეუძლია ცხოვრებისა და საკუთარი ნაღვაწის გასხივოსნება და ამის მაგალითი არაერთი იცის მსოფლიო ხელოვნებამ. პოეტებიც არცთუ იშვიათად სცემენ თაყვანს მათ მიერვე გამოგონილ, ზოგჯერ რეალურ და ზოგჯერაც ფანტაზიით შექმნილ ხატებას, რომელიც შეიძლება რეალურზე უფრო მშვენიერიც კი იყოს. ერთგან ვწერ კიდეც: „ოღონდ გაბედე, გაიმეტე და მისახსოვრე ლამაზი, თბილი, ელვარე და ნაზი სიტყვები, სხვა არც რა მინდა, სიყვარულს მე გამოვიგონებ...“

ამ განცდის გარეშე სიცოცხლე ჩემთვის მთელ მშვენიერებას კარგავს. უსიყვარულობა ჩემთვის ულმერთოდ არსებობის ტოლფასია და არა მარტო ჩემთვის. სიყვარული ანიჭებს სამყაროს მშვენიერებას, იმ ღვთაებრივ ძალას, რომელსაც ადამიანი აუცილებლად უნდა ეზიაროს. სიყვარულზე ვწერ, როგორც მარადიულ თემაზე, რადგან არ მინდა, როგორც შემოქმედი, ჩემს თაობაში დავმთავრდე. ჩემი უდიდესი სურვილია ამ ლექსებმა ყველა თაობის ადამიანის და, განსაკუთრებით, ახალგაზრდების გულში ჰპოვონ გამოძახილი.

**— „სხვა რა მქონდა უკეთესი, ჩემი სული დაგიკალი...“ ასე მიმართავთ სიყვარულს. რას ნიშნავს თქვენთვის სულის შეწირვა?**

— სიყვარული უპირველესად სულის შეწირვას გულისხმობს. იგი ხომ სწორედ სულიდან აღმოცენდება, მისით საზრდოობს, მის რტოებზე იფურჩქნება. სხვანაირად არცა მგონია, რომ ჭეშმარიტმა სიყვარულმა იარსებოს. სიყვარულში ყველაზე დიდი მსხვერპლის გაღება სწორედაც სულის შეწირვაა მიჯნურისთვის. ნამდვილი სიყვარული ორი სულის ერთ არსებად, ერთ სულად ქცევაა. აქედან ერთი მუდამ შემწირველია, მეორე — მიმღები. თავად მე სიყვარულში მუდამ შემწირველი ვიყავი. ამიტომ ჩემს პოეზიაში სიყვარულით გალაღებული და გულსავსე ქალის ლექსებს თითქმის ვერ ნახავთ. ამ თემაზე შექმნილი ჩემი ლექსები ტანჯვით, ცრემლითა და წუხილითაა სავსე. ვფიქრობ, პოეტისთვის ესეც ბუნებრივია, მათ ხომ განგება იშვიათად აჯილდოებს ბედნიერი სიყვარულით. გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ.

**— რომელია ყველაზე ბედნიერი დღე თქვენი ცხოვრებიდან?**

— ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები ჩემს შვილს და ლექსებს უკავშირდება. უფრო დიდი საჩუქარი განგებას ჩემთვის არ უბოძებია. ერთისთვისაც უყოყმანოდ შემიძლია თავის გაწირვა და მეორისთვისაც.

**— თქვენს პოეზიაში საინტერესოდაა დახატული ყივჩაღი... რატომ გაამახვილეთ განსაკუთრებული ყურადღება ამ თემაზე?**

— ყივჩაღი ჩემთვის მიუწვდომელი მიჯნურისა და აუხდენელი სიყვარულის სიმბოლოა. ამაში ძალიან დიდი როლი შეასრულა გიორგი ლეონიძის ლირიკამ. თუმცა ხალხურ პოეზიაშიც იყო მსგავსი ნიუანსები. გიორგი ლეონიძის „ყივჩაღური ლირიკის" მიხედვით ყივჩაღი დამარცხებულია, როგორც მოძალადე, მაგრამ გამარჯვებულია, როგორც მიჯნური. სწორედ ამიტომ მიმიზიდა ამ სახემ. თანაც ეს ტრაგიკული ამბავი ქსნის ხეობაში, „მუხრანის სამზღვართან" ხდება. იქ გავლისას მუდამ თვალით ვეძებდი, თუ სად შეიძლებოდა ეს შეხვედრა მომხდარიყო. ადგილიც კი მაქვს ჩემთვის მონიშნული.

საინტერესოა ისიც, რომ გიორგი ლეონიძესთან მთხრობელი ყივჩაღია, ხალხურ ლექსში — ქართველი კაცი, ჩემთან კი ქალი ყვება მთელ ამბავს. როგორც პოეტს ალბათ მქონდა უფლება, ცოტა სხვანაირად შემეხედა ამ ამბისთვის. მკითხველთა ერთ ნაწილს მოსწონს ყივჩაღის თემაზე შექმნილი ჩემი ლექსები, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ყივჩაღი მაინც მოძალადეა და მისი ტრფიალი არ არის გამართლებული. მე ჩემი აზრი მაქვს: „კიდევ ათას წლებს ლექსში დამიცდი, თუმც შენი ტრფობა ალბათ მეძრახვის, მაგრამ მუხრანთან ვარ და არ ვიცი, ქარი უსტვენს თუ... კვლავ შენ მეძახი".

**— „ავიწიე და ...გაკოცე ჩემგან გაჩეხილ მხარზედა..." ასე ექცევა მანანა ჩიტიშვილის ლირიკული გმირი მტერს. როგორ დაიწერა ლექსი „კაი ყმის ხელით ვკვდებოდი?"**

— მიხა ხელაშვილს აქვს ასეთი სტრიქონები: „მტერიც არ შემხვდა მტრის ფერი, ვარ უბედური დღისაო". ღირსეული მტერი ყოველთვის სათანადოდ ფასდებოდა კაი ყმის მიერ. სახელიან მეტოქესთან შეჭიდებისა და მისი ჯობნის სურვილი ნებისმიერი ადამიანის გულში ღვივის. ის, ვინც მუხრანის ველზე შემხვდა, ჩემთვის ღირსეული მეტოქეა, „მტრისფერი მტერია". ვაჟკაცი რომ ვყოფილიყავი, სწორედ ასეთ მტერთან შეხვედრას ვინატრებდი.

გახსოვთ, ალბათ, მუცალმა თოფი გადაუგდო ალუდას, რითაც მისი ვაჟკაცობა აღიარა. იმ თოფის გადაგდების ტოლფასი ნიუანსია მეტოქისთვის ჩემგან გაჩეხილ მხარზე კოცნა, რითაც მოწინააღმდეგის რაინდობა, მისი კაი ყმობა ვაღიარე.

**— ხშირად უთქვამთ, მანანა ჩიტიშვილის ზოგიერთ ლექსს ავტორის გვარი და სახელი რომ წააშალო, ვაჟის დაწერილი გეგონებაო. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

— ვახუშტი კოტეტიშვილი ზოგჯერ მეხუმრებოდა: გოგო, კაცებს დაგვაცადე, ისეთ რამეზე ნუ წერ, რაც ჩვენი დასაწერიაო. რასაკვირველია, ბატონი ვახუშტი უწყინრად მაქილიკებდა, სინამდვილეში კი ეს ლექსები საკმაოდ მოსწონდა, ჯეროვნადაც აფასებდა და ხშირადაც მაკითხებდა.

ერთი შემთხვევა მახსოვს: ბატონ ვახუშტისთან სტუმრად ვიყავით რამდენიმე მეგობარი. მე ახალი ლექსი „თიბათვე" წავუკითხე პოეზიის ცნობილ მეტრს და როცა ჩავათავე სტრიქონები: „როგორც დიაცის სავსე ძუძუნი, მინდორში თივის ზვინები დგანან", ალტაცებულმა და ახარხარებულმა ბატონმა ვახუშტიმ უნებურად წამოიძახა: „კარგი რა, გოგო, კარგი რა!"

მე ასე ვფიქრობ: არანაირი „კაცური" და „ქალური" პოეზია არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ კარგი და ცუდი ლექსები. თუკი ლექსი სულიწმინდასთან კავშირით იწერება, ეს მხოლოდ სულთა კავშირია, რომელსაც ხორცსა და სქესთან არანაირი საერთო არ გააჩნია. უბრალოდ პოეტი ხარ და წერ ისე, როგორც გეწერება.



მანანა ჩიტიშვილი

მე შეიძლება ზოგჯერ მართლაც თამამად და გაბედულად ვწერ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — უხამსად. უხამსობა ლექსშიც მძულს და ყოველდღიურ ყოფაშიც. ლექსს უკადრის სიტყვას ან გამოთქმას ვერასოდეს შევკადრებ, რადგან პოეზია ჩემთვის ის ტაძარია, სადაც სუფთა გულით და სულის მთელი სასოებით უნდა ილოცო.

**— რომელი ყვავილი გიყვართ?**

— ჩემი უსაყვარლესი ყვავილია მინდვრის შროშანი.

**— რას ინატრებდით?**

— შეიძლება შაბლონურია, მაგრამ მშვიდობას და ქართველი კაცს ღირსების აღდგენას, ღირსეულ ყოფას საკუთარ სამშობლოში.

**— ოჯახი გეხმარება თუ ხელს გიშლის შემოქმედებაში?**

— უფრო მეხმარება. რასაკვირველია, ოჯახი დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ როცა გიყვარს ის ადამიანები, ვინც შენს გვერდით ცხოვრობენ, არ ფიქრობ, რომ მათთვის გაკეთებული საქმე დროის უქმად ხარჯვაა.

ძალიან მადლიერი ვარ ჩემი მეუღლისა. მან მშვენივრად იცის ლექსის ფასიც და მისი თავისებური მოთხოვნებიც. ლექსში არასოდეს დამიფარავს ჩემი განცდები, ვწერ ისე, როგორც ვგრძნობ და ვფიქრობ. ამას წინათ ჩვენი ოჯახის მეგობარმა, ბაბუა ალუდაურმა უთხრა ჩემს მეუღლეს: „მადლობელი ვარ, რომ ქართულ პოეზიას მანანა ჩიტიშვილი შეუნარჩუნეო". ჩემს ოჯახს მართლაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს იმგვარ შემოქმედად ჩამოყალიბებაში, როგორიც დღეს ვარ.

აქ მთავარი ნდობისა და პოეზიის ჭეშმარიტი არსის შეცნობის საკითხია. საკმაოდ თამამი და გაბედული ვარ ლექსებში და არასდროს ამის გამო ოჯახში უკმაყოფილება არ გვქონია. ესაა დიდი ნდობა, რომელიც მთელი ჩემი ცხოვრების წესით დავიმსახურე.

თამაზ ნატროშვილი

# ქართველი მწერალი ვორკუტაში

ქართულ ეპისტოლეთა ანთოლოგია რომ შეედგინათ, იქ უსათუოდ მოხვდებოდა და კიდეც დაამშვენებდა ამგვარ გამოცემას ქართლის მეფის გიორგი XI-ის წერილი, თავისი მკვიდრი ბიძაშვილისთვის, სულხან-საბა ორბელიანისათვის, რომ გამოუგზავნია ყანდაარიდან 1707 წელს.

ცხრა მთას იქით გადაკარგული ქართველი კაცი, უბადლო მხედარი და გვარიანი მწიგნობარი, კითხულობს „სიტყვის კონას" და თავის შთაბეჭდილებას აღტაცებით უზიარებს უკვდავი ქართული წიგნის მაშვრალ ავტორს:

„ასრევ მიამა და გავეწყევ, რომე თათრულს წიგნზედ მივდგარვარ და კიდეც ვისწავლე, ლამის ის გამაშობინოს ამისმა კითხვამა. ბევრი შენდობა მითქვამს და კიდევ გეტყვი შენდობასა. დიაღ კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყევ".

დავით აღმაშენებლისა და თეიმურაზ პირველის დარად წიგნიც უყვარდა. თვით სულხან-საბას მოწმობით, სწორედ გიორგიმ დაუკვეთა შექმნა ქართული ლექსიკონისა და მისი პირველი შემფასებელიც ის იყო.

უკვე ათი წელია გასული, რაც სამშობლოს მიწაზე აღარ დაუდგამს ფეხი და არც უწყის, რომ ვეღარასოდეს ვეღარ მოესწრება — ორად ორი წელიწადიღა დარჩენია სიკვდილამდე და შორეულ ყანდაარში უნდა ამოხდეს სული.

გაივლის ორნახევარი საუკუნე და 1949 წელს თბილისში გამოსცემენ მოხდენილი ფორმატის წიგნს, შავი ფერის მაგარი ყდით, „ლექსიკონი ქართული" რომ ჰქვია.

ყანდაარზე კიდევ უფრო შორეული ვორკუტის ლაგერიდან დიდებული ქართველი მწერალი სწერდა თავისიანებს: „წავიკითხე გაზეთში, საბა-სულხანის ლექსიკონი გამოსულა. ჩემი საყვარელი წიგნია და ნუ მომაკლებთ".

ქართული წიგნის კითხვა ნუგეშსა სცემდა და საამო ბურანში ხვევდა უმწეო ტუსაღად ქცეულ მწერალს.

სხვაგან და სხვა დროს ნათქვამი მაღალფარდოვნება ეგებ უამური გამოდგეს ფხიზელი გონისათვის, ყურიც მოგჭრას, მაგრამ ჩრდილოეთის უგზოუკვლოდ დაკარგულ ლაგერში მყოფი კაცისგან არაფერი გეუცხოება და პათეტიკა საუცხოოდ შეეფერება სათქმელს, ამაყად აბრძანებულა თავის კუთვნილ ტახტზე. ვერ ჩამოაგდებ. პერიფრაზი ფერს წაართმევდა აფორისტულ ტექსტს და ამიტომაც — კიდევ ერთი მოკლე ციტატა მწერლის კერძო წერილიდან:

„აქ ყოველი ქართული წიგნი ქართული მიწის ნაჭერია და უფრო მეტიც — ქართული სულის ნაჭერი".

ლევან გოთუამ ჯერ არ უწყის, რომ ქართულ მიწაწყალზე დაბრუნებაც ეღირსება და ქართულ სულიერებასაც გაუწევს სამსახურს თავისი მადლიანი კალმით.

### მზე და უმზეობა

აი, ასეთი უცნაური და მართლაც რომ დახლართული თუ დაწყევლილი მარშრუტები ერგო წილად „სიტყვის კონას".

მცხუნვარე ყანდაარი და სუსხიანი ვორკუტა... პირველს თამამად შეიძლება ვუწოდოთ სიცხის პოლუსი და მეორეს — სიცივისა.

გიორგი XI -ის ერთგული თანამებრძოლი და მემატიანე, ქართველ მხედართა საზღვარგარეთული თავგადასავლის აღმწერელი სეხნია ჩხეიძე გაოცებით წარმოთქვამს: ან სიცხე რას შევადარო ან ქართველთა გაძლება, ღმერთმანი, არ ვიციო.

სიცხე ორიოდ საათში ტყვიას ადნობდა. მეფეს ქალალდის გასაჭრელად მაკრატელი რომ ამოუღია, ისე ყოფილა გავარვარებული, კარგა ხანს ხელი ვეღარ გაუყარაო.

მაგრამ... ღირსეულ მეფეთა გულუხვი ქება არ ეზარება მჭევრმეტყველ მხედარს და გვაუწყებს: სიცხეს ისე უძლებდა ეს ლომივით კაცი, ერთი ბეწოზე ფერი არ ეცვლებოდაო.

ყოველივე ზემოთქმული ეხება მგზავრობას უდაბნოში — ქირმანის პროვინციიდან ყანდაარს გადასასვლელად.

ვაი რომ, არც ყანდაარს გაუგრილებია დაუპატიჟებელ სტუმართა შუბლი.

ისევ სეხნია ჩხეიძეს ვათხოვოთ ყური: ყანდაარი ესოდენ ცხელი ქალაქია, სალამო ჟამს ქარი რომ მოვარდებოდა, პირს ვერ შეაქცევდიო.

ზღაპარს წააგავს მისი სიტყვაძუნწი ინფორმაცია.

თურმე სპილენძის თეფშზე კვერცხს რომ გათქვეფდი, მწველზე მწველი მზისგან თვალის დახამხამებაში ტაფამწვარი მზადდებოდა; ციხის სალ კლდეზე მოზელილ ცომს მიაკრავდი და მზე აცხობდა პურს.

სასეირნოდ და საქეიფოდ როდი წასულან ყანდაარში. უცხო ქვეყნად დაღვრილი სისხლით ისევ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ილვწოდნენ.

აი, ამას ერქვა ყანდაარი.

ვორკუტა კი იმას ერქვა, რომ იქაურ ლაგერში გამწესებული ლევან გოთუა შეცბუნებით იწერებოდა შინ: „დღეს 18 ივლისია და ჯერ მზიანი დარი არც კი გვინახავს".

გავიდა ზაფხული, თუკი უმზეობას ზაფხული ეთქმის, და სექტემბერი დადგა. მწერალი კი მწარე ოხუნჯობის გუნებაზე დამდგარა:

„ხშირად, ძალიან ხშირად შევნატრი იმ თეთრ დათვს, რომელიც აქედან არის წამოყვანილი და მანდ, თბილისის ზოოლოგიურ ბაღში სიცხისაგან სული ამოსდის! არც მე მადგას კარგი დღე მის სამშობლოში".

აიმედებს თავისიანებს და თავის თავსაც: ზამთარი აღარ მაშინებს, მივეჩვიეო.

რას მიეჩვია? სიცივის პოლუსს მიეჩვია? ჯოჯოხეთს მიეჩვია? მართლაც რომ ყველაფერს ეჩვევა კაცი...

შეუძლებელია, რომ ავტორსაც და მკითხველსაც მყისვე არ გაახსენდეს პოპულარული რუსული შაირი:

Колыма, ты Колыма,
Чудная планета,
Двенадцать месяцев - зима,
Остальное - лето.

ლევან გოთუას სიტყვით, ვორკუტაშიც ასე მღეროდნენ, კოლიმას არაფრით ჩამოვუვარდებოდითო.

და ოპტიმისტურად არწმუნებს თავისიანებს: „მე კარგად ვარ, საუცხოოდ მივეჩვიე ჩრდილოეთს, ეს არც არის გასაკვირი. ბოლოსდაბოლოს მე მხოლოდ დავიბადე საქართველოში, თორემ გავიზარდე და ვგონებ ვბერდები კიდევაც ამ ჩრდილოეთში“.

თამარ და ალექსანდრე გოთუების ბიოგრაფიულ რომანში „თავგადასავალი ლევან გოთუასი“ (1995) აღნიშნულია, რომ მწერალს თავისი სიცოცხლის 67 წლიდან 22 წელიწადი (ე.ი. მესამედი) სამშობლოდან შორს, ცხოვრების ფსკერზე, ლაგერებში და ე.წ. თავისუფალ გადასახლებაში გაუტარებია.

...აი, „სიტყვის კონამ“ ასე გააბა თვალით უხილავი ძაფი დროსა და სივრცეში დაშორებულ ორ დიდებულ ქართველს შორის.



ლევან გოთუა

ბედკრული ქვეყნის ბედშავი შვილები იყვნენ. გიორგი XI-ის უფროსი ძმის — არჩილ მეფის ლექსად ნათქვამისა არ იყოს, ხანგრძლივი ყოფნა „უცხოს თემსა და მიწებსა“ ორივეს უშურველად არგუნა ბედმა. და რა სხვაობაა, რომ ერთი ტკბილ შარბათს გეახლებოდათ და მეორე — მწარე ბალანდას. ორივე „ნაღველად აღმოიწებდა“ თავის წილხვედრს.

ცალკე ყიზილბაშთა და ცალკე უარშიო ქართველ ფეოდალთა გამოისობით ირანში გადახვეწილი გიორგი XI ანუ გურგინ-ხანი, როგორც იქ უწოდებდნენ, თავისი ხმლით ერთგულად ემსახურებოდა მტერ-მოყვარე დიდ მეზობელსაც და თავის დაკარგულ სამშობლოსაც. გურგინ-ხანმა, ევროპელი მკითხველისათვის ყველაზე პოპულარულმა ქართველმა მეფემ, დააჩოქა მუდამ მეამბოხე ავღანები, რაც ვერ შეძლეს XIX საუკუნეში ინგლისელებმა, XX საუკუნეში — რუსებმა და XXI საუკუნეშიც, ალბათ, ვერაფერს გააწყობენ ვერც ამერიკელები.

და მხოლოდ ყიზილბაშთა გაუგონარმა უგუნურებამ და გასაგებმა შურმა წყალში გადაუყარა ირანის ქართველ სპასალარს გარჯაც და მსხვერპლიც, სასიკვდილოდ გაწირა ძლევამოსილ ყანდაარის ბეგლარბეგად გადაქცეული ლტოლვილი მეფე ქართლისა.

ახლა ლევან გოთუასი ვთქვათ.

ნეტავი არის თუ არა გინესის რეკორდების წიგნში გრაფა, სადაც დედამიწის მკვიდრთა სპეციფიკური ინტელექტმიღწევანი აღინუსხებოდეს (მარტო ღორობა და მაიმუნობა ხომ არ უნდა იყოს ადამიანის უსაზღვრო ნიჭთა ერთადერთი საზომი?). ამგვარი გრაფა რომ არსებობდეს, ლევან გოთუას ვერავინ შეეცილებოდა პირველობას ერთ, ცალკე აღებულ დარგში.

აბა თავად განსაჯეთ, გულაგის ტუსაღმა სრულფასოვანი რომანი შექმნა ჩრდილოეთის არაადამიანურ, ჯოჯოხეთურ პირობებში.

მითხარით ერთი, საბჭოთა კატორღაში სხვას ვის დაუწერია რომანი?!

## რვეულები მომავალთათვის

ლევან გოთუა გულისტკივილით ჩივის თავის უბედობას: „ქართველი მწერლის ბედი სიცოცხლეში მაინცდამაინც სახარბიელო არასოდეს არა ყოფილა! მით უფრო ამ დროში, ახლა, მე ისეთი უკუღმართი ბედისა ვარ, სიკვდილის შემდეგაც გადავავიწყდები ყველას“.

მისჯილი ჰქონია 10 წელი შრომა-გამასწორებელ ბანაკში (ეს ევფემიზმი ლამაზად ენაცვლება ულმობელ კონცლაგერს), ვადა ეთვლება 1946 წლის 1 აგვისტოდან. რომელი მუხლი მიუყენეს? რასაკვირველია, ყველაზე პოპულარული და ყველაზე სასტიკი — 58-ე მუხლი, მე-10 პარაგრაფი: სსრ კავშირის დამხობის ცდა პროპაგანდისა და აგიტაციის გაწევის გზით და მე-11 პარაგრაფი: ორგანიზაციის ან ჯგუფის შექმნა, მისი წევრობა ან ხელმძღვანელობა.

დანომრილი, გვარწაშლილი ტუსაღი კონცლაგერისა. ციხეები: თბილისი, მოსკოვი, სოლოვკი, ნარიმი, ბიისკი, ვორკუტა... ისევ კერძო წერილიდან: „ეტაპებით სად არ მათრიეს, სად არ გადამაგდეს, სად არ მანვალეს... აქაურ მძიმე ცხოვრებას ვგონებ შევეგუე, არა, ვერ მივეჩვიე, მხოლოდ შევეგუე“.

სხვა რა გზა ჰქონდა!

ვორკუტიდან გამოგზავნილი წერილების კითხვა ვის არ დააყენებს ცუდ გუნებაზე. აურაცხელ საშინელებათაგან მხოლოდ ერთი, ყველაზე უწყინარი და ასატანი, დავიმოწმოთ იქაური ატმოსფეროს წარმოსადგენად: „ჩვენს ბარაკში ორასი კაცია. ასე რომ, შესანიშნავი თუ არა, აღსანიშნავი ჰაერი მაინც არის — სინესტის, ფეხის ოფლის, „მახორკის“ სუნების ნარევი. მრავალხმიანი ხვრინვის ჰარმონიას ხომ ნუ იკითხავთ, მაგრამ ეს ხომ წვრილმანებია“.

არა, მთლად წყალწაღებული არ გეგონოთ. თბილ ადგილას ვმუშაობო, ამცნობს თავისიანებს. 1949 წლიდან ბუღალტრად დაუნიშნავთ აფთიაქში. თავს იწონებს, თითქმის ფარმაცევტობაც ვისწავლეო. თქვენ წარმოიდგინეთ, კბილები შეუკეთებია. იმის ხალისიც გასჩენია, ფეხბურთს ადევნოს თვალი. ქართველ ფეხბურთელებს რა დამბლა დაეცათო, შეწუხებულია ვორკუტაში გადაკარგული ქართველი კაცი (არადა, ომისშემდგომი წლებიდან ყველაზე უიღბლო სეზონი ჩვენებისათვის სწორედ 1949 წლისა გამოდგა).

და, რაც მთავარია, არ დაუკარგავს წიგნის კითხვის წყურვილი და ღონე. არაერთხელ იმეორებს თავის

წერილებში: „ჩემთვის აქ ქართული წიგნი ქართული მიწაა! და იქნებ მეტიც — მიწაცა და სულიც“.

როდესაც ქართულ წიგნებსა და გაზეთებს ვკითხულობ, მაშინღა ვცოცხლობ, სხვა დანარჩენი დრო კი თითქოს ძილ-ბურანში მიიზლაზნებაო.

დაჟინებით შეახსენებს თავისიანებს, მხოლოდ წიგნების მეოხებით ვცხოვრობ და ვცოცხლობ. ასე რომ, თქვენი იმედი მაქვს, ნუ მომწყვიტავთ საქართველოსო.

ცხადია, არანაკლებ გაახარებდა ქართული მიწის ნობათი. „თქვენგან გამოგზავნილი ამანათი რომ გავხსენი, ჩემი თავი საქართველოში მეგონა“, — ადვილი წარმოსადგენია ბალანდას მიჯაჭვული ტუსაღის მადლიერება. მოკრძალებით ამცნობს, თვეში ერთი მოახერხოთ, ესეც მეყოფაო.

ლევან გოთუა ვორკუტიდან წიგნებს რომ უკვეთავს თავისიანებს, გეგონება, საჯარო ბიბლიოთეკის უმაღლესჭერიან, ნათელ დარბაზში იჯდეს, ნებივრად ავსებდეს მოთხოვნის ბარათს და აგერ, ნახევარ საათში (ჰა, დიდიდიდი — ერთ საათში) მაგიდაზე გაჩნდება შეკვეთილი წიგნი. დაჯექი და იკითხე, რამდენიც გაგიხარდება!

და როგორი რუდუნებით უსრულებენ თხოვნას, ერთი და ორი ხომ არ არი, მდინარესავით მოედინება გამოწერილ წიგნთა ნუსხა. და პასუხად ვაი-ვაგლახით მოპოვებული წიგნების მდინარე მიედინება ჩრდილოეთისკენ.

რასაკვირველია იციან, რომ გასართობად თუ დროის მოსაკლავად როდი ითხოვს ათასგვარ ლიტერატურას. ერთადერთი, სანუკვარი მიზანი ამოძრავებს და ახალისებს.

ვორკუტიდან იწერება: ბელოკუროვის „რუსეთის ურთიერთობა კავკასიასთან“ აკადემიის წიგნსაცავში არის, იქიდან მქონდა წამოღებული, გამოართვით ჩვენი ოჯახის მეგობრებს; მაგალითად, სოლიკო ხუციშვილს ან ლონგო სუმბაძეს. ვისარგებლებ და უკან გამოვგზავნიო. ხაზს უსვამს: „ეს წიგნი უშუალოდ ჩემს თემას ეხება“.

აი, არასრული სია შეკვეთილი ლიტერატურისა:

ანასეული „ქართლის ცხოვრება“, ოთხთავი, ხატოვან თქმათა ლექსიკონი (ახალი გამოცემაა, უსათუოდ მიყიდეთო), ვესელოვსკი, პოლიევქტოვი, დ. კაპანაძის „ქართული ნუმიზმატიკა“, საქართველოს ისტორია (ჯანაშია-ბერძენიშვილ-ჯავახიშვილისა, სასკოლო სახელმძღვანელო რომ იყო), ქიზიყურ სიტყვათა ლექსიკონი, დ. ჯანელიძის „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“, ვეფხისტყაოსანი (ჯიბის მცირე გამოცემა, ქართულიცა და რუსულიც, ორივე მანდა მაქვს, ჩემს წიგნებში ძევსო), კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“, აკაკი ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“...

მოუთმენლად ელის ვახუშტის გეოგრაფიას. საქართველოში რომ იმყოფებოდეს, თავისი ფეხით მოივლიდა აღსაწერ ადგილებს (გამოცდილ ალპინისტს ტურიზმი გაუჭირდებოდა?!), თავისი თვალითა და ხელით გასინჯავდა, ახლა კი ხან მეხსიერებას უნდა ენდოს, ხანაც — ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომს.

კიდევ ერთი შეკვეთა: კახეთის რუკა გამომიგზავნეთ, თორემ ამ ჩემს წიგნებსა და ხელნაწერებში „უგზოუკვლოდ“ დავდივარო.

დაუყოვნებლივ აცნობებს ხოლმე თბილისს, ესა და ეს წიგნები მივიღეო. „ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით გამახარა, თორემ პირდაპირ ხელფეხშეკრული ვიყავი“, — იგულისხმება ნიკო ბერძენიშვილის „მასალები XVI-XVII სს. საქართველოს ისტორიიდან“ (ეხება კახეთსა და ალექსანდრე კახთა მეფეს).

წიგნები და რვეულები, წიგნები და რვეულები, წიგნები — საკითხავად, რვეულები — საწერად.

რაზე არ მოუწია წერა: ძველ გაზეთებზე, ფიცარზე, ქეჩაზე... ენამწარობს: შესაძლოა, ჩემს ტყავზეც მომიხდეს, თუკი შემრჩაღაო.

ტანისამოსი არაფერი არ მინდა, რაც პატიმარს შეეფერება, ხომ მაქვს და დანარჩენი აქ საჭირო არ არის (რათ უნდა, თეატრში წავა თუ ქორწილში?), ვინ დაგაცლის ჩაცმას, წაგართმევენო.

ივედრება: რვეულები, მხოლოდ რვეულები მომაშველეთო. უბრალო, ცალხაზიანი რვეულები მომაშველეთო.

აი, ვორკუტიდან გამოგზავნილი მორიგი ხვეწნა-ვედრება: „ახლა ერთი თხოვნა: ისევ რვეულები და რვეულები. რვეულები მე ბლომად მჭირდება, ათეულობით და ასეულობით და არა ერთეულობით! გაითვალისწინეთ, რომ გამომიგზავნოთ სულ უბრალო ცალხაზიანი მოწაფის რვეულები, რომ დავკეცო ხოლმე, წინდაში ჩაეტიოს დასამალავად“.

ლაგერი ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებისათვის როდი მოუგონიათ!

რვეულები აქ არ იშოვებაო, შეახსენებს თავისიანებს. ალბათ ეცინებოდათ გულში, აქ ხომ ძალიან იშოვებაო.

მახსოვს, სწორედ იმ 1949 წელს მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე საკანცელარიო ნივთების მაღაზიის უკანა ეზოში არიგებდნენ მოწაფის ცალხაზიან და, უფრო მეტად, უჯრედებიან რვეულებს. თქვენ წარმოიდგინეთ, იმდროინდელი თბილისის გასტრონომებში უხვად ეყარა ნაირნაირი შოკოლადის კანფეტები და შავზე შავი ხიზილალა. ვისაც ფული უჭყაოდა ჯიბეში, ულაპარაკოდ შეეძლო ამოევსო სტომაქი, მაგრამ რვეულები — ნურას უკაცრავად! რვეულები დეფიციტს წარმოადგენდა. ამ რვეულებზე ისეთი რიგი იდგა ანუ ჭყლეტა და ზედახორა არნახული, რომ აგერ უკვე გასული საუკუნის დამლევს თბილისში გაჩაღებული პურის რიგები რჩეულ ჯენტლმენთა თავყრილობად მოგეჩვენებოდათ. რაც შეეხება რვეულებს, მეხუთეკლასელი მოწაფე რიგში კი არა, მდულარეშიც ჩავდგებოდი და ესოდენ ძვირფასი მონაპოვარი ბევრი არ მქონია ცხოვრებაში.

ლევან გოთუას კი ათეულობით და ასეულობით სჭირდებოდა რვეული. ვორკუტის ლაგერში რომანსა წერდა!

წერდა და წერდა.

განგებამ ეს ერთადერთიღა დაუტოვა ამქვეყნიურ სიამეთაგან — შრომის ჟინი, უნარი და ძალ-ღონე; ვინ იცის, ეგებ ყველაზე მათრობელა იყოს ეს სიამე, რაღაცის შექმნის ნიჭი — სულერთია, ტაბურეტი იქნება თუ რომანი ანუ, როგორც რუსთველი ბრძანებდა, რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდესო.

საბჭოთა ხელისუფლებაც ამას ჩასჩიჩინებდა საბჭოთა მოქალაქეს: ყოველგვარი შრომა საპატიო არისო და, მაშასადამე ტუსაღის შრომაც საპატიო იქნებოდა.

და ლევან გოთუა თავაუწევლად შრომობდა, თუმცა მალიმალ ეცინებოდა, ჩიოდა: ჩემი აქაური სამწერლო მუშაობა სახრჩობელაზე ჩამოკიდებული კაცის სიმღერასა ჰგავსო.

ვორკუტაში იწერებოდა „გმირთა ვარამი“ — გრანდიოზული პანორამა საქართველოს ცხოვრების ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთისა, როდესაც ქვეყნის ბედი წყდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. უკვე მერამდენედ წყდებოდა მისი პოლიტიკური ორიენტაცია, რომელსაც სულიერი გეზიც შეიძლება ვუწოდოთ.

რომანის მთავარი გმირი გახლავთ კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605), ოცდაათი წელიწადი რომ იმეფა და აქედან ოცდაოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ირან-ოსმალეთის ომი, მაგრამ ყიზილბაშებსა თუ ოსმალებს ერთხელაც არ გადაუქელავთ კახეთის მიწა-წყალი, მაშინ როდესაც ქართლი, სამცხე-საათაბაგო, შირვანი და ყარაბაღი სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზად იყო ქცეული.

ეს ის მეფეა, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი მიაწერს ასეთ ნატვრას: „ახ, ნეტარძი ოხერ მექმნეს კახეთი, რათა მაქვნდეს სანადირონი მრავლადი“.

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსიც და, დროდადრო, ჩვენი თანამედროვე ვაი-მკითხველებიც, ეტყობა, მწყრალად არიან იუმორთან. მერე-რა, რომ კახთა მეფის ნათქვამი უფრო „შავ იუმორს“ მიეკუთვნება. დიახ, სრულიად სერიოზულად იმოწმებენ იმის საჩვენებლად, რომ ქართველ მეფეებს ისე ამღვრეოდათ ტვინი, თავისი სამეფოს აოხრებას ნატრობდნენ, მთელი ქვეყანა სანადირო ასპარეზად გადაგვეშლებაო.

აოხრება რა სათქმელია, ალექსანდრეს მეფობის ამსიგრძე გზაზე ერთი სახლიც კი არ გაუძარცვავთ კახეთში, ერთი ქალისთვისაც კი არ აუხდიათ ნამუსი.

ეს ის მეფეა, ვისაც სპარსელმა ისტორიკოსმა, შაჰ-აბასის ერთგულმა მეხოტბემ, „ბებერი მგელი“ შეარქვა, ხოლო გამაჰმადიანებულმა და გადაგვარებულმა ქართველმა ბატონიშვილმა ასე მოახსენა ირანში ჩასულ რუსეთის ელჩს: „მამაჩემი ოსმალეთის ხელმწიფესაც ამებს, მოსკოვის ხელმწიფესაც ამებს და ირანის შაჰსაც ეკურკურება. არავინ არაფერში არ უნდა ენდოს მას“.

თავისი სამეფოს რუკას ფხიზელი თვალით შეჰყურებდა, მისი ძალ-ღონე და პოტენციალი კარგად ჰქონდა აწონ-დაწონილი, მაგრამ არც ირანისა და არც ოსმალეთის ყურმოჭრილი ყმა არასოდეს ყოფილა.

უხმლოდ, უსისხლოდ, უომრად ააცილა თავის სამეფოს ყველა ომი და აოხრება.

ივანე ჯავახიშვილმა „გამჭრიახი მეფე“ უწოდა, ნიკო ბერძენიშვილმა — „ნიჭიერი დიპლომატი და რეალისტი პოლიტიკოსი“.

...წერდა და წერდა ქართულ რომანს ვორკუტის ლაგერში ქართველი კაცი, თხემით ტერფამდე მწერალი, სულით და ხორცით ვაჟკაცი.

## პროტოტიპი განიკითხავს პერსონაჟს

ლევან გოთუა გარდაიცვალა 1973 წლის იანვარში. იმავე 1973 წელს რუსულ ენაზე, ხოლო 1975 წელს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, გამოქვეყნდა რუსი ემიგრანტის დიმიტრი პანინის მემუარები, სათაურად „სოლოგდინის ჩანაწერები“ (ლევან გოთუა რომ მოსწრებოდა ამ წიგნს და ხელთ ჩავარდნოდა...).

ამგვარი მოვლენა, ალბათ, უპრეცედენტოა მსოფლიო ლიტერატურაში, როდესაც წიგნის ავტორი, თავის ავტობიოგრაფიულ, პირწმინდად დოკუმენტურ თხზულებას, სადაც იოტისოდენა გამონაგონი არ გაჭაჭანებულა, მიაწერს ლიტერატურულ გმირს, ვისი პროტოტიპიც თავად ბრძანდება.

დიახ, „სოლოგდინი“ ჰქვია გამოჩენილი რუსი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ალექსანდრ სოლჟენიცინის რომანის „გარსი პირველი“ ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს.

აი, როგორ არის აღწერილი სოლოგდინის ანუ პანინის პირველი გამოჩენა სოლჟენიცინის რომანის ფურცლებზე:

„თენდებოდა. უხვ, მართლაც რომ დიდებულ ჭირხლს დაეთრთვილა ზონისა და ზონისპირა ბოძები, ოც ძაფად გადახლართული, ათას ვარსკვლავად გადაღუნული მავთულხლართი, საგუშაგო კოშკურის დამრეცი სახურავი და გაუთიბავი შამბნარი მავთულებს იქით გადაშლილ მინდორში.

დმიტრი სოლოგდინი დაუნისლავი თვალებით შეჰყურებდა ამ სასწაულს და ტკბებოდა. ის იდგა შეშის სახერხ ხარაჩოსთან. ეცვა დაბამბული ჯუბა, ლაგერში სამუშაოდ რომ არიგებდნენ, ხოლო ჯუბის ქვეშ — ლურჯი კომბინეზონი. ჭაღარა სულ ოდნავ შეჰპაროდა თმაში, თავზე კი არაფერი ეხურა. ის იყო უუფლებო არარაობად ქცეული მონა. უკვე თორმეტი წელია იჯდა, მაგრამ ლაგერში მირჭობილი მეორე ვადის გამო მის პატიმრობას დასასრული აღარ ულიმოდა. უნაყოფო ლოდინმა ჩამოახმო მისი ცოლი, რომელსაც უკვე ბევრჯერ ეწვნია დათხოვნა სამსახურიდან და ამჟამინდელიც რომ არ დაეკარგა, აილო და იცრუა, ქმარი საერთოდ არა მყავსო. ჰოდა, შეწყვიტა მიმოწერა სოლოგდინთან. თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი სოლოგდინს არასოდეს ენახა: როდესაც დააპატიმრეს, ცოლი ფეხმძიმედ ჰყავდა. სოლოგდინმა იგემა ჩერდინის ტყეები, ვორკუტის შახტები, გამოიარა ორი გამოძიება — ნახევარწლიანი და ერთწლიანი, რასაც განუწყვეტლივ დაჰყვებოდა უძილობა და მთელი ძალ-ღონის გასავათება. მისი სახელიცა და მისი მომავალიც უკვე დიდიხანია ჩაეწიხლათ ტალახში. მთელი მისი ქონება იყო — ნახმარი დაბამბული შარვალი და ბრეზენტის სამუშაო ქურთუკი, უარეს ჟამთა მოლოდინით საწყობში რომ ინახებოდა. ფულს იღებდა ოცდაათ მანეთს თვეში — სამი კილო შაქრის საფასურს, ოღონდ ამ ფულსაც კი არ აძლევდნენ ხელზე. სუფთა ჰაერით სუნთქვა შეეძლო მხოლოდ იმ დანესებულ საათებში, რასაც ციხის უფროსობა იმეტებდა.

და ურღვევი სიმშვიდე სუფევდა მის სულში. ჭაბუკივით უელვარებდა თვალები. ყინვას არ ეპუებოდა და მკერდი ადი-ჩასდიოდა სიცოცხლის ხალისით“.

როგორც ირკვევა, პანინი დაბადებულა 1911 წელს მოსკოვში, ადვოკატის ოჯახში. ძირძველი თავადური გვარის ნაშიერი გახლდათ და თავისი წარმოშობის გამო, რევოლუციის წყალობით, დაეკეტა უმაღლესი სასწავლებლის კარი. ჩვიდმეტი წლისამ დაამთავრა ტექნიკუმი და მუშად გამწესდა პოდოლსკის ცემენტის ქარხანაში. იმავდროულად განაგრძობდა სწავლას, ოღონდ დაუსწრებლად, და მოსკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში დაიცვა ინჟინერ-მექანიკოსის დიპლომი. მერე დაამთავრა ასპირანტურა და 1940 წელს, ის-ის იყო, დისერტაციაც უნდა დაეცვა, დააპატიმრეს იმ კაცის დაბეზღების შედეგად, ვისაც ახლო მეგობრად თვლიდა და მოსკოვის კომუნალური ბინის დერეფანში გულახდილად უზიარებდა თავის ნაფიქრალს. ანტისაბჭოთა ყბედობის გამო ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ლაგერში კი შეუთითხნეს საქმე შეიარაღებული ამბოხების ორგანიზაციაზე და ათი წელი დაუმატეს. ეს

ახალი ვადაც რომ მოიხადა, სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს კუსტანაის ოლქში (ყაზახეთი). 1956 წელს მოსკოვში დაბრუნების ნება დართეს. პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ კონსტრუქტორად. 1972 წელს გადასახლდა დასავლეთში, რათა დაესრულებინა ის ნაშრომები, რომლებიც ჯერ კიდევ პატიმრობისას ჰქონდა ჩაფიქრებული.

მთელი დარჩენილი სიცოცხლე ამ საქმეს შესწირა.

მოულოდნელად გარდაიცვალა 1987 წლის 18 ნოემბერს პარიზში.

აი, მისი ნაშრომების არასრული სია: „სიხშირეთა თეორია“ (ცდა ქრისტიანული ფილოსოფიისა, სადაც ავტორი, თანამედროვე მეცნიერების საფუძველზე, ასაბუთებს სამყაროს შექმნას შემოქმედის მიერ); „მარქსიზმის პოსტულატები და ბუნების კანონები“ (განხილულია მატერიის, სივრცისა და დროის, ცნობიერებისა და სიცოცხლის წარმოშობის მარქსისტული გაგება, რაც ეწინააღმდეგება ბუნების უნივერსალურ კანონებს); „სამყარო-ქანქარა“ (ავტორი კაცობრიობის განვითარებას უდარებს უზარმაზარი ქანქარის მოძრაობას, რომელიც უახლოვდება თავისი გაქანების საბოლოო წერტილს. საყოველთაო დოვლათის მიღწევასთან ერთად იწყება სულიერი ხრწნა, მაგრამ შესაძლებელია ახალი მსოფლწყობა, სადაც საყოველთაო დოვლათთან ერთად გაიზრდება სულიერი შესაძლებლობანი); „აღმაშენებელნი და დამანგრეველნი“ (შესწავლილია რუსეთის 1917 წლის კატასტროფისა და დასავლეთის სულიერი დაკნინების მიზეზები).

როგორც წერენ, პანინის ყველაზე სახელმოხვეჭილი თხზულება „ლუბიანკა-ეკიბასტუზი“ (ასე ეწოდება „სოლოგდინის ჩანაწერების“ მოსკოვურ გამოცემას, 1991 წ.) — რუსული ლიტერატურის ფენომენია, ტოლფარდი დოსტოევსკის წიგნისა „ჩანაწერები მკვდარი სახლიდან“.

ვიდრე სოლჟენიცინისეულ სოლოგდინს მივადგებოდეთ, თვალი შევავლოთ პანინის პორტრეტს მისივე ავტობიოგრაფიული წიგნის ფურცლებზე.

სულით ძლიერსა და უებრო ერუდიტს სრულიადაც არ ეჩოთირება თავის სუბიექტურ შეხედულებათა გამოთქმა. არ უფრთხის იმას, რომ შესაძლოა გაუნათლებელ უვიცად შერაცხონ.

გასული საუკუნის ოციან წლებში თურმე არ იზიარებდა თანატოლთა გატაცებას ესენინით, მაიაკოვსკით, პასტერნაკით.

პირველი ეჩვენებოდა გაუთლელ მიამიტად, მეორე — სძულდა გაშმაგებული საბჭოთა პოლიტიკური მიმართულების გამო, მესამე — მთქნარებას იწვევდა (დასძენს: პასტერნაკი, „ექიმ ჟივაგოს“ შექმნამდე, მთელი ოცდაათი წელიწადი საბჭოთა ქვაბში იხარშებოდაო).

პოეზია არ ესმისო, ვერ დასწამებთ. ძალიანაც კარგად ესმის, მაგრამ პირუთვნელი მსაჯული და მკაცრი შემფასებელია. პოეზიის იდეურ მხარეს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბჭოური (სტალინური) დამოკიდებულება აქვს ლიტერატურის მიმართ, ოღონდ მედლის მეორე, საწინააღმდეგო მხარე ხიბლავს. არც მალავს, რატომ არ ეჭაშნიკება მაიაკოვსკი და იმასაც მოგვითხრობს, თუ როგორ კითხულობდნენ, მისი დაკვეთით, კოპელევი და სოლჟენიცინი „საოცარი გაგებით“ და სიყვარულით მაიაკოვსკის რევოლუციამდელ პოემებს („შარვლიანი ღრუბელი“ — 1914 და „ფლეიტა-ხერხემალი“ — 1915), თუმცა ისინიც არ სწყალობდნენ პოეტ-ტრიბუნს.

კიდევ ერთი საგულისხმო შტრიხი პანინ-სოლოგდინის პორტრეტისათვის. ურყევი მონარქისტი და ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი კატეგორიულად ეწინააღმდეგება უცხო სიტყვების შეჭრას რუსულ ენაში. იგი პრინციპულად არ ხმარობს თუნდაც ისეთ საყოველთაოდ დამკვიდრებულ სიტყვებს, როგორებიცაა, ვთქვათ, კაპიტალიზმი, სოციალიზმი, დემოკრატია, კონსტიტუცია, დევიზი და ა.შ. ძველსლავურში ეძებს და პოულობს სათანადო მადანს. თუკი შემთხვევით წამოსცდა ტაბუირებული ანდა დროზე არ მოადგა პირში ადეკვატური სიტყვა, თავს იჯარიმებს: უნდა დახერხოს და დაჩეხოს შეშის დამატებითი პორცია („შარაშკის“ ინჟინერს, ცხადია, ფიზიკური შრომა არ ევალებოდა, მაგრამ ეს აუცილებლობად მიაჩნდა თავისი ჯანმრთელობისათვის).

პანინი თავის „სოლოგდინის ჩანაწერებში“ ეხება სოლჟენიცინის რომანის პერსონაჟთა მიმართებას თავთავიანთ პროტოტიპებთან და, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ სოლჟენიცინმა საკუთარი თავი დახატა უკიდურესი სიმართლითა და სიზუსტით.

პანინის აზრით, „გარსის“ ავტორი სრულიადაც არ იყო ვალდებული, შეექმნა რეალობის ფოტოსურათი, მაგრამ სოლჟენიცინისადმი საყვედურად ნუ ჩამითვლით, თუკი ვიტყვი, რომ რომანში გადმოცემული კამათი რუბინსა და სოლოგდინს შორის მართლაც მომხდარის ფერმკრთალი აჩრდილი არისო.

პანინი გვამცნობს ამ ფაქტის გამომწვევ გარემოებას. მისი სიტყვით, სოლოგდინი, როგორც შემტევი მხარე, იძულებული იყო, რომ ყველაფრისათვის თავისი სახელი დაერქმია და უკომპრომისოდ გაეთათხა სტალინური რეჟიმი. ეს იწვევდა ციხეშიც კი მართლმორწმუნე საბჭოთა ადამიანად დარჩენილი რუბინის განრისხებას და მკვახე პასუხებს, ვინაიდან, არსებითად, შეუძლებელია ამ სისტემის დაცვა და გამართლებაო. პანინი წერს, რომ ნებისმიერი კამათის გამო ერთს შეიძლება აეკიდა ოცდახუთწლიანი ვადა „ცილისწამებისათვის“, მეორეს კი — ათი წელი დაუბეზღებლობისათვის. ამიტომაც ძნელად თუ ღირდა აღწერა ამ კამათისა რომანში, რომელიც საბჭოთა ჟურნალში „ნოვი მირ“ დასაბეჭდად იყო დაწერილი (მაინც ვერ დაიბეჭდა) და რუბინ-სოლოგდინის კამათი „გარსის“ ფურცლებზე გადმოცემულია ძალზე შერბილებული ვარიანტითო.

ალბათ იშვიათი შემთხვევა უნდა იყოს, რომ პროტოტიპი შეფასებას აძლევდეს თავის გამოსახულებას მწერლის ნაწარმოებში.

პანინის მემუარების ერთი ქვეთავი ასეა დასათაურებული: „რეაბილიტაცია სოლოგდინისა“. ავტორი დაწვრილებით აღწერს თავის ნააზრევსა და ნამოქმედარს „შარაშკაში“ ყოფნისას და, ნაწილობრივ, უპირისპირდება სოლჟენიცინის მიერ დახატულ სოლოგდინს.

დასასრულ შენიშნავს: „სოლჟენიცინმა 1972 წელს ამერიკელი კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ არსებობს „გარსი პირველის“ მეორე, ჭეშმარიტი ვერსია. ვიმედოვნებ, რომ მას გამოსცემენ და სოლოგდინი რეაბილიტირებულ იქნება თვით ავტორის მიერ. კარიერისტად და მექალთანედ გამოყვანილი კაცი გადაიქცევა უფრო ღირსეულ და თავის პროტოტიპთან ახლობელ პიროვნებად“.

პანინის შედარება სოლოგდინთან, რა თქმა უნდა, ძალზე შორს წაგვიყვანდა. ერთადერთი შეიძლება აღინიშნოს, რომ პანინის მემუარების მიხედვით (რაც უთუოდ შეესაბამება სინამდვილეს), იგი, სოლჟენიცინთან ერთად სტოვებს „ჯოჯოხეთის პირველ გარსად“ მონათლულ შარაშკას, სადაც კარაქიან პურს მიირთმევდნენ მძიმე გონებრივი შრომის საფასურად, და ნება-უნებურად გასწევს კატორღულ ლაგერში, სადაც მღვრიე ბალანდა ელოდებათ მძიმე ფიზიკური შრომის საფასურად.

ხოლო სოლჟენიცინის რომანში სოლოგდინი, თავისი მათემატიკური ტალანტების წყალობით, თვითონ ხომ რჩება შარაშკაში, მაგრამ არც მეგობარს ივიწყებს და დაჟინებით მიმართავს, ჩემს ჯგუფში აგიყვანო, მაგრამ მომავალ ნობელიანტს თავისი ლიტერატურული გეგმები აქვს და, ამ თვალსაზრისით, კატორღა ურჩევნია კარაქიან პურს!

ეტყობა სოლჟენიცინი ფიქრობდა, რომ რომანში დახატულ სოლოგდინს ამგვარი საქციელი უფრო შეეფერებოდა. მხატვრულმა სინამდვილემ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სძლია ისტორიულ სინამდვილეს.

კეთილი და პატიოსანი, სოლოგდინი — სოლოგდინად, მაგრამ ცოცხალმა პანინმა ნეტავი რა დააშავა?!



*დიმიტრი პანინი*

### დაუჯერებელი, წარმოუდგენელი

ერთი სიტყვით, ეს პანინ-სოლოგდინი, ფრიად საინტერესო პიროვნებად წარმოგვიდგება თვალწინ, ლამის „თეთრი ყვავი“ უწოდო. ბიოგრაფიაც უნიკალური აქვს, მსოფლმხედველობაც, შემოქმედებაც. მაგრამ ვაითუ ბრძანოთ, მერე რა არის ჰეკუბა ჩვენთვის, ყველამ თავის მკვდარს მიჰხედოსო. ამიტომაც აუცილებელია აღინიშნოს, რომ თავისთავადი ღირებულების გარდა პანინის ნაწერები ერთი, თავისებური კუთხითაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

აი, პაწია ფრაგმენტი პანინის წიგნიდან „ლუბიანკა — ეკიბასტუზი“:

„ქართველებს, რომლებმაც რაღაცნაირად წინ გადაურბინეს სტალინს ან ბერიას, მუსრს ავლებდნენ სრული დაუნდობლობით, ისევე როგორც სხვებს. ჩვენს ლაგპუნქტში, ომის დროს, არსებობდა პატარა ქართული სათვისტომო. მის ბირთვს შეადგენდნენ ყოფილი ქართველი მენშევიკები. ერთ-ერთი მათგანი, მექანიკური სახელოსნოს საწყობის გამგე, გვარად ვაშაკიძე, 1924 წლიდან ჯახირობდა ლაგერებში. ეს ქართველები ჩემს მეხსიერებაში აღიბეჭდნენ მედგარ, გულად, საიმედო ადამიანებად. მათ ბუნებაში იყო რაღაც რაინდული. „ჩემი ღირსების მეტი აღარაფერი დამრჩენია ამქვეყნად!“ — თქვა ერთხელ ვაშაკიძემ“.

რატომაც არ უნდა გვეამებოდეს და გვეამაყებოდეს პირუთვნელი მოწმის ნათქვამი, იმ კაცის ნათქვამი, თავად რომ გამოირჩეოდა რაინდული ბუნებით. მისი ნათქვამი შორსა დგას ყალბ სადღეგრძელოთა კრებულიდან, ეს დაშაქრულ-ენამოჩლექილი ხოტბა როდია, რითაც ყურები გვაქვს გამოჭედილი.

მაგრამ პანინის მემუარებში მოიპოვება კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც იდუმალებითაა მოცული, ჩვენს ცნობისმოყვარეობას აღვიძებს და დაჟინებით მოითხოვს ამოხსნას.

1947 წლის სექტემბერში, ვორკუტაში პანინს გაუცნია ერთი ქართველი კაცი:

„იგი საოცარი სილაღით ლაპარაკობდა, თუმცა ცხადი იყო, რომ არც პროვოკატორი ბრძანდებოდა და არც ჩამშვები. ისეთ მოულოდნელ რაღაცეებს მეუბნებოდა, რასაც მხოლოდ გამომძიებელს ახლიან პირში, როცა გამოუტეხლობას უკვე ყოველგვარი აზრი ეკარგება, და ანგარიშს უსწორებ ხელისუფლებას, ამით ბრალსა სდებ. ჩვეულებრივ გარემოში ასეთ თემებზე პირველ შემხვედრს როდი გაესაუბრებოდი, არამედ იმას, ვისაც კარგად იცნობ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი ორი დებულება. ჯერ ერთი, იგი აერთიანებდა ქრისტიანობას და დემოკრატიას, ამტკიცებდა: ეს ორივე ღირსება ადამიანში აუცილებლად უნდა შეთავსდესო. მეორეც, იგი მარწმუნებდა: სტალინი თქვენი, რუსული ქმნილებაა და თუმცა წარმოშობით ქართველია, საქართველო მას არ აღიარებს, უკუაგდებს და განდიდებით კი სწორედ თქვენ, რუსებმა, განადიდეთო. ქართველების მიმართ არავითარი პრეტენზიები არ უნდა გქონდეთ, ყველაფერში დამნაშავენი თავად თქვენა ხართო. თქვენ, რუსები, ქართველებად რომ დაბადებულიყავით, ასეთი ძალაუფლება სტალინს არასოდეს ექნებოდაო“.

ამის მსგავსი რამ სადმე წაგიკითხავთ? გაოგნებული პანინი განაგრძობს:

„სტალინიზმის ხანაში ამგვარი გულახდილი გამოხდომა, მსგავსი ზემოთ აღწერილისა, ნიშნავდა თვითმკვლელობას. ჩეკისტები ასეთ თავზე ხელაღებულ კაცს, უეჭველად, მონათლავდნენ ტერორისტთა მთელი ორგანიზაციის თავკაცად. ეს კი გამოიწვევდა კიდევ რამდენიმე უდანაშაულო ადამიანისა და, სავსებით შესაძლებელია, მისი ოჯახის დაღუპვას“.

ავტორი იქვე განმარტავს, თუ რატომ ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვორკუტაში გაცნობილი ქართველი კაცის ლაღ ბუნებასა და გამბედაობას. და ვკითხულობთ გამოცდილი ტუსაღის უაღრესად გულწრფელ აღსარებას, მონანიებისა და ლამის თვითგვემის ელფერი რომ დაჰკრავს:

„იმ დროისათვის უკვე დიდი ევოლუცია განვიცადე. მე, სიმართლისა და თავისუფლების ტრფიალი, ესოდენ უმძიმეს პირობებში სიცოცხლისათვის უწყვეტი ბრძოლის

ზეგავლენით იმდენად მივეკარი მიწას, თავი ჩავრგე შიგ, გადავეჭდე, ისე მივუსადაგე ჩემი სულიერი და გონებრივი ნირი ყოველდღიურ შეხლა-შემოხლას, რომ დავემსგავსე მკვიდრს პირველყოფილი ჯუნგლებისა, სადაც ყოველი გაფაჩუნება მოასწავებს სიკვდილს, დაღუპვას, ვიღაცის თავდასხმას. ასევე იყო აქაც. ყოველ წუთას უნდა უფრთხოდე ზედმეტ სიტყვას, არასწორ მოძრაობასა და ჟესტებს. შენ შეიძლება გაგყიდოს, ცილი დაგწამოს კაცმა, ვისთვისაც ერთი სიტყვაც კი არ გითქვამს. ნებისმიერ მასალას ღებულობდნენ, ყველაფერს იყენებდნენ — აქ ხომ ადამიანთა განადგურება მიმდინარეობდა. ბუნებრივია, რომ მას შემდეგ, რაც გავიარე ლაგერების მკაცრი შვიდწლიანი სკოლა, ესოდენ გულახდილი გამოსვლა ქართველი პროფესორისა იმდენად დაუჯერებელი მეჩვენა, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუკი შეიძლებოდა ლაპარაკი ასეთი სილაღით".

პანინი განაგრძობს:

„ჩვენი საუბარი საკმაოდ ორიგინალური ხერხით განყვიტეს. ერთ-ერთი ზედამხედველი მიუახლოვდა ქართველ პროფესორს და უთხრა: „გეყოფა! კიდევ ილაპარაკებ და კარცერში ჩაგაყუდებ". ჩემი ახალი ნაცნობი შეკრთა და უჩუმრად გაეშურა თავის ბარაკში, ტახტზე წამოწვა და მეტი აღარ მინახავს. ჩანს, კარცერში ჩამწყვდევის პერსპექტივა არ ეჭაშნიკებოდა. მე კი ველარ მომიხერხდა გამეგო მისი შემდგომი ასავალ-დასავალი... ამ ქართველი პროფესორის შესახებ მეტი აღარაფერი მსმენია, მაგრამ ჩემს ცნობიერებაში სამუდამოდ ჩაიჭედა ჩვენი შეხვედრა. ასეთი საზარელი გარემო და მასთან შეგუება იწვევს მონური კომპლექსის გაჩენას. ერთნი ხდებიან მონები, სხვები, უფრო ძლიერნი, იმდენად ხვეწენ თავიანთ აზრებს და გრძნობებს, ზედმეტი არ წამოგვცდესო, ვინმე არ დავაეჭვოთო, რომ კარგავენ თავისუფალი და გულახდილი ნება-სურვილის გამომჟღავნების უნარს. მაგრამ განა საჭიროა, ასე გაქელო საკუთარი თავი? არა სჯობია, რომ უბრალოდ გამოაცხადო, ამ ქართველი პროფესორის დარად, შენი შეხედულებანი და მერე მოხდეს, რაც მოსახდენია?!"

დაუჯერებელი და წარმოუდგენელიო — ასე აფასებს პანინი, თავად თამამი და ლაღი პიროვნება, „ქართველი პროფესორის" გულახდილობას და ზღვარგადასულ გამბედაობას.

კონცლაგერის ტუსაღი, ფაქტობრივად შებორკილი კაცი და სულიერად — ესოდენ განბორკილი, ესოდენ უშიში, ვითარცა უხორცო (როგორც იტყოდნენ ძველად). რა იცის, ვის ელაპარაკება? განა შუბლზე ეწერა პანინს თავისი ვინაობა და რაობა?

ძალზე რისკიანად იქცეოდა. ცეცხლს ეთამაშებოდა. ამგვარ მგზნებარე მონოლოგს ვინ გაბედავდა, როდესაც აგერ ვარლამ შალამოვს, კოლიმის ტუსაღსა და მემატიანეს, 1943 წელს, გაგანია ომის დროს, ახალი ათწლიანი „სროკი" აჰკიდეს მხოლოდ და მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ხმამაღლა გამოაცხადა ლაგერში: ივან ბუნინი დიდი რუსი მწერალი არისო (გამომძიებელმა აუხსნა, რომ ბუნინი იყო ავყია და გაბოროტებული ემიგრანტი).

ეს კი ანტისაბჭოთა მონოლოგს წარმოთქვამს ახალგაცნობილ ტუსაღთან ისე გულარხეინად, თითქოსდა პარიზში ან ბერლინში იმყოფებოდეს!

განა ბუნებრივი არაა, რომ დავინტერესდეთ — ვინ არის ეს კაცი, რა ჰქვია, რა გვარისაა? სამწუხაროდ, პანინი არ გვაწვდის არც სახელს და არც გვარს. ალბათ თვითონაც არ იცის.

კერძო საუბარში როსტომ ჩხეიძემ გამოთქვა ერთობ მახვილგონივრული ვარაუდი, ეს „ქართველი პროფესორი" ეგებ ლევან გოთუა იყოსო.

თავდაპირველად შეიძლება გემცხეთოს კიდეც ამგვარი ვარაუდი იმ მარტივი გარემოებისა გამო, რომ პანინი გარკვევით მოიხსენიებს ვორკუტაში გაცნობილ კაცს „ქართველ პროფესორად" (ორჯერ!) და ისიც დღესავით ნათელია, რომ ლევან გოთუა არასოდეს ყოფილა დამძიმებული ამ სოლიდური ტიტულით.

მაგრამ როცა ყველაფერს აწონ-დაწონი, ძალზე იოლად გადასალახავი მოგეჩვენება ზემოთქმული დაბრკოლება.

ადვილი დასაშვებია, რომ ლაგერის მკვიდრთ ინტელიგენტი კაცი მოენათლათ „პროფესორად" და არც ის არის გამორიცხული, რომ ლევან გოთუას, ნაცვლად საკმაოდ ბუნდოვანი „მწერლისა", თავის წოდებად აერჩია „პროფესორი", რაც უფრო გასაგები იქნებოდა ლაგერის ჭრელ-ჭრულა კონტინგენტისათვის.

ძნელია, ანკეტური სიზუსტე მოსთხოვო მემუარების ავტორს.

როდესაც ეცნობი ვორკუტაში ლევან გოთუას ყოფნის ამბავს, ბევრი რამ გხვდება ისეთი, რაც „ქართველი პროფესორის" პანინისეულ პორტრეტს ეხმიანება და ემსგავსება კიდეც.

და ეს მსგავსება იმგვარი როდია, ვთქვათ, ორივეს შავი თმა ჰქონდაო.

გაცილებით მჭევრმეტყველი მსგავსებანია.

თბილისი, 1946 წელი. ლევან გოთუა: „დასაკარგი უკვე არაფერი მქონდა, ჩემი ბედი გადაწყვეტილი იყო. ის კი მახსოვდა, ჩემი ყვირილი როგორ ხანჯალივით ხვდებოდათ გულში, ამიტომ , რაც ძალი და ღონე მქონდა, ვყვიროდი: ჩემი წარსულით მე ვამაყობ, როგორც სხვა ბევრი თქვენგან დაჩაგრული და განამებული საქართველოს ნამდვილი შვილი. თქვენ კი გარეწრები, სკამის კაცუნები და ამქვეყნის არარაობანი ხართ! უსათუოდ მოვა დრო და თქვენ ყველაფერზე აგებთ პასუხს. გგონიათ, რომ შეგრჩებათ უმიზეზოდ ამდენი ხალხის წვალება?"

ასე მიუმართავს საქართველოს შინსახკომის მბრძანებლისათვის. გაცოფებული დიდმოხელე სკამიდან წამომხტარა და დაუბღავლია: „ეს არასოდეს არ მოხდება!"

პანინიც ხომ ამას ამბობს — ასე ლაპარაკობენ, როცა აღარაფერი აქვთ დასაკარგავიო.

კიდევ ერთი მოწმობა გასაიგივებლად: „მე — სამშობლოს მოღალატე? ჩემი სამშობლო საქართველოა, მისი მოღალატე არასდროს არ ვყოფილვარ და არ ვიქნები. ამ წყობის კი რა მოგახსენოთ, მე ამ წყობის მოწინააღმდეგე ვიყავი და ყოველთვის ვიქნები".

ვორკუტაში 1951 წლიდან გამწესებული მშენებელ-ინჟინრის სანდრო ჩიკოიძის მოგონების მიხედვით, ლაგერში მყოფ ქართველებს ერთპიროვნული „პატრიარქი" და ზნეობრივი კანონმდებელი ჰყოლიათ ლევან გოთუას სახით. თურმე მისი „გავლენის ველი" ქართული

სათვისტომოს ფარგლებს სცილდებოდა და ვრცელდებოდა ყველაზე (ეროვნების მიუხედავად), ვინც მას იცნობდა. როგორც ირკვევა, ლევან გოთუას ანგარიშს უწევდა ლაგერის ადმინისტრაციაც და მაღაროთა სამმართველოს ხელმძღვანელობაც. მის გავლენას განაპირობებდა მისი სულიერი ბუნება, ხაზგასმული ადამიანურობა, სირბილე და ტაქტი, მორალური სისპეტაკე და მუდმივი მზადყოფნა მოყვასთათვის დახმარების გაწევისა.

ალბათ ამიტომაც უთქვამს ლევან გოთუაზე ერთ არაქართველ კატორღელს: „ეს ის ადამიანია, ვისაც სინდისი ცრემლზე უფრო სუფთა აქვს“.

ქართველი მწერლის ეს ნიშან-თვისებანი განა არ მიესადაგება პანინისეულ „ქართველ პროფესორს“?

მოვლენათა შინაგანი ლოგიკა ადასტურებს როსტომ ჩხეიძის ვარაუდს, მაგრამ ამასობაში მეორე, „პროფესორობაზე“ უფრო სერიოზული დაბრკოლება წამოგვეჭრება, თუკი ქრონოლოგიასაც დავაკვირდებით.

როგორც ზემოთ ითქვა, პანინმა გაიცნო ზემოხსენებული ქართველი კაცი 1947 წლის სექტემბერში, ხოლო იმავე წლის ოქტომბრიდან იგი იმყოფება მოსკოვის გარეუბანში განლაგებული „შარაშკის“ ტერიტორიაზე.

ლევან გოთუას ერთი კერძო წერილიდან კი ირკვევა ვორკუტაში მისი ჩასვლის თარიღი — !948 წლის 1 თებერვალი.

ამ თარიღის უტყუარობას ცოტათი მაინც შეანჯღრევს ვორკუტის მე-16 მაღაროს (სწორედ იქ მუშაობდა ლევან გოთუა) მთავარი ინჟინრის თამარ ჯაფარიძის მოგონება: „ლევანის შესახებ ქართველებმა მიამბეს, ვორკუტაში რომ აღმოჩნდა 1947 წელს, სასიკვდილოდ განწირული ყოფილა“.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ პანინისეული „ქართველი პროფესორისა“ და ლევან გოთუას პორტრეტული მსგავსება საკმაოდ დამაჯერებელია.

ამასთან ერთად, თამარ და ალექსანდრე გოთუების დასახელებული წიგნის იმ თავში, რომლის სათაურია „ქართველები ვორკუტაში 1946-1955 წლებში“ არავინ არა ჩანს, რომ გავაიგივოთ „ქართველ პროფესორთან“.

ნიშა ვაკანტურია. და აგერ, გვევლინება კაცი, რომელიც სწორედ ვორკუტაში იმყოფებოდა და მთელი თავისი ბუნებით, სულისკვეთებით, ქცევით შეესაბამება ანონიმ „ქართველ პროფესორს“.

თვალი უნდა დახუჭო უმცირეს ქრონოლოგიურ შეუსაბამობაზე, ვინაიდან დანარჩენი უფრო მკაფიოდ იკვეთება და თვალსა გვჭრის თავისი სიმართლით.

რაც არ ეკუთვნის, იმას ხომ არ ვანიჭებთ?!

მთელი გულაგის არქიპელაგის უზარმაზარ ტერიტორიაზე რომ იყოს საძებარი ეს „ქართველი პროფესორი“, სულ სხვა საქმეა, მაგრამ როდესაც დაკონკრეტებულია ვორკუტა, როგორ უნდა დაუშვა ამ ერთ წერტილზე ორი ესოდენ გამორჩეული ქართველის არსებობა?

რკინისებურმა ლოგიკამ განა არ უნდა დაამარცხოს მყიფე ქრონოლოგია?

განა ასე არ დაბადებულა არაერთი ლეგენდა ჩვენი სამშობლოს თუ მთელი მსოფლიოს ისტორიაში?!

ვინ აკვირდება ლეგენდებს გამადიდებელი შუშით?

თუკი ვენდობით ზემოთქმულ ვარაუდს და მოყვანილ მტკიცებულებებს, კიდევ ერთი ძალზე მეტყველი შტრიხით გამდიდრდება დიდებული ქართველი მწერლის სულიერი პორტრეტი.

ეპისტოლე

## მოყვასის სიყვარულის აუცილებლობა

პოეზია უნდა იყოს თამაში და გრამატიკა... სჭირდება ლექსს გულწრფელობა?..

ხშირად გავცნობივარ და წამიკითხავს მსგავსი მოსაზრებანი უახლეს პოეზიაზე, ცხადია, თანამედროვეთაგან, რომელთაც შეკითხვებს უსვამენ ხოლმე ანდა თვითონ მიაჩნიათ, რომ მოდური სიახლეები ხელოვნებაში მხოლოდ მათ ეკითხებათ, ყველამ მხოლოდ მათ უნდა დაუგდოს ყური... როგორც წესი, ეპატაჟურ თეორეტიკოსთა რიტორიკული შეკითხვა შეუვალ პასუხს ანუ პათეტიკურ-ამბიციურ განმარტებას იქვე გულისხმობს, ამიტომაც ცოტათი ირონიასაც იწვევს; თუმცა როგორც იტყვიან, ეს სხვა საუბრისთვისაა...

მე კი, როგორც მკითხველსა და გაუბედავად გამომხატავს პოეზიის სიყვარულისა (ცხადია, გულწრფელობა მალაპარაკებს და არა ცრუდ განაზებული მოკრძალება), მგონია, რომ რჩეული პოეტური სიტყვა უნდა იყოს მართალი, გულიდან ამოჭრილი, წამისყოფით ნუგეშის, სინანულისა და სევდის მაზიარებელი. რა თქმა უნდა, წყობილსიტყვაობითაც მომხიბლაობას და სინატიფეს უნდა მიაახლებდეს ნებისმიერ მომლოდინეს.

ნინო დარბაისელის ლექსმა „მათე-პამპულას“ („ჩვენი მწერლობა“ 13) მაიძულა, რათა ეს სიტყვები მეთქვა და მადლობა მომეხსენებინა პოეტისათვის.

ეს ქალბატონი თვალისჩინივით უფრთხილდება ყმაწვილქალობიდანვე მინიჭებულ გამორჩეულობას. ნინო დარბაისელის ლექსებიდან უხვად იფრქვევა ჩვეულებრივი მოკვდავისთვის გასაგები ემოცია და ყოველივე სიტყვის მომჭირნეობით, ფრაზის სისადავითა და გამჭვირვალებით არის საწადელმიღწეული. ეს მისი საკუთარი ხმაა, ნიჭიერებასთან ერთად შრომისმოყვარეობა და გაფაციცებული გულმოდგინება რომ მომადლებია.

გული და გონება თანაზიარია მის სათქმელში. ქალბატონი ნინოს პროფესიონალიზმი და პოეტური გონება სწორედაც რომ ასოცირდება გვარში — დარბაისელი.

„მათე-პამპულა“ ამ თვალსაზრისით მომნუსხავად შთამბეჭდავია. ყველაფერი უკვე თქმულა, გამოუხატავთ... და მაინც, მომეტებული ტვინისჭყლეტით თუ არ გადავაწებებთ ერთმანეთს „პარალელებს“, ადამიანური ტრაგიზმით დასეტყვილი ეს ლექსი არყოფნისაკენ კი არ ეწევა მკითხველს, მოყვასის სიყვარულის აუცილებლობას შეახსენებს; მოვიცალოთ მიწიერ-ფარისევლურ საზრუნავთაგან და თვალი მივადევნოთ საწყალ კაცს — სათნოსა და მიმტევებელს, ყველას რომ „თვალებში შესციცინებდა“ — „პამპულას“ რომ ეძახდნენ, მათე კი რქმევია, „მაცხოვრის მადლითა“ და ლურჯი კედლებით მიწა ეს-ესაა რომ გადალახა და ღრუბლებს მიღმა, „სხივოსანმა ზეცამ“ შეიკედლა...

გმადლობთ, ქალბატონო ნინო, და მენანებით, გული ცხოველი ტკივილით რომ ამოგიკაწრავთ. თუმცა რაა სიტყვა უტკივილოდ, რაა პოეზია უმძაფრესი განცდების გარეშე?..

*თქვენი და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“*
*ერთგული მკითხველი*

**ანა ჯუღელი**

*ბაღდათი*

ლია კუხიანიძე

# ადვილია თუ არა, იყო მოსწავლე

## ანუ

## როდის დადგება ჟამი არჩილ ჯორჯაძისა?!

უკაცრავად, გამომრჩა, უნდა დამეწერა, „ადვილია თუ არა, იყო ქართველი მოსწავლე ანუ როდის დადგება ჟამი არჩილ ჯორჯაძისა?!", რადგან ზოგადად მოსწავლესა და ქართველ მოსწავლეს შორის განსხვავებაა, განსხვავების მიზეზი კი სათაურში გამოტანილ კითხვა-ნატვრაში მდგომარეობს.

21-ე საუკუნეს საქართველო დამოუკიდებელი შეხვდა, მაგრამ ამის გამო ქვეყნის გართულებულ-დამძიმებულმა მდგომარეობამ კიდევ ერთხელ ცხადყო: ისტორიისაგან მოვლენების საბედისწერო გამეორებანი ისევე ჩვეულებრივია, როგორც მისივე მწარე გაკვეთილებიდან - ცოდნის მიუღებლობა.

მე-20 საუკუნის ტრაგედია იმით დაიწყო, სატანის იდეოლოგიით ტვინშებრუნებულმა ქართველებმა „ილია რომ მოჰკლეს და საქართველოც ზედ მიაყოლეს" (ოთარ ჩხეიძე), საუკუნის ბოლოს კი ტვინშებრუნებულთა შთამომავლობამ მონობის უღლის „სასიამოვნო" სიმძიმის მერე „სიმსუბუქე ვერ იგუა, პირველი პრეზიდენტი ვერ იგუა. პირველი — ბაგრატიონთა მერე რუსთა მორჩილების მერე, პირქვე დაამხო, ჩაჰქოლა, თან ჩაატანა ენა, მამული, სარწმუნოება" (ოთარ ჩხეიძე)

სიმართლე ისევ ტყუილის ჩრდილმა დაფარა. მოღალატეები გმირები გახდნენ. ისევ იმარჯვა იმ ძალამ, ბაზალეთის ტბის ძირიდან ოქროს აკვნის ამომტანი მკლავი რომ უნდა დაადუნოს და ვაიქართველებისაგან ლირსებააყრილი სამშობლო ხელში ჩაუგდოს „უცხო ხალხს", რომელმაც მერამდენედ „... ქართლის ბედი ბურთსავითა სათამაშოდ წინ გაიგდო" (ილია).

ძნელია ამ დროს იყო მოსწავლე, მით უფრო, ის ქართველი მოსწავლე, რომელიც ხედავს, მისი სულის დასაპყრობ-დასამორჩილებლად კონკისტადორებივით ცეცხლითა და მახვილით რომ ებრძვიან ყველაფერს, რაც ეროვნულ თვითშეგნებასა და მეობას განსაზღვრავს.

ის ძალა, რომლის მიზანი პლანეტის მართვა-გამგებლობაა, განსახორციელებელ პროგრამას არ ფარავს, სასურველის მიღწევას ადამიანის ტვინის შეცვლით, თაობების შერყევა-დაპირისპირებით, ახალგაზრდობის გარყვნით, მათი გავლენის აგენტებად და კოსმოპოლიტებად ქცევით, ზნეობრივი ფასეულობების ყალბი ჩანაცვლებით, გრანდიოზული მასშტაბების ტრაგედიების გათამაშებით, რომელსაც მოჰყვება ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხის დაღუპვა, მისი თვითშეგნების შეუქცევადი დაქვეითება და საბოლოოდ გაქრობა, მათი ეკონომიკის სტაგნაცია და განადგურება. თეატრში, კინოსა და პრესაში ადამიანთა ქვენა გრძნობების ასახვა-განდიდებით, ეკლესიისა და ოჯახის დამცირება-შეურაცხყოფით, იმ ადამიანების, ვინც ხვდება, რაც ხდება, ცილისმწამებლად, საზოგადოების მტრად, სასაცილოდ და აბუჩად აგდებით აპირებს.

როგორ, რით, ვისი და რისი იმედით უნდა დაუპირისპირდეს ამღვრეულ დროში ამ საშინელებას ჩვენნაირ ყოფაში ჩავარდნილი ერი, რა თქმა უნდა, იმის დაცვით, რასაც ებრძვიან. ისევ იმის ერთგულებით, საუკუნეების წინ ჩვენმა სულგანათლებელმა წინაპარმა „ჩვეულებისამებრ მამულისაი სლვაი" რომ უწოდა. სამ სიტყვაში გამოხატული, ძველისძველ, ათასბრძოლაგადახდილ ციხე-სიმაგრესავით ცნობიერების სიღრმეებში რომ მიფარებულა. მის მაღალ გოდოლებზე დაუღალავ ფხიზელ გუშაგებად დგანან მღელვარე მოლოდინით დაბინდულ სივრცეს თვალმიბჯენილი დიდი მამულიშვილნი, რათა მათკენ თავის საშველად წამოსულ ქართველს კარი დროზე გაუღონ იმის იმედით, თავდაცვის შემდეგ შეტევის ჟამიც დადგებაო.

პათეტიკაა?! ვისთვის როგორ, ისევე, როგორც ქართველების ერთი ნაწილისთვის გმირი დღესაც ისაა, „ვისშიც ერი ჰპოვებს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონესა და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითსა" (ილია), მეორესთვის კი გმირი და ტომის ბელადი-სინონიმებია.

„მე შინაგანი ხმა მიმიწევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ არა ხარ ახლანდელი მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არ მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილ ადგილას. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ!.."

წერილის თარიღს მნიშვნელობა არა აქვს, ეს მთელი მე-19 საუკუნის საქართველოს ოცნებაა. საქართველოს სჭირდებოდა კაცი, რომელიც გაიყვანდა მას ეროვნული მონობის ღრე-კლდიდან" (აკაკი ბაქრაძე „XIX საუკუნე").

...და არა მარტო მე-19 საუკუნის საქართველოსი, რადგან მარად საოცნებო მიზნის — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ — ჯიუტად მიმსწრაფ ქართველებს მტრისგან საგანგებოდ შექმნილ „მორალური ტემპერატურის" პირობებში გაშლილ-გაფურჩქნული მანკიერებების ზეობის დროს კიდევ უფრო უმძაფრდებოდათ მოლოდინი და იმედი გმირის, ზნეობრივი გმირის გამოჩენისა, რომელიც რუსთაველის ავთანდილის, ვაჟას „კაი ყმის", ილიას „ვაჟკაც იგია..."სა და ზვიად გამსახურდიას იდეალის, გრიგოლ ხანძთელის თვისებათა განსხეულება იქნებოდა და რომლის თავგანწირვა მოყვასისადმი გვირგვინად დაადგებოდა მისი წყალობით მონობის ღრე-კლდიდან გამოყვანილ მშობელ ერს.

ოცნების ასრულების მოუთმენლობას ბევრჯერ აუბნევია თავგზა მრავალსაუკუნოვანი მონობით დაღდასმულ ქართველთათვის, რომელთა მთავარი ტრაგედია სწორედ „ტრაგედიის განუსჯელობა" (ოთარ ჩხეიძე) გახლდათ, შედეგი — ფსევდოგმირის ცნობა გმირად და მიზნის მიღწევის კიდევ უფრო შორს გადაწევა.

ძნელია დღევანდელ საქართველოში ქართველობა, მით უფრო, მოსწავლეობა, თეთრის შავისგან გარჩევა, ჭეშმარიტებისა — სიცრუისაგან, არ დასაჯერებლის არ რწმენა, თვალის არ მოჭრა ვითომ სასკოლო რეფორმის ბრჭყვიალებით, ყურმოჭრილი მონის გულმოდგინებით რომ გადმოუღიათ უცხო ქვეყნიდან, რადგან მისალებ გამოცდებში უნარჩვევების წარმატებით ჩამბარებელი, ამით გრანტმიღებულ-გაბედნიერებული ვერ მიხვდე, არც დაფიქრდე, რა განსხვავებაა და რატომ, გამოცდების ე.წ. ეროვნულობასა და იმ საფანელს შორის, ილიას მთავარზე მთავრად რომ მიაჩნდა ქართველი ახალგაზრდისათვის: „ცარიელი ინჟინრობა, მკურნალობა, ადვოკატობა იმას არ მოასწავებს, რომ კაცი განათლებულია, კაცური კაცია, ერის სულიერი ძალ-ღონის მანიშნებელია და ერთობ ბურჯია, რომელზედაც შესაძლოა ერმა თავისი ნატვრა პირველობისა და უპირატესობისა დაამყაროს. აქ გარდა დიპლომისა, სხვა საფანელი უნდა".

სხვა საფანელი კი ისაა, საფუძვლად რომ დაედება ცხოვრებისგან ცომივით მოსაზელ ახალგაზრდა ქართველს და მისგან განათლებულ, ერის სულიერი ძალ-ღონის მანიშნებელ კაცურ კაცს გამოიყვანს, ერს ბურჯად რომ შეუდგება. რატომ არ არის დღეს „განათლების მამების" სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ საკითხისადმი ისეთი, ქვეყნისათვის აუცილებელი რომაა, გამგებთათვის ისევე ცხადია, როგორც ის, წამავალ-წამომავალმა წყალმა ქვიშანიც თან რომ არ გაიყოლოს, საფანელის დამდებ, ერის მოჭირნახულე ქართველთაგან განსაკუთრებული ღწვა სჭირდება.

ამ განსაკუთრებული ღწვის ერთი დღე იყო 2008 წლის 7 ივლისი, ორშაბათი, რომლის შესახებ ჟურნალი „ჩვენი მწერლობა" იუწყებოდა, რომ სწორედ ამ დროს, 13 საათზე, დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელობის მონამეთის ტაძარში გადაიხდებოდა პანაშვიდი დიდი ქართველი მწერლისა და პოლიტიკოსის არჩილ ჯორჯაძის სახელზე და აგრეთვე მისი დების ნინოსა და ლიზას, რომელნიც მდინარე წყალწითელაზე აღესრულნენ.

ეს იყო მართლაც განსაკუთრებული დღე იმ ურთიერთობისა, რომელიც აკავშირებს ბატონ როსტომ ჩხეიძესა და ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის უფროსკლასელებს. დღე, რომელსაც კიდევ უფრო კარგად უნდა დაენახვებინა მათთვის, ასეთი შეხვედრებით რა გულმოდგინებითა და რუდუნებით წვრთნიან და ამზადებენ იმის გაასანალიზებლად, „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც".

ამის გამო იყო არაჩვეულებრივი 7 ივლისის ზაფხულის დილაც, მზეც, ბზის სურნელით ავსებული ტაძრისკენ ფეხით გასავლელი ნაცნობი გზაც, წყალწითელას ულამაზესი ხეობაც, რაღაც დიდთან შესახვედრად შემამზადებელი იდუმალი სიჩუმეც.

ბატონი როსტომი თავის მეგობრებთან ერთად ჩვეული სიზუსტით დათქმულ დროს მობრძანდა. ჩატარდა პანაშვიდი, რომელსაც მოჰყვა მამა გიორგის მიმართვა ახალგაზრდებისადმი, რომელმაც ყველაფერი კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადა.

შემდეგ კი წყალწითელას პირას, იაზონის ცნობილ მღვიმესთან, იქ, სადაც დედ-მამის, ოჯახის მეგობრებისა და პატარა ძმის თვალწინ დაილუპნენ გოგონები ნინო და ლიზა, მდინარისა და ჩიტების ხმის ფონზე ჩატარდა არა ლექცია არჩილ ჯორჯაძეზე, არამედ იყო გამდობა იმ ერთი რამის სიყვარულისა, ლაპარაკი ცოტა რომ უხდება, საქმე კი — ბევრი.

ბატონმა როსტომმა არჩილ ჯორჯაძის ცხოვრების ქრონიკა (რომელზეც 600 გვერდიანი წიგნი „წერილები იტრიის წისქვილიდან" შექმნა) ისეთი ლაკონურობით, სიღრმითა და სისავსით წარმოადგინა, სულგანაბულ მსმენელს ისე დაუხატა და გადმოსცა მაშინდელი ეპოქის მუხტი და სულისკვეთება, დაუხასიათა ქართული პოლიტიკური სპექტრი, წარმოაჩინა პრობლემები, სამშობლოს შეწირული თუ მოღალატე ქართველნი, რომ ამ ყველაფრიდან თავისთავად ამოიზარდა უმთავრესი, სახება იმისა, „ვისშიც ცხოვრობდა საქართველო და საქართველო აცოცხლებდა მას, მისთვის სევდიანს, მისთვის ტანჯულს" (ვახტანგ კოტეტიშვილი). ვისაც ამ შეფასებამდე უნდა გაევლო საოცარი გზა ქართულ და ქართველობადავიწყებული, მსოფლიო მოქალაქედ თავის ჩამთვლელი, დედის არ მომგონებელი და დედინაცვლის დამფიცებელი, ტოლსტოველობის უტოპიურ იდეებში გაბნეულ-დაბნეული არჩილ ჯორჯაძიდან, დიდი ქართველის, თედო სახოკიას (რომელსაც „ენანებოდა ამხელა ერუდიცია, ამხელა ტალანტი, ამხელა გამჭრიახობა, ამხელა სულიერება ტოლსტოველობის ქადაგებებში ჩაშრეტილიყო". რ. ჩხეიძე) მეცადინეობით გონზე მოსულ, „ჯიუტი ნებისყოფით მშობლიური ენისაკენ გზა გამოკვლეულ", ფენიქსივით თავის თავში არა მარტო ქართველად აღმდგარ, არამედ ზნეობრივ გმირამდე ამაღლებულ არჩილ ჯორჯაძემდე. მისი სულიერი შემობრუნება ასე რომ ჰგავდა ასევე უძღები შვილის დაბრუნებას, „გასავათებული და სინანულით შეპყრობილი რომ უბრუნდებოდა ჭეშმარიტ მამას, მოჩვენებითი მამის ნაცვლად, ილია ჭავჭავაძეს — ლევ ტოლსტოის მაგივრად" (რ. ჩხეიძე).

ვინ იფიქრებდა მაშინ, როცა მიხაი ზიჩი „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციებს ქმნიდა და ერთ-ერთში, თამარის ტახტთან შეკრებილ დიდებულებში მდგარ, მეფისათვის „ვეფხისტყაოსნის" მიმრთმევ მუხლმოდრეკილი რუსთველის შემყურე სურიანი ბიჭით პატარა არჩილის სახეს რომ უკვდავყოფდა, გავიდოდა სულ რაღაც სამი ათეული წელი და ის თვალებანათებული მართვე ისე დაფრთიანდებოდა, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წინამძღოლი გახდებოდა და სულაც დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს პრეზიდენტად იგულვებდნენ.

როსტომ ჩხეიძემ იმ დღეს, წყალწითელას ნაპირზე, მსმენელებს მარტო ტრაგიზმი კი არა აგრძნობინა იმისა, რაც 41 წლის არჩილ ჯორჯაძის უდროო სიკვდილმა დამართა ქვეყანას, არამედ მისი გარდაცვალებიდან თითქმის 100 წლის შემდეგ, 21-ე საუკუნის ახალგაზრდა ქართველებს მასში ის სულიერი ორიენტირი და ზნეობრივი

გმირი აღმოაჩენინა, უკეთესი მომავლის მდომებს ამღვრეული დროის დინებაში კომპასივით მუდამ ზუსტად მიმართულებას რომ უჩვენებს, მით უფრო, როცა იცი, მარადიული იაკობინელები შავი ყორანივით რომ ადევნებიან ერის ბედისწერას, დროდადრო თვალს ეფარებიან, შემდეგ კი, სახე და სახელშეცვლილნი, ნგრევისა და უბედურების მომტანნი, ახალ-ახალი დაპირებებით კვლავ გამოჩნდებიან, პირველ რიგში, ისევ ილიასა და მის სულიერ მემკვიდრეებს რომ ეკვეთონ, რათა არ დადგეს ჟამი არჩილ ჯორჯაძისა.

„...არჩილ ჯორჯაძის ჟამი საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენას გულისხმობს, არა წამიერს, გადაელვებულს და მირაჟებში ჩაკარგულს, არამედ ნამდვილსა და მტკიცედ დამკვიდრებულს, ამოშენებულს იმ ფანატიკურ რწმენაზე, კაცობრიობის ხსნაზე მეოცნებე არჩილ ჯორჯაძესაც რომ შემოუბრუნებდა აზროვნებასა და მსოფლგანცდას და დააჯერებდა, რომ ადამიანის გადარჩენა აქედან იწყება და მხოლოდ აქედან — მიწის ამ პაწია ნაგლეჯიდან, შენი ქვეყანა რომ ერქვა, თავისი ცოდვამადლით, თავისი ტკივილებით, დაცემითა და აღმაფრენით, მაგრამ ყველაზე მძაფრად ჩაფესვილი შენს სულსა და ისტორიულ მეხსიერებაში და მსოფლიო იდეალისაკენ ერთად ერთი გზის გამკაფავი" (რ. ჩხეიძე).

ბატონი როსტომის შემდეგ იქ მყოფთ თავისი აზრი გაუზიარა ბატონმა ელგუჯა თავბერიძემ, რომელმაც აღნიშნა, ისევე, როგორც დავით აღმაშენებელმა საქართველოს გამთლიანებისათვის აქედან საფუძველჩაყრილი საქმე თბილისში დააგვირგვინა, არჩილ ჯორჯაძის სვლა სრულიად საქართველოში სწორედ ქუთაისიდან უნდა დაიწყოს და, ბატონი როსტომის იდეის თანახმად, მთაწმინდაზე დასრულდეს, ნიშნად არჩილ ჯორჯაძის ჩანაფიქრთა აღორძინება-განხორციელებისა.

ბატონმა ლევან ბრეგაძემ ულრმესი მადლიერებით გამოხატა თავისი დამოკიდებულება იმ საქმისადმი, რასაც ბატონი როსტომ ჩხეიძე აკეთებს საერთოდ და კერძოდ, არჩილ ჯორჯაძისა და მისი ნააზრევისათვის ხელახალი სიცოცხლის მინიჭებით, ისევ ქვეყნის სამსახურში ჩაყენებით. ,,ახალგაზრდები ერუდიციის შესაძენად მხოლოდ ბატონი როსტომის შემოქმედებას რომ გაეცნონ, ისიც ეყოფათო''.

ბატონმა ანდრო ბედუკაძემ „წერილები იტრიის წისქვილიდან'' იმდღევანდელი შეხვედრა და ყველაფერი, რაც არჩილ ჯორჯაძის მთაწმინდაზე გადაბრძანებას წინ უნდა უძღოდეს, ილიას საქმის გაგრძელებად ჩათვალა.

ტყუილად ხომ არ უწოდებდნენ არჩილს „ახალ ილიას'', ანუ როგორც ბატონი როსტომი აღნიშნავს არჩილ ჯორჯაძეზე თავის წიგნში: „ესეც ილიას კვალი გახლდათ, მისი მადლი — მისი ბედისწერის განმეორება''. ამ ბედისწერის ნაწილი იყო, ალბათ, ისიც, არჩილმა თავისი ჩანაფიქრის, ილიაზე ბიოგრაფიული რომანის დაწერა-განხორციელება რომ ვერ მოასწრო... ბატონმა ანდრომ კი დასძინა: თანამედროვე ქართულად მოაზროვნე ახალგაზრდის სულის ზრდის საქმეში დღევანდელ დღეს ლომის წილი ექნებაო.

„გმირი მოვა, მაგრამ მოლოდინის გარეშე ვერა, მოლოდინია ის ასპარეზი, რომელიც გმირს უნდა გადაეშალოს, მოლოდინი და ერის უკეთეს თვისებათა შენარჩუნება'', წერს ბატონი როსტომ ჩხეიძე ერთგან. იმ დღეს წყალწითელას ნაპირზე მარტო მომლოდინე ქართველები კი არ იდგნენ, ერის უკეთეს თვისებათა შემნარჩუნებელ-გამგრძელებელნიც.

**P.S.** „ადვილია თუ არა, იყო მოსწავლე ანუ როდის დადგება ჟამი არჩილ ჯორჯაძისა?!" ...უკაცრავად, გამომრჩა, უნდა დამეწერა „ადვილია თუ არა, იყო ქართველი მოსწავლე ანუ როდის დადგება ჟამი არჩილ ჯორჯაძისა", რადგან ზოგადად მოსწავლეს და ქართველ მოსწავლეს შორის განსხვავებაა, განსხვავების მიზეზი კი სათაურში გამოტანილ კითხვა-ნატვრაში მდგომარეობს.



*მოწამეთის ტაძარი და მისი შემოგარენი*

გივი ალხაზიშვილი

# დრო და თაობები

*

## წერილი უმცროს მეგობარს

ელექტრონული ფოსტით მივიღე ერთი ახალგაზრდა ავტორის წერილი. იგი გულისხმიერად მოეკიდა ინტერნეტ-სივრცეში ჩემი პირადი გვერდის გამოჩენას, გაკვირვება ვერ დამალა, რამდენი რამ მოგისწრიათ და კიდევ როგორ ინტენსიურად და წარმატებულად მუშაობთო. ისიც დაამატა, ზოგიერთი ჩემი თაობელი ამბობს: მაგათ რაც შეძლეს, — სამოცდაათიანებში შეძლეს, ახლა რაღა უნდა გააკეთონ, ჩამოწერილები არიანო. მე ასე არ ვფიქრობ, რადგან თქვენს მაგალითზე საპირისპიროს ვხედავო, გულწრფელად მიმტკიცებდა თუ მექომაგებოდა იგი.

შევეცადე შემჭიდროებულად ამომეკრიბა ახალგაზრდა კოლეგის წერილიდან ძირითადი სათქმელი და მისი თაობელის თუ თაობელების მოსაზრება, რომელშიც ასაკობრივი ფაქტორი უსიამოვნო კონტექსტში იკვეთებოდა, და აღარ გავიმეორე, როგორც არაფრის მაქნისი ყმაწვილური სიყოყოჩის გამომხატველი გამონათქვამი რასაც ისედაც ამოიკითხავთ ამ მცირე წერილში, პასუხად რომ გავუგზავნე ერთ, ფრიად ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს.

სიმართლე გითხრა, გამახარა შენმა სიტყვებმა. ეჭვის თვალით ვუყურებ ყველაფერს, რაც კი გამიკეთებია დღემდე. მეტადრე ახლა, როცა მთელი ჩემი „მონაგარი“ ერთად არის თავმოყრილი და უცნაური, ორჭოფული განცდა მეუფლება. საერთოდ ამბივალენტურობა მჩვევია და არ მიკვირს რომ ვყოყმანობ. უცნაურია, მაგრამ სხვა, პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღებისას უფრო სწრაფი და კატეგორიული ვარ, რასაც ვერ ვიტყვი, საკუთარი შემოქმედების ასე ღიად გამოტანასთან დაკავშირებულ ღელვასა და გულის რეჩხზე. რაღაც გამუდმებით მაეჭვებს, გამონაკლისის გარდა, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული და ერთხელაც, ასეთ რჩეულს გამოვცემ კიდეც, ოღონდ მოგვიანებით, რადგან ჯერ კიდევ ვაპირებ „ახლების“ წერას, ღვთის შეწევნით, მიუხედავად მავანთა ქირქილისა, რომ ეს უკვე იყოო, რადგან შესანიშნავად ვიცი, რომ არ იყო. უბრალოდ საკუთარ გულგრილობას ამართლებენ და არგუმენტად წარმოაჩენენ — იყოო, ახლა რაღა დროსიაო.

სიყვარულიც იყო, მაგრამ ყოველ ჯერზე ახალია. მერამდენე ათასწლეულია — დაითვალეთ.... მგონი ამ ბუნებრივ პრინციპს ემყარება მკაცრი კანონიკური ფორმები, დღემდი რომ განაგრძობენ არსებობას და განაცვიფრებენ, აღაფრთოვანებენ პოეზიის მოყვარულებს, დახვეწილი გემოვნების მკითხველებს.

უბრალოდ, არაეთიკურია ასაკზე აპელირება და ამა თუ იმ ავტორის მხოლოდ ამ მიზეზით ჩამოწერა, უგულვებელყოფა. ეს ის შემთხვევაა, რასაც თვითონაც იწვნევენ დროისაგან, უსწრაფესად რომ იცვლის თაობებს და ახლებს უხმობს გამუდმებით, მოირგებს კიდეც და მათაც სწრაფად ცვეთს, ჩამოკონკავს, აბერებს. ეს წრებრუნვა ადგილს არ ტოვებს იმ ადამიანებისათვის, ვისაც ამქვეყნად თავი მასპინძელი ჰგონია და არა სტუმარი. ვინც წარმავალობის სუნთქვას, მხოლოდ ფიზიკურ მოკვდინებას უკავშირებს და ვინც  ამქვეყიური სახელის ძიებითაა შეპყრობილი და გაუმართავს ერთი ვაი-უშველებელი საკუთარი უბადრუკი პერსონის ირგვლივ.

ფან-კლუბი წარმავალობის შიში ჩაისახა და ვისაც ფანები აღმერთებენ და გაღმერთებულს პროტესტის განცდა არ უჩნდება, უკვე ეს თამაში სახიფათო ხასიათსაა  და ხელთ გვრჩება გაუგებარი სექტა, რომელსაც საკუთარი თავი უყვარს კერპში და შეუძლიათ კერპს ნებისმიერი შესწირონ მსხვერპლად. ასეთი დამოკიდებულება თვითმუხრუჭის როლს ასრულებს და განვითარების პერსპექტივას გამორიცხავს. აი, ტიპური მაგალითი ნეგაციის გაბატონებისა, ყოველივეს რომ შთანთქავს თავის გზაზე და ასაზრდოებს მხოლოდ მახინჯ პირმშოს, რომელიც ბედნიერია უბედურებით.

ღმერთმა სიკეთე მისცეს ყველას, ვინც ფიქრობს, რომ ამ წარმავალ სოფელში მარადიულად იბატონებს. სიბრიყვის სათავეც და ნაკლული ნიჭის თითქოს მასაზრდოებელიც ეს არის, ამავე დროს და კიდევ ნეხვზე აღმოცენებული ხელოვნურად შექმნილი სასათბურე პირობები, სადაც გასაგები მიზეზის გამო ბიო-გაზის სუნი დგას ყოველთვის.

გამოვხატე ჩემი გულისტკივილი, მხოლოდ იმიტომ, რათა შენ და შენმა თაობამ უკეთ უნდა იცოდეს არსებული რეალობის შესახებ, რომლის მართვასაც ცდილობენ ისინი, რომლებმაც თვითონ ვერ დაწერეს ვერაფერი ხეირიანი და სხვებს უქადაგებენ, როგორ წერონ.

ჩემი უპირატესობა გამოცდილებაა, ხოლო ნაკლი ის, რომ თითქმის გავიარე ცხოვრება და წასვლაზე ფიქრი, ალბათ, თანდათან ამეკვიატება და მოსვენებას არ მომცემს. უტრირებულად ვსაუბრობ უპირატესობასა და ნაკლზე, რადგან სხვა სახის ნაკლის ჩამოთვლა შორს წამიყვანს.

დრო და სივრცე ამ ნაკლსაც და უპირატესობასაც იოლად გაასწორებს. ის, ვინც ჩვენ გვაქილიკებს, იმით გულმოცემული, რომ ჩემზე  მრავალი წლით უმცროსია, ღიმილისმომგვრელია. რა პრიმიტიული ხალხია ეგენი, ამის მაფიქრალნი და მთქმელები თავს პოეტებად როგორ თვლიან? როგორც ჩანს მათთვის უცნობია ეკლეზიასტეს „ბაცილა“ თორემ ასეთ მხიარულ გუნებაზე ვერ იქნებოდნენ და ცოტა მაინც მეტს იფიქრებდნენ. ისე კაცმა რომ თქვას, მეც ხომ დიდგულზე ვიყავი სიყმაწვილეში და ისევე ვიქცეოდი, როგორც ეგენი?!

„სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა“,  მაგრამ უფლის შიში თუ არ გაქვს, სიბრძნეს სად იშოვი? თუმცა, ისიც გამახსენდა, ამათ ღმერთი რომ მოუკვდათ და, რადგანაც მოუკვდათ, ყველაფერი ნებადართულია.

მაია ჯალიაშვილი

# ოინბაზი კაცუნას ამბავი

ქვეყანაზე მეოცნებეებს რა დალევს. ოცნებას ხომ ვერაფერი შეუშლის ხელს. მზიანი დილა თუ ქარიანი საღამო, სიცხე თუ ყინვა, მდინარის ნაპირი თუ მწვერვალები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ასე უშურველად მოუცია ღმერთს სამყაროში, იწვევს ადამიანებს წარმოსახულ მხარეებში სახეტიალოდ.

ეს ახალი საბავშვო წიგნიც, რომელშიც ანცი და აბეზარი პუმუკელის მხიარული ამბებია მოთხრობილი, მეოცნების დაწერილია და უპირველესად მათთვის, რომელთაც ოცნება არასოდეს ბეზრდებათ. ესენი კი — ყველაზე მეოცნებენი — ბავშვები არიან. ყველაზე მეტად სწორედ მათ სჯერათ უხილავი ციცქნა არსებებისა, ჩვენს სახლებსა, ეზოებსა, სარდაფებსა თუ სახურავებზე რომ დაქრიან, თამაშობენ, ხუმრობენ. ხშირად გამოჩენასაც არ ერიდებიან და მაშინ უსაზღვროა იმ ბავშვის სიხარული, რომელსაც ის დაენახვება და გაენდობა, რადგან მაშინ დაიწყება უცნაური და დაუჯერებელი მოგზაურობა აქამდე უცნობ კუთხე-კუნჭულებში.

სწორედ ერთ ამგვარ კაცუნაზე მოგვითხრობს თანამედროვე გერმანელი მწერლის, ელის კაუტის ახალი საბავშვო წიგნი „ოსტატი ედერი და მისი პუმუკელი", რომელიც ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილმა, ამ საქმეში განაფულმა მაია მირიანაშვილმა თარგმნა. აქვე გაგახსენებთ მის მიერ უკვე თარგმნილ და გამოცემულ საბავშვო ლიტერატურას. ესენია: ბუკარდ შპინენის "ბელგიური გოლიათი", კრისტოფ ჰაინის "დედიკო ჩვენთან აღარაა", იენს შპარშუს „უილბლო თუთიყუში, პარციფალი", კურტ ბრახარცის „თხუნელამ მოიგო ასი ათასი". ეს წიგნები შეიყვარეს ქართველმა ბავშვებმა და, იმედია, პუმუკელიც მათ ახალ მეგობართა სიაში ჩაეწერება.

საბავშვო წიგნების დაწერაც და თარგმნაც ძნელია, აქ, გარდა ამბის გადმოცემისა, თვითონ ენაც უნდა იყოს ისეთი მოქნილი და პლასტიკური, რომ ბავშვური შთაბეჭდილებებისა და გატაცებების გადმოცემა შეძლოს. ამ წიგნის შემთხვევაში ორივე ცდა წარმატებულია. წიგნს აქვს საოცარი, ექსპრესიული რიტმი, თანაც რაღაც თბილი და მშობლიური ინტონაცია ახლავს, ამიტომაც სულმოუთქმელად წააკითხებს თავს მკითხველს და სიკეთის ტკბილ გემოს შეაგრძნობინებს.

მართლაც, როგორ გაღარიბდებოდა სამყარო, მას რომ უჩინარი, ჩვენ გვერდით მცხოვრები უხილავი არსებანი არ ამრავალფეროვნებდნენ. ისინი ხშირად არიან ლამაზი ზღაპრების გმირები. რა იქნებოდა სამყარო პატარა უფლისწულის გარეშე. ისიც ხომ უჩინრად ცხოვრობს წიგნში, მაგრამ საკმარისია გადაშალო ფურცლები, რომ იქიდან სულმოუთქმელად გადმოხტება, შემოგეხვევა და დიდი ხნის მონატრებული გულში ჩაგეხუტება. იქ, ზემოთ, ლაჟვარდოვან სივრცეში, რომელიღაც პაწაწკინტელა ვარსკვლავზე ცხოვრობს იგი და ჩვენ, დედამიწელებს გაფაციცებულ მზერას არ გვაშორებს, ერთი სული აქვს, როდის ავიხედებით ცისკენ, როდის მივაპყრობთ თვალს უსაზღვროებას და გამოველაპარაკებით.

ამ წიგნის მთავარი გმირი კი ციცქნა პუმუკელია, მომხიბლავი არსება. ის სრულიად მოულოდნელად გამოჩნდება ოსტატ ედერის სახელოსნოში და პირველივე შეხვედრაზე არა მხოლოდ გულჩვილი მარტოხელა მუყაითი ედერის, არამედ მკითხველის გულსაც იპყრობს. კი გამოჩნდება მოულოდნელად, მაგრამ აქამდეც ათასგვარი ოინბაზობით ავლენდა თავის უჩინარ არსებობას. ედერის სახელოსნოში ყველაფერს ურევდა, გასაღებსა თუ ჭანჭიკებს ადგილებს უცვლიდა და საწყალ ედერს თავგზას უბნევდა. ის კი ყველაფერს სიბერისთვის დამახასიათებელ გულმავიწყობას აბრალებდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი გაირკვა. როცა გაცეცხლებულმა ედერმა მოქანავე წებოს ქილის უკან თაგვი იგულა და ფიცარი მოუქნია, სახელოსნოში გამყინავი ყვირილი გაისმა, მერე ქილაზე მიწებებული გაბურძგნილი, წითელთმიანი უკმაყოფილო ციცქნა არსებაც გამოჩნდა, რომელსაც არა მხოლოდ პაწაწკინტელა ხელ-ფეხიც ჰქონდა ადამიანივით, არამედ ლაპარაკობდა კიდევაც, ამჯერად ისიც გაბრაზებული, მაგრამ მაინც ძალიან საყვარელი და სასაცილი,

ასე მოულოდნელად შემოჭრილი არსება უხილავ კობოლდთა მოდგმისა აღმოჩნდა. პუმუკელმა ოსტატს სიკეთის სულთა კანონები გააცნო, აუხსნა, რომ ამიერიდან მხოლოდ მისთვის იქნებოდა ხილული და მასთანვე იცხოვრებდა: „მე სახლის სული ვარ! მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც მომესურვება და მსიამოვნებს. მე პუმუკელი ვარ, ონავარი, ოინბაზი კაცუნების შთამომავალი". იშვიათი სიყვარულით არის ეს შეხვედრა დახატული.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში გრძელცხვირა ბურატინო გაახსენდება ყველას. ალექსეი ტოლსტოის მიერ 1936 წელს დაწერილი წიგნი „ოქროს გასაღები, ანუ ბურატინოს თავგადასავლები". ეს იყო თავისებური ინტერპრეტაცია იტალიური ნიღბების კომედიის გმირისა, პინოქიოსი. სიტყვა ბურატინო კი იტალიურად ხის თოჯინას ნიშნავს. მაინც რატომ გაგვახსენდება იგი? იმიტომ, რომ აქაც და იქაც მთავარი გმირის „მშობელი" დურგალია, ყველას გახსოვთ კეთილი მამილო კარლო. იქაც ჩნდება პატარა არსება — სასაცილო ბურატინო, რომელიც მოხუცს ცხოვრებას უფორიაქებს და უხალისებს კიდეც, ხისგან გამოთლილი, გაცოცხლებული და ამეტყველებული სასაცილო თოჯინა ცდილობს ყველგან ჩაყოს ცხვირი, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ჩაერთოს ყოფის ორომტრიალში, სკოლაშიც იაროს და უპირველესად კეთილი საქმეები აკეთოს. თუმცა არსებითი განსხვავებაცაა, პუმუკელი არ არის დურგლის გამოთლილი, ის ნამდვილი უხილავი სამყაროს შვილია, სახლის კეთილი სულების გვარისა. თუმცა ისიც ოსტატ ედერის ციცქნა შვილობილად იქცა და მოხუცის ცხოვრებას ახალი აზრი და სიხარული შესძინა.

რატომ ახდენს პუმუკელის შესახებ მოთხრობილი ამბები შთაბეჭდილებას? იმიტომ, რომ მწერალი, პირველ რიგში, შესანიშნავი მთხრობელია. იგი ოსტატურად აბამს ერთმანეთს სხვადასხვა ამბავს და სასიამოვნო დაძაბულობას იწვევს. მკითხველს ერთი სული აქვს, ჩქარა გაი-

გოს, როგორ განვითარდება მოვლენები, კიდევ რა ოინბაზობას მოიფიქრებს მხიარული პუმუკელი. ამასთანავე, მწერალი საოცრად გულწრფელია და გაჯერებს ნაამბობის ჭეშმარიტებაში. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ დიდიც და პატარაც იოცნებებს, მის ცხოვრებაშიც ასე ხილულად შემოიჭრას ეს აბეზარი უხილავი სული, რომელიც ნაცნობ მოვლენებსა და საგნებს ახალი კუთხით დაანახვებს „პატრონს“.




წიგნში პუმუკელის ამბავი რამდენიმე თავშია წარმოჩენილი. ესენია: „უცნაური ხმაური ოსტატის სახელოსნოში“, „კიდევ რამდენიმე სიტყვა კეთილ სულთა კანონებზე“, „გაყიდული საწოლი“, „პუმუკელი და ფული“, „პუმუკელმა გადაწყვიტა, სკოლაში ევლო“, „პუმუკელმა უნდა ისწავლოს, რა არის წესრიგი“, „პუმუკელის ახალი იდეა“. ამ თავების მიხედვით თანდათან გამოიკვეთება პუმუკელის ონავარი ბუნება. ის იჭრება ადამიანთა ცხოვრებაში, ეცნობა მათ კანონებს, ბევრი რამ უკვირს და ბევრსაც ვერ ეგუება, მაგრამ ცდილობს ოსტატ ედერს სიცოცხლე გაუფერადოს.

სახალისოდ არის მოთხრობილი ოსტატ ედერის სახელოსნოში დატრიალებული პუმუკელის თავქარიანობის ამბები. აქ ხილული და უხილავი სამყაროები ერთმანეთს კი არ არის დაპირისპირებული, არამედ ერთიანობაშია დახატული. მკითხველს უმახვილდება სულიერი თვალი და იწყებს აქამდე უხილავი „საგნების“ აღმოჩენას. ეს ნიშნავს, რომ, საზოგადოდ, როგორც ნებისმიერი კარგი წიგნი, ესეც მკითხველს, უპირველესად ბავშვებს, მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობისგან იხსნის, მათ ოცნებებს ფრთას შეასხამს.

„ოოოოჰ, ხილულობა რა დამღლელია“, —წუწუნებს გაბურძგნილთმიანი, მაგრამ მაინც საყვარელი პუმუკელი და მკითხველს უბიძგებს „გაუჩინარებისაკენ“. ეს ხომ ბავშვების, და არა მარტო მათი, უპირველესი ნატვრაა. ვის არ უოცნებია უჩინმაჩინის ქუდზე ან ვის არ ახსოვს „უჩინარი კაცის“ ამბავი. პუმუკელი კი ცოცხალი მოწმეა უჩინართა ქვეყნისა და მკითხველიც იოლად უჯერებს, რომ ხილულობა მართლაც დამღლელია. მწერალი ძალიან საინტერესოდ წარმოაჩენს პუმუკელის სამშობლოში, ესე იგი, უხილავ სამაყაროში არსებულ კანონებს. მისი აზრით, ვისაც კეთილი უხილავი სულების სჯერა, მათი კანონებიც უნდა იცოდეს, თორემ ვერ ჩასწვდება ოსტატ ედერისა და მისი პუმუკელის ამბებს. მკითხველსაც სხვა რაღა დარჩენია და ცდილობს ჩასწვდეს ამ „კანონთა“ არსს.

პირველი: კეთილი სული ხილული ხდება, თუ ის ადამიანის კუთვნილ რაიმე საგანს გამოედება ან მიეწებება;

მეორე: ამის შემდეგ მხოლოდ მისთვის იქნება ხილული, ვისაც ეს საგანი ეკუთვნის.

მესამე: ის იმ ადამიანთან უნდა დარჩეს, ვინც ერთხელ უკვე დაინახა.

მეოთხე: ვიდრე კეთილი სული ხილულია, ისეთივე რამეები ემართება და იმავეს განიცდის, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი: გრძნობს სიცხესა და სიცივეს, შია, სწყურია, აცემინებს, ახველებს, ჭუჭყიანდება, დასაბანი ხდება და კიდევ უამრავი სხვა მოსაბეზრებელი რამ...

მეხუთე კანონი ეხება იმას, რამდენ ხანს შეიძლება იყოს სახლის სული ხილული. ამაზე პასუხის გაცემა ძალიან იოლია: იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ის ადამიანი, ვინც იგი პირველად დაინახა, მას უყურებს. როგორც კი ის მოაცილებს მზერას, მაშინვე უხილავი ხდება.

მეექვსე კანონი იმათთვისაა მნიშვნელოვანი, ვისაც სჯერა, რომ მათაც ჰყავთ სახლში ასეთი კეთილი სული: რასაც კეთილი სული ხელში აიღებს, რომ გადამალოს, აღარასოდეს იქნება უხილავი იმ ადამიანისთვის, ვინც ის პირველად დაინახა. თუ ეს პიროვნება დროულად გაიხედება იქითკენ, აშკარად დაინახავს, როგორ ვარდება გასაღები კარადის უკან ან ლურსმნების მთელი ყუთი — ძირს.

ამგვარ კანონთა მცოდნე ადამიანს მზერა გაუფაქიზდება და გაუფაციცდება. იქნებ რომელიმე ჩვენთვის ასე ნაცნობი და მობეზრებული ნივთის უკანაც იმალება პუმუკელის გვარის რომელიმე ნამცეცა არსება, რომელიც ჩვენი დაჟინებული მზერის მოლოდინშია, რათა უჩინრობის ტყვეობას დროებით დააღწიოს თავი და ხილულობის ავიცა და კარგიც იგემოს.

პუმუკელი მკითხველს გაუღვიძებს ნაცნობ საგნებსა და მოვლენებში უცნაურისა და უჩვეულოს ძიების წყურვილს. სახელოსნოში დაყრილი, ნაგვად მიჩნეული უბრალო ნახერხი პუმუკელისთვის ხავერდივით ფაფუკი, სასიამოვნო საწოლია. შოკოლადის ფილებს შემოხვეული ჭრაჭუნა ქაღალდები კი — ულამაზესი სანახავი.

პუმუკელი მღერის, ცეკვავს და ლექსებსაც კი თხზავს. ის ერთ ეპიზოდში, საკლასო ოთახში მალულად შეპარული ხატავს კიდეც. ბავშვებს თეთრ ფურცელზე აფრიან გემებს დაუხატავს, თუმცა მასწავლებელი მის ნახატებს ნაჯღაბნს უწოდებს და სანაგვეში მოისვრის. საბრალო პუმუკელი კი, სირცხვილისაგან გაწითლებული, საშინლად მოწყენილი ბრუნდება შინ.

ოსტატმა ედერმა პუმუკელს ულამაზესი საწოლიც გამოუთალა, რათა მას ადამიანურად დაეძინა. ამ საწოლს ერთმა მყიდველმა დაადგა თვალი და პუმუკელს ბევრი ხიფათი გადახდა ამის გამო.

პატარა პუმუკელი ყველა ღირსებასთან ერთად ცნობისმოყვარეცაა. უნდა ითქვას, რომ ამ თვისებას მომეტებულადაც ავლენს, სხვანაირად, ალბათ, ვერც ვერასოდეს გახდებოდა ხილული. ეს კი მკითხველს უბიძგებს უფრო მეტი ცნობისმოყვარეობისაკენ. ცნობილია, ბავშვების ყველაზე საყვარელი შეკითხვა: რატომ? ამ კითხვაზე დიდები ხშირად რაღაცას მიკიბ-მოკიბავენ ან თავს არიდებენ, არადა, საჭიროა პასუხი, თუნდაც ყველაზე უცნაური და დაუჯერებელი, უფრო სწორად, ისეთი პასუხი, რომელიც ბავშვს კარს შეუღებს უხილავი სამყაროსკენ გამავალ მხარეში. პუმუკელის თავგადასავალი ბავშვებისთვის სწორედ ამგვარ კარად შეიძლება იქცეს.

პუმუკელი იმითაც არის ყველასთვის ახლობელი, რომ ის ადამიანებს ჰგავს. მას არა მხოლოდ ძილი, ფიქრი და ლაპარაკი შეუძლია, არამედ ჭამაც. ოღონდ რადგან ციცქნაა, მას ერთი ნაჭერი ძეხვი და ერთი ალუბალი ანაყრებს. თუმცა მისთვის მაინც რთული და ამოუცნობი იყო ადამიანთა სამყარო. როცა უხილავ არსებას რამე სჭირდე-

ბა, უბრალოდ იღებს და ამით დასრულებულია საქმე. აქ კი აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო ფული და პუმუკელსაც, ადამიანთა უმეტესობის მსგავსად, გაუჩნდა ფიქრი, რომ მხოლოდ ფულით შეიძლება მოიპოვო ბედნიერება, რომელიც მისთვის უამრავი ფილა შოკოლადი იყო. ისე მოხდა, რომ ოსტატ ედერს დიდი შეკვეთა მისცა ქარხანამ და ამ პატარა ოჯახმა დიდი ფული იშოვა, პუმუკელს გორად ედგა შოკოლადის ფილები, ოქროს ძეწკვიანი საათიც იყიდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ბედნიერების გარდა კიდევ სხვა რამ იყო საჭირო. ეს გახლდათ განცდა, რომელიც სულს უნდა ეგრძნო და არა სხეულს, პუმუკელმა გაიგო სულიერი სიმშვიდის, სიხარულის არსიც და მიხვდა, ბედნიერება იყო ვილაცის სიყვარული და მასზე ზრუნვა.

პუმუკელი ჰგავს პაწაწინა ცელქ ბიჭუნებსა თუ გოგონებს, მასაც ეზარება თავის ხელითვე არეულ-დარეული ნივთების დალაგება, მასაც უყვარს ხმამაღლა ტყუილი ღრიალი, თუ რაიმეს დააშავებს და თავის დაძვრენა სურს, ან თუ დაჟინებით და ჯიუტად მოითხოვს რაიმეს ყიდვას. მასაც უყვარს თავის მოჩვენება, ვითომ ისე ავადაა მოწყენილობისაგან, რომ ლამის მოკვდეს, მაგრამ არ ეპიტნავება, თუ მასზე მეტად ვინმე უყვართ და მისი თანდასწრებით სხვების მუყაითობას აღიარებენ, მის სიზარმაცეს კი ხაზს უსვამენ, ამიტომაც მახლობელივით შევა ყველა მკითხველის ოჯახში პუმუკელი და თუნდაც გაუჩინარდეს, არასოდეს დაავიწყდებათ მისი გულიანი ხარხარი, შემპარავი ღიმილი და წითელთმიანი გაბურძგნილი თავი, რომელშიც წარამარა იბადებიან ახალი იდეები, ოცნების უკიდეგანო სივრცეებისკენ რომ მიუძღვებიან მკითხველს.

დაუვიწყარი სახელები

ლევან ფრუიძე

# წიგნი — ძეგლი

*

## შოთა ლომსაძის მოსაგონარი

ცნობილი ისტორიკოსი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე შოთა ლომსაძე ჭეშმარიტ მეცნიერად და მკვლევარად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოყალიბდა. ამ დიდებულ დაწესებულებაში აიდგა მან ფეხი და მუზეუმელის საპატიო სახელს მთელი სიცოცხლის მანძილზე ღირსეულად ატარებდა. ვისაც წილად გვხვდა ბედნიერება მუზეუმში გვემუშავა, მისი მადლი მოგვცხებოდა, შოთა ლომსაძე თითოეული ჩვენგანის უფროს მეგობრად, დამრიგებლად და გზის გამკვლევად მოგვევლინა. მთელი დღე მუშაობით დამაშვრალს რუსთაველზე უყვარდა გავლა და თან ყოველთვის, ლოცვასავით, პოეტის სიტყვებს დუდუნებდა — რუსთველის პროსპექტზე სიარული ნუ მოგვიშალოს ღმერთმაო.

მისთვის სასურველ ახალგაზრდებს გაგვიყოლებდა, მაშინ შენობაში რასაც ვერ ვიტყოდით, იქ ღია ცის ქვეშ ვიოხებდით გულს. შოთამ ზუსტად იცოდა ვინ რას წარმოადგენდა, რითი სუნთქავდა, ვინ როგორ ჩააბარა „37“-ის საზარელი გამოცდა და ა.შ. თვითონ შოთას თბილისში ჩამოსულ დიდი მესხეთის მაცნეს ვეძახდით, სულით და ხორცით ქართველს, ძალიან ეამაყებოდა მესხური წარმოშობა. მან ხომ მთელი თავისი შემოქმედება როგორც მეცნიერული, ისე პოეტური, მესხეთს მიუძღვნა.

1925 წელს ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხაში დაიბადა, იქვე აღიზარდა და ცხოვრებამ სრულიად ახალგაზრდას მძიმე გამოცდა მოუწყო, კაცთმოყვარე, მეოცნებე ჭაბუკი მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლში მოხვდა. გაუმართლა, იქიდან საღ-სალამათი, მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა, სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო, იქვე გაიარა ასპირანტურის კურსი, ყოველმხრივ მომზადებულმა მეცნიერ-მკვლევარმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაიწყო მუშაობა, უფრო სწორად მოღვაწეობა და სიცოცხლის ბოლომდე ამ უაღრესად ეროვნულ დაწესებულებას აღარ გაშორებია.

თანამედროვე საქართველოს საზღვრებში მოქცეული სამცხე-ჯავახეთი დიდი, ისტორიული მესხეთის მცირე ნაწილია. ეს ტერმინი სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად კანონზომიერად შოთა ლომსაძემ დაამკვიდრა. როცა მთლიან მესხეთზე ვსაუბრობთ, თითოეულმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ესაა ჩვენი ქვეყნის ვეებერთელა მხარე, რომელიც მოიცავს სამცხეს, ჯავახეთს, კოლა-არტაანს, შავშეთს, ერუშეთს, კლარჯეთს, აჭარას, იმერხევს, ტაოს და სპერს. მესხეთის საზღვრები ბორჯომის ხეობიდან ერზრუმის მისადგომებამდე და ტაშირ-აბოციდან შავ ზღვამდე იყო გადაჭიმული (შ. ლომსაძე, მესხები და მესხეთი, თბილისი, 2000). ქართველთა ეს ერთ-ერთი პირველადი, უძველესი საცხოვრისი ჯერ კიდევ წარსულის წყვდიადითაა მოცული, ასირიული, ურარტული, ებრაული და ბერძნული წერილობითი წყაროები მხოლოდ მკრთალი სხივებია, ოდენ ანარეკლებია იმ მღელვარე და სახელოვანი ცხოვრებისა, რითაც ჩვენი წინაპრები, ათასწლეულთა მანძილზე, მძვინვარე მტრებით გარშემორტყმულნი სულდგმულობდნენ. გამოჩენილი მეცნიერი თამაზ გამყრელიძე მესხეთს საერთო ქართველური ენის წინარე სამშობლოდ მიიჩნევს (იხ. კრებული „მესხეთის ისტორია და თანამედროვეობა“, ახალციხე, 2000). ბოლო ხანების კვლევაძიებამ ნათელი გახადა, რომ მცირე აზიაში ინდოევროპელი ტომების მოსვლამდე ძირითადი მაცხოვრებელი, მკვიდრი ქართველი ეთნოსი იყო, ხეთების უძლიერესი იმპერია (ძვ. წ. XVI-XIII სს.) მის განაყოფიერებულ ნიადაგზე ჩაისახა და განვითარდა. ძველი აღმოსავლეთის სისხლით დაწერილ ისტორიაში მესხებმა წარუშლელი კვალი დატოვეს და, რაც მთავარია, ისინი ქართული ეროვნული სახელმწიფოს მესაძირკვლენი არიან. მათ იმთავითვე დაჰყვათ ტრაგიკული ბედი. ქართული კულტურის და სახელმწიფო-



ებრიობის მესაძირკვლე მესხები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდნენ ისეთ აგრესიულ იმპერიებს, როგორიც ასირია და ურარტუ იყო. ჩვენთვის ცნობილმა პირველმა ქართულმა სახელმწიფომ დიაოხმა, სადაც მესხები წამყვან როლს ასრულებდნენ, კოლხეთთან ერთად შეძლო სამხრეთიდან დესპოტურ სახელმწიფოთა კარგად ორგანიზებული ლაშქრობები მოეგერიებინა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე ურიცხვ, სტიქიის მსგავსად გამძვინვარებულ ნომადთა შემოსევები, კავკასიის უღელტეხილების ჩაკეტვით დაეცხრო. სწორედ ამან განაპირობა ქართველი ეთნოსის და სახელმწიფოს გადარჩენა, დღემდე მოღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ მესხების ისტორიის პრობლემებს მკვლევარები ეპოქათა მიხედვით სწავლობენ, როგორც შოთა ლომსაძე ხშირად გვეუბნებოდა, სასურველი შედეგი ჯერჯერობით მიღწეული არ არის. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია წერილობითი წყაროების ქრონიკული სიმცირით, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული შესწავლის ნაკლებობით.

გვიანდელ შუა საუკუნეებში მესხეთის უმეტესი ნაწილი, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, ოსმალეთის შემადგენლობაში მოექცა და ქართველ მეცნიერთათვის მიუწვდომელი გახდა. ამას მთელი სიცოცხლე განიცდიდა შოთა ლომსაძე, მოუთმენლად ელოდა იმ მშვიდობიანი, კეთილი დროის დადგომას, როცა საზღვრები გაიხსნებოდა და მეცნიერები მესხთა ნაკვალევს საქართველოსა თუ მცირე აზიაში კომპლექსურად შეისწავლიდნენ, ამის გარეშე ხომ შეუძლებელია საქართველოს სრული ისტორიის დაწერა. მესხების ტრაგიკული ხვედრი ჭეშმარიტ მამულიშვილებს ათასწლეულთა სიღრმიდან აშფოთებს, ერთ-ერთი მთავარი გულშემატკივარი კი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შოთა ლომსაძე იყო. მან მეცნიერული კვლევის საგნად მესხეთის გვიანდელი პერიოდი აირჩია და 1975 წელს წიგნის მაღაზიებში გამოჩნდა მისი სქელტანიანი მონოგრაფია — „სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე)". ის მაშინვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. წიგნი საზოგადოებამ გულთბილად მიიღო. ქართველმა ერმა ერთხელ კიდევ მტკივნეულად განიცადა მესხების მრავალსაუკუნოვანი შეუქცევადი ტანჯვა. მაშინდელი მკითხველი დაოსტატებული იყო წიგნის ქვეტექსტი გაეხსნა და ამ ისტორიულ თხრობაში მიმხვდარიყო, ვითომდა ჩვენთვის მხსნელად მოვლენილი რუსეთი თუ როგორ ყიდიდა და ახურდავებდა საქართველოს სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს. ნაშრომში ნაჩვენებია თურქეთმა რუსეთის ცხვირწინ როგორ შეძლო საქართველოს გულსა და სხეულში ახალციხის საფაშოს ჩამოყალიბება და გადაგვარებული, სულგაყიდული, მოღალატე, ვაიქართველების ძალისხმევით ეთნიკური თვითშემეცნების მოშლა. და ეს ხორციელდებოდა ყოველგვარი ბარბაროსული მეთოდებით, მამაპაპური რწმენის აკრძალვით, ტრადიციების შებღალვით და სასტიკი ეკონომიკური ზეწოლით, როცა ქრისტიან-მართლმადიდებელს თუ არ გამაჰმადიანდებოდა, შთამომავლობით გადმოცემული კარმიდამოს და ადგილ-მამულის ფლობა-საკუთრების უფლება ერთმეოდა. მოკავშირედ მოსულმა რუსეთმა, რომელსაც ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და საბოლოოდ თურქეთს გადარჩენილი საქართველო მთლიანად დაიპყრო, ორივე იმპერიამ ძალით გამაჰმადიანებულ ქართველებში მუჰაჯირობის ღვარძლი დათესეს, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა: მიზანმიმართული დევნისა და შევიწროების შედეგად, რჯულშეცვლილი მკვიდრი ქართველების ნაწილმა სამშობლო დათმო და თურქეთში გადასახლდა. ეს იყო ქართული ეროვნული სულისა და მრწამსის კრახი. ეს დამღუპველი პროცესი XIX ს-ის მანძილზე გაგრძელდა. ნანატრი „მშვიდობიანობის ჟამს" ასეთი სავალალო სახე მიიღო სამცხე-ჯავახეთის განქართველებამ. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად რუსეთმა სამცხე-ჯავახეთი საქართველოს კი არა, თავის იმპერიას შეუერთა. წმინდა ქართული მხარე უცხოტომელებით, ბედისმაძიებლებით და ავანტურისტებით აავსო.

მესხეთის მკვიდრი მოსახლეობის — მესხების არაადამიანური დევნა-შევიწროება 1578 წლიდან ოსმალეთმა ოსმალური მეთოდებით განახორციელა, როცა სამცხე-საათაბაგო დაიპყრო, იქაურობის ე.წ. „ათვისებას" შეუდგა, შეჭირვებული ქართველობა შიდა საქართველოს აფარებდა თავს. თითქმის ყველა სოფელში ახლაც შეხვდებით ნამესხარ გვარებს, მესხეთის მტკივნეულ მოგონებას და იქ დაბრუნების აუხდენელ ოცნებას. ცოდვა გამხელილი სჯობს და უნდა ვაღიაროთ: სამწუხაროდ საქართველოს არცერთი ხელისუფლება მათი სურვილით, მისწრაფებით არ დაინტერესებულა. რუსეთის ჩინოვნიკები როგორც მეფის, ისე საბჭოთა მკვიდრ მესხებს ჩასაფრებულად დევნიდნენ და ავიწროებდნენ, ქართველობა არ აღირსეს, თათრებად წერდნენ, ბოლოს საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერთბაშად აზერბაიჯანელები გახადეს (მანამდე ეროვნება აზერბაიჯანელი არ არსებობდა). მართალია საბჭოთა ხელისუფლება რელიგიას არ ცნობდა, მაგრამ მაჰმადიან მესხთა მიმართებაში კონფესიური კუთვნილება ფატალურ ბედისწერად გადააქციეს. ეთნიკურად აჭრელებულ სამცხე-ჯავახეთში, იქ ჩასახლებულ სომხებს, ქურთებს, ყარაფაკელებს (თარაქამებს), ლეკებს, რუს სექტანტებს და ა.შ. არცერთ ეროვნებას, ქართველების — მესხების გარდა, თავიანთი ეროვნული კუთვნილება არ დაუკარგავთ, შედეგი სახეზეა.... რაღა სამშობლოს მოწყვეტილი ოსმალური დრაკონული კანონებით წინაპართა მიწაზე ფუძემოშლილი მესხები და რაღა საბჭოთა იმპერიაში მყოფნი. შოთა ლომსაძე გულისტკივილით წერს:

„ბოლოსდაბოლოს მესხეთის გამაჰმადიანებული ქართველები ერთმანეთისგან ველარ არჩევდნენ სარწმუნოებას და ეროვნებას. ქართველი მათთვის ქრისტიანული რელიგიის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა. ამის საპირისპიროდ თავიანთ თავს ეძახდნენ მუსლიმს, „თათარს", რომელიც ქართველობას გამორიცხავდა..."

ასე მომზადდა 1944 წელი, როდესაც მაჰმადიანი მესხები „ორგანიზებულად" შუა აზიაში გადაასახლეს და ოდესღაც ასირიელებთან და ურარტუელებთან ვაჟკაცურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებრძოლი მესხების ტრაგედია დღესაც, მესამე ათასწლეულშიც გრძელდება...

XX საუკუნის 50-იან წლებში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის დროს გადასახლებული ხალხები თავთავიანთ სამშობლოში დააბრუნეს. ამნისტია მესხებს და ყირიმელ თათრებს არ შეეხო. ამ დროიდან მესხები საქართველოში არალეგალურად ჩამოდიოდნენ და უნინარესად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოდიოდნენ, სადაც შოთა ლომსაძე ეგულებოდათ. მაშინ დამწყები მეცნიერი ასე ვეზიარე მესხთა მტკივნეულ პრობლემას. ამ გლობალურ უსამართლობას შოთა მთელი სიმწვავით განიცდიდა. ის ხომ ბევრ გადასახლებულ მესხს პირადად იცნობდა, იცოდა თითოეულის მისწრაფება და გულისტკივილი, სულს უფორიაქებდა საკუთარ სამშობლოში ვაიმისიონერთაგან თუ სპეცსამსახურებისგან ათასობით გათათრებულ, გასომხებულ, გაფრანგებულ თანამოძმეთა სავალალო ბედი. გაუგონარი უსამართლობის მსხვერპლნი იყვნენ ათასწლეულებში მრავალტანჯული მესხები, საოცრად ნიჭიერი, შრომისმოყვარე და მამაცი ადამიანები. ჩვენ, ახალგაზრდა მეცნიერებს არავინ არაფერს გვეკითხებოდა, მაგრამ მესხთა გადაუჭრელ პრობლემაზე საკუთარი აზრი მაინც გვქონდა ჩამოყალიბებული. შოთა ჩვენი ბელადი იყო და ხელისუფლებასთან შუამდგომლობას ვთხოვდით. ძალიან გვინდოდა ფერღანაში, სადაც მესხები იყვნენ ჩასახლებულნი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ექსპედიციას ემუშავა, რათა მეცნიერული კვლევის შედეგად გარკვეულიყო მათი მდგომარეობა და სამშობლოსადმი დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო პოლიტიკა მზვერავთა, ენის მიმტან-მომტანთა მონათხრობს კი არა, მეცნიერულ ნააზრევს და ანალიზს დაყრდნობოდა, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ განხორციელდა. ჩემი ღრმა რწმენით, ამან განაპირობა ფერღანაში გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტა და ის წინააღმდეგობანი, რაც ჩვენთან შეიქმნა და დღესაც დამოკლეს მახვილივით გვაქვს დამიზნებული.

მესხების საკმაოდ მოზრდილი რაოდენობა ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა შეიკედლა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ისინიც სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობენ. ნუთუ შეუძლებელია სახელმწიფოებრივ დონეზე, დიპლომატიური გზით მოგვარდეს მათი პრობლემა; სახელდობრ, აღირიცხოს აზერბაიჯანში მცხოვრები მესხები, რომელთაც სამშობლოში ჩამოსახლება სურთ, ასევე საქართველოს აზერბაიჯანულ დასახლებაში აღირიცხოს აზერბაიჯანში გადასახლების მსურველები. ამის შემდეგ თითოეულ ოჯახს შორის მოხდეს შეთანხმება საცხოვრისის და უძრავი ქონების უმტკივნეულო გაცვლაზე. აი, რაზე ოცნებობდა შოთა ლომსაძე, მას მესხებისა და მესხეთის ტკივილი საფლავში ჩაჰყვა. დღეს მესხების საკითხი ღიაა და მოუგვარებელი, სამწუხაროდ მეცნიერული აზრი ამჯერადაც უგულებელყოფილია. მესხეთის მკვიდრის პროფესორ ალექსი მიქელაძის წერილები, რომლებიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" იბეჭდება, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია. ეს პრობლემა საგანგებოდ შეისწავლა ისტორიკოსმა ზურაბ ცინცაძემ და ასეთ დასკვნამდე მივიდა:

„მასალების დეტალურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ სამცხე-ჯავახეთის მუსლიმი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველები იყვნენ, რომელთა ნაწილსაც ქართული ენა და გვარები შენარჩუნებული ჰქონდათ.

1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებული მესხების უმნიშვნელოვანესი ნაწილის ქართული წარმომავლობის დამადასტურებელია 1965 წელს 30 ივნისით დათარიღებული საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. დებეცის ოფიციალური პასუხი დეპორტირებული მოსახლეობის შეკითხვაზე მათი ეთნიური წარმომავლობის შესახებ, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ისინი გამაჰმადიანებული ენობრივად, მნიშვნელოვანწილად თურქიზებული ქართველები არიან" (ზ. ცინცაძე, ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ თქვენ, „თურქო მესხებო"?, საქართველოს რესპუბლიკა, 2007, 211, 3 ნოემბერი).

ვიდრე გადაბრუნებული ურმიდან გზა აღარ გამოჩნდება, იმ საბედისწერო ჟამს ნუ დაველოდებით, მესხთა პრობლემების გადაწყვეტა ქართული მეცნიერული აზრის გამონწვლილვითი გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამ მხრივ შოთა ლომსაძის ნაშრომებს აქტუალობა არ დაუკარგავს. თუ პოლიტიკოსები მათ გულდასმით წაიკითხავენ, სადღეისოდ გადასაწყვეტ ბევრ პრობლემაზე ჭეშმარიტ პასუხს იპოვიან.

შოთა ლომსაძემ თავისი „ახალციხური ქრონიკების" ტომეულებით, დოკუმენტური მასალების გამოქვეყნებით და ანალიზით ნათელყო ისტორიული მესხეთის კონფესიური სიჭრელის ისტორიულ-ეკონომიკური საფუძვლები. ქართველობის მოშლის მიზნით მართლმადიდებელ ქართველთა აღვირახსნილი დევნა, მაჰმადიანობის ცეცხლითა და მახვილით გავრცელება, ვითომდა შეღავათის სახით მართლმადიდებლობისათვის კათოლიკობისა და გრიგორიანობის შენაცვლება. ასე მივიღეთ „თურქი მესხები", „ქართველი ფრანგები" და „ქართველი სომხები".

რელიგიის ნიშნით ეროვნების უარყოფა აგრესორთა და ჩასაფრებულ ვაიმეზობელთა ძველი ნაცადი ხერხია, რომელიც საქართველოში, სამწუხაროდ, დღესაც მოქმედებს. ვაი ჩვენი ბრალი, ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში კონფესიურ ნიადაგზე ხალხთა მეგობრობის სიწმინდე კვლავ იმღვრევა. სრულიად საქართველოს და ქართველთა კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ბრძნული, გაწონასწორებული პოლიტიკა რომ არა, ამ მხრივ საფრთხე უფრო გაღრმავდებოდა.

შოთა ლომსაძე ის პიროვნება გახლდათ, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან და საპატრიარქოსთან, როგორც ექსპერტი და მრჩეველი, მოღვაწეობდა. მისი მონოგრაფიები ამ თვალსაზრისითაც ფასდაუდებელია.

შოთა ლომსაძემ ბევრი მესხი მოღვაწე ჩრდილიდან სამზეოში გამოიყვანა და მიუხედავად კონფესიური კუთვნილებისა, ქართველი ერისათვის მათი თავდადებული საქმიანობა ფართო საზოგადოებას გააცნო. მათ შორის რჩეულთა შორის რჩეულია მიხეილ თამარაშვილი, რომელსაც მონოგრაფია 1964 წელს მიუძღვნა. 1978 წელს მიხეილ თამარაშვილის ნეშტი ცნობილმა მწერალმა და მამულიშვილმა რევაზ თაბუკაშვილმა იტალიიდან თბილისში ჩამოასვენა, რასაც, როგორც შოთა ლომსაძე წერს, — „ძველი ჭრილობის გახსნა მოჰყვა". მთელი ინტელექტუალური საქართველო ფეხზე დადგა, სახელოვანი ქართველის ხსოვნას თაყვანი სცეს და სამუდამო განსასვენებელი დიდუბის პანთეონში მიუჩინეს. შოთა ლომსაძემ თავისი

მონოგრაფია გადაამუშავა, უფრო სრულყოფილი გახადა და 1984 წელს ხელმეორედ გამოსცა სათაურით — „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი", რომელიც ყველა პატრიოტი ქართველის სამაგიდო წიგნი გახდა. რა დასანანია, რომ დღეს სატანური ძალები ცდილობენ ქართველ მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს შორის განხეთქილების ღვარძლი დათესონ...

ხალხო, ნაიკითხეთ შოთა ლომსაძის წიგნები და ყოველგვარი კონფესიური გაუგებრობა, ბურუსი გაიფანტება. წმინდა მამები გვარწმუნებენ: — ღმერთი ერთია, ოღონდ ღმერთთან მისასვლელი გზებია სხვადასხვა. ურწმუნო თომანი მესამე ათასწლეულის კვირაძალზე მაინც უნდა დარწმუნდნენ, რომ ეროვნება, მამულიშვილობა, სამშობლოს სპეტაკი, უანგარო სიყვარული, ეროვნული თვითშემეცნება რელიგიით არ განისაზღვრება. ზოგჯერ მიზანი ამართლებს საშუალებას, ზოგჯერ კი საშუალება — მიზანს. ჩვენი სამშობლო, რომელსაც პოეტმა ორ ზღვას შუა საომარი ღელო უწოდა, რჯულზე უმტკიცეს სიყვარულს იმსახურებს, რისი განსახიერებაც მიხეილ თამარაშვილი იყო ამ ჭეშმარიტებაში კი შოთა ლომსაძემ თავისი შემოქმედებით დაგვარწმუნა.

დამქანცველი მეცნიერული შრომის შემდეგ შოთა სულს ლექსებით იოხებდა, მისი თითოეული სტრიქონი სამშობლოს უკიდეგანო სიყვარულის ნაზი ლირიკაა:

**ერთი სუნთქვა ვარ მე შენიანად,**
**ვარ ამომშრალი შენზე ლოცვებით,**
**სამშობლოვ, თუ სხვა მომკლავს ზმანება,**
**შენს სიყვარულში კვლავ გავცოცხლდები.**

ვინც შოთა ლომსაძის ლექსების კრებულებს წაიკითხავს, ქართული პოეზიის სურნელით გაიჟღინთება, დიდებული მესხეთის და მესხთა მრავალათასწლოვანი სევდის თანაზიარი გახდება. შოთა ლომსაძის ყოველი წიგნი მისი უკვდავყოფის ჭეშმარიტი ძეგლია. მათ შორის ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა განსვენებულის მეუღლის, შესანიშნავი მეცნიერის ლეილა ბურჯანაძის მიერ შედგენილმა კრებულმა, სადაც წარმოდგენილია შოთა ლომსაძის მიერ ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებული გამოკვლევები, სტატიები და წერილები. აქვე, პირველად იბეჭდება მეცნიერის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ნარკვევები, ესეები, ჩანახატები და სხვ., აგრეთვე შოთა ლომსაძის შემოქმედების შესახებ მეცნიერთა და მწერალთა გამოხმაურებები რეცენზიები და ა.შ.

წიგნის მეორე ნაწილი ეთმობა შოთა ლომსაძის პოეზიას, აქვეა მეცნიერის ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებული მასალები და შოთა ლომსაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილები.

წიგნში მასალები გემოვნებითაა შერჩეული და დალაგებული, არსებულ შესაძლებლობათა შეფარდებით სათანადო პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული და სახელოვანი მეცნიერის, პოეტის ნათელ ხსოვნას მთლიანად პასუხობს. აქ გამოქვეყნებული მასალები ამომწურავად წარმოაჩენს სამშობლოსათვის დამაშვრალი კაცის სისხლსავსე ცხოვრებას, მამულისადმი თავდადებას და უანგარო ღვაწლს.

კრიტიკა

გია ჯოხაძე

# სამოთხე სულის ღივზე

როგორ მოვიქცეთ, რომ საბოლოოდ ამოვიგდოთ თავიდან ტერმინები, დეფინიციები და კანონები, რომლებიც ხშირად იმგვარსავე უზღვავ სივრცეს იჭერენ შემქმნელთა გონებაში, როგორსაც და რამდენსაც — სქელკანიან სახელმძღვანელოებსა და ცნობარებში. მაგალითად, როგორ დავივიწყოთ, რომ სიტყვა '"კრიტიკის" ძირი "სამსჯავროსთან", "მსჯავრის დადებასთანაა დაკავშირებული... თითქოს ამ სასამართლოზე შესაძლებელი იყოს სამართლიანი განაჩენის გამოტანა... ერთადერთი, რასაც თემიდას ამ თვალსაჩინო აგორაზე მოვახერხებთ, მსჯელობაა, ლაპარაკია, რომელიც ყოველთვის რაღაც შრომას, რაღაც საქმიანობას გულისხმობს... მაშ როგორღა მივიჩნიოთ რაიმე საქმიანობა ჭეშმარიტად? ჩვენს წინაშე სიტყვაა და მხოლოდ შესიტყვებაღა ძალგვიძს. ამიტომ, პატივცემულო მოსამართლენო (უკაცრავად, კრიტიკოსებო!), ნუ დაიწყებთ იმის ძებნას სიტყვათა ამ კონაში, რაც იქ არ არის. ნუ გვაცთუნებს ამ რიგის გამოთქმა: "... ასე რომ ყოფილიყო" ან უფრო კატეგორიული: "თქვენი გმირი ასე უნდა მოქცეულიყო!" და სხვ. ზურაბ ლავრელაშვილის ტექსტი ასეთად იშვა და მას აღარაფერი შეცვლის. ნუ დავხარჯავთ დროს იმაზე, რისი შეცვლაც არ შეგვიძლია. მივიღოთ ისეთი, როგორიცაა და მივყვეთ ინტერპრეტაციათა მატარებელს, რომელიც არც მაშინ წყვეტს მოძრაობას, როცა ჩვენ "ბოლო გაჩერება" გვგონია.

ინტერპრეტაცია, უწინარესად, ინდივიდუალური განსჯაა, ინდივიდუალური გააზრებაა და თუ ფურცლების ამოხევა ფითერ უირის ფილმშიც კი ("მკვდარი პოეტების საზოგადოება") ტრაგიკულად სრულდება, ორჯერ უფრო ტრაგიკულია მათი ამოღლეზვა ჩვენი ცნობიერებიდან, პატივმოყვარებიდან, რესპექტაბელობიდან...

ზურაბ ლავრელაშვილის რომანი დასაწყისიდანვე მიგვანიშნებს — კერძოდ, სათაურითა და ეპიგრაფით — რომ "კეთილი ამბების" ალუზიას ვერ ავცდებით (სწორედ ასე ეძახდნენ სახარებას ადრეულ საუკუნეებში). ცხადია, "მღვიძარება" ის სიფხიზლეა, რომელიც ერთადერთი პირობაა ძე კაცისას მისაღებად, როცა არ იცი არც დღე, არც საათი, მხოლოდ მოლოდინის მარადისობით უნდა იტანჯო. მაგრამ ქართველისთვის "მღვიძარება" 16 საუკუნეს გამოტარებული საუნჯეცაა, წამებული დედოფლის ერთადერთი სამკაული: "... წესიერებითა სალმრთოითა ყვაოდა: მარხვითა, მარადის მღვიძარებითა..." და ა.შ.

მოკლედ, "მღვიძარებით განაბრწყინა და განაშვენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა..."

ეპიგრაფი აპოკრიფული სახარებიდანააო, — გვარწმუნებს ავტორი და, ეგებ, ასეც იყოს: იუდა ეამბორება სასიკვდილოდ განწირულ ქრისტეს: იცოდე, ამას შენი სიყვარულით ვშვები, შენი საუკუნო მეფობისთვისო. ვიდრე ბორხესის "იუდას ღალატის სამი ვერსიისკენ" "გავიქცეოდეთ", ერთი სულისშემძვრელი კონსტანტაც ამოვიკითხოთ ამ ეპიგრაფიდან: იესო უპასუხებს იუდას: მარად მეამბორები, რადგან ძე კაცისას ბოროტი განგიზრახავსო. მარადიული ამბორი, მარადიული სიავე... — ეს, კაცმა რომ თქვას, კაცობრიობის დრამის ეპიგრაფადაც გამოდგებოდა.

იუდას გამართლების ცდას ზურაბ ლავრელაშვილს ნუ ჩავუთვლით ცოდვად. ეს საუკუნეთა წინანდელი ნევროზია და ამას ჩემზე უკეთ ბორხესი გეტყვით. თუმც, ჩვენი ავტორის ინტერპრეტაციის გაცნობაც ძალგიძთ.

მიიჩნევენ, რომ მსოფლიო სალიტერატურო სივრცეში განსაკუთრებით რამდენიმე მითია პოპულარული. შედევრთა უმრავლესობა სწორედ მათ ქარგას იმეორებს და ზედ ინტერპრეტაციათა მყიფე შენობები იგება. და ისინი იმდენადვე საინტერესო არქიტექტურისანი არიან, რამდენადაც — მყიფენი და მერყევნი.

ამჯერად ჩვენს წინაშე თამაშდება, ერთი მხრივ, სახარებისეული კოლიზიები და მეორე მხრივ, ფაუსტის მითი.

ერთი მხრივ, ესაა სოფლის თავადი, მისეული საცთურებით, რომელთა წინაშე უბრალო მოკვდავი უძლურია, თუნდაც მას შემდეგში "კლდედ" მიჩნეული მოციქულის პატივი ელოდეს. მაცთუნებლის დისკურსი ძირითადად სკოლების ინსპექტორის, ლომოურის სახეში "მიმოდის" (ბოლოსდაბოლოს, დისკურსიც ხომ ესაა!). მისმა კითხვებმა უკან ჩამოიტოვეს სახარებისეული სამი ძირითადი კითხვა, რომელთა განსჯა-გარდასახვა ფაქტობრივად ქმნის დოსტოევსკის დიდ ინკვიზიტორს ("ძმები კარამაზოვები"). ლომოურს არ სწამს ადამიანის. გულთამხილავია და საშიში. არამიწიერ ლანდს ჰგავს. ცბიერად იღიმის. ირონიის საგნად აქცევს სამოთხეს. ყველას მტერია და განმაქიქებელი. ნიცშეს ახსენებს და ვხვდებით, რომ ღმერთი მისთვისაც მოკვდა. ფსიქოლოგობასაც იმიტომ იბრალებს, რომ სწორედაც ფსიქეს განაგებს. მეტემფსიქოზსა და ოკულტიზმს აღიარებს. ერთადერთ შვებად სოფელი (ეს სოფელი!) მიაჩნია: ეგ არის, ჰეროდოტესეულ ომის პრინციპს მოძველებულად მიიჩნევს, რევოლუციის ნაცვლად ევოლუციას ეთაყვანება. აღარც კი გიკვირს, რომ ბოროტება მარადიულია, ევოლუციის პროცესი ახლაც გრძელდება, ადამიანი უსრული ცხოველია. ლომოური ძალადობას გაურბის: მას არაფერი უნდა დაბრალდეს. თავისუფალი არჩევანი უნდა შენარჩუნდეს.

ლომოურის ტექსტი ხანდახან მეფისტოფელისად იცვლება და ეს გასაგებიცაა: ლომოური ხომ ინსპექტორია, ადამიანის არასრულყოფილი გონების ინსპექციას ეწევა; მოკავშირეობას სთავაზობს თავის "ფაუსტს", უფრო სწორად, უკვე მსხვერპლად ჰყავს შერჩეული.

რომანში ექიმის სახეც ზემოთ ნახსენები მითების ანაბეჭდს ატარებს: ჯერ ერთი, როგორც ექიმი, პირდაპირ გვგზავნის ფაუსტთან. ნახსენებია მისი ატრიბუტი — ჰომუნკულუსი, სინჯარაში გამოყვანილი ახალი ადამიანი. ჩვენი ექიმიც ფსევდომკურნალია. ამავე დროს, თითქმის ზედაპირზე ძევს იუდასა და პეტრეს მერყეობა, ღალატი...

თუ "მღვიძარება" რითიმე პოსტმოდერნისტულ ტექსტად უნდა აღვიქვათ, ეს გზის პარადიგმაა — არც ქრები, არც ენთები, არამედ დაუსრულებლად დაბორიალობ ბნელში და არავინ იცის, სად მიგიყვანს ეს მარადი მოგზაურობა...

რომანის მარია ზოგადად დედაკაცური საწყისის შესაკრებელია: მისგან ხან ღვთისმშობელი იმზირება, ხან — ევა, ხან — მარიამ მაგდალელი...

ფრედიც კომბინირებული სახეა. მისი პროგრამა ზოგადად ყველა ლიდერის პროგრამაა: უსამართლობის მოსპობა, მდიდრისა და ღარიბის გათანასწორება, სავალის მოსწორება, შრომის პრიმატის გახაზვა, ფუფუნების სიძულვილი... და ყველაფერ ამისათვის — განწირულების შეგრძნება, ტრაგიკული ფინალის მოლოდინი და მზაობა.

ერთგან გალაკტიონიც გამახსენდა: შდრ. "დავდივარ, ვსუნთქავ და მიხარია" (ზ. ლავრელაშვილი); "დავდივარ, ვწუხვარ და მენანება" (გ. ტაბიძე).

ისიც ვიფიქრე, რომ ჩვენს წინაშე სულაც ერთპერსონაჟიანი რომანია, როცა ყველა გმირი ადამიანის მრავალპლანიანობის წარმოჩენას ემსახურება. ზურაბ ლავრელაშვილმაც თავისი დემონები გაათავისუფლა და რომანის სარბიელზე ბრძოლისკენ წააქეზა. იმედი წყალწაღებულთა ხავსი ყოფილა მუდამ და ამ რომანშიც კრთება ეს "ხავსი": პროტაგონისტი საბოლოოდ სიცოცხლის ხესთან მიდის; გადაწყვეტილება მიღებულია — უნდა იფხიზლოს, რომ მის სულში ამოწვერილ ღივზე სამოთხის ბალი დაეტიოს.

**ნობელის პრემიის მთავარი პრეტენდენტი**

პირველად, ბოლო ხუთი წლის მანძილზე იაპონელი მწერლის ჰარუკი მურაკამის რომანი გაყიდვამდე იქცა ჰიტად. ახალ ნაწარმოებს უჩვეულო სათაური აქვს: „183“, რაც იაპონურად შესაძლოა ასე ითარგმნოს: „1984“. „საოცარია, ადამიანები ყველაფერზე მიდიან, მისი ბოლო ნაშრომის შესაძენად“ — ამბობს გამომცემლობის წარმომადგენელი ტაკაში მაჩიი. წიგნზე უზარმაზარი მოთხოვნილების გამო ტირაჟი 380 ათასიდან 480 ათასამდე გაიზარდა. პირველ დღეს 840 ცალი გაიყიდა.

ჰარუკი მურაკამის თანამედროვე იაპონელ მწერალთაგან ყველაზე მეტად თარგმნიან. 60 წლის მწერალს ლიტერატურაში ნობელის პრემიის მთავარ პრეტენდენტად ასახელებენ. მისი რომანები „ნორვეგიული ტყე“ და „კაფკა პლაჟზე“ მთელ მსოფლიოში ბესტსელერად იქცა.

პაატა ჩხეიძე

# რადიკალიზმი და პლურალიზმი?!

*

## ღია ბარათი გია ნოდიას

გია ნოდიას წერილებს ყოველთვის ვკითხულობ. მან იცის, რაზეც წერს და რასაც წერს, თუმცა არასოდეს არ ამბობს სათქმელს ბოლომდე, ალბათ იმიტომ, რომ ფილოსოფოსია, თანაც ნამარქსისტალი ლიბერალი; გარდა ამისა, ენჯიო-საზოგადოებისა და ხავერდოვანი რევოლუციის იდეოლოგიური არქიტექტორიცაა საქართველოში.

მისი ბოლოდროინდელი ოპუსი, "რატომ არ გამოგვდის დემოკრატია, ანუ პლურალიზმის შიში" ("24 საათი", ა/წ. 24 ივნისი) გვაუწყებს, რომ უბედურების თუ უბედობის მიზეზი პლურალიზმის არარსებობა ყოფილა ჩვენს ქვეყანაში.

— საიდან უნდა გაჩენილიყო პლურალიზმი, სამი რევოლუცია გადავიტანეთ სამოქალაქო ომის თანხლებით და ხელისუფლების კანონიერად შეცვლის იმედის ნატამალიც კი არ გაჩენილა ჯერჯერობითო, — თავს წამოჰყოფს ახირებული მკითხველი.

გია ნოდიაც მაგას ამბობს და ასაბუთებს, მაგრამ ამაზე ქვემოთ, ჯერ ის უნდა ითქვას, რომ სტატიის ავტორს იმედი გადაწურვია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა ოდესმე მაინც შედგება. იგი აღნიშნავს ჩვენს ხალხს პრეზიდენტებში არ გაუმართლაო, და წერს:

"ფილოსოფოსი ჰერაკლიტე ამბობდა, ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალო. ჩვენი ბრძენი "ხალხი" ჯიუტად ცდილობს მეოთხედ შეაბიჯოს იმავე მღვრიე მორევში და რატომღაც ჰგონია, რომ ახლა მაინც გაუმართლებს. ამის სერიოზული კრიტიკა უხერხულია. ამას პოლიტიკური იდიოტიზმი ჰქვია."

ამრიგად, სახეზეა პარადოქსი, „ბრძენი ხალხი" "პოლიტიკური იდიოტია"! მაგრამ რატომ? — იმიტომ, რომ ახალი მხსნელის მოლოდინშია, თუ იმიტომ, რომ სახელმწიფოებრიობა უნდა? მართალია სახელმწიფოებრიობას გია ნოდია არ ახსენებს, მაგრამ გულისხმობს, რადგან: დემოკრატია არ გამოგვდისო, — წუხს; ლიბერალ-დემოკრატისათვის არადემოკრატიული სახელმწიფო არასრულყოფილი სახელმწიფოა და, რაკი დემოკრატია "არ გამოგვდის", სახელმწიფოსაც არ დაადგება საშველი.

სტატიაში რამდენიმე ორიგინალური და საკამათო აზრია გამოთქმული, მაგრამ წარმმართველი თეზისი ისაა, რომ, გია ნოდიას აზრით, "ლიბერალური დემოკრატიის ანტიპოდია ერის მთლიანობის იდეოლოგია, რომელსაც მის უკიდურეს გამოვლინებაში ფაშიზმი ჰქვია". ნუ შეგეშინდებათ, ავტორი არ ამბობს, რომ ყველა ქართველი პოლიტიკოსი თუ საზოგადო მოღვაწე უძველესი დროიდან დღემდე, ვინც ერის მთლიანობას ისახავდნენ და ისახავენ მიზნად, ფაშისტები იყვნენ და არიან; იგი ფიქრობს, რომ "რაღაც დონეზე ერთიანობა აუცილებელია" და განაზრებებს გვთავაზობს "ლიბერალური" და "რესპუბლიკური" პრინციპების გამო.

გია ნოდია ერთობისა და პლურალობის შეთავსება-შეუთავსებლობაზე მსჯელობს, თავის პოზიციას ყოფითი მაგალითებით გვიხსნის და დასკვნაც ყოფითი გამოაქვს: მას არ სურს, რომ ჩაეხუტოს ან ჩახუტებული იყოს ყველასთან, მაგრამ არც ის სურს, რომ ქვები ესროლონ, ანუ უნდა, რომ, ვისაც არ მოსწონს, ცივად და ზრდილობიანად ჩაუარონ გვერდით. ყველაზე უკეთეს მაგალითად ამგვარი თანაარსებობისა ფეხბურთის მატჩი ესახება, როცა მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით, ერთმანეთს ჩავეხუტებით, სამი დღის მერე განვეხუტებით და ცივად და თავაზიანად დავშორდებით, თუ ერთმანეთი არ მოგვწონს. როცა საქართველოში პლურალობისა და კონცენტრაციის, მრავალგვარობისა და ერთიანობის სხვა მაგალითს ვერ ან არ მოძებნის ფილოსოფოსი, რას ვიზამთ, ამას უნდა დავყაბულდეთ.

არადა, გია ნოდიამ იცის, თუ საიდან მოდის საქართველოში ქვის სროლა (ტყვიისაც) და ერთმანეთთან შეუგუებლობა, სისხლიანი გადატრიალებაც ახსოვს, ხავერდოვანი რევოლუციაც, დევნაც, წართმევაც, "ნულოვანი ტოლერანტობაც", "ვაგონს ჩამორჩენილებისადმი" დაცინვაც, დაუნდობლობაც, "ჩარეცხილების" განქიქებაც, ანუ გახლეჩა საზოგადოებისა უმრავლესობად და უმცირესობად. ჰო, გია ნოდია გაიაზრებს ყოველივე ამას, მაგრამ თვლის, რომ ხელისუფლებას დაუმთავრდა "თაფლობის თვე", ანუ უმრავლესობა-უმცირესობის ბალანსი შეიცვალა, და ცდილობს საზოგადოებას მეტი ანგარიში გაუწიოს. მთავრობის მეტამორფოზას თითქოსდა უნდა მისალმებოდა ოპოზიცია, მაგრამ რატომღაც არ სურს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, პლურალიზაციის დანერგვაში ხელშეწყობა ენჯიოებისათვის, "მოსისხლე მტერს" უწოდებს პრეზიდენტსა და მის გუნდს და სამოქალაქო ომისაკენ მიგვაქანებსო.

გია ნოდია აღიარებს, დღევანდელ ხელისუფლებას გაუჭირდება პლურალიზმის შემოტანა და დამკვიდრება ქვეყანაში, რადგან ძალაუფლების კონცენტრაცია მოახდინა, საზოგადოებისადმი პატერნალისტური დამოკიდებულება გამოამჟღავნა და ამით ავტორიტარობის იმიჯი შეიქმნაო.

ყველაზე წინააღმდეგობრივი პასაჟი გია ნოდიას სტატიაში მაინც ლიბერალურ მოდერნიზაციაზე და დემოკრატიის იდეალზე მსჯელობაა: "იაკობინელებიდან მოყოლებული, სახელმწიფო ხშირად გამოსულა ლიბერალური მოდერნიზაციის მამოძრავებლად. ოღონდ ის ძნელად თავსდება დემოკრატიის იდეალს, რადგან ეს უკანასკნელი ძალაუფლების დანაწილებას ითხოვს, ლიბ-

ერალური მოდერნიზაციის პროგრამა კი — მის კონცენტრაციას".

და კიდევ: "განათლებული დიქტატურა სამოქალაქო ომს (ან მის ზღვარზე დგომას) ნამდვილად ჯობია, ამიტომ ხშირად ისმის: იქნებ ჯერ მოდერნიზებული ავტორიტარიზმის ეტაპი უნდა გამოვიაროთ და დემოკრატიაზე მერე ვიფიქროთ?"

ნათქვამია, ქურდს რომ ყური უგდო, დღეში ათჯერ გატყდებაო (უკაცრავად გია, ანდაზაა ასეთი!). სრულებითაც არ ვფიქრობ, რომ გია ნოდია რაიმე ცუდს ამბობს ან ყველასათვის სანუკვარ იდეალებს ღალატობს. არ მივეკუთვნები იმ პირებს, რომელთაც ტერმინებისა ეშინიათ; არც დემოკრატიაში — განსაკუთრებით მაჟორიტარულ დემოკრატიაში — ვხედავ ხსნის გზას და არც ავტორიტარიზმში (თუნდაც "მოდერნიზაციული ავტორიტარიზმი" იყოს) ვხედავ ბოროტებას; მე პირადად არისტოკრატიზმისა და ელიტიზმის მომხრე ვარ და ვიცი, რომ მმართველობის ფორმა კი არ არის იდეალური, არამედ კანონის უზენაესობის დაცვა და სტაბილურობა ხდის სისტემას მეტნაკლებად მისაღებსა და ასატანს ადამიანებისათვის. თამაშში მთავარი წესების დაცვაა და არა თვით თამაში, და ეს გია ნოდიას უკეთ მოეხსენება. ჩემთვის მიულებელია მოჩვენებითობა და ისეთი სემიოპორტუნიზმი, რასაც ჩვენს ყოველდღიურობაში ვხვდებით და გია ნოდიას სტატიაშიც აირეკლა.

### ყველაზე გრძელი პოემა მსოფლიოში

პოეტმა ჟოკე ვან ლეიუვენმა ბელგიის ქალაქ ანტვერპენიდან, შექმნა პოემა „1144 მეტრი". არსებულთა შორის ეს ამ ჟანრის ყველაზე უცნაური ნიმუშია. ნაწარმოების ტექსტი ანტვერპენის ერთ-ერთი მინისქვეშა გადასასვლელის კედელზეა დაწერილი და მისი სიგრძე სათაურს ზუსტად შეესაბამება.

წლების წინათ გია ნოდია ნაციონალიზმისა და დემოკრატიის შეთავსებაზე ოცნებობდა. ნაშრომში "ნაციონალიზმისა და დემოკრატიის გააზრება, პოსტკომუნისტური გამოცდილების შუქზე" იგი წერდა:

"ნაციონალიზმის იდეა შეუძლებელი და მიუწვდომელია დემოკრატიის იდეის გარეშე და არც არსებობს დემოკრატია ნაციონალიზმის გარეშე."

ეს ნაშრომი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნდა და ამერიკელი პროფესორი სტივენ შნეკი გამოეხმაურა, იგი წერდა:

"ნაციონალიზმი და მის მიერ ნაქადაგები მძლავრი საერო სიქველე ძალზე იოლად გადაფარავს ლეგიტიმური დემოკრატიის სამოქალაქო შესაძლებლობებს".

გია ნოდიასთვისაც, როგორც თანამედროვე ქართული ლიბერალური დემოკრატიის ერთ-ერთი იდეოლოგისათვის, და ჩვენთვისაც, როგორც ამ ვითარებაში მცხოვრები მოქალაქეებისათვის, ცხადი უნდა იყოს, რომ "ნაციონალიზმის მიერ ნაქადაგებმა" მძლავრმა სამოქალაქო აქტივობამ გადაფარა ლეგიტიმურობის შესაძლებლობანი საქართველოში.

ვარდების რევოლუციამდე მეგობარმა პოლიტიკოსმა მითხრა: ჰო, გასაგებია, რომ კონსერვატიზმი გირჩევნია, მეც კონსერვატორი ვარ, ოღონდ რადიკალიო.

რადიკალური კონსერვატიზმი იგივე ნეოკონსერვატიზმია. ნეოკონსერვატიზმის ნანამძღვრები XX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მისი იდეოლოგები ყოფილი მარქსისტები იყვნენ. ნეოკონსერვატორთა მიზანია მსოფლიოს დემოკრატიზაცია ეთნიკური და ეროვნული ტრადიციების გაუთვალისწინებლად და ამ მიზანს თითქმის ისეთივე აგრესიულობით ახორციელებენ, როგორც თავის დროზე კომუნიზმს ავრცელებდა საბჭოთა კავშირი. კლაეს რინმა ნეოკონსერვატორებს "ახალი იაკობინელები" უწოდა. ადამიანის უფლებათა რუსოისტული იდეალებით შეიარაღებულმა იაკობინელებმა, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, პოლიტიკურ ავანსცენაზე გილიოტინა გამოიტანეს და, იმ დროისათვის უპრეცედენტო, სისხლიანი რეჟიმი დაამყარეს, რასაც ნაპოლეონის დიქტატურა მოჰყვა. იაკობინელები რადიკალები იყვნენ. ნეოკონსერვატორები ზომიერები არიან შინ და რადიკალები — საგარეო ურთიერთობებში; თუმცა ერთგვარი მიდრეკილება ძალაუფლების კონცენტრაციისადმი ამერიკის შიდა პოლიტიკაშიც კარგა ხანია შესამჩნევია; ეს გლობალური პოლიტიკის ერთ გამოვლინებათაგანია.

ჩვენი ხელისუფლება რადიკალური ძვრებით მოვიდა სათავეში, რადიკალური რეფორმები გაატარა და დღესაც რადიკალურია ქმედებითაც და განცხადებებითაც როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ჩვენი ხელისუფლება ამერიკელ ნეოკონსერვატორთა მეგობარია და მათ პოლიტიკურ კვალს მისდევს. ამგვარ ვითარებაში მისთვის ძალზე ძნელია პლურალისტული კურსის გატარება და ამას ხომ გია ნოდიაც ხედავს. პლურალიზმი რომ შესაძლებელი ყოფილიყო, თვითონ გია ნოდიაც კი დანერგავდა აკადემიურ სისტემაში.

ოპოზიციის გააქტიურება რადიკალური პოლიტიკის ტალღას მოჰყვა, როგორც რეაქცია და, ხარის ანდაზისა არ იყოს, ოპოზიციაც რადიკალურია მოწოდებებითაც და ქმედებითაც. ოპოზიციაც ამერიკელ ნეოკონსერვატორებსა და ლიბერალებს სთხოვს დასტურ-დახმარებას რადიკალური მიზნის მიღწევაში. ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის არც მსოფლმხედველობრივი განსხვავება შეინიშნება, ამიტომ პლურალიზმს არათუ არ უნდა მოვითხოვდეთ ოპოზიციისაგან, არამედ არც უნდა ველოდეთ.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის ლიდერები, ორიოდე გამონაკლისის გარდა, საქართველოში განხორციელებული რევოლუციების მომხრე-მონაწილენი არიან. მათი ხელშეწყობით მოხდა, რომ რევოლუციები პერიოდულ და პოზიტიურ პოლიტ-პრაქტიკად დაინერგა ჩვენს ქვეყანაში. ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა, რომლებმაც უკვე მიიღეს გამარჯვებულ რევოლუციაში მონაწილეობა, იციან, რომ ურადიკალიზმოდ ვერაფერს მიაღწევენ. ხელისუფლების პოლიტიკოსებმა, რომლებმაც ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციით გაიმარჯვეს, იციან, თუ რა მოჰყვება ახალ რევოლუციას, ამიტომ რადიკალურად აღკვეთენ ახალი გადატრიალების მცდელობას.

ამრიგად, ფსევდოფილოსოფიური მიკიბ-მოკიბვა არც ერთს გვიშველის და არც მეორეს, რადიკალიზმი და პლურალიზმი შეუთავსებელი ცნებებია პოლიტიკაში!

რაღა რჩება, სამოქალაქო ომი? — აბა, ეგ რა გამოსავალია ან თქვენ როგორ გეკადრებათ, ამისთვის იშრომეთ ამდენი?!

აი, ასეთი პოლიტიკური დისკურსი შემოგვთავაზა გია ნოდიამ და თითქოსდა მეც ვეთანხმები, მაგრამ გამოსავლის ხედვაში ვერაფრით დავუჭერ მხარს.

"პლურალიზმის დემოკრატიული მენეჯმენტი" ვერაფერი გამოსავალია. "დემოკრატიული მენეჯმენტი" თქვენ უკვე სცადეთ და შედეგი თვითონაც არ მოგწონთ. ახლა თავზე ნაცრის დაყრა და მდინარეში მეორედ შესვლა არ გამოვა.

ჯეიმზ ბარნჰემის პოლიტიკური მეცნიერების კლასიკად აღიარებული, წინასწარმეტყველური წიგნი "მენეჯერული რევოლუცია: რა ხდება მსოფლიოში" 1941 წელს გამოქვეყნდა. ბარნჰემმა გამოიკვლია სოციალიზმის კრახი, კაპიტალისტების უუნარობა, დაეძლიათ წამოჭრილი პრობლემები, და განჭვრიტა, მომავალში სამყაროს მენეჯერები წარმართავენო. ბარნჰემმა შეძლო და ავტორისეული მიუდგომლობა შეინარჩუნა თავის წიგნში, არც მარჯვნივ გადაიხარა და არც მარცხნივ; იგი მხოლოდ აღწერს, არც იწონებს და არც იწუნებს, მაგრამ წიგნის ბოლოს მაინც წამოსცდება, არ ვისურვებდი მენეჯერულ სამყაროში ცხოვრებასო. "ამ წიგნში ვიკვლევ აწმყოს და ვდარდობ; ვხედავ მომავალს და მეშინია", — წერდა იგი.

ნეტავ ამ ჩვენს "დემოკრატიული მენეჯმენტის" ექსპერტებს რატომ არ ეშინიათ არაფრისა?! საგულისხმოა, რომ ოპოზიციის რიგებიც მენეჯერებითაა სავსე.

გია, მენეჯმენტი არ გამოგვადგება. შენ განათლების მინისტრი იყავი და შენზე უკეთ ვის ეცოდინებოდა, რომ უნივერსიტეტმა მენეჯერები კი არა, სახელმწიფო მოღვაწეები უნდა აღზარდოს.

პოლიტიკური მეცნიერების ექსპერტი ხარ და შენზე უკეთ ვის ეცოდინება, რომ სახელმწიფო მენეჯმენტით არ აშენდება, სახელმწიფოს სახელმწიფო მოღვაწეები უნდა ემსახურონ, რათა ისტორიისა და ტრადიციის ფესვებიდან ამოიზარდოს როგორც ცოცხალი მცენარე (ედმუნდ ბერკი).



# ნეტა როგორია მოლოდინისფერი?

*

## ზვიად კვარაცხელიას ტურნე

ახალგაზრდა მწერლის **ზვიად კვარაცხელიას** ნოველებისა და მინიატურების კრებულის — **„ჰაე“** — გამოსვლა სასიამოვნო სიურპრიზია იმ მზერაგამახვილებული მკითხველისთვის, ვინც იმედით შესცქერის ახალი თაობის მწერალთა ნაბიჯებს. სასიხარულო ფაქტია, რომ ეს ნაბიჯი, სხვა სიკეთესთან ერთად, იღბლიანიც აღმოჩნდა. ახალგაზრდა მწერალს უკვე გამოეხმაურნენ ჩვენი მწერლობის ღირსშესანიშნავი წარმომადგენლები, ის ადამიანები, რომელთა მხრებსაც დაეყრდნობა ჩვენი ეპოქის კლასიკური მწერლობა.

ბუნებრივია, ეს გამოხმაურებები ახალგაზრდა მწერლისთვის ერთდროულად სტიმულიცაა და დიდი პასუხისმგებლობაც. და, საერთოდაც, ჩვენი საზოგადოების კულტურული ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში სწორედ სამწერლო ავანგარდის მიერ ლიტერატურული და ფსევდოლიტერატურული პროცესების გამიჯვნას, პირუთვნელობის, მიუკერძოებლობის პოზიციების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ წიგნის წარდგინება არაერთ ქალაქსა და კულტურულ გარემოში მოხდა და თავისებური ლიტერატურული ტურნეც აღმოჩნდა თავგადასავლების მაძიებელი ახალგაზრდა კაცისათვის, ვინც პირწმინდად მხატვრული ძიებების გარდა გატაცებულია მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრებითაც (დიდი ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია თუნდაც დოკუმენტურმა მოთხრობამ „ილია სამეგრელოში“) და, ვიმედოვნებთ, ბიოგრაფიულ რომანს მისი სახითაც გამოუჩნდება წარმატებული ავტორი. უკვე შებმულია საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც და ამ ასპარეზზეც უთუოდ აღბეჭდავს მნიშვნელოვან კვალს.

* * *

14 აპრილი, რუსთავის მე-3 საჯარო რუსული სკოლა.

ღონისძიების ორგანიზატორმა, სკოლის დირექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში **ვლადიმერ გირინმა** ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ღონისძიება მშვენიერ და დაუვიწყარ შთაბეჭდილებად ექცია ყველა მონაწილისათვის. ავტორს სათქმელი გაუმჟღავნეს განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **მარინა უგულავამ**, სხვადასხვა სკოლის დირექტორებმა — **ბელა ჯანგიძემ, ლალი ნაზღაიძემ, გელა წითლიძემ, ბექა შათირიშვილმა**, პედაგოგებმა **ეთერ ხარბედიამ, მარინა ბულიამ** და სხვებმა.

მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილმა ვიდეოკლიპებმა ავტორზე და ნაწარმოებთა ფრაგმენტულმა სცენებმა სტუმრებს ბევრი რამ ორიგინალურად უთხრეს.

„საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ზვიად კვარაცხელიას ახალგაზრდული ასაკი, რადგან ამ დროს იშვიათად იქმნება კარგი პროზა — რამდენი რამე დაუნახავს, შეუმჩნევია, ჩარჩენია მეხსიერებაში და მათი გამოხატვა და ჩვენთან მოტანა მოახერხა. თან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სერიოზულად ეკიდება ამ საქმეს. გამორჩეულია მისი დამოკიდებულება სიტყვასთან. სიტყვაშია დამწყვდეული სამყარო, ჩვენ ენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ვცხოვრობთ და მიხარია, რომ ზვიადს აქვს სიტყვისა და ენის სიყვარული" — განაცხადა წიგნის რედაქტორმა, კრიტიკოსმა **ლევან ბრეგაძემ.**

შეხვედრას ესწრებოდა გამომცემლობა „ინტელექტის" დირექტორი **კახმეგ კუდავა,** რომლის მხარდაჭერითაც გამოიცა წიგნი.

* * *

3 მაისი, ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლა, ტრადიციული ღია კარის დღე.

გაიმართა საგნობრივი კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სადამრიგებლო პროექტების, სხვადასხვა კლუბების საქმიანობათა ამსახველი მასალების გამოფენა, კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების პრეზენტაცია.

პროექტ „დიდებული საუბრების" ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა ზვიად კვარაცხელიასთან. ესწრებოდნენ და აზრი გამოთქვეს ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **თეიმურაზ ლანჩავამ,** მისმა მოადგილემ **მაცაცო ლოსაბერიძემ,** მწერალმა **ცირა ყურაშვილმა,** ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლის პედაგოგებმა **ნანა ხაჭაპურიძემ, ლალი ლანჩავამ,** 41-ე სკოლის პედაგოგმა **ლია კუხიანიძემ,** მე-17 სკოლის მოსწავლეებმა.

„ასე ახლოს არავინ შეხებია ჩემს და ჩემი მეგობრების სულიერ სამყაროს და პრობლემებს. როცა „ჰაეს" ვკითხულობ, ისე ვგრძნობ თავს, თითქოს უახლოესი ადამიანი მესაუბრებოდეს არა თითიდან გამოწოვილ, არამედ რეალურ ამბებზე... ძნელია შენი სულიერი მეგობრის პოვნა, რომელიც შენსავით წუხს და ტკივა, თავს თვლის დაკარგული თაობის შვილად და გამხნევებს, რომ დახეული ჯინსებით და სუფთა მორალით უფრო დიდი ადამიანი ხარ, ვიდრე გაზულუქებული და..." — ამბობს მეთორმეტე კლასის მოსწავლე **ბექა გაბადაძე.**



*ზვიად კვარაცხელია*

მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრა ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლის დირექტორმა **ხათუნა დარასელიამ.**

* * *

14 მაისი, თამარობა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

შეხვედრა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას 23 წლის მწერალი წარუდგინა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა **იგორ კეკელიამ.** „დღეს ამ დარბაზში ერთმანეთს მწერალი და მკითხველი ხვდება, — აღნიშნა მან, — ვიმსჯელებთ გამორჩეული ხელწერის მქონე შემოქმედის წიგნის გარშემო. გამოვთქვამთ სურვილებს და დაგვებადება კითხვებიც, რომლებსაც ავტორი უპასუხებს".

სტუმარიც და მასპინძელიც გაამხიარულა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ჟურნალისტიკის წრის წევრის, ათი წლის **გვანცა ჯღარკავას** შეკითხვამ: ნეტავ, როგორია მოლოდინისფერიო!..

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდობის საქმეთა მთავარმა სპეციალისტმა **მარინე თოფურიამ,** გამგებლის მოადგილემ — **ზვიად ბურჭულაიამ,** პროზაიკოსმა **თენგიზ კუდავამ,** მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებმა: **მანანა ბეჭვაიამ, სოფიკო გაწერელიამ, ოთარ დანელიამ, მადლენა კვესელავამ, მაია გაწერელიამ** და **დავით ბჟალავამ** ისაუბრეს მწერლის შემოქმედებაზე.

შეხვედრა მოსწავლეების აქტიურობითაც გამოირჩეოდა. ხუნწის, ნაგვაზავოს, მარტვილისა და ლეხაინდრავოს საჯარო სკოლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებმა ზვიად კვარაცხელიას რამდენიმე კითხვა დაუსვეს. კითხვა-პასუხის ფორმამ შეხვედრა კიდევ უფრო საინტერესო და შემეცნებითი გახადა.

მწერლისადმი სიყვარული და პატივისცემა ფოლკლორული და საესტრადო სიმღერების შესრულებითაც გამოიხატა. მომღერალ ბიჭუნათა გუნდმა პედაგოგ **ალექსანდრე გაბეშიას** ხელმძღვანელობით რამდენიმე ფოლკლორული სიმღერა შეასრულა, **ვაჟა დურგლიშვილის „ენძელა"** კი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებმა იმღერეს.

* * *

1 ივნისი, ქუთაისი, ლადო მესხიშვილის თეატრში მოქმედი „ღამის ბიბლიოთეკა".

ზვიად კვარაცხელიას წიგნის წარდგენა მამა ანდრია ყურაშვილის სახელობის მკითხველთა მოძრავი კლუბის თაოსნობით. შეხვედრათა იმ ჯაჭვის გაგრძელებაა, რაც ჩვენი ქალაქის ლიტერატურულ ცხოვრებას თავისებურ ხიბლს ანიჭებს, — თქვა კლუბის ხელმძღვანელმა, მწერალმა **ცირა ყურაშვილმა.** ახალგაზრდა პოეტმა **გიორგი ხასაიამ** აღნიშნა, რომ წიგნის განხილვისას ხშირად მწერლის პიროვნებაზე საუბრობენ უმთავრესი კი, ნაწარმოების ავ-კარგი, მხედველობის მიღმა რჩება. პოეტმა და მთარგმნელმა **ნანა გასვიანმა** ხაზი გაუსვა იმას, რომ ახალ თაობაში მიდის გაჯანსაღების პროცესი, რაც ფსიქიკურ-ფიზიკური თვალსაზრისითაც გამოიხატება. ჯანსაღ ლიტერატურას ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანები ქმნიან, თქვა მან. ზვიად კვარაცხელიამ წაიკითხა ნაწყვეტები მოთხრობების კრებულიდან „ჰაე".

თავიანთი უშუალო შთაბეჭდილებების შესახებ ისაუბრეს **გვანცა ჯავახაძემ, ტარიელ დათიაშვილმა, ქეთევან ბერძენიშვილმა, გელა ლაჭავამ, ვაკო ნაცვლიშვილმა,** სხვა მკითხველთა მხრიდანაც გამოითქვა არაერთი კეთილმოსურნე აზრი.

თბილი ურთიერთობებით გაჯერებული სასიამოვნო სალონური გარემო, ასეთი გახლდათ ის დღე ქალაქის კალეიდოსკოპურ წრებრუნვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ვახანია

# მიმზიდველია ბედისწერის წინაშე დგომა

8 მაისს ტყიბულის მე-6 საჯარო სკოლაში მოეწყო შეხვედრა მწერალთან. მთებით შემორკალული, მწვანეში ჩაფლული ქალაქი ნათელი სიმშვიდით შეეგება თბილისიდან ჩასულ სტუმრებს. ლამაზ, მზით სავსე დარბაზში ლიტერატურის, სიტყვის, სამშობლოს მოყვარული გოგო-ბიჭები და მასწავლებლები შეკრებილან. „მიმზიდველია ბედისწერის წინაშე დგომა"— როსტომ ჩხეიძის ეს სიტყვები გაუკრავთ პლაკატად კედელზე. იმ დღეს არა მარტო ერთი სკოლა, მთელი ტყიბული ხვდებოდა მწერალ როსტომ ჩხეიძეს მისგან მართალი, გულწრფელი სიტყვის მოსასმენად. მაგიდებზე მე-6 სკოლის მოსწავლეთა გაზეთ **„ერქვანის"** რამდენიმე ნომერი დაგვხვდა. (რედაქტორი მე-10 კლასის მოსწავლე **მარიამ კუბლაშვილი**). როგორც სკოლის დირექტორი, **შოთა ჯინჯიხაძე** ბრძანებს, მოსწავლეთა გაზეთის გამოცემას ტყიბულის სკოლებში 1996 წელს ჩაეყარა საფუძველი. პირველი გაზეთის, **„დაფიონის"**, გამოცემას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნანა ჭანტურია** ხელმძღვანელობდა. ტრადიცია დღესაც გრძელდება და „ერქვანის" ორიოდე ნომრის გაცნობა გვარწმუნებს — გრძელდება შესანიშნავად.



*ლევან ბრეგაძე, როსტომ ჩხეიძე, ნინო ვახანია*

შეხვედრა გახსნა და მას უძღვებოდა დირექტორის მოადგილე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნანა ამბროლაძე**.

„ნება მომეცით, ბატონი როსტომი წარმოგიდგინოთ მისივე ნათქვამით:

„დიდხანს მაღელვებდა ლუარსაბ თათქარიძის სახე და ლიტერატურული ხვედრი, ხუნდებივით გამოჭედილი ისეთ კლიშეებში, რომელსაც ვერა და ვერ ამსხვრევდა ერთი-ორი მართებული და მახვილი დაკვირვება".

ამ პერსონაჟის ხასიათის ანალიტიკური განსჯა მეც მანუხებდა.

ადამიანში ადამიანური რესურსის ძიებით გამორჩეულ პიროვნებად იცნობს ბატონ როსტომს სრულიად საქართველო.

ვაჟასი არ იყოს, მისი „ძახილიც" ამგვარად გვესმის: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შეწუხებული". გონებას ფიქრი უნდა სტანჯავდეს, ფიქრიანი ადამიანები ძნელად ცხოვრობენ, რამეთუ ფიქრი მათი ბედისწერა და მშვენებაა; ბატონ როსტომს კიდეც ალამაზებს, ლირიკული ისტორიის გმირად აქცევს. იქ, სადაც ხანდაზმული პიროვნება გონიერი ახალგაზრდის თანამოაზრე ხდება, გზა ყოველთვის ჩანს.

ბატონი როსტომის კრეატიული აზროვნება არ შეიძლება, არ ხიბლავდეს მსმენელსა თუ მკითხველს. არაჩვეულებრივი დინამიური მეტყველებით გამოჩანს ჩვენი სტუმარი, მას შესწევს ძალა უხილავი მოვლენების გასაგნებისა, მათთვის შეგრძნების მინიჭებისა.

ყველა ადამიანისაგან ის რჩება, რაც მისი და განუმეორებელია.

ბატონი როსტომი ის არის, რაც არის: სასიტყვეთის მკვიდრი ბინადარი, ორიგინალური მოაზროვნე, დიდებული ხელოვანი, ლიტერატურაში დამკვიდრებულ შეხედულებათა რეფორმატორი, ჰუმანიზმის ქრესტომათიის ერთ-ერთი თავფურცელი. მისმა აზრებმა რწმენა და გამოცდა — ადამიანების სულიერი თავგადასავლების ისტორია წამოიწყო.

მასთან ერთად დღეს ნიჭიერი მწერალი და კრიტიკოსი ბატონი ლევან ბრეგაძე მობრძანდა. მისი ფესვები ოკრიბაში გაღვივდა და შემოქმედება დედაქალაქში გაფოთლდა. ბატონ ლევანს არასოდეს არ უფიქრია — სხვა ხალხი და ზნეობა გაჩნდა, ჩემი მხნეობა ველარ ჭრისო. მწერალი დედამიწაზე კვლავ სინდისის დარაჯად რჩება. ყოველი ასეთი ადამიანისაგან მოდის სინათლე, რომელიც ღვთაებრივი არსის მსგავსია.

ჩვენი სტუმარი ქალბატონი ნინო ვახანია სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორია, რითაც ყველაფერია უკვე ნათქვამი, იგი სამშობლოს სიყვარულით ცოცხლობს, არსებობს.

მადლობა ამ ადამიანებს მობრძანებისათვის, ახალგაზრდებთან შეხვედრის სურვილით მათ კიდევ მეტად აჩვენეს ამქვეყნად არსებობისა და აზროვნების ხიბლი".

მცირე, მაგრამ საგულისხმო შესავლის შემდეგ ქალბატონმა ნანამ მადლობა გადაუხადა როსტომ ჩხეიძეს საჩუქრად ჩატანილი წიგნებისთვისაც და სიტყვა სტუმრებს გადასცა.

**ნინო ვახანია:** ბავშვს, მოზარდს ერთმა მწერალმა „ჩვენი ცხოვრების ყვავილი" უწოდა. როგორი მომავალიც გვსურს, წარმოგვიდგენია ჩვენი ქვეყნისთვის, იმ მიზნის გათვალისწინებით უნდა გავზარდოთ დღევანდელი მოსწავლე. ხვალინდელი დღე და სამშობლოს ბედი მათ ხელშია. როცა ასეთ ინტერესს იჩენს ახალგაზრდობა მწერლისადმი, მისი ნათქვამი სიტყვისადმი, ეს კარგის ნიშანია. ამ არეულ ყოფაში ნუგეშსა და სიმშვიდის საფუძველს იძლევა. დღეს სკოლამ, ჩემი აზრით, საუკეთესო არჩევანი გაა-

კეთა. შეხვედრა ისეთ გულმართალ, ღრმად ეროვნულ მწერალთან, როგორიც როსტომ ჩხეიძეა, ბევრ რამეს შეგვძენს ჩვენ ყველას. ბატონი როსტომი, მოგეხსენებათ, მრავალმხრივი მოღვაწეა. წიგნების—მხატვრული ნაწარმოებებისა და გამოკვლევების—ავტორი, მთარგმნელი, რედაქტორი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ასეთი უშუალო შეხვედრები მკითხველთან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მისი მოღვაწეობის კიდევ ერთი, ფრიად დასაფასებელი მხარეა. ამათგან ერთ-ერთს რომ აბამდეს თავს ადამიანი ღირსეულად, ისიც კი საკმარისი იქნებოდა პირადად მისთვისაც და ქვეყნისთვისაც. თავისი დაუოკებელი ენერგიის წყალობით კი ბატონი როსტომი ამდენ რამეს სწვდება.

ქალბატონმა ნინომ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს მოწვევისთვის, მიულოცა ეს დღე და იმედი გამოთქვა, რომ ასეთი შეხვედრა ბოლო არ იქნება.

როსტომ ჩხეიძე: ბოლო წლებში ჩემი ცხოვრების წესად ჩამოყალიბდა მკითხველთან შეხვედრა. მწერალი სულიერ პლანში ყოველთვის ხვდება და ელაპარაკება უამრავ ადამიანს წარსულშიც, მომავალშიც, მაგრამ ასეთ ცოცხალ შეხვედრებს გამორჩეული ხიბლი აქვს. თვით უილიამ ფოლკნერიც კი, რომელიც სოფელში იყო გამოკეტილი, გაურბოდა საზოგადოებას და ამერიკის პრეზიდენტს უარი შეუთვალა შეხვედრაზე, მკითხველთან საუბარს ყოველთვის თანხმდებოდა.



*დავით აბესაძე, ნათია შერბაკოვა, ანა ობოლაძე*

ჩვენს რეალობაში, როცა ხელახლაა დასაწერი ისტორია, გადასარჩენია სახელმწიფო, ერი, ენა, ეს შეხვედრა აღიქმება როგორც ეროვნულ-საგანმანათლებლო მოძრაობის ერთი მხარე, როგორც დიდი, ეროვნული ტაძრის ნაწილი.

ბატონმა როსტომმა მადლობა გადაუხადა შეხვედრის ინიციატორს, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ხათუნა რიჟამაძეს, ყველა პედაგოგსა და მოსწავლეს და აღნიშნა, რომ მკითხველის გარეშე მწერალი არ არსებობს. მეტიც, დიდი მკითხველი ქმნის დიდ ლიტერატურას. ამიტომ დღევანდელ შეხვედრასაც ის აღიქვამს როგორც საზოგადოებრივ დაკვეთას.

**ლევან ბრეგაძე:** ტყიბულის მე-6 სკოლაში შეურჩევიათ საუკეთესო ფორმა მწერალთან შეხვედრისა. როსტომ ჩხეიძის მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე ძველი ტექსტების ახლებურად წაკითხვა და გააზრებაა და რა კარგია, რომ აქ ამაზე ილაპარაკეს. როსტომი მიმდევარია იმ მიმართულებისა, ლიტერატურისმცოდნეობაში დეკონსტრუქტივიზმად რომ იხსენიება. როსტომ ჩხეიძემ ახლებურად დაგვანახა ე. წ. უარყოფითი პერსონაჟები — ლუარსაბ თათქარიძე, თეიმურაზ ხევისთავი, ძალიან ორიგინალურად წაიკითხა ყველასათვის კარგად ნაცნობი თხზულებები. ვისაც წიგნთან აქვს საქმე, ყველა წიგნის კაცია, მაგრამ როსტომი განსაკუთრებულად წიგნის კაცია, უაღრესად ნაყოფიერი მწერალი და გამომცემელია.

ბატონმა ლევანმა გაიხსენა, როგორ მოუწყვეს დიდი ხნის წინათ ტყიბულში შეხვედრა ლევან გოთუას და რა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ამან მაშინ მოსწავლეებზე. გიყვარდეთ სიტყვა და იგი სიყვარულითვე გიპასუხებთ, — ურჩია კრიტიკოსმა ახალგაზრდებს და მადლობა გადაუხადა დამსწრეთ ლიტერატურის სიყვარულისთვის.

შემდეგ გაიმართა საინტერესო საუბარი მოსწავლეებსა და მწერალს შორის. მე-10 — მე-12 კლასის მოსწავლეები: ნათია შერბაკოვა, თინათინ ბარბაქაძე, მარიამ კუბლაშვილი, დავით აბესაძე, თეონა ბრეგაძე, ეთერ ქასრაშვილი როსტომ ჩხეიძის შემოქმედების სხვადასხვა საკითხით დაინტერესდნენ და მრავალი საგულისხმო შეკითხვა დაუსვეს მწერალს.

**ნათია შერბაკოვა** (მე-10 კლ.) დაინტერესდა იმით, თუ როგორ ესახება საქართველოს ბედისწერა მწერალს.

როსტომ ჩხეიძე: მთელი ჩემი ცხოვრება და შემოქმედება ამ თემას უტრიალებს გარშემო. ამ კითხვაზე პასუხი რომ მქონდეს, კალამს განზე გადავდებდი დაუნანებლად. რამ გადაგვარჩინა საუკუნეების მანძილზე. რამ მოგვიყვანა დღემდე? როგორ წარიმართება ჩვენი ცხოვრება შემდეგ? ეს პრობლემები ყოველთვის დგას მწერლობის წინაშე, მაგრამ კრიზისის ჟამს განსაკუთრებული სიმწვავით წარმოდგება ხოლმე. ახლა დამთავრდა ერთი, კომუნისტური რელიგია და დაიწყო მეორე — გლობალიზმი — არანაკლებ დამთრგუნველი, მაგრამ მჯერა, ამასაც დავძლევთ. დანამდვილებით ვიცი, რაც უფრო მწვავე იქნება შემოტევა ქართული ცნობიერების წინააღმდეგ, მით უფრო მწვავე იქნება ჩემი კალამი.

**თინათინ ბარბაქაძემ** (მე-11კლ.) სთხოვა მწერალს, უფრო სრულად მოეთხრო თავისი მოღვაწეობის შესახებ.

როსტომ ჩხეიძე: ჩემი კრედოა — მაქსიმალურად ვიყო ობიექტური, პირადი ურთიერთობები არ აისახოს ჩვენს ჟურნალში. 1978 წ. 14 აპრილი ყველაზე მღელვარე დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მოვალედ ჩავთვალე თავი, დამეწერა სიმართლე. ენის გადარჩენა მაშინ ხელისუფლებამ მიითვისა და დაიჩემა. ყველაფერი კი უნდა წარმოჩნდეს ისე, როგორც იყო.

**მარიამ კუბლაშვილმა** (მე-10 კლ.) იკითხა, როგორ მოხერხდა, რომ ენაც და ადათებიც შევინარჩუნეთო.

როსტომ ჩხეიძე: თავის დროზე იაკობ გოგებაშვილმა გადაარჩინა ენა. მე-20 ს. 70-იან წლებში მომზადდა ჩვენი ენის დამხობა. მაგრამ მოხდა ისე, რომ საბჭოთა იმპერია

დაემხო. მაშინ ენა გადარჩა, მაგრამ ენა კვლავ გადასარჩენია. ენა იდუმალი მოვლენაა, მთელი სამყაროა, ამიტომ მოვალენი ვართ, შევიყვაროთ და ვიკითხოთ წიგნი.

არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური შეხედულებებითა და მისი ურთიერთობებით ილიასთან დაინტერესდა **დავით აბესაძე** (მე-10 კლ.)

როსტომ ჩხეიძე: არჩილ ჯორჯაძე ერთი უდიდესი სახელია საქართველოს ისტორიაში. საბჭოთა ეპოქაში მისი სახელიც და შემოქმედებაც აკრძალული იყო, თუმცა ახლაც არ არის სათანადოდ დაფასებული. არჩილ ჯორჯაძე რომ ცოცხალი ყოფილიყო 1918 წ., იგი გახდებოდა საქართველოს პრეზიდენტი და ჩვენი ყოფაც სხვაგვარად წარიმართებოდა. სიმართლის ერთგულება გვავალდებულებს არ დავმალოთ, რომ ახალგაზრდობისას არჩილ ჯორჯაძე განუდგა თავის ენასაც და თავის ხალხსაც. გადამწყვეტი როლი მის ცხოვრებაში, ეროვნული სულის გაღვივებაში თედო სახოკიამ შეასრულა. დღეს არჩილი ილიას გზის გამგრძელებლად მოჩანს. შემთხვევითი არაა, რომ ილიას ბიოგრაფიის დაწერა სწორედ არჩილმა განიზრახა.

**თეონა ბრეგაძემ** (მე-10 კლ.) იკითხა, თუ რამდენად დამახასიათებელია თათქარიძეობა თანამედროვე საზოგადოებისათვის.



*თეონა ბრეგაძე, ეთერ ქასრაშვილი, თინათინ ბარბაქაძე*

როსტომ ჩხეიძე: ილიასთვის თათქარიძეობა საერთო ქართული მოვლენაა. ეს არაერთგზის არის აღნიშნული მოთხრობაში. ილია თურმე ამბობდა, ლუარსაბ თათქარიძე მე ვარო. ასეთი გაიგივება ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ილია გულისხმობდა, შემოქმედებითი უნარის გარეშე იქნებოდა თუ არა ის ლუარსაბი? არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ იმ გარემოში ყველაზე გულწრფელი ადამიანი ლუარსაბია. ცხოვრება არ არის მარტო შავი ან მარტო თეთრი. ამიტომ პერსონაჟებსაც არ უნდა შევხედოთ ცალმხრივად. ლუარსაბია უმწეო და ამავე დროს მოყვარული თავისი მიწისა, ძველი ჩვეულებებისა, გულუბრყვილო და უბოროტო ამ თვალთმაქც გარემოში.

**ეთერ ქასრაშვილი** (მე-11 კლ.): რა მიზნით დაწერეთ „ყაზბეგიანა“ და მიაღწიეთ თუ არა შედეგს?

როსტომ ჩხეიძე: მივაღწიე თუ არა შედეგს, ეს მკითხველმა უნდა განსაჯოს. მე კი გეტყვით, რომ ალექსანდრე ყაზბეგი თანამედროვე მწერალია. მან დახატა რუსეთის ძალმომრეობა ისე, როგორც არ გაუკეთებია სხვას არავის. მას თავისი თანამედროვენი ყველაზე ცუდად მოექცნენ (ისევე როგორც ედგარ პოს). ქართული მწერლობის ევროპულ სალიტერატურო ცხოვრების ნაწილად ქცევაში დიდი როლი სწორედ ყაზბეგმა, მისმა მართალმა შემოქმედებამ უნდა შეასრულოს.

**ნათია შერბაკოვას** შემდეგი შეკითხვა ჯერომ სელინჯერის ბედისწერას ეხებოდა.

როსტომ ჩხეიძე: ჯერომ სელინჯერმა ძალიან გაითქვა სახელი რომანით: „თამაში ჭვავის ყანაში“, მერე კი გაერიდა საზოგადოებას, განზე გადგა და როცა მე და პაატა ჩხეიძე დავინტერესდით, სად ცხოვრობდა, ან იყო თუ არა ცოცხალი, ამაზე ამერიკის ელჩმაც ვერ გვიპასუხა.

სელინჯერის პერსონაჟი, სიმორ გლასი თვითმკვლელობამდე მიდის უსასოობის შეგრძნების გამო. მწერლები მწვავედ განიცდიან, რომ მათ გარშემო უამრავი ძალმომრეობა ხდება, მათ კი არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ. ეს თრგუნავთ და სასოწარკვეთილებაში აგდებთ მათ. როგორც ჯონათან სვიფტი წუხდა, რამდენი ხანია „გულივერის მოგზაურობა“ გამოიცა, საზოგადოება კი არ შეცვლილა, ისევ ისეთივეაო. სელინჯერიც ძალიან განიცდიდა ამას. ამიტომ მოაკვლევინა თავი თავის გმირს, თვითონ კი ამ განცდის გამო განუდგა საზოგადოებას და საკუთარ თავში ჩაიკეტა.

**ანა ობოლაძის** (მე-10 კლ.) შეკითხვა 1832 წ. შეთქმულებას შეეხებოდა. როსტომ ჩხეიძემ ეს შეთქმულება ზნეობრივ მაგალითად მოიხსენია. ახალგაზრდებს შეახსენა, რომ შეთქმულების მეთაურებს თავიანთთვის არ ჰქონდათ გათვალისწინებული არც ერთი თანამდებობა მომავალი მთავრობის შემადგენლობაში. რითაც მან გამოკვეთა შეთქმულთა წრფელი განზრახვა, ქვეყნისადმი თავგანწირული დამოკიდებულება, პირადულის უარყოფის აუცილებლობა საქვეყნო საქმესთან.

ლიტერატურული კლუბის ხელმძღვანელმა **დოდო ქათამაძემ** ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრთა სახელით მადლობა გადაუხადა სტუმრებს და სამახსოვროდ ღვთისმშობლის ხატი გადასცა თითოეულს.

კიდევ ბევრი რამ დარჩა იმ შეხვედრაზე უთქმელი. ახალგაზრდებს დაუსმელი კითხვები დარჩათ, ბატონ როსტომს — საინტერესო პასუხები. ერთი შეხვედრა, ცხადია, ვერ მოიცავდა და ამოწურავდა სტუმარ-მასპინძლის ყველა ინტერესს, ამიტომ გამოითქვა სურვილი და გამოიკვეთა აუცილებლობა შეხვედრების კვლავ გაგრძელებისა.

დასასრულ, სტუმრებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს შეხვედრის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს. ბატონმა როსტომმა კი გამოთქვა რწმენა, რომ ამ ახალგაზრდების დიდი ნაწილი მომავალი მეცნიერი, მწერალი, მოღვაწე გამოვა და წარმატებები უსურვა მათ.

შეხვედრა დასრულდა, კვლავ გაგრძელების იმედით. გული სავსეა მომავლის რწმენით, იმედით. როცა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მწერალს ასე ხვდებიან, ეს ნიშნავს, რომ ერს არ სძინავს, ერის გონების თვალი ახილულიაო, — გვეხმიანება საუკუნეთა წიაღიდან ილია ჭავჭავაძე და უკეთესს ვის ვინატრებთ გამამხნევებლად, გზის გამკვალავად?!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნანა ფურცელაძის მზრუნველი და ყურადღებიანი ხელმძღვანელობის ქვეშ უკვე არაერთმა თაობამ გაიარა. არაბული ენისა და ლიტერატურის სირთულეებს იშვიათი ერუდიციით, ღრმა ცოდნითა და აკადემიურობით აზიარებს სტუდენტებს ქალბატონი ნანა, რომელსაც საკმაოდ ნაყოფიერი სამეცნიერო და აღმზრდელობითი მუშაობის გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანი მთარგმნელობითი სამუშაო აქვს ჩატარებული. საკმარისია დავასახელოთ არაბული ფოლკლორის ბრწყინვალე ძეგლი "ათას ერთი ღამე", რომლის პირველი ტომი 1967 წელს გამოიცა (რვა ტომიდან ოთხის თარგმანი ქ-ნ ნანას ეკუთვნის) და 1985 წელს გამოსული "მუალაკები" — ისლამამდელი არაბი პოეტების ლექსთა კრებული. პოეტურ თარგმანებში განსაკუთრებით იგრძნობა ქალბატონი ნანას ფაქიზი ბუნება, შინაგანი კულტურა და დახვეწილი გემოვნება.

ის როგორც ძველი, ისე თანამედროვე პოეზიის უბადლო მთარგმნელად გვევლინება, რაშიც აქ წარმოდგენილი თარგმანების გაცნობისთანავე დარწმუნდებით. ქალბატონმა ნანამ ამჯერადაც მისთვის ჩვეული თავმდაბლობით გვთხოვა, წაგვეკითხა ისინი, აზრი გამოგვეთქვა ან რაიმე შენიშვნა მიგვეცა. თუმცა ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ვერაფერს შეცვლი — ვერც მიუმატებ, ვერც გამოაკლებ. ეს შესანიშნავად შესრულებული თარგმანებია, რომელიც შეიძლება შეადარო სფეროს — მაღალი მთიდან რომ დააგორებ და არაფერი ჩამოტყდება, რადგან ისეთი სრულყოფილია, ერთი ზედმეტი წახნაგიც არა აქვს.

## ლაბიდი

## მნათობები

*მარსია (ნატირალი) ნათქვამი ძმაზე*
*არბადზე, რომელიც მეხმა მოკლა*

ჩვენ გავქრებით და ვარსკვლავები არ გაქრებიან.
დარჩება მთები ჩვენ შემდგომად და ნაშენები.

მე ადრე მწირი მფარველის ქვეშ ვიმყოფებოდი,
ახლა მფარველმა ხვავრიელმა არბადს მაშორა.

არ დაიდარდო, ბედისწერამ თუ დაგვაშორა,
ყოველ ვაჟკაცზე დაგამწუხრებს ბედი ოდესმე.

ძვირფასი ძღვენი ვერ გამახარებს,
ვერ დამამწუხრებს, ბედისწერა რასაც დამატეხს.

ხალხი სხვა რაა — უდაბნოში დროებითი
სადგომის მკვიდრნი,
დღეს რომ სავსეა, ხოლო ხვალ კი — უკაცრიელი.

ადამიანი სხვა რაღაა — ცეცხლის ალია,
აკაშკაშდება, მერე ნაცრად ჩაიფერფლება.

რაა სიკეთე, თუ არ ჩუმი ღვთისნიერება,
ქონება — მხოლოდ დროებითი მონაბარები.

ქვეყნად ქონებაც და ოჯახიც მხოლოდ ვალია,
რომელიც უნდა დააბრუნო ერთ დღეს უთუოდ.

და მერე, როგორც აქლემის ჯოგი, მივდევთ ერთმანეთს.
ზოგს ჩამოვრჩებით, ზოგსაც მარეკი მიაყოლებს სხვების
კვალდაკვალ.

ხალხი სხვა რაა — ორი მუშაა,
ერთი რომ ანგრევს და მეორე ისევ აშენებს.

იმათგან ზოგი ბედნიერია, იღებს თავის წილს
და ზოგიერთიც უილბლოა, მცირედიც ყოფნის,

და თუ სიკვდილი დაახანებს, განა რა მელის,
— სიარული მოხრილსა და ჯოხზე მოდრეკილს.

გარდასულ დროთა გახსენება და ჩოჩიალი.
წამოვდგები და თითქო მუხლზე ჩავიჩოქეო.

დავემსგავსები მეც იმ მახვილს, ქარქაში რომ
გამოუცვალეს.
რკინა კი გაცვდა, მაგრამ წვერი ისევ მჭრელია.

სიკვდილის ჟამი თუ დადგება და ახლო არის,
შორს არ წახვიდე, მოსახდენი მაინც მოხდება.

ჩემო მკითხველო, შენ რა იცი, თუ არ გუმანით,
იმ ვაჟკაცთაგან, ვინც წავიდა, ვინმე მობრუნდა?

შენ მისტირი აწ გარდასულ ახალგაზრდობას,
თუმც შენი სწორნი, ყმაწვილები ჯერაც არიან.

შენ დაგამწუხრა, ბედისწერამ რაც უყო ვაჟკაცს.
რომელ ღირსეულს არ სწვევია უბედურება?

მე ვფიცავ შენს თავს, მკითხავებმა და მჩხიბავებმა
არ იციან, ღმერთი რას იზამს.

შეუნდეთ, თუ ტყუილს იტყვიან,
როდის მოკვდება ადამიანი, ანდა წვიმა როდის იქნება.



ლაბიდი ცნობილია, როგორც "უკანასკნელი ბედუინი პოეტი", რომელიც მოესწრო ისლამს და აღიარა კიდეც იგი. ლაბიდის შემოქმედება ისლამამდელ ხანას განეკუთვნება. არაბული წყაროები გვამცნობენ, თითქოს ისლამის აღიარების შემდეგ მას უარი უთქვამს პოეტურ მოღვაწეობაზე. გარდაიცვალა დაახლოებით 661 წელს, როცა ას წელს გადაცილებული უნდა ყოფილიყო.

**ნიზარ კაბანი**

## სევდის კასიდა

შენმა სიყვარულმა... სევდა მასწავლა.
ო, რა ხანია, მჭირდება ქალი,
ქალი, რომელიც დარდით დამთანგავს,
რომლის მკლავებშიც ავტირდები, როგორც ბეღურა.
ქალი, რომელიც ჩემს ნაწილებს
შეკრებს ბროლის ნამსხვრევებივით.
შენმა სიყვარულმა, ჩემო ქალბატონო,
მასწავლა ბევრი მავნე ჩვევა.
მასწავლა, როგორ გავხსნა ფინჯანი
ღამეში ალბათ ათასჯერ მაინც.
ვცადო წამლობა ექიმბაშებთან,
მარჩიელთ კარზე მივუკაკუნო.
მასწავლა, რომ... გამოვიდე შინიდან და
ვთელო... ქუჩის ქვაფენილები.
ვდიო შენს სახეს
წვიმასა და
მანქანების მაშუქთა შუქზე
ვდიო შენს სამოსს...
უცნობ ქალთა შესამოსელში.
ვდიო შენს აჩრდილს
აფიშებსა და პლაკატებშიაც.
მასწავლა შენმა სიყვარულმა...
ვიხეტიალო საათობით გზააბნეულმა,
და ბოშას თმა როგორ ვეძებო,
ყველა ბოშა ქალს რომ შეშურდება.
ვათვალიერო ყველა სახე... და ყველა ხმა.
ვეძებო შენი სახე, შენი ხმა.
მე შენს სიყვარულს, ჩემო ქალბატონო,
შევყავარ სევდის ქალაქებში.
მე კი შენამდე არ შევსულვარ სევდის ქალაქად.
და არასოდეს მცოდნია, რომ
ცრემლია თავად ადამიანი.
ადამიანი დარდის გარეშე
ადამიანის მხოლოდ ლანდია.
მასწავლა შენმა სიყვარულმა,
რომ გადავიქცე პატარა ბიჭად
და შენი სახე ვხატო ცარცით
სახლის კედლებზე
და მეთევზეთა იალქნებზე,
ზარებზე, ჯვრებზე.
როგორ ცვლის თურმე
სიყვარული დროების რუკას.
მასწავლა შენმა სიყვარულმა, როდესაც მიყვარს,
დედამიწაც კი ჩერდება და აღარ ტრიალებს.
მე სიყვარულმა ბევრი მასწავლა...
მანამდე აზრად რომ არ მომსვლია.
ვკითხულობ ახლა საბავშვო ზღაპრებს,
შევდივარ ჯინთა მეფეების სასახლეებში.
ვოცნებობ ძველი რაინდებივით
მოვიტაცებ და სულტნის ქალზე დავქორწინდები.
მისი თვალები...
მდინარის წყალზე კამკამაა
და მისი ბაგე... ბროწეულის ყვავილზე ამო.
მასწავლა შენმა სიყვარულმა უაზრო ბოდვა.
მასწავლა, როგორ გადის ცხოვრება
და სულტნის ქალი არა და არ ჩანს,
მასწავლა შენმა სიყვარულმა
ყველაფერში როგორ მიყვარდე —
შიშველ ხეებში, გამხმარსა და ყვითელ ფოთლებში,
წვიმიან დარში, გრიგალში, ქარში.
მყუდრო კაფეში,
საღამოობით ყავას რომ ვსვამდით,
მასწავლა შენმა სიყვარულმა
შეფარება უსახელო სასტუმროებში,
უსახელო ეკლესიებში,
უსახელო ყავახანებში.
მასწავლა შენმა სიყვარულმა ყარიბთა დარდებს,
ღამე ვეება სევდად რომ აქცევს,
და ბეირუთს როგორ შევხედო,
ქალს, რომლის ეშხიც წაგვლეკავს უცბად,
ქალს, რომელიც ყოველ საღამოს
ჩაიცვამს თავის უკეთეს სამოსს,
მკერდზე იპკურებს ნელსურნელებას
მეზღვაურთა და... ამირებისთვის.
მასწავლა შენმა სიყვარულმა,
თუ უცრემლოდ როგორ ვიტირო.
მასწავლა, როგორ იძინებს სევდა
არ-რაფშასა და ალ-ჰამრას გზებზე
ფეხმოჭრილი ბიჭუნასავით.
შენმა სიყვარულმა სევდა მასწავლა.
ო, რა ხანია, მჭირდება ქალი,
ქალი, რომელიც დარდით დამთანგავს,
რომლის მკლავებშიც ავტირდები, როგორც ბეღურა.
ქალი, რომელიც ჩემს ნაწილებს
შეკრებს ბროლის ნამსხვრევებივით.

## მკითხავი

დაჯდა... თვალებში შიში უკრთოდა,
როცა ჩემ ფინჯანს თვალი შეავლო,
თქვა:
— ნუ იდარდებ, ჩემო შვილო,
სიყვარული, ვხედავ, შენი ბედისწერაა.
ჩემო შვილო, როგორც მოწამე, ისე მოკვდება,
ვინც თავს შესწირავს სიყვარულის სარწმუნოებას.
შენი ფინჯანი... ქვეყანაა შიშისმომგვრელი,

---

სირიელი დიპლომატი ნიზარ კაბანი (1923-1998) დღემდე მთელს არაბულ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე პატივდებულ და პოპულარულ პოეტად რჩება. დამასკოში დაბადებულსა და გაზრდილს დიპლომატიური მისიით მოღვაწეობა მოუწია ბეირუთში, კაიროში, სტამბულში, მადრიდსა და ლონდონში. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ჟენევასა და პარიზში. ბოლოს ლონდონში დასახლდა, სადაც უკანასკნელი თხუთმეტი წელი გაატარა და გულის შეტევით გარდაიცვალა. დაკრძალეს დამასკოში, როგორც თავად ითხოვა. ლექსების წერა თექვსმეტი წლისამ დაიწყო. გამოქვეყნებული აქვს ოცდათხუთმეტი პოეტური კრებული. ბევრი მათგანი თარგმნილია სხვადასხვა ენებზე.

შენი სიცოცხლე — ომები და მოგზაურობა.
შენ სიყვარული ხშირად გეწვევა...
ჩემო შვილო და ხშირად მოკვდები.
შენ გეყვარება ყველა ქალი ამ ქვეყანაზე...
და მობრუნდები, როგორც მეფე დამარცხებული...

* * *

შენ ცხოვრებაში, ჩემო შვილო, ერთი ქალია
თვალები მისი — დიდება უფალს!
ბაგე მისი — დახატული, როგორც მტევანი.
მისი სიცილი მუსიკაა და ვარდებია.
მაგრამ შენი ცა — წვიმიანია,
ხოლო შენი გზა ჩაკეტილია... ჩაკეტილია...

* * *

შენს შეყვარებულს, ჩემო შვილო,
სძინავს მონუსხულ სრა-სასახლეში.
სასახლე, შვილო, მეტად ვრცელია.
იცავენ მცველნი და ნაგაზები.
იქ შენი გულის მბრძანებელს ძინავს.
ვინც მის სამყოფში შესვლას გაბედავს, დაღუპულია.
ვინც მის ხელს ითხოვს, —
მისი ბაღნარის გალავანთან ვინც ახლო მივა,
დაღუპულია.
ვინც შეეცდება, რომ დალალები დაუშალოს,
შვილო ჩემო,
დაღუპულია... დაღუპულია... დაღუპულია...

* * *

შვილო, ბევრჯერ მიმკითხავია... და ვარსკვლავები
მიჩხრეკია
და არასოდეს არ მინახავს ფინჯანი შენი ფინჯანის დარი.
არც არასოდეს გამიგონია
დარდები შენი დარდის სადარი.
შენ გიწერია სიყვარულში
იარო მუდამ სატევრის პირზე
და იყო მარტო, როგორც ნიჟარა.
დაღონებული, როგორც ტირიფი.
შენი ხვედრია, იარო მუდამ უიალქნებოდ
სიყვარულის ოკეანეში.
და შეგიყვარდეს... მილიონჯერ.
და როგორც მეფე დამხობილი, ისე დაბრუნდე.

**არაბულიდან თარგმნა**
**ნანა ფურცელაძემ**







**ო' ჰენრი**

# დეტექტივის დეტექტორი

ცენტრალურ პარკში სახელგანთქმულ ნიუ-იორკელ მძარცველ, ყაჩაღსა და მკვლელთან ეივერი ნაითთან ერთად ვსეირნობდი.

"ეს ხომ დაუჯერებელია, ძვირფასო ნაით," – ვეუბნებოდი მას, — "ვინ უარყოფს იმ კრიმინოლოგიურ საგმირო საქმეებს, რომლის შემოქმედიც ბრძანდებით. კაცს განცვიფრებაში მოიყვანთ პოლიციის ცხვირწინ ჩადენილი მკვლელობებით, გაბედულად შედიხართ მილიონერთა სახლებში და ცარიელი თოფის მუქარით ვერცხლეულსა და ძვირფასეულობას იტაცებთ, მოქალაქეებს ბროდვეის ლამპიონების თვალისმომჭრელ შუქზე ემუქრებით, ხოცავთ და ქურდავთ სრულიად აშკარად და დღემდე დაუსჯელი ხართ. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ როცა იქადნით, რომ მკვლელობიდან ორმოცდარვა საათის მანძილზე იპოვით და პირისპირ დამაყენებთ დეტექტივის წინ, თქვენი დაკავება რომ ავალია, ნება მომეცით, ჩემი ეჭვი გამოვთქვა – ხომ არ გავიწყდებათ, თქვენ ნიუ-იორკში ხართ."

ეივერი ნაითმა მოთმინებით გაიღიმა.

"პროფესიული სიამაყე შემილახეთ, დოქტორო," – მითხრა გაჯავრებული ტონით, — "შევეცდები ჩემს ნათქვამში დაგარწმუნოთ".

რამდენიმე იარდის* მოშორებით, იქ, სადაც ჩვენი სასეირნო ბილიკი უხვევდა, მდიდრულად შემოსილი მოქალაქე ბუჩქნართან ტრიალებდა. უცბად ნაითმა რევოლვერი იძრო და მას ზურგში დაახალა. მსხვერპლი წაიქცა და აღარც განძრეულა.

ცნობილი მკვლელი აუჩქარებლად მივიდა მასთან და ტანსაცმლიდან ფული, მაჯის საათი, ძვირფასი ბეჭედი და ყელსაბამის ქინძისთავი ამოაცალა. შემდეგ აღუშფოთებელი ღიმილით ჩემთან დაბრუნდა და სეირნობა განვაგრძეთ.

*** იარდი — სიგრძის ერთეული, 1 იარდი უდრის 91,4 სანტიმეტრს**

ათი ნაბიჯიც არ გადაგვედგა, რომ პოლიციელს შევეჩეხეთ. ის იმ ადგილისკენ გარბოდა, საიდანაც გასროლის ხმა მოისმა. ეივერი ნაითი პოლიციელს წინ გადაეღობა.

"ეს–ესაა კაცი მოვკალი და ცხედარი გავძარცვე," – გამოუცხადა მან სერიოზულად.

"შენთვის მცხელა სწორედ,"– გაბრაზდა პოლიციელი, –"გაზეთში გამოცხადება მოგინდა, არა? როდის იყო შეშლილი მკვლელები ასე სწრაფად ბარდებოდნენ პოლიციას, თავიდან მომწყდი, თორემ ჩაგაყუდებ, იცოდე."

"ამის გაკეთება არ არის ძნელი," – ვუთხარი ნაითს გამოწვევით, გზა რომ განვაგრძეთ, – "მაგრამ როცა გსურთ გამოეცხადოთ დეტექტივს, თქვენს კვალს რომ დაეძებს, უნდა გესმოდეთ, ეს ცეცხლთან თამაშია."

"ალბათ ასეა."– მომიგო ნაითმა დაუფიქრებლად, – "გეთანხმებით, რომ ჩემი წარმატება ერთგვარად იმაზეცაა დამოკიდებული, რა ყაიდის ადამიანს დაავალებენ დევნას. თუ ის ერთი უნიჭო მაძებარი იქნება, შეიძლება თავი წავაგო, მაგრამ თუ პატივს დამდებენ და ძებნას ამ საქმის რომელიმე დიდოსტატს ჩააბარებენ, ჩემეული ინდუქციის ძალას და ეშმაკობას უყოყმანოდ გამოვიყენებ მის წინააღმდეგ".



მხატვარი აივენგო ჭელიძე

მეორე დღეს შუადღისას ნაითი ოფისში მეწვია. კმაყოფილი გამომეტყველება ემჩნეოდა.

"როგორ მიდის საიდუმლო მკვლელობის საქმე?" – შევეკითხე.

"ჩვეულებრივ,"– გამიღიმა ნაითმა – "დილით პოლიციისა და მოკვლევის განყოფილებაში შევიარე, მინდოდა რაღაც შემეტყო. ჩანს, ცხედრის ახლოს საფულე დამივარდა, რომელშიც სავიზიტო ბარათები მეწყო. ასე რომ, ჩემი ვინაობა და მისამართი უკვე იციან. სამი თვითმხილველი მოწმეც დაუკითხავთ — მათ ჩემი თავი პოლიციას აღუწერეს. საქმე სახელგანთქმული დეტექტივის შემროკ ჯოლნესის ხელშია. დავალების შესასრულებლად მან თორმეტის ნახევარზე დატოვა განყოფილება. ორ საათამდე შინ ვუცდიდი, ვფიქრობდი, მესტუმრებოდა."

ირონიულად გამეცინა.

"ჯოლნესს ვერ ნახავთ, ორი–სამი კვირა მაინც თუ არ გაივლის," — არ ვიშლიდი ჩემსას, — "მერე კი მკვლელობა ყველას დაავიწყდება. თქვენს გამჭრიახობაზე უკეთესი აზრის ვიყავი, ნაით. სანამ სახლში სამსაათნახევარი პოლიციელს ელოდით, ის თქვენს თვალსაწიერს გასცდა და ახლა უკვე ინდუქციის ჭეშმარიტ თეორიაზე დაყრდნობით დაგეძებთ. არც ერთი ბოროტმოქმედი არ გამოცხადებულა მასთან იმგვარად, თქვენ რომ აპირებთ. გირჩევთ, თავი ანებოთ ამ ახირებას."

"დოქტორო", – ნაითს ჭკვიანი ნაცრისფერი თვალები გაუბრწყინდა და ნიკაპიც გაუსწორდა, – "თქვენს ქალაქს რეკორდი კი დაუმყარებია გაუხსნელ საქმეთა რიცხვით, რასაც, ბუნებრივია, ბოროტმოქმედთან მისი მაძებარი დეტექტივის ლოგიკური შეხვედრა არ მოჰყოლია, მაგრამ გპირდებით, მოვხსნი ამ რეკორდს. ხვალ შემროკ ჯოლნესთან მიგიყვანთ, თქვენს წინაშე ვამხელ და დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენს ქალაქში დამნაშავისა და სამართალდამცველის პირისპირ დგომა სავსებით შესაძლებელია."

"დამიჯერეთ," — ვუთხარი — "ამით პოლიციას დიდ დახმარებას გაუწევთ."

მეორე დღეს ნაითმა ტაქსით მომაკითხა.

"რამდენიმე ცრუ კვალზე უკვე ვიდექი, დოქტორო," — გამომიტყდა, — "დეტექტივთა მეთოდების ცოტა რამ მეც გამეგება და ზოგიერთ მათგანის გამოყენება ვიფიქრე, თუმცა უშედეგოდ. ჯოლნესის პოვნას ვვარაუდობდი იქ, სადაც ის არ იყო. 45-კალიბრიანი პისტოლეტით აღჭურვილს არ შემშინებია და ორმოცდამეხუთე ქუჩაზე, სამუშაოზე ვეახლე, იქ არ დამხვდა. შემდეგ კოლუმბიის უნივერსიტეტში დავეძებდი — ზურგში სროლა ხომ ყვინჩილა სტუდენტებს სჩვევიათ და ვფიქრობდი, იქ ვიხილავდი. მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენი."

"ვერც მიაგნებთ" – ვუთხარი დარწმუნებით.

"ჩვეულებრივი მეთოდებით მართლაც ვერა," — დამიდასტურა ნაითმა. -"ასე შეიძლება ბროდვეიზე ერთი თვე ამაოდ ვიყიალო. შელახული სიამაყე კი არ მასვენებს, და თუ დღეს შემროკ ჯოლნესს ვერ გიჩვენებთ, გპირდებით, დოქტორო, თქვენს ქალაქში მკვლელობასა და ძარცვაზე სამუდამოდ ავიღებ ხელს".

"უაზრობაა, მეგობარო," — მივუგე, — "მაშინ, როცა ქალაქის მძარცველები თავისუფლად შემოდიან ჩვენს სახლებში და თავაზიანად ითხოვენ ათასობით დოლარის ღირებულების სიმდიდრესა და ძვირფასეულობას, შემ-

დეგ თავხედურად სადილობენ კიდეც და წასვლამდე პიანინოს უბრახუნებენ, რა გრჯით თქვენ, ნამდვილ მკვლელს, ასე გამალებით სდიოთ დეტექტივს, დაგეშილი რომ დაგეძებთ?"

ეივერი ნაითი ფიქრებში ჩაიძირა. ცოტა ხანში მას სახე გაუნათდა.

"დოქტორო," – მითხრა, – რაღაც მოვიფიქრე. დაიხურეთ ქუდი და გამომყევით. პირობას გაძლევთ, ნახევარ საათში შემროკ ჯოლნესის წინ იდგებით."

ეივერი ნაითთან ერთად მანქანაში ჩავჯექი. არ გამიგონია, საით უბრძანა წასვლა მძღოლს, მაგრამ დავინახე, რომ ავტომობილი დიდი სიჩქარით ბროდვეიზე გავარდა, მეხუთე ავენიუზე შეუხვია და კვლავ ჩრდილოეთისკენ გაემართა. აჩქარებული გულისცემით მივყვებოდი უნიჭიერეს ტერორისტს, ანალიტიკური ჭკუა და დიდი თავდაჯერებულობა რომ კარნახობდა დაუყოვნებლივ მივეყვანე მკვლელისა და მისი მაძებარი ნიუ-იორკელი დეტექტივის შიშისმომგვრელ პაემანზე. კიდევ არ მჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყო.

"დარწმუნებული ხართ, რომ ხაფანგში არ გაებმებით?" — ვკითხე მას, — " ნუთუ ფიქრობთ, რომ თქვენი ახირება პოლიციის კომისარსა და რამდენიმე ათეულ პოლიციელთან არ მიგვიყვანს?"

"ჩემო ძვირფასო დოქტორო," – მომმართა ნაითმა ოდნავ მშრალად, — "მინდა შეგახსენოთ, რომ სიტყვებს ტყუილად არ ვისვრი."

"მომიტევეთ," — ვუთხარი, — "მაგრამ მაინც არა მგონია, ჯოლნესი იპოვოთ."

ტაქსი ავენიუს ყველაზე ლამაზ შენობასთან გაჩერდა. შენობის წინ ბოლთას სცემდა ფუშფუშა წითურ ბაკენბარდებიანი კაცი, მუნდირის საყელოს გადანაკეცზე დეტექტივის სამკერდე ნიშანი რომ დაებნია. უცბად მან ბაკენბარდები მოიხსნა, რათა სახეზე ოფლი შეემშრალებინა - მაშინვე შევიცანი შემლოკ ჯოლნესი, დიდი ნიუ-იორკელი დეტექტივი. ის სახლის კარ-ფანჯრებს ფხიზლად დარაჯობდა.

"დაინახეთ?" — ნაითის ხმაში საზეიმო ნოტმა გაიჟღერა, — "ახლა რაღას იტყვით, დოქტორო"?

"საოცარია, საოცარი," – გაკვირვება ვერ მოვასწარი, რომ ჩვენი ავტომობილი უკანვე გამოტრიალდა, — "კი, მაგრამ, როგორ შესძელით ეს? ინდუქციის რა ხერხი..."

"ჩემო ძვირფასო," – შემაწყვეტინა დიდმა მკვლელმა, — "დაეხსენით დეტექტივთა ინდუქციის თეორიას. ჩემი მეთოდით, უფრო თანამედროვე რომაა და ნახტომისებურს ვუწოდებ, მე მაშინვე გამომაქვს დასკვნა ისე, რომ უმნიშვნელო სამხილიც არ მჭირდება, ნაცვლად იმისა, რომ საიდუმლოს ამოსახსნელი მოსაწყენი გონებრივი სავარჯიშოებით ტვინი ვიჭყლიტო. ახლავე გაგარკვევთ მის არსში."

"უპირველეს ყოვლისა, დავრწმუნდი, რომ რადგან დანაშაული ნიუ-იორკში დღისით, მზისით, სახალხო თავშეყრის ადგილზე და დამამძიმებელ გარემოებაში მოხდა და საქმეში ზედმიწევნით დახელოვნებული მაძებარი ჩართეს, ამიტომ ბოროტმოქმედს ვერასოდეს მიაგნებდნენ. როგორ გგონიათ, ჩემი ეს პოსტულატი პრეცედენტებით არ დასტურდება?"

"ალბათ, კი," — ვუპასუხე შეუპოვრად, — "მაგრამ რას იტყვით ბიგ ბილ დევ"

"შეჩერდით," — შემაწყვეტინა ნაითმა ღიმილით, — "რამდენჯერ უნდა მოვისმინო ერთი და იგივე. დაგიძველდათ არგუმენტი. მაშ ასე, განვაგრძობ.

"ნიუ-იორკში უამრავი დამნაშავე დადის დაუსჯელი, ეს კი მაფიქრებინებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტალანტებს ანდობენ მათ დევნას, ჩანს, ისინი ძიებას არასწორი მიმართულებით წარმართავენ, უფრო მეტიც, სწორედ რომ ჭეშმარიტების დადგენის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. აი, რა გახდა ჩემი დასაყრდენი.

"მკვლელობა ცენტრალურ პარკში ჩავიდინე. ახლა, ნება მიბოძეთ, თავი დავახასიათო.

"მე ვარ მაღალი, შავწვერა კაცი, მუდამ ჩრდილში ყოფნას ვამჯობინებ, არ მაბადია არაფერი, არ მიყვარს შვრიის ფაფა და ერთადერთი მიზანი გამაჩნია – როგორმე გავმდიდრდე სიკვდილამდე. ვარ ცივი, უგულო ადამიანი, არ ვზრუნავ მეგობრებზე და ერთი ცენტიც არ გამიმეტებია მათხოვრისთვის, ქველმოქმედებაზე რომ არაფერი ვთქვათ."

"აი, ნამდვილი სახე კაცისა, რომელსაც დაეძებს დეტექტივი. ქალაქის ბოლოდროინდელ კრიმინალურ ქრონიკას თვალს ადევნებთ და, არა მგონია, შედეგის წინასწარმეტყველება გაგიჭირდეთ. როცა დაგპირდით, თქვენს სკეპტიკურ მზერას სულ მალე ჩემს მაძებარ დეტექტივს მივაპყრობ-მეთქი, დაცინვით განმიცხადეთ, ნიუ-იორკში დეტექტივები და მკვლელები ერთმანეთს არასოდეს ხვდებიანო. ეს-ესაა დაგიმტკიცეთ, რომ ჩემი თეორია არ ტყუის."

"კი, მაგრამ, როგორ, როგორ მოახერხეთ ეს?"–არ ვეშვებოდი ნაითს.

"ძალიან მარტივად" – მიპასუხა შეცვლილმა მკვლელმა –"დავუშვი, რომ დეტექტივი ზუსტად იმ ძაფის საწინააღმდეგოდ წავიდოდა, რაც ხელთ გააჩნდა. ჩემი თავი უკვე აღგიწერეთ. უეჭველია, ის ძებნას დაუწყებდა დაბალ, თეთრწვერა, მდიდარ კაცს, ვისაც უყვარს თავის გამოჩენა და შვრიის ფაფა და განსაკუთრებით ხელგაშლილი და გულმოწყალე სილატაკეში სიკვდილზე ოცნებობს. ასეთი განსჯის შემდეგ დიდხანს აღარ მიყოყმანია და სწორედ იქ მიგიყვანეთ, სადაც შემროკ ჯოლნესი ენდრიუ კარნეგის* რეზიდენციას დარაჯობდა."

"საოცრება ხართ, ნაით," - ვერ დავმალე გაკვირვება, - "თქვენი გადასხვაფერების საშიშროება რომ არა, რა შენაძენი იქნებოდით პოლიციის მეცხრამეტე უბნისათვის!"

ინგლისურიდან თარგმნა
**მაია ცერცვაძე**

---

* შოტლანდიელი წარმომავლობის ამერიკელი ბიზნესმენი, მსხვილი ფოლადის მწარმოებელი, ქველმოქმედი, მულტიმილიონერი (1835-1919), იყო არაორდინარული და მრავალწახნაგოვანი პიროვნება. მისი ცნობილი აფორიზმებია: "მდიდარი ადამიანი შერცხვენილი კვდება"; "სიმდიდრის დაგროვება კერპთაყვანისცემლობის ყველაზე ცუდი გამოვლინებაა. არც ერთი კერპი ისე არ ანადგურებს ადამიანს, როგორც ფულისადმი თაყვანისცემა".

## პერსონაჟი ოთხი მწერლისა

ცოცხალი და გამჭრიახი თვალები აქვს. დროდადრო ეშმაკურად ჩაეცინება ხოლმე. ლაპარაკობს მგზნებარედ და მხიარულად. მოგითხრობს ამბავს, სადაც ყოველი სიტყვა სახეა და სადაც არა ღირს ეძებო ზღვარი ფაქტსა და პოეზიას შორის. შესახედაობით არაბსა ჰგავს. შავი წვერი მოუშვია. თავდაპირველად ოხუნჯობდა: არ გავიპარსავ პირს, ვიდრე ბურგოსს არ ავიღებთო. მერე მითად გადაიქცა მისი წვერი. ჯარისკაცები: წვერომ გვიბრძანაო... ბრიუეგასთან ვერ მოითმინა და თავად გაუძღვა მეომრებს იერიშზე. ყველამ იცის, რომ უშიშარია უხორცოსავით და, ამასთან, საზრიანი და მარიფათიანი. მისი ჯარისკაცები ყოველთვის კარგად თოხლაობენო.



ელ კამპესინო

აი, ასე ახასიათებდა რესპუბლიკური ესპანეთის გენერალს ვალენტინ გონსალესს (1904-1979) საბჭოთა მწერალი და ჟურნალისტი ილია ერენბურგი გაზეთ „იზვესტიის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ნარკვევში (1937 წ. 4 აპრილი).

ესპანეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და ამ ომში რესპუბლიკა ბადებდა ახალ მხედართმთავრებს, რომელთაც თვალით არ ენახათ სამხედრო აკადემიები, მაგრამ ტოლს არ უდებდნენ სენ-სირსა და სენდჰერსტში განსწავლულ პროფესიონალებს.

ვალენტინ გონსალესი, ელ კამპესინო (ესპანურად — გლეხი) რომ შეარქვეს, წარმოშობით მართლაც გლეხი ყოფილა. ერთხანს ღორებს მწყემსავდა ესტრემადურის პროვინციის ერთ მივარდნილ სოფელში. სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და საზღვაო ფლოტში მოხვდა. ჯერ ანარქიზმმა გაიტაცა, მერე კომუნისტებს დაუახლოვდა. მალე ჩააყუდეს ციხეში, სადაც თითქმის წელიწადნახევარი გაატარა. გაიქცა მაროკოში. პოლიცია ეძებდა, ამიტომაც სხვისი გვარით ჩაეწერა ესპანეთის უცხოურ ლეგიონში. ამბოხებულ არაბთა დასაშოშმინებლად გაგზავნეს. არაბთა მხარეზე გადავიდა და ეხმარებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ესპანელებმა ტყვედ ჩაიგდეს. ყველანი გააცურა: ლეგიონერი ვარ და საზიზღარმა არაბებმა დამატყვევესო. დახვრეტის ნაცვლად უბოძეს ჩინები. დაბრუნდა სამშობლოში და ასტურიის აჯანყების დროს ისევ დააპატიმრეს. კიდევ ერთხელ იგემა ციხე. ფაშისტური ამბოხება რომ დაიწყო, სასწრაფოდ აისხა იარაღი რესპუბლიკის დასაცავად. ჯერ მეთაურობდა ბატალიონს, მერე — ბრიგადას და 1937 წლის ზაფხულში — უკვე დივიზიას.

ილია ერენბურგის სიტყვით, ჯარისკაცები პატივს სცემდნენ, როგორც მეთაურს და უყვარდათ, როგორც ამხანაგი. არა მარტო საშტაბო რუკა, არამედ ესპანელი ხალხის სულიც მშვენივრად იცისო.

ესპანეთის სამოქალაქო ომის გმირი როგორ გამორჩეობდა ერნესტ ჰემინგუეის და გენერალმა გონსალესმა მის რომანშიც („ვისთვის რეკს ზარი“) დაიდო ბინა.

რომანის მთავარ გმირს — ამერიკელ მოხალისეს რობერტ ჯორდანს (ალტერ ეგო მწერლისა) პირველი შეხვედრისთანავე სამუდამოდ დაამახსოვრდა კამპესინოს შავი წვერი, სქელი ტუჩები, ზანგისას რომ მიუგავდა და აგზნებული, მოუსვენარი თვალები.

ეს იყო გულადი, თავზე ხელაღებული კაცი, ვისაც სიმამაცით ვერავინ შეედრებოდაო, წერს ჰემინგუეი და დასძენს: „მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამდენს ლაპარაკობდა! გაცხარებულ ლაპარაკში შეეძლო ეთქვა, რაც მოეპრიანებოდა და თავისი წინდაუხედაობის შედეგებს არც კი უფიქრდებოდა, რასაც არაერთხელ მოჰყოლია მწარე ნაყოფი“.

ჰემინგუეის ეს დაკვირვება წინასწარმეტყველური გამოდგა.

სამოქალაქო ომში დამარცხების შემდეგ ათასობით ესპანელი რესპუბლიკელი მოსკოვში გადაიხვეწა. მათ შორის იყო კამპესინოც. ერთხელაც გამოიძახეს კომინტერნის რომელიღაც კომისიის სხდომაზე, სადაც მოურიდებლად შედავებია კომისიის წევრებს (რომელიმე თანამებრძოლს გამოექომაგებოდა) და რესპუბლიკური ესპანეთის გენერალი დაპატიმრებულ იქნა.

ჯერ მოსკოვის მეტროს სამშენებლო სამუშაოები ინვნია, მერე — სუსხიანი ვორკუტა და ბოლოს — მცხუნვარე თურქმენეთი. ასეთი იყო კამპესინოს მარშრუტი გულაგის არქიპელაგში.

ესოდენ კოლორიტული ტუსაღი როგორ გამორჩებოდა „გულაგის არქიპელაგის“ ავტორს?!

ალექსანდრ სოლჟენიცინის სიტყვით, ტუსაღი ჟორა ინგალი ღამღამობით წერდა ნოველას კამპესინოზე, ვისთანაც ერთ საკანში მოუწია ჯდომა და ვისი გლეხური სიდარბაისლით აღფრთოვანებული იყო.

სოლჟენიცინი გვამცნობს: ინგალი თავის ნოველას ვეღარასოდეს დაასრულებს, რადგანაც კამპესინოს შემდგომ თავგადასავალს ვეღარ მოესწრებაო.

ტუსაღს არ დააცალეს მწერლობა. მისი დაუმთავრებელი ნოველა კამპესინოზე, ალბათ, უგზოუკვლოდ გაქრებოდა ავტორთან ერთად.

სოლჟენიცინს შემდგომში შეუტყვია, რომ კამპესინომ თურქმენეთში განლაგებული ლაგერიდან ტუსაღთა ჯგუფი გაიყვანა და მთის ბილიკებით გადაიყვანა ირანში. მწერალი შენიშნავს, კამპესინომ საბჭოთა ლაგერებზე, ვგონებ, წიგნიც გამოსცაო.

ინგლისელი მკვლევარი რობერტ კონქვესტი აზუსტებს ინფორმაციას ოთხი მწერლის სახელგანთქმულ პერსონაჟზე: 1948 წელს, როგორც ცნობილია, დიდი მიწისძვრა მოხდა აშხაბადში. კამპესინომ ისარგებლა შექმნილი არეულობით და 34 ტუსაღი გადარეკა ირანში.

1952 წელს ლონდონში წიგნიც გამოუცია ასეთი სათაურით: „ისმინეთ, ამხანაგებო!“

გამართლდა ჰემინგუეის მეორე დაკვირვებაც.

კამპესინოსთვის გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობდაო. თავში არასოდეს მოსდიოდა, რომ მდგომარეობა შეიძლება იყოს უიმედო და როცა მართლაც გამოუვალი მდგომარეობა იქმნებოდა, გამოსავალს მაინც პოულობდაო.

მისი მეთაურობით განხორციელებული წარმატებული კოლექტიური გაქცევა უპრეცედენტო მოვლენად უნდა ჩაითვალოს გულაგის არქიპელაგის საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიაში.

6/26

## მოზაიკა

### დაბადებული გმირად

იაკობ ხუცესის ანუ ცურტაველის უკვდავი თხზულება შუშანიკის მარტვილობაზე დამაჯერებლად გვიხატავს ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული ქალის გმირობას. ამ მოთხრობის ფურცლებზე ვხედავთ თითქმის ფანატიზმამდე მისულ ურჩობას — ფიზიკურად სუსტი ქმნილების ერთადერთ იარაღს მძლავრი ბოროტების წინააღმდეგ. გვხიბლავს ადამიანის სულიერი სიმტკიცე, რომელსაც ძალუძს მორალური მარცხი მიაყენოს ამქვეყნად აღზევებულ უკეთურებას. ამგვარ შემართებას არაფრად მიაჩნია სიკვდილი, პიროვნული ღირსება დგება წუთისოფლის წარმავალ სიამეებზე მაღლა.

საფიქრებელია, რომ შუშანიკის თავგანწირვას გარკვეულწილად განაპირობებდა მის სულში ბავშვობიდანვე ჩანერგილი ღვთისმოსაობა, რასაც უხვად ასაზრდოებდა საგვარეულო ტრადიციები.

ჩვენგან უდროოდ წასული ლაშა ჯანაშია, გამორჩეული მკვლევარი და იშვიათი კეთილშობილებით დაჯილდოებული კაცი, თავის უაღრესად საინტერესო ნაშრომში („შუშანიკის წამება") ვრცლად იმოწმებს V საუკუნის სომხურ საისტორიო წყაროთა ინფორმაციას, სადაც აღწერილია შუშანიკის წინაპართა ღვაწლი. მისი გენეალოგიის ერთ შტოს ამშვენებს გრიგოლ განმანათლებელი, რომელმაც ქრისტიანულ რჯულზე მოაქცია სომხეთი, ხოლო მეორეს — შუშანიკის მამა ვარდან მამიკონიანი, მეთაური ირანის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებისა.

მამიკონიანები, სომხეთის ჯარის მემკვიდრეობითი მთავარსარდლები, მუდამ სათავეში ედგნენ ბრძოლას მშობელი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ხოლო გრიგორ განმანათლებლის შთამომავალნი, ასევე მემკვიდრეობით სომხეთის მღვდელმთავარნი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანები, ფხიზლად იდგნენ სულიერი სიწმინდისა და პატიოსნების სადარაჯოზე, პირუთვნელად ამხელდნენ ხოლმე სომხეთის მეფეთა ცოდვებს, ზოგჯერ — საკუთარი სიცოცხლის ფასადაც.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს IV საუკუნის მოღვაწის ვასაკ მამიკონიანის თავგადასავალი: მისი საარაკო გამარჯვებანი ირანელებთან თუ ბიზანტიელებთან ომში, შემკული ფანტასტიკური დეტალებითაც (ვასაკის ორმოცათასიანი რაზმის გამარჯვება ირანელთა ოთხმილიონიან ჯარზე!).

ქრისტიანული სარწმუნოებისა და სამშობლოს ინტერესთა დასაცავად მამიკონიანები უახლოეს ნათესავებსაც კი არ ინდობდნენ. ასე მაგალითად, ვასაკის უფროსი ძმა, რომელმაც სომხეთის მეფეს უღალატა და ირანის შაჰს ეახლა, ვასაკის ბრძანებით მოკლეს. ღალატის გზას დასდგომია ვასაკის მეორე ძმაც, სახელად ვაჰანი. ქრისტიანობისთვის ზურგი შეუქცევია, მაზდეანობა მიუღია და ირანის შაჰს დასიძებია. სამშობლოში დაბრუნებულს საშინლად აუოხრებია სომხეთი. ამაოდ ლამობდა, რომ მთელ სომეხ ხალხს „სპარსთა რჯული" შეეტკბო. მისი გაშმაგება იქამდე მისულა, რომ მაზდეანობის უარყოფის გამო სასიკვდილოდ უწამებია ღვიძლი დაი. ვაჰანი თავის შვილებსაც აიძულებდა განდგომას მაცხოვრისგან. მამის ღვირახსნილობით აღშფოთებულ სამველს მოუკლავს მამაც და დედაც! სომეხი მემატიანენი აღტაცებით აღწერენ სამველ მამიკონიანის საქციელს და პატრიოტიზმის უმაღლეს გამოვლინებად მიიჩნევენ.

ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულება მოითხოვდა ყოველგვარი პირადულისა და ძვალ-რბილში გამჯდარ მოვალეობათა დავიწყებას. და შუშანიკიც ახლოს აღარ გაიკარებს თავის შვილებს, ვარსქენმა „სპარსთა რჯულზე" რომ მოაქცია. „ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი; და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი" (სახარება მათესი — 10,37).

შუშანიკმა, რასაკვირველია, მშვენივრად იცოდა თავის წინაპართა ისტორია და ყველაზე უკეთესად კი — მამის, სახელგანთქმული ვარდან მამიკონიანის ამბავი, რომელიც დაიღუპა ავარაირის ბრძოლაში (451 წ.) და მისი სიკვდილი აჯანყების მარცხის მომასწავებელი ნიშანი გამხდარა.

ლაშა ჯანაშია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შუშანიკის პიროვნების ჩამოყალიბებაში, უეჭველია, დიდი გავლენა უნდა მოეხდინა მისი წინაპრების სულისკვეთებას. მათი ანთებული ჩირაღდანი გზას უკვალავდა მკრთალად მოციმციმე სანთელს, დღენიადაგ მოუწოდებდა ქალად დაბადებულ გმირს, რომ ასევე ამაყად ეტარებინა თავისი სანთელი, გაემხნევებინა ენაჩაგდებულნი და სულიერი დამბლით შეპყრობილნი. მართალია, მისი ფიზიკური არსებობის სანთელი დაიშრიტა ვარსქენის ხელით, სულისმიერ სანთელს დაშრეტა არ ეწერა. დაუშრეტელი სანთელი შუშანიკისა გამოჰყვა საუკუნეებს და მარადჟამს შეახსენებს ქვეყნიერებას ქართული ეკლესიის მიერ ჩვენს ეროვნულ წმინდანად შერაცხული სომეხი ქალის გმირობას.

## ქრონიკა

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრმა წარმოადგინა პერფომანსი "გათენებამდე". ეს საღამო გახლდათ საქველმოქმედო და მიეძღვნა ბავშვთა საერთაშორისო დღეს. მონაწილეობდნენ პოეტები ნატა ვარადა და კატო ჯავახიშვილი. მუსიკალური ბენდი „პალომა" (რომელმაც შეასრულა სხვა ესპანურ სიმღერებთან ერთად პორტუგალიური ფადო) და ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი. იმავდროულად გაიმართა მხატვარ ოტა მურაჩაშვილის ფერწერული ნახატების გამოფენა.

პერფორმანსი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ქალბატონმა ქეთი დოლიძემ გახსნა.

როგორც ჩანს, საღამო „გათენებამდე" რეჟისორმა ბექა რამიშვილმა ჩაიფიქრა ქალაქის მარწუხებიდან გაღწევის ერთ მცდელობად. ქუჩას შემორჩენილ მუსიკოსებს და მომღერლებს ორი პოეტი გადაეყრება და ისინი ერთად ცდილობენ საკუთარი ხმით და სურვილით სინათლე შემოიტანონ ქალაქის ჩამუქებულ ფერებში.

საღამოზე მონაცვლეობით კითხულობდნენ ლექსებს პოეტები ნატა ვარადა და კატო ჯავახიშვილი. მათი ლექსები ეხმიანებოდა ერთმანეთის განწყობას, ხოლო მუსიკალური შესრულება კი მსმენელს აძლევდა საშუალებას, წარმოსახვით თვითონაც მიეღო მონაწილეობა.

ჩანაფიქრი მაყურებელმა ადვილად ამოიცნო. სული, რომელიც ეზიარება ჭეშმარიტებას და მარადიულობას, ყოველთვის ბრუნდება ფესვებთან, რაც უნდა სხვა ქვეყნის მელოდიურობამ თუ სიმსუბუქემ გაიტაცოს იგი. ესპანური ფლამენკოსა და ქართული ოროველას შერწყმა კი სწორედ რომ ექსპერიმენტი იყო და ნაწილობრივ გაამართლა კიდეც.

პერფომანსს საინტერესო სტუმრები ესწრებოდნენ: მეცნიერი და მწერალი როსტომ ჩხეიძე, პოეტი გივი ალხაზიშვილი, ლიტერატურათმცოდნე და პოეტი ნინო დარბაისელი, პროზაიკოსები — ბესო ხვედელიძე, გურამ მეგრელიშვილი, პოეტები — მარიამ წიკლაური, ნინო სადღობელაშვილი და სხვა ახალგაზრდა პოეტები და პროზაიკოსები.

საღამოზე შემოწირული თანხა გადაეცა რუსთავის ბავშვთა სახლში მცხოვრებ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

# ჩვენი ლიტერატურული სალონი

საკუთარი თავშესაფარი ყველას აქვს. განსაკუთრებით, თუ შეგიძლია დილას შეხვიდე შენს თავში და საღამოს დაბრუნდე. რით სუნთქავდი? რას ჭამდი? მუსიკას, სიტყვას, ფერს, ამას მნიშნელობა აღარ აქვს. ვირტუალური სამყარო კიდევ სხვაა, ეს, ადრე რასაც „სპილოს ძვლის კოშკს“ ეძახდნენ, იმის ნათესავი უფროა, თუ მაღალფარდოვნებას არ ჩავთვლით.

ისე, რა სპილოს ძვალი აგიტყდა ამ გაჭირვებაში? აიღე ჰაერის მონაკვეთი, ქუჩის კუთხე, ერთი ხე რომ ჩაეტიოს, და იქ იყავი, ვერც პრივატიზაციას მოგთხოვენ, ვერც გადასახადს, ვერც მოგაგნებენ, მაგრამ ძალიან დიდხანსაც ვერ გაძლებ, რაღაც მომენტში ამ უსაგნობას კედლები და ჭერი უჩნდება, ჰაერისაც რომ იყვნენ, მაინც გიჭერენ თავზე, გულზე, თვალებზე, არც ხეა ნამდვილი, იმ ხის ლანდია, რომელიც მოჭრეს, ამაზე დარდიც გიმკვეთრდება.

მარტოობას გინდა დღესასწაული დაარქვი, გინდა უბედურება, მაინც გთრგუნავს. ჩვენს არეულ, მშიერ, ოცი წელიწადი წართმეულ ცხოვრებაში, ფუფუნებას გავს „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურული სალონი. ისიც თავშესაფარია, ოღონდ, ნამდვილი ჭერით, კედლებით, ადამიანებით, რომლებსაც კიდეც რომ არ იცნობდე, შენიანები არიან. ბევრ მათგანს შენსავით უჭირს, შიგადაშიგ, მარტოობა, გამოდის იქიდან და ლექსს გიკითხავს, მოთხრობას, ესეს, შენი აზრი აინტერესებს, კიდეც რომ არ აინტერესებდეს, ამის ილუზიას გიქმნის. ილუზიას რეალურ ცხოვრებაში პურს ვერ დაარქმევ, მაგრამ თუ „სპილოს ძვლის კოშკი“ გიზის მეხსიერებაში, არსობის პურია. ზოგჯერ დიდი ოთარ ჩხეიძის ლანდიც გაკრთება სიახლოვეს. ჩვენს არეულ ცხოვრებაში რომ გაყვირიან: — რა დროს პოეზიააო, — გიხარია, როცა უპურობაში, უფულობაში, უგზოობაში ამდენ ხალხს ხედავ, შეკრებილებს, მხოლოდ იმისთვის, რომ სიტყვა მოისმინონ, დაიგემოვნონ, პირში აგლახავონ შაქრის ნატეხივით, გელაპარაკონ, გეკამათონ, მოგეფერონ, გაგრძნობინონ, რომ ცხოვრება, ზოგჯერ მშვენიერიც შეიძლება იყოს „„მშვენიერი ხარ, წამო, შეჩერდი!““, რომ თავშესაფრიდან როცა გამოხვალ, შეგიძლია ჭურჭელი გარეცხო, ბავშვს აჭამო, ვიღაცას გაუღიმო, დაელაპარაკო და გაგეხარდეს ეს მარტივი ყველაფერი, სანამ უკან დაბრუნდები.

რეალურ ცხოვრებაში აუცილებელია სულ პატარა სიხარული. პოლ ვერლენი ამბობდა, რომ პოეზია მუსიკაა, ნიუანსები, ელფერები, სხვა დანარჩენი არის ლიტერატურა. ჩემი ძვირფასი სხვა დანარჩენი! მის გარეშე ხომ ეს უნივთო ბუნაგიც ვერ გექნება. ის არის სათავე, ხსენი, მერე მოდის რძე, „ქართველი ხალხი ჯერ ჩვილია, მას რძითა და მხლით კვება სჭირდება“ — ეს არის, ჯერ კიდევ, X საუკუნე, ლიტერატურასთან ზიარების დასაწყისი, მერე, უკვე, ჩვეულებრივი პური და თევზი, უფრო სწორედ, ღვთაებრივი.

თუ ასე მიაწვდი ადამიანს, მკითხველს ლიტერატურას, ისიც შენიანი გახდება და გაადვილდება თავშესაფარსა და თავშესაფარს შორის მიწიერი ცხოვრება. მარტო განათლებული, წიგნიერი კაცი, ლიტერატორი, ფილოლოგი, რაღაცნაირად შეძლებს ამ საქმეს მოკიდოს ხელი, მაგრამ თუ ის მწერალიცაა, შემოქმედიც, მაშინ ღმერთის ხელდასხმულივითაა.



შორენა ბაზანაშვილის ფოტოეტიუდი

როსტომ ჩხეიძეს, ძალიან მნიშვნელოვან და ძლიერ მწერალს, რომლის მხატვრულ-დოკუმენტური პროზა ისე იკითხება, ღამეს გაგათენებინებს, ქართული სიტყვის ყადრს და ფასს გაგრძნობინებს, გაიძულებს ელოდო შემდეგ ნაწარმოებს, მაგრამ მას, კიდევ, ის ლიტერატურა უყვარს, კოშკის სიმაღლიდან რომ „დანარჩენად“ ჩანს, სინამდვილეში კი სულის პურია, არსობის-მეთქი, აღარ გავიმეორებ. ის აარსებს ჟურნალს „ჩვენი მწერლობა“, ლიტერატურულ სალონს ქმნის, ჩვენთვის, მისნაირებისთვის, და სხვებისთვისაც, რომლებსაც ლიტერატურა უყვართ.

ახლოვდება დრო, როცა ლიტერატურული სალონი, დროებით, იხურება. გული მტკივა. ყოველთვისაც ვერ ვახერხებ აქ მოსვლას, მაგრამ თუ იცი, რომ სადღაც მიგესვლება და რატომღაც ვერ მიდიხარ, ეს, უკვე, იმედის ნახევარია, განსაკუთრებით, იმ ცხოვრებაში, სადაც იმედის ნამცეციც მნიშვნელოვანია.

მადლობა მინდა ვუთხრა ამ იმედისთვის ლიტერატურულ სალონს და მის მესვეურს ბატონ როსტომ ჩხეიძეს.

**ლია სტურუა**

1-50

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეხვედრა

ბესიკ არბოლიშვილი

ISSN 1987-7730